საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№42 (371)
16 – 22 ნოემბერი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



## ნატოს ყოფილ გენერალურ მდივანს ალიანსის დაშლის ეშინია

21



## დონალდი და დომინოს პრინციპი

11

«მსოფლიო იცვლება და დონალდ ტრამპი პირველი რგოლია, რომელიც ამ ცვლილებებს, დომინოს პრინციპით, ჯაჭვურ რეაქციად გადააქცევს, ეს მშვენივრად ესმის ყველას, საქართველოს მთავრობის გარდა»

4

## მსოფლიო დიდი ცვლილებების მოლოდინშია, საქართველოს ხელისუფლება – ჭურში



ქართველი ექსპერტი გლობალიზაციის პროექტის კრახზე 15 წლის წინათ საუბრობდა

## «არავინ გვყავს ხელისუფლებაში ისეთი, ვინც პუტინს შეხვდება და მასთან დიალოგის გამართვას შეძლებს. საქართველოში არიან ასეთი ადამიანები, მაგრამ არა ხელისუფლებაში»

6

## «საქართველო კარგავს ფუნქციას, რომელიც აშშ-მა არგუნა»

10



მამა გიორგი (რაზმაძე):

## ქართველ ხალხს შეუძლია ისევე დაასრულოს «ლიბერალების» პარპაში ხელისუფლებაში, როგორც ეს ამერიკელებმა გააკეთეს

8

«არ უნდა მივცეთ ხმა არც ერთ პარტიას თუ ცალკეულ პიროვნებას, რომლებიც ქართულ ეროვნულ ფასეულობებთან შეუსაბამო პოლიტიკას გაატარებენ»

7

## «ერთი სექტანტი ვერ გაფაჩუნდებოდა ჩემ დროს, მე რომ არ მცოდნოდა. ყველა სექტაში გვყავდა ჩვენი ხალხი»

«ამერიკელებმა ჩვენზე კარგად იციან, რა ხდება საქართველოში: მიმდინარე პროცესებში ჩვენზე უკეთ ერკვევიან და პიროვნებებსაც შესაფერისად აფასებენ, მასმედიის საქმიანობაშიც შესანიშნავად არიან ჩახედულნი. ქვეყანაში არსებული განწყობილებაც იციან, თანაც, არა მხოლოდ საზოგადოდ, არამედ ხელისუფლების წევრების პერსონალური დამოკიდებულების მხრივაც»

## ყველა გიგისტი როდია მიშისტი



რატომ ანგრევს სააკაშვილი «ნაცმოძრაობას»?

2



## «იმამი, რომელიც თურქეთში ბავშვებს თავისუფალ სექსუალურ ურთიერთობებს ასწავლიდა, დღეს ბათუმში სკოლის დირექტორია»

12



საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოკერიას ჯგუფის შეტევა სააკაშვილის წინააღმდეგ უკვე აღარ ჰგავს მოჩვენებითს და ძალიან აბნევს და აღიზიანებს „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებს. ამასთანავე, „გიგისტები“ კარგად აცნობიერებენ, რომ, სანამ პარტია იზოლაციაში რჩება, ის ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება. დამოუკიდებლად 50%-ზე მეტი ხმის აღება ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება, ალიანსების შექმნას კი ხელს „ნაცმოძრაობის“ წარსული, „9 წლის ტვირთი“ უშლის.**

# რატომ ანგრევს სააკაშვილი «ნაცმოძრაობას»?

**გასულ კვირას, მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა ოდესის გუბერნატორის პოსტი დატოვა, კრიზისი „ნაცმოძრაობაში“ გაღრმავდა. რა გავლენას იქონიებს ის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და რეალურია ყოფილი მმართველი პარტიის დაშლა მარტივ მამრავლებად?**



## უაზრო ტიპაჟი და ახირებული პერსონა

გასულ კვირაში **მიხეილ სააკაშვილმა** და **გიგა ბოკერიამ** საკმაოდ უცნაური განცხადებები გაცვალეს. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ერთმანეთს მიმართავდნენ, მაგრამ გვარები მაინც არ დასახელებულა. სააკაშვილმა თავის განცხადებაში ახსენა „ერთი-ორი უაზრო ტიპაჟი“ და „ახირებული პერსონა“, ბოკერიამ კი — „ზოგიერთი თანაგუნდელი, ლიდერი თუ მხარდამჭერი“.

„რაღაცებს აქვეყნებენ, თითქოს ისინი გმობენ და ემიჯნებიან საკუთარ მომხრეებს და აქტივისტებს, რომლებიც გადაგვაკვდა და გადააკვდა თავს საქართველოს საქმეს. დაიწყეს უაზრო ლაპარაკი — სააკაშვილი კერპი უნდა იყოს თუ არ უნდა იყოს“, — განაცხადა სააკაშვილმა და გააკრიტიკა თანაგუნდელები მეორე ტურში მონაწილეობისთვის, აგრეთვე, მისი აზრით, პასიური ტაქტიკისთვის, რომელიც პარლამენტში შესვლას და ახალი არჩევნებისთვის მზადებას ითვალისწინებს. „იმის მაგივრად, რომ ხალხს ვრაზმავდეთ, იმის მაგივრად, რომ ბრძოლისკენ და შეურიგებლობისკენ მოვუწოდოთ ამ ყველაფრის მიმართ, სადღაც ხელებს იშვერენ. თურმე პრობლემაა სააკაშვილის, იმის, ამის...“, — თქვა სააკაშვილმა და დასძინა, რომ ამ „ახირებულ ერთ-ორ პერსონასთან, მათ შორის პარტიის ხელმძღვანელობაში“, საერთო არაფერი აქვს.

ამ ბრალდებებს ბოკერიამ ასე უპასუხა: „ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო მეორე ტურებში ბრძოლა და პარლამენტში შესვლა ამ ისტორიულ მომენტში. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პარტიის ინტერესებისთვის და, საბოლოო ჯამში, ივანიშვილის რეჟიმის დემოკრატიულად დამარცხების საქმისთვის. სწორედ ასევე მჯერა, რომ ქუჩაში პროცესების გადატანა, ამ ძალადობის მიუხედავად, იქნებოდა უკეთეს შემთხვევაში ორთქლის გამოშვება და არაფერ კარგს არ მოუტანდა არც ქვეყანას ამ კონკრეტულ მომენტში, არც პარტიას და არც ივანიშვილის რეჟიმის დამარცხების საქმეს“ („ინტერპრესნიუსი“).

ორივე მხარე, რეპლიკების გაცვლის პარალელურად, პარტიის ყრილობისთვის ემზადება. მისი გამართვის ინიციატივით სააკაშვილი მას შემდეგ გამოვიდა, რაც **გიგი უგულავამ** თანაპარტიელებს მოუწოდა, ახალი თავმჯდომარე აირჩიონ. ყრილობისთვის მზადების პერიოდში უაღრესად მნიშვნელოვანია ძალთა ბალანსი „ნაცმოძრაობის“ პოლიტსაბჭოში, რომლის 60 წევრიდან სააკაშვილი დღესდღეობით მყარად 15-20-ს თუ აკონტროლებს. ზოგიერთი შეფასებით, ბოკერიას იქ უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ამასთანავე, პოლიტსაბჭოს წევრების ნაწილი მერყეობს და კრიტიკულ მომენტში შეიძლება პოზიცია შეცვალოს. ზეგავლენას მათზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს. ლიდერების ნაწილს მართლა აღიზიანებს რადიკალური იდეები, მათ ეშინიათ, რომ სააკაშვილის მიერ დაანონსებული „რევოლუციის“ გამო დაზარალდებიან. ახალაიების დაჯგუფების წევრებიც კი, რომლებიც სააკაშვილის მიმართ ყოველთვის ხაზგასმული ლოიალურობით გამოირჩეოდნენ, ბელადის ახალ ინიციატივებზე საკმაოდ თავშეკავებულ პოზიციას გამოხატავენ. მკვეთრად უარყოფითი პოზიცია აქვთ გიგი უგულავასა და **ვანო მერაბიშვილთან** დაახლოებულ პირებს, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელებმა ბოლო პერიოდში უკანა პლანზე გადაინაცვლეს და შიდაპარტიულ პროცესებში აქტიურად აღარ მონაწილეობენ. საერთოდ, არასწორია სააკაშვილის ყველა ოპონენტის მოხსენიება „ბოკერიას ჯგუფად“, ისინი ერთგვარ კონფედერაციას ქმნიან, რომელმაც სააკაშვილის ბოლოდროინდელი მოქმედებით უკმაყოფილოები გააერთიანა; მის წევრებს სხვადასხვა მოსაზრება აქვთ სააკაშვილის, ბოკერიას და პარტიის მომავალზე.

ფულისა და კომპრომატის გარდა, რომელიც, ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, „ნაცმოძრაობის“ ერთიანობას უზრუნველყოფს, არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვან როლს ასრულებს კიდევ ერთი ფაქტორი – შიში. ლიდერების უმრავლესობას არ სურს მონაწილეობა გადატრიალების მცდელობაში, რომლის შემდეგ, დიდი ალბათობით, ციხეში აღმოჩნდებიან. სააკაშვილისგან განსხვავებით ისინი, ასე თუ ისე, აცნობიერებენ, რომ „ვარდების რევოლუცია 2“-ის მოწყობისთვის აუცილებელი წინაპირობები არ არსებობს.

## ყველა „გიგისტი“ როდია „მიშისტი“

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რას განიცდის ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი მაშინ, როდესაც (მაგალითად) **ელენე ხოშტარია,** რომელიც „ნაცმოძრაობაში“ არცთუ დიდი ხნის წინათ მივიდა, ამბობს, რომ „სააკაშვილიც უნდა შეეჩვიოს იმას, რომ, როდესაც პარტია იღებს გადაწყვეტილებას, ამ გადაწყვეტილებას ყველამ პატივი უნდა სცეს“. მიხეილ სააკაშვილმა შექმნა ეს პარტია და წლების განმავლობაში განაგებდა, როგორც შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე მონარქი. მან უზრუნველყო უამრავი ნაციონალის კარიერული წინსვლა და გაამდიდრა ისინი, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „ნაცმოძრაობა“ ჯერ კიდევ ინარჩუნებს მხარდამჭერთა „ბირთვს“ და ყოველივე ამის შემდეგ „უაზრო ტიპაჟები“ ცდილობენ, პარტია წაართვან.

ზოგიერთი კომენტატორი მიიჩნევს, რომ დღევანდელი დაპირისპირება „ნაცმოძრაობაში“ მეტწილად სპექტაკლია, რადგან მის ლიდერებს სურთ, შეინარჩუნონ როგორც რადიკალი, ისე ზომიერი მხარდამჭერები, მათი იმედგაცრუება დაძლიონ და საქმე წარმოაჩინონ ისე, თითქოს სასურველი შედეგის მიღწევას (მნიშვნელობა არ აქვს „რევოლუციური“ თუ „ევოლუციური“ სცენარით) ხელი მხოლოდ შიდა უთანხმოებამ შეუშალა. ხოლო შემდგომ, როდესაც ემოციები დაცხრება, მხარეები დემონსტრაციულად მიაღწევენ კონსენსუსს და მომავალი არჩევნებისთვის მზადებას დაიწყებენ. ეს ვერსია, ასე თუ ისე, ლოგიკურად გამოიყურება, მაგრამ ორმა გარემოებამ შეიძლება საპირისპირო აზრისკენ გვიბიძგოს. ჯერ ერთი — ბოკერიას ჯგუფის შეტევა სააკაშვილის წინააღმდეგ უკვე აღარ ჰგავს მოჩვენებითს და ძალიან აბნევს და აღიზიანებს „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებს. ამასთანავე, „გიგისტები“ კარგად აცნობიერებენ, რომ, სანამ პარტია იზოლაციაში რჩება, ის ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება. დამოუკიდებლად 50%-ზე მეტი ხმის აღება ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება, ალიანსების შექმნას კი ხელს „ნაცმოძრაობის“ წარსული, „9 წლის ტვირთი“ უშლის. ამ გარემოების გააზრების შედეგად, სავარაუდოდ, გაჩნდა სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ნეგატივისგან გათავისუფლებას სააკაშვილისა და სხვა ოდიოზური ფიგურებისგან დისტანცირების გზით. ზოგს ის შეიძლება ერთობ სასაცილოდ მოეჩვენოს, რადგან ვერც გიგა ბოკერია, ვერც სააკაშვილის რეჟიმის რომელიმე სხვა წარმომადგენელი საკუთარი წარსულისგან ვერასოდეს გათავისუფლდება, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ იზოლირებული პარტიის დღევანდელი მდგომარეობა სრულიად უპერსპექტივოა.

სააკაშვილი სჭირდებოდა „ბოკერიას ჯგუფს“ არჩევნებამდე, როდესაც პარტიის მხარდამჭერთა მობილიზებას ახდენდა. თუ „განქორწინება“ მართლაც შედგება, „გიგისტებს“, სავარაუდოდ, ეყოლება საკუთარი ფრაქცია პარლამენტში, რაც არცთუ უმნიშვნელოა ახალი არჩევნებისთვის მზადების პერიოდში. ბოკერიას ჯგუფი სააკაშვილს მხარდამჭერთა მხოლოდ მცირე ნაწილს, დიდი-დიდი, მეოთხედს თუ წაართმევს, ისიც საუკეთესო შემთხვევაში; მაგრამ შესაძლოა, მას ურჩევნია, საწყის ეტაპზე ჰყავდეს „ხუთპროცენტიანი“ პარტია, რომელსაც შესაძლებლობა ექნება, სხვა პოლიტიკურ ძალებთან ითანამშრომლოს და ახალი მხარდამჭერები მოიზიდოს, ვიდრე სრულიად იზოლირებული, ძველებური „ნაცმოძრაობა“, მიუხედავად იმისა, რომ მას ჯერჯერობით მეტი ამომრჩევლის მობილიზება შეუძლია. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ძნელი წარმოსადგენია, ბოკერიას ჯგუფმა „9 წლის ტვირთისგან“ გათავისუფლება მოახერხოს.

## უკანასკნელი ბენეფისი ოდესაში

ორ ფრონტზე ბრძოლა რამდენიმე წლის განმავლობაში გერმანიის იმპერიამაც კი ვერ შეძლო და სააკაშვილის მარცხში გასაკვირი ნამდვილად არაფერია. ის ცდილობდა, ერთდროულად ემოქმედა არა მხოლოდ საქართველოსა და უკრაინაში, არამედ ორი სხვადასხვა მიმართულებით. ერთი მხრივ, მას სურდა, უკრაინაში წარმატებული რეფორმატორის როლი შეესრულებინა და, პრეზიდენტი **პოროშენკოს** დახმარებით სისტემის შიგნით ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე გამხდარიყო. მეორე მხრივ, ცდილობდა, ოპოზიციისთვის განკუთვნილ სივრცეშიც ეთამაშა – საფუძველი ჩაეყარა ახალი პოლიტიკური მოძრაობისთვის და ქულები იმავე სისტემასთან დაპირისპირების ხარჯზე აეკრიფა. მთლიანობაში ეს ძალიან ჰგავდა პიროვნების გაორებას და სააკაშვილმა წარმატებას ვერც ერთი მიმართულებით ვერ მიაღწია.

ოდესაში რეფორმები ჩაფლავდა, მეტიც, კრიმინოგენული ვითარება ოლქში კატასტროფულად გაუარესდა, ხოლო სააკაშვილის როლს „საპორტო ქარხნის“ პრივატიზების საქმეში ახლა უკრაინის გენპროკურატურა სწავლობს. პოროშენკოს ჯგუფმა, მას შემდეგ, რაც გამოიყენა სააკაშვილი პრემიერმინისტრ **იაცენიუკთან** და შს მინისტრ **ავაკოვთან** დაპირისპირებაში, რომ იტყვიან, „არ დააფასა“ მისი ოპოზიციური მისწრაფებები და პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა. ამის შემდეგ ამერიკელი ექსპერტის, **ლინკოლნ მიტჩელის**, ირონიული კომენტარის თანახმად, სააკაშვილი დაემსგავსა „ტროცკის, რომელიც პერმანენტული რევოლუციისკენ მოუწოდებს“ (თანაც, ერთდროულად ორ ქვეყანაში).

დღეს, როდესაც სააკაშვილი პოროშენკოსთან დაპირისპირებას და კიევში „მაიდანის“ მოწყობას გეგმავს (გამოუვა თუ არა ეს, ცალკე საუბრის თემაა), სავსებით ლოგიკური იქნებოდა მის მიერ ძალთა კონცენტრირება ერთი მიმართულებით, „ნაცმოძრაობის“ საქმეებში ნაკლებად ჩარევა და იქ დროებით „საკონსტიტუციო მონარქის“ როლით შემოფარგლა. შემდგომ კი, როდესაც არჩევნების წინ მისი, როგორც „ნაციონალების“ კერპის, როლი ისევ გაიზრდებოდა, შეტევაზე გადასულიყო. მაგრამ ის, ყველა ავტორიტარი ლიდერის მსგავსად, როგორც ჩანს, ვერ ეგუება ხელქვეითთა არათუ დაუმორჩილებლობას, არამედ განსხვავებული აზრის გამოხატვასაც კი. დღეს სააკაშვილი მოწადინებულია, შური იძიოს და, ალბათ, იმ შემთხვევაშიც არ გაჩერდება, თუ დაინახავს, რომ მისი მოქმედება „ნაცმოძრაობას“ სრული კრახით ემუქრება. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან დიქტატორი ნებისმიერ სიტუაციაში დიქტატორად რჩება.

**ლუკა ნემსაძე**

**ოდესაში რეფორმები ჩაფლავდა, მეტიც, კრიმინოგენული ვითარება ოლქში კატასტროფულად გაუარესდა, ხოლო სააკაშვილის როლს «საპორტო ქარხნის» პრივატიზების საქმეში ახლა უკრაინის გენპროკურატურა სწავლობს. პოროშენკოს ჯგუფმა, მას შემდეგ რაც გამოიყენა სააკაშვილი პრემიერმინისტრ იაცენიუკთან და შს მინისტრ ავაკოვთან დაპირისპირებაში, რომ იტყვიან, «არ დააფასა» მისი ოპოზიციური მისწრაფებები და პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა. ამის შემდეგ ამერიკელი ექსპერტის, ლინკოლნ მიტჩელის, ირონიული კომენტარის თანახმად, სააკაშვილი დაემსგავსა «ტროცკის, რომელიც პერმანენტული რევოლუციისკენ მოუწოდებს»**

საქართველოს მმართველებს წარსულში, გარემოებათა გამო, კომპრომისზე წასვლა არაერთგზის მოუწიათ. მთავარი პრიორიტეტი მათთვის იყო არა ნატოში გაწევრება ან სხვისი დაკვეთის შესრულება, არამედ ერის არსებობისა და განვითარების გაგრძელება; ქვეყნის გადარჩენა, ალბათ, სწორედ ამიტომ მოახერხეს. საქართველო ვერ ჩაჰყვება საფლავში ძველ მსოფლიო წესრიგს, თუ ტრამპის ადმინისტრაცია აშშ-ში იზოლაციონისტურ ტენდენციებს გააძლიერებს, ხოლო დასავლეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში მკვეთრად შემცირდება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «გრანტიჭამიების» გასაჭირი, ანუ რას მოუტანს საქართველოს დონალდ ტრამპის გამარჯვება?

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად ბევრისთვის მოულოდნელად დონალდ ტრამპი აირჩიეს. ქართველებს ძალიან აინტერესებს, იქონიებს თუ არა ეს ფაქტი სერიოზულ გავლენას აშშ-საქართველოს ურთიერთობაზე და შეიცვლება თუ არა ძალთა ბალანსი რეგიონში.**



## „ახალი გადატვირთვის“ მოლოდინში

მსოფლიოს ლიბერალები შოკში არიან, ხოლო სახელმწიფოების მეთაურებმა არ იციან, რას უნდა ელოდონ ამერიკის ახალი ლიდერისგან. მათი განწყობა ყველაზე ლაკონურად საფრანგეთის პრეზიდენტმა **ფრანსუა ოლანდმა** გამოხატა — მისი თქმით, ტრამპის არჩევის შემდეგ „გაურკვევლობის პერიოდი დაიწყო“. ბევრი კომენტატორი საუბრობს რადიკალურ ცვლილებებზე საერთაშორისო არენაზე, თუმცა მათი უმრავლესობა რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას არ ითვალისწინებს; მათ შორის იმას, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ეფუძნება გავლენიანი პოლიტიკური ჯგუფების კონსენსუსსა და მემკვიდრეობითობის პრინციპს. ის არ ჰგავს გემს, რომელიც კურსს უპრობლემოდ ცვლის, არამედ ჰგავს მატარებელს, რომლის მემანქანემ შეიძლება შეცვალოს სიჩქარე, გაარემონტოს ცალკეული მექანიზმი, მაგრამ ლიანდაგიდან ვერ გადაუხვევს. ასე რომ, ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, დიდი ალბათობით, შეიცვლება მხოლოდ ტაქტიკური სქემები, მიზნის მიღწევის გზები და არა სტრატეგიული პრიორიტეტები.

**დონალდ ტრამპი** არჩევნების წინ ბევრს საუბრობდა იმაზე, რომ აშშ-ის მოკავშირეებმა საკუთარი უსაფრთხოებისთვის გაცილებით მეტი უნდა გააკეთონ და მხოლოდ ამერიკული დახმარების იმედად არ იყონ. ამ იდეის განვითარებამ შეიძლება მიიყვანოს თეთრი სახლი ძლიერი და ამბიციური რეგიონული მოკავშირეებისთვის მეტი პასუხისმგებლობისა და მოქმედების თავისუფლების დელეგირებამდე; ჩვენს რეგიონში ასეთი მოკავშირე თურქეთია. ეს, კარტბლანშის მიცემას თუ არა, იმ ბარიერების მოხსნას მოიტანს, რომლის მეშვეობით **ობამას** ადმინისტრაცია ცდილობდა **ერდოღანის** შეკავებას. თურქეთის მთავრობა შეიძლება გაცილებით თამამი გახდეს, როგორც სირიაში, ისე საზღვრების მთელ პერიმეტრზე. ეყოფა თუ არა მას ძალა იმისთვის, რომ ‚რეგიონული ჟანდარმის როლი შეასრულოს, ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება დღეს უკვე უნდა დაფიქრდეს, რა საფრთხეები შეიძლება მოიტანოს ამ ცვლილებებმა.

ტრამპმა რამდენჯერმე მიანიშნა, რომ გაითვალისწინებს რუსეთის პრიორიტეტულ ინტერესებს, როდესაც საუბარი პოსტსაბჭოთა სივრცეზე მიდგება. კლინტონი კი, უფრო ზუსტად, ის ჯგუფები, რომლებიც მის საგარეო პოლიტიკურ პროგრამას განსაზღვრავდნენ, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ყოფილი სსრკ-ის აღიარებას კრემლის გავლენის ზონად. გამორიცხული არ არის, რომ ამ სივრცეში, განსაკუთრებით — უკრაინაში, ტრამპის ადმინისტრაციამ იხელმძღვანელოს პრინციპით: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“, რათა უკანდახევის სანაცვლოდ რუსეთი საიმედო პარტნიორად აქციოს, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. თქმული, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ამერიკის ისტებლიშმენტი, კერძოდ კი, რუსეთთან დაპირისპირებაზე ორიენტირებული ჯგუფები, ტრამპის ადმინისტრაციას ამის გაკეთების შესაძლებლობას მისცემენ. ასე რომ, ჯერჯერობით გაურკვეველია, მივლენ თუ არა მოსკოვი და ვაშინგტონი კონსენსუსამდე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მომავლის საკითხზე თუ მცირე პაუზის შემდეგ ისევ ცივი ომი განახლდება. ერთადერთი „შეღავათი“ არის ის, რომ მხარეებისთვის პრიორიტეტული ამჯერად უკრაინაა, საქართველო, სავარაუდოდ, არ იქნება პირველი ქვეყანა, რომელსაც „ახალი გადატვირთვა“ შეეხება, თუმცა, ალბათ, არც ეს ვარიანტი უნდა გამოვრიცხოთ.

## „გრანტიჭამიების“ გასაჭირი

არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე **სააკაშვილმა** „ფეისბუკზე“ ტრამპთან ერთად გადაღებული სურათი გამოფინა და მას მეგობარი უწოდა, ხოლო მისმა მიმდევრებმა სასწრაფოდ დაიწყეს იმ ჩანაწერების წაშლა, რომლებშიც კლინტონს მხარს უჭერდნენ და ტრამპს დასცინოდნენ. ეს ისტერიკული აქტიურობა არსებითად არაფერს ცვლის — იდეოლოგიური სიმპათია თუ არარსებული მეგობრობა არაფერ შუაშია. თუ აშშ-ს ან ნებისმიერ სხვა მძლავრ სახელმწიფოს დღეს მოუწევს არჩევანის გაკეთება სააკაშვილისა და **ივანიშვილის** მხარდაჭერას შორის, სავარაუდოდ, მეორე ვარიანტს აირჩევს და ამის მიზეზი მარტივია.

ივანიშვილი ქვეყანას თვითონ აკონტროლებს, თანაც ისე, რომ სასტიკ რეპრესიებს არ მიმართავს, განსხვავებით სააკაშვილისგან, რომელიც მუდამ ითხოვდა დახმარებას, ქმნიდა კრიზისებს რუსეთთან ურთიერთობაში, ამყოფებდა ქვეყანას დესტაბილიზაციის ზღვარზე და ადამიანის უფლებებს არღვევდა, რითაც პარტნიორებს დიდ პრობლემებს უქმნიდა. მარტივად რომ ვთქვათ, სააკაშვილი თეთრ სახლს აწუხებდა იმ სიტუაციებშიც კი, როდესაც დამოუკიდებლად უნდა ემოქმედა. ამ თვალსაზრისით, სხვაობა ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის მოგვაგონებს სხვაობას ზრდასრულ ადამიანსა და ჭირვეულ მოზარდს შორის. ასე რომ, უცხოელ პარტნიორებს, განსაკუთრებით კი იმ მიდგომის ფარგლებში, რომელსაც ტრამპი იზიარებს, სავარაუდოდ, ურჩევნიათ, თანამოსაუბრედ ივანიშვილი ჰყავდეთ, გარდა ერთი შემთხვევისა — თუ ისინი გადაწყვეტენ, რუსეთს „მეორე ფრონტი“ გაუხსნან და გამოიყენონ საქართველო, როგორც ქვეყანა-ტორპედო, ქვეყანა-კამიკაძე. ასეთ შემთხვევაში, ისინი შეიძლება დაეხმარონ სააკაშვილის მსგავს ლიდერს, მოვიდეს ხელისუფლების სათავეში და სანაცვლოდ რუსეთთან მწვავე დაპირისპირების განახლება მოსთხოვონ.

ეს, სავარაუდოდ, მშვენივრად ესმით ნაციონალებს; მათი დიდი ნაწილი მხარს უჭერდა **კლინტონს**, რომელიც, მათი ვარაუდით, რუსეთთან ურთიერთობას უფრო კონფრონტაციულს გახდიდა, მაგრამ, ვინაიდან მათი ბელადი დღეს სრულიად გაკოტრებულია, ნაკლებად სავარაუდოა, ვაშინგტონს მასთან საქმე დაეჭირა. საზოგადოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ თეთრ სახლს იკავებს პრეზიდენტი, რომელსაც ამ ეტაპზე ნაკლებად აინტერესებს საქართველოს გადაქცევა ტორპედოდ, ხოლო ივანიშვილის ხელისუფლებას, სავარაუდოდ, სანდო პარტნიორად განიხილავს.

რა ცვლილებებიც უნდა მოხდეს რეგიონში, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ამჟამად საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელსაც, ყველა მისი მინუსის მიუხედავად, წინამორბედისგან განსხვავებით, რუსეთთან დალაპარაკება შეუძლია, რაც ნაწილობრივ მაინც ამცირებს საბედისწერო სამხედრო კონფრონტაციის დაწყების საფრთხეს.

ჰილარი კლინტონი აპირებდა, გაეძლიერებინა „ლიბერალური ინტერვენციის“ პოლიტიკა, რომელსაც ბუნებრივად მოჰყვებოდა შესამისი თვალსაზრისის მქონე ძალების მზარდი მხარდაჭერა მსოფლიოში (ან იმ აფერისტების, რომლებიც თავს დიდ ლიბერალებად წარმოაჩენენ). ეს, სხვა ყველაფერთან ერთად, შესაბამისი არასამავრობო ორგანიზაციების დაფინანსების გაზრდას, მათთვის მნიშვნელოვანი როლის მინიჭებას მოიტანდა. სავარაუდოდ, სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ტრამპის გამარჯვებამ ქართული არასამთავრობოების დიდი ნაწილი ძალიან გაალიზიანა. თუმცა ისინი, სავარაუდოდ, მოგვიანებით მიხვდებიან, რომ ძირითად პროგრამებს არაფერი ემუქრება. როგორც უკვე ითქვა, ამერიკის საგარეო პოლიტიკას, მატარებლის მსგავსად, ლიანდაგიდან გადახვევა არ შეუძლია და, ვიდრე გაჩერდება, ინერციით საკმაო მანძილს გაივლის. ამასთანავე, ამ არასამთავრობოებს შეუძლიათ ევროკავშირის იმედი ჰქონდეთ. აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ — „ნაცმოძრაობის“ მარცხისა და ლიბერალური ოპოზიციური პარტიების კრახის შემდეგ, მათი ლიდერებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მიაღწიონ იმას, რომ ერთმანეთს, ერთი მხრივ, აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი არასამთავრობოები და, მეორე მხრივ, ხელისუფლება დაუპირისპირდეს, როგორც ეს შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში მოხდა. ეს შექმნიდა სათანადო ფონს ახალი ლიბერალური პროდასავლური პოლიტიკური ცენტრის შესაქმნელად. სწორედ ამიტომ სჭირდებოდათ კლინტონის გამარჯვება, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ტრამპი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში სერიოზულ ცვლილებებს შეიტანს, ამ სცენარის რეალიზება შეიძლება გართულდეს.

## ჩათრევა თუ ჩაყოლა?

ბოლო პერიოდში ქართულ მედიაში საკმაოდ ხშირად ახსენებენ 1921 წლის მოვლენებს, რადგან ქვეყანა, ისევე, როგორც მაშინ, აღმოჩნდა მოულოდნელად გაძლიერებულ, ამბიციურ რუსეთსა და თურქეთს შორის, ხოლო დასავლეთის ინტერესმა რეგიონის მიმართ იკლო და გამორიცხული არ არის, ახლო მომავალში კიდევ უფრო შემცირდეს. ამ შემთხვევაშიც შეიძლება საუბარი ორ მიდგომაზე, რომელთაგან ერთი ინფანტილურია, მეორე კი — რაციონალური.

თუ ერს აქვს პრეტენზია დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნას, უპირველესად, საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს უნდა დაეყრდნოს, თუნდაც ის მცირე იყოს და არსებული რეალობა ადეკვატურად შეაფასოს. თუ ტრამპი მართლაც მოაწყობს რევოლუციას საერთაშორისო ურთიერთობებში და დასავლეთი სამხრეთ კავკასიაში „რადარებიდან გაქრება“, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო არსებობას შეწყვეტს, როგორც ამას ბევრი პროდასავლელი ლიბერალი თუ სააკაშვილის მომხრე ამტკიცებს. გამორიცხული არ არის, რომ საქართველოს, ისევე, როგორც თავის დროზე ფინეთს, ნეიტრალიტეტის გამოცხადება მოუწიოს, ვინაიდან ამის ერთადერთი ალტერნატივა რუსეთთან ერთი-ერთზე დაპირისპირება, სახელმწიფოებრიობის კრახი და ეროვნული კატასტროფა იქნება. ალბათ, არც ის არის გამორიცხული, რომ ტრამპის აშშ-ის მიერ მიტოვებულ საქართველო ევრაზიულ ინტეგრაციაში ჩაერთოს, რაც გეოეკონომიკური თვალსაზრისით ბუნებრივია და დღეს მხოლოდ პოლიტიკური პრობლემების გამო ფერხდება.

საქართველოს მმართველებს წარსულში, გარემოებათა გამო, კომპრომისზე წასვლა არაერთგზის მოუწიათ. მთავარი პრიორიტეტი მათთვის იყო არა ნატოში გაწევრება ან სხვისი დაკვეთის შესრულება, არამედ ერის არსებობისა და განვითარების გაგრძელება; ქვეყნის გადარჩენა, ალბათ, სწორედ ამიტომ მოახერხეს. საქართველო ვერ ჩაჰყვება საფლავში ძველ მსოფლიო წესრიგს, თუ ტრამპის ადმინისტრაცია აშშ-ში იზოლაციონისტურ ტენდენციებს გააძლიერებს, ხოლო დასავლეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში მკვეთრად შემცირდება.

**ლუკა ნემსაძე**

> **ტრამპმა რამდენჯერმე მიანიშნა, რომ გაითვალისწინებს რუსეთის პრიორიტეტულ ინტერესებს, როდესაც საუბარი პოსტსაბჭოთა სივრცეზე მიდგება**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მიმაჩნია, რომ გლობალიზაციის ამჟამინდელი პროექტი არა მხოლოდ გლობალური კონფრონტაციის გამომწვევია, არამედ შეუსრულებელიც. ის აუცილებლად კრახით დამთავრდება ისევე, როგორც დამთავრდა კრახით გლობალიზაციის წინა პროექტები — ადრინდელი ბოლშევიკური, მისი „მსოფლიო მთავრობით“, და ფაშისტური, მისი გერმანული ჰეგემონიით მსოფლიოში“.

ალექსანდრე ჭაჭია, გაზეთი „შანსი“, 2000 წ.

# მსოფლიო დიდი ცვლილებების მოლოდინშია, საქართველოს ხელისუფლება — ჭურში

## ქართველი ექსპერტი გლობალიზაციის პროექტის კრახზე 15 წლის წინათ საუბრობდა

**აშშ-ში 8 ნოემბერს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა ახალი რეალობა წარმოაჩინა — ცვლილებები გარდაუვალია, თანაც, არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ სრულიად მსოფლიოში.**



უპრეცედენტოდ დაძაბულ საარჩევნო რბოლაში დონალდ ტრამპის გამარჯვება განაპირობა ე. წ. საშუალო კლასის მხარდაჭერამ თეთრკანიანი ამერიკელებისა, რომლებსაც ყელში ამოუვიდათ თეთრკანიანი ჰეტეროსექსუალური ქრისტიანების უფლებების შელახვა, დაცინვა და ე. წ. ელგბტ-პირების უფლებების გაფართოება, თანამშრომელი შავკანიანისა და ჰომოსექსუალის სამსახურიდან გაგდების შემთხვევაში რასიზმსა და ჰომოფობიაში დადანაშაულება და ა. შ.

**ჰილარი კლინტონის** წარუმატებლობის მიზეზი კი იყო ქადაგება აგრესიული ლიბერალიზმისა, რომლის სიმბოლოც თვითონ არის. ჰილარი კლინტონის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ უამრავი მასალა გამოქვეყნდა. მართალია, ჰომოსექსუალიზმი ამერიკაში დანაშაულად არ ითვლება, მაგრამ მიუღებელია ტრადიციული ფასეულობებისა და ღირებულებების მქონე ამომრჩევლისთვის. ამერიკელი კათოლიკების კონსოლიდაცია, აგრეთვე, გამოიწვია ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატის, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის — **ტიმ კეინის** განცხადებამ, კათოლიკური ეკლესია, თუ ის პოზიციას არ შეიცვლის ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე, ამერიკას დატოვებსო. სწორედ ჰილარი კლინტონისა და დემოკრატიული პარტიის, საზოგადოდ კი, აშშ-ის ისტებლიშმენტის ბრძოლამ ტრადიციული ღირებულებებისა და ნაციონალური იდეების წინააღმდეგ განაპირობა საშუალო კლასის ამერიკელების კონსოლიდაცია და დონალდ ტრამპის გამარჯვება აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში.

**ტრამპის გამარჯვებამ დაამწუხრა ნატოს წინა და ამჟამინდელი ხელმძღვანელობა,** რადგან აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტი უარყოფითად არის განწყობილი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართ. ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა **ანდერს ფოგ რასმუსენმა** The Wall Street Journal-ში გამოქვეყნებულ სტატიაში აშშ-ს მოუწოდა, არ მიეტოვებინა ნატო და დაეწყო „მსოფლიოს პოლიციელის“ ფუნქციების შესრულება, მაგრამ ტრამპს ამ საკითხზე სხვა თვალსაზრისი აქვს. მისი აზრით, „აშშ-მა თავისი ინტერესების შესაბამისად უნდა იმოქმედოს. ეს ინტერესები ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ფული ნატოელი მოკავშირეების მხარდასაჭერად უნდა დახარჯოს“.

**ტრამპის გამარჯვებამ დაამწუხრა „ნაციონალური მოძრაობა“,** რომელმაც „დემოკრატიის შუქურა“ და ბელადი მიშას დაკარგვის შემდეგ ახლა პატრონიც დაკარგა.

**ტრამპის გამარჯვებამ, აგრეთვე, დაამწუხრა საქართველოში მოქმედი ე.წ. არასამთავრობოების წარმომადგენლები,** რადგან აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტი არ აპირებს „ფერადი რევოლუციების“ დაფინანსებას, შესაბამისად, ამ „ფერადი რევოლუციების“ ძირითად საყრდენს, ანტისახელმწიფოებრივად მოქმედ გრანტიჭამია არასამთავრობოებს, დიდი ალბათობით, დაფინანსება შეუწყდებათ.

**ტრამპის გამარჯვებამ დაამწუხრა ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების ლიდერები** — საფრანგეთის პრეზიდენტი **ფრანსუა ოლანდი** და გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი**, რომლებიც დაუფარავად უჭერდნენ მხარს ჰილარი კლინტონს, ხოლო ტრამპს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდნენ. დაამწუხრა იმიტომ, რომ ხვდებიან: ამერიკაში დაწყებული ცვლილებების სიო აუცილებლად დაუბერავს ევროპაშიც, გამოიწვევს ნაციონალისტური განწყობილების ზრდას, მერკელისა და ოლანდის პოლიტიკური კარიერის დასასრულს და ხელისუფლებაში ისეთი ლიდერების მოსვლას, როგორებიც არიან საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის თავმჯდომარე **მარინ ლე პენი**, ლიდერი პარტიისა „გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობისთვის“ **ნაიჯელ ფარაჯი**, ლიდერი ნაციონალ-კონსერვატიული პარტიისა „ალტერნატივა გერმანიისთვის“ **ფრაუკე პეტრი** და სხვ. სხვათა შორის, აღმოსავლეთ ევროპაში უკვე დაიწყო ცვლილებები: ოქტომბრის ბოლოს ლიტვის საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა **რამუნას კარბაუსკისის** ოპოზიციურმა „ლიტვის გლეხებისა და „მწვანეების“ პარტიამ, რომელმაც წინა არჩევნებში მხოლოდ ერთი მანდატი მოიპოვა. ბულგარეთში კი პრეზიდენტი გახდა ასევე ოპოზიციონერი, გადამდგარი გენერალი **რუმენ რადევი**, რომელსაც დასავლური პრესა პრორუსულად განწყობილ პოლიტიკოსად მიიჩნევს, მოლდოვაშიც გაიმარჯვა პრორუსულმა სოციალისტმა **იგორ დოდონმა.**

**ტრამპის გამარჯვებამ შოკი გამოიწვია** იმ ადამიანებში, რომლებიც თვლიდნენ, რომ გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადია, რომ გარდაუვალია ქრისტიანული ღირებულებების დევალვაცია, რომ ყველა ქვეყანაში დაკანონდება ერთნაირსქესიანთა ქორწინება და, რაც მთავარია, მსოფლიოს ჰეგემონი უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც „განსაკუთრებული სახელმწიფოა“. **მაგრამ, თუ ბოლოდროინდელ პროცესებს ყურადღებით გავაანალიზებთ, აშკარად ჩანს, რომ ცვლილებები, რომლებიც უნდა დაიწყოს, მოსალოდნელი იყო. ამას წლების წინათ პროგნოზირებდა თითოოროლა ექსპერტი, მათ შორის, ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია. აი მისი თვალსაზრისი გლობალიზაციის პროცესზე, რომელიც გაზეთ „შანსში“ გამოქვეყნდა 2000 წლის დეკემბერში:**

„გლობალიზაციის ახლანდელი პროექტის ჭეშმარიტ მიზანს წარმოადგენს მსოფლიოს ყველა რეგიონის ინტელექტუალურ, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება, იმისათვის, რომ მსოფლიო რესურსების გადანაწილების ჩამოყალიბებული პროპორციები არ შეიცვალოს. მიზეზი მარტივია: იმისათვის, რომ განვითარებული ქვეყნების ჯგუფმა, ე.წ. ოქროს მილიარდმა ისევ მდიდრულად იცხოვროს, დანარჩენი მსოფლიო სიღატაკეში უნდა იმყოფებოდეს. ეს არ არის მდიდარი ქვეყნების ბოროტი ნება, ეს მათთვის სასიცოცხლო აუცილებლობაა, ვინაიდან მსოფლიო რესურსების მარაგი შეზღუდულია, მდიდრული ცხოვრებისთვის ყველას არ ეყოფა. ამიტომ **საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებიც განვითარებული ქვეყნების ნებას გამოხატავენ და გლობალიზაციის პროექტს ახორციელებენ, ყველანაირად ცდილობენ, არ დაუშვან მათ მიერ კონტროლირებადი ქვეყნების ინტენსიური განვითარება. თითქმის ათი წლის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს ეკონომიკას აკონტროლებს და ამ პერიოდში ქვეყანაში არ შექმნილა არც ერთი მაღალტექნოლოგიური წარმოება, სამრეწველო განვითარების მიმართულებაც კი არ არის განსაზღვრული. ეს იმიტომ ხდება, რომ საქართველოსთვის არ არის გათვალისწინებული სამრეწველო, ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარება და, შესაბამისად, მეცნიერების, განათლების განვითარება.** საქართველო ამ ძალების მიერ განიხილება, მხოლოდ როგორც სატრანზიტო ტერიტორია, ნედლეულის რამდენიმე სახეობის მიმწოდებელი... სხვათა შორის, ბოლო პერიოდში სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ტრანზიტიც კი ჩვენი პროვინციული ელიტის მიუღწეველ ოცნებად იქცევა.

მიმაჩნია, რომ **გლობალიზაციის ამჟამინდელი პროექტი არა მხოლოდ გლობალური კონფრონტაციის გამომწვევია, არამედ შეუსრულებელიც. ის აუცილებლად კრახით დამთავრდება,** ისევე, როგორც დამთავრდა კრახით გლობალიზაციის წინა პროექტები — ადრინდელი ბოლშევიკური, მისი „მსოფლიო მთავრობით“, და ფაშისტური, მისი გერმანული ჰეგემონიით მსოფლიოში. მაგრამ მანამდე ამ პროექტს, რა თქმა უნდა, ძალუძს ისეთი მცირერიცხოვანი ეროვნული ერთობების განადგურება, როგორიც ქართველი ხალხია. ნახეთ, რამდენი რამ უკვე მოახერხეს ჩვენს ქვეყანაში ამ პროექტის გამტარებლებმა, ჩვენმა „მეხუთე კოლონამ“ დენაციონალიზაციის, დეინდუსტრიალიზაციის, საზოგადოების დაშლისა და ზნეობრივი დეგრადაციის თვალსაზრისით. და კიდევ აგრძელებენ საქმიანობას ამ მიმართულებით“.

*** ტრამპის განცხადებებიდან და წინასაარჩევნო დაპირებებიდან ჩანს, რომ ის 2017 წლიდან აპირებს საგარეო პოლიტიკის შეცვლას. ამის აუცილებლობას კი 15 წლის წინათ პროგნოზირებდა ალექსანდრე ჭაჭია:**

„ეს ის ქვეყანაა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იქცა ერთადერთ ზესახელმწიფოდ. მის ისტებლიშმენტში გაიმარჯვა კონცეფციამ, რომლის თანახმადაც, აშშ უნდა იყოს მსოფლიოს ხელმძღვანელი, მსოფლიოს მმართველი... ამერიკას მიაჩნია, რომ მსოფლიო უნდა შეეგუოს მის მიდგომებს, გადაწყვეტილებებს. მათი მცდელობა, ჩაერიონ ქვეყნის საშინაო საქმეებში, ნებისმიერი რეგიონის პრობლემატიკაში და მართოს სამხედრო-სტრატეგიული პროცესები, მიუღებელი აღმოჩნდა მსოფლიოსთვის და სწორედ ამან გამოიწვია მასშტაბური უკმაყოფილება. ეს შეეხება არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, არამედ, ევროპასაც. ▶

**«საგარეო პოლიტიკაში ჩვენ ორი აქსიომა უნდა გავითვალისწინოთ: პირველი — მტკიცებები «თანასწორუფლებიან ურთიერთობებზე» საქართველოსა და ამერიკას, საქართველოსა და რუსეთს, საქართველოსა და თურქეთს შორის სისულელეა, რომლითაც ხალხის მოტყუებას ცდილობენ»**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ევროპა მივიდა იმ ზღვრამდე, როცა უკვე აუტანელია ამერიკის ჟანდარმის როლი და ფუნქცია... აშშ ძმნის ვითარებას, რომლის მსხვერპლიც თვითონ ხდება. მოვა დრო, როცა ამერიკას იმპერიალისტური პოლიტიკა უკან შეუბრუნდება და ტრაგიკულ შედეგამდე მივა. ჟანდარმი დემოკრატი ვერ იქნება“.

ალექსანდრე ჭაჭია, „დილის გაზეთი“, 2001 წ.

◀ ევროპა მივიდა იმ ზღვრამდე, როცა უკვე აუტანელია ამერიკის ჟანდარმის როლი და ფუნქცია...

**აშშ ქმნის ვითარებას, რომლის მსხვერპლიც თვითონ ხდება.**

**მოვა დრო, როცა ამერიკას იმპერიალისტური პოლიტიკა უკან შეუბრუნდება და ტრაგიკულ შედეგამდე მივა.**

ჟანდარმი დემოკრატი ვერ იქნება. ამერიკელებს რატომღაც ჰგონიათ, რომ დემოკრატიის ის მოდელი, რომელიც მათთვის არის მისაღები, მისაღები უნდა იყოს მთელი მსოფლიოსთვის. შესაბამისად, მათთვის წარმოუდგენელია, რომ ნებისმიერ ერს შეიძლება ჰქონდეს თვითმყოფადობა, საზოგადოების არსებობის საკუთარი კანონები. მათ მიაჩნიათ, რომ აუცილებელია ერების უნიფიცირება და ამის მიღწევა მათი ამოცანაა. მსოფლიო არ შეეგუება ამ მიდგომას და ყოველთვის შეეწინააღმდეგება. ამ შეურიგებლობის მსხვერპლი კი შეიძლება გახდეს არა მარტო ამერიკა, არამედ მთელი მსოფლიო...

ერთხელ **ამერიკის პრეზიდენტმა ერთ-ერთი ქვეყნის ლიდერზე ასეთი რამ თქვა: მართალია, ის ნაძირალაა, მაგრამ ჩვენი ნაძირალააო. ეს მიდგომა უნდა გამოირიცხოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკიდან. ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი. ასე ფიქრობს დღეს ამერიკული ისტებლიშმენტის დიდი ნაწილი.**

თქვენ ნახავთ ძალიან მალე, როგორ შეიცვლება საზოგადოების დამოკიდებულება ბუშის ხელისუფლებისა და საგარეო პოლიტიკის მიმართ...

**ამერიკამ უნდა შეცვალოს საგარეო პოლიტიკა და შეეგუოს იმ ამბავს, რომ მსოფლიოში არსებობენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, თავისუფალი ერები, რომლებსაც აქვთ ეროვნული თვითმყოფადობა, განვითარების საკუთარი გზა და ტრაექტორია“** („დილის გაზეთი“, 2001 წლის სექტემბერი).

*** ბოლო 25 წელიწადია, საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს ქვეყნის განვითარების კონცეფცია, მკაცრად ჩამოყალიბებული საგარეო ორიენტირები და ნატოსა და ევროკავშირში შესვლის დაპირებებით ხალხს თვალში ნაცარს აყრის. არადა, 16 წლის წინათ ლაპარაკობდა ალექსანდრე ჭაჭია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე. გთავაზობთ ამონარიდს გაზეთ „შანსისთვის“ 2000 წლის დეკემბერში მიცემული ინტერვიუდან:**

„წლების განმავლობაში მოვუწოდებ მმართველ ფენას: შეიმუშავეთ და წარუდგინეთ საზოგადოებას ქვეყნის განვითარების კონკრეტული, ყველასათვის გასაგები კონცეფცია — **საით მიგყავთ ქვეყანა?** თვითონაც გამოვაქვეყნე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიის პროექტი, რომელშიც შევეცადე ეროვნული ინტერესების, სოციალური პრიორიტეტების, თანამედროვე ეტაპის ამოცანების, საზოგადოების სტრატეგიული მიზნისა და ეროვნული იდეის შემადგენელი კომპონენტების განსაზღვრას, მაგრამ ჩვენს მმართველ ელიტას ეს პრობლემები არ აინტერესებს, ამ საკითხთა გარკვევა ხელს არ აძლევს. **ამ ცრუპენტელათა ჯგუფისთვის გაცილებით ადვილი და მოსახერხებელია ხალხისთვის მილიონი სამუშაო ადგილის დაპირება ან ისეთი უდროო და უშედეგო, მაგრამ ხმაურიანი სისულელის გაკეთება, როგორიც ე.წ. სასამართლო რეფორმაა.** კიდევ უფრო ადვილია ისეთი უპასუხისმგებლო და შეუსრულებადი ლოზუნგების გამოცხადება, რომლებსაც თავის დროზე თაღლითი ხრუშჩოვი ისროდა: „დავეწიოთ და...“ ან „1985 წელს ჩვენ ავაშენებთ კომუნიზმს!“. ხომ გახსოვთ **შევარდნაძის** ლოზუნგი, რომელიც მხოლოდ ამ წელს წაშალეს ტრანსპარანტებიდან: „2000 წელს საქართველო იქნება ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, აყვავებული ქვეყანა!“

**ჩვენი ელიტის ნაწილს, უვიცობისა და ეროვნული სხეულისგან მოწყვეტის გამო, არ ესმის, რომ ქართველ ერს გამაერთიანებელი ეროვნული იდეისა და სამშობლოს მომავლის ხედვის გარეშე არსებობა და განვითარება არ შეუძლია. მეორე ნაწილს ეს, პირიქით, მშვენივრად ესმის და მიზანმიმართულად ეწინააღმდეგება განსაზღვრას, ვინაიდან იმედი აქვს, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, უსაშველობა, უიმედობა, აპათია ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიიდან ქართველი ერის განდევნას, მის შემდგომ გაფანტვასა და დეგრადაციას. მნიშვნელოვანწილად მათ ეს უკვე მოახერხეს კიდეც“.**

*** ცვლილებები, რომლებიც დაიწყება სრულიად მსოფლიოში, გამოწვეულია გლობალიზაციის კრახით თვით ამერიკაშიც კი, რუსეთის და რიგი სხვა სუვერენული ქვეყნების გავლენის გაძლიერებით. სწორედ ამიტომ ტრამპმა პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა საგარეო ურთიერთობების სფეროში, იყო ის, რომ ტელეფონზე ესაუბრა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, ხოლო ინაუგურაციის შემდეგ, როგორც ჩანს, ტრამპის პირველი ვიზიტი სწორედ რუსეთში გაიმართება.**



**«ამერიკამ უნდა შეცვალოს საგარეო პოლიტიკა და შეეგუოს იმ ამბავს, რომ მსოფლიოში არსებობენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, თავისუფალი ერები, რომლებსაც აქვთ ეროვნული თვითმყოფადობა, განვითარების საკუთარი გზა და ტრაექტორია»**

**აი რას ამბობდა მოსალოდნელი გეოპოლიტიკური ძვრებისა და გლობალიზაციის პროექტის კრახის შედეგად შექმნილ ახალ ვითარებაში საქართველოს ადგილსა და როლზე, მის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზე ალექსანდრე ჭაჭია 2000 წელს გაზეთ „შანსში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში:**

„რუსეთთან ურთიერთობების გაუარესება, სავიზო რეჟიმის შემოღება ნიშნავს არა მხოლოდ დოლარების წყაროს მნიშვნელოვან შემცირებას, ჩვენი პროდუქციით დაინტერესებული ერთადერთი ბაზრის დაკარგვას, არამედ ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტის შეუძლებლობასაც. ბუნებრივია, რუსეთის მონაწილეობაზე ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტაში ლაპარაკიც კი ზედმეტია. მეტიც, **არის იმის საშიშროებაც, რომ უახლოეს პერიოდში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობა სხვადასხვა ხერხით რუსეთის მოქალაქეობას მიიღებს, მაშინ საკუთრება, რომელიც ამ ტერიტორიებზე არსებობს, რუსეთის მოქალაქეთა საკუთრება გახდება, ხოლო მოსახლეობაც და საკუთრებაც, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდება.** ჩვენი მმართველები კი ამასობაში ისევ სიამაყით მოგვითხრობენ ზღაპრებს საკუთარ „მსოფლიო მასშტაბურობაზე“, „ევროპულობაზე“ და განაგრძობენ მტკიცებას, რომ მათ მიერ მიღწეულია მთავარი — გაეროსა და ევროსაბჭოში გაწევრიანება!..

**ქვეყანაში მოქმედმა „მეხუთე კოლონამ“ შეასრულა გარკვეული გარე ძალების შეკვეთა და მიაღწია იმას, რომ რუსეთი საქართველოს სტრატეგიული მოწინააღმდეგე ხდება.** გასაგებია, რომ საქართველოსთვის განკუთვნილი დამხმარე სტრატეგიული როლის საბოლოოდ შესრულების შემდეგ ჩვენ, როგორც ისტორიაში უკვე ყოფილა, მიგვატოვებენ და მოგვიწევს რუსეთთან პირისპირ ურთიერთობების გარკვევა, რასაც დამღუპველი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ასე ხდება ყოველთვის, როცა ქვეყნის ხელმძღვანელობა სრულიად უგულებელყოფს ეროვნულ ინტერესებს და სხვის თამაშში პაიკის როლზე თანხმდება.

**საგარეო პოლიტიკაში ჩვენ ორი აქსიომა უნდა გავითვალისწინოთ: პირველი — მტკიცებები „თანასწორუფლებიან ურთიერთობებზე“ საქართველოსა და ამერიკას, საქართველოსა და რუსეთს, საქართველოსა და თურქეთს შორის სისულელეა, რომლითაც ხალხის მოტყუებას ცდილობენ.** შეუძლებელია, თანასწორუფლებიანი იყოს ურთიერთობები დიდ, ძლიერსა და პატარა, სუსტს შორის. ისევე, როგორც წინა საუკუნეების განმავლობაში, ძალა დღესაც რჩება მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად და მთავარ არგუმენტად. ძლიერი ყოველთვის მართალია, ხოლო უფრო ძლიერი უფრო მართალია. **საქართველო ვერ გაუძლებს კონფრონტაციას ვერც რუსეთთან, ვერც თურქეთთან, მაგრამ საქართველოს შეუძლია თავისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, თუ საგარეო პოლიტიკაში გაითვალისწინებს, რომ რუსეთი და თურქეთი, მის უკან მდგომ ნატოსთან ერთად, ცდილობენ, არ დაუშვან ერთმანეთის გაძლიერება კავკასიის რეგიონზე ერთპიროვნული კონტროლის ხარჯზე, მათ შორის საქართველოს ხარჯზეც.** ორივე მხარის ეს ინტერესი უნდა გახდეს ჩვენი უსაფრთხოების გარანტია. მეორე აქსიომა: **არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა იმ გეოპოლიტიკურ პროექტებში, რომლებიც ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, მაშინაც კი, როდესაც დიდ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებაც არის მიღწეული** (აფხაზეთის საკითხში დასავლეთსა და რუსეთს შორის კონსენსუსმა მშობლიური მიწა დაგვაკარგინა; მათ შორის არსებული შეთანხმება თურქ-მესხების საქართველოში შემოსახლებასთან დაკავშირებით, მოგვიტანს ახალ ომს და ისევ ტერიტორიის დაკარგვას; ორივე ამ პროექტში საქართველოს ხელისუფლება საკუთარი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა)...

**ქვეყნის ახლანდელ პოლიტიკურ ელიტას (ზოგს — ნებსით, ზოგს — უნებლიეთ) საქართველო მიჰყავს საყოველთაო კატასტროფისკენ, რომლის შედეგად ქართველი ერი, როგორც კომპაქტურად მცხოვრები კულტურულ-ისტორიული ერთობა, შეწყვეტს თავის არსებობას (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვისა და მასობრივი ემიგრაციის შედეგად ნაწილობრივ ეს უკვე მოხდა)...“**

**აი ამას ამბობდა ჯერ კიდევ 16 წლის წინათ ალექსანდრე ჭაჭია, ამას იმეორებდა ის შემდეგი წლების განმავლობაში მიცემულ უამრავ ინტერვიუშიც, მაგრამ საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას ამერიკელების შიშით ყური არ შეუბერტყავს — ყველა ხელისუფლება მხოლოდ აშშ-ის ინტერესების გატარებაზე ფიქრობდა. დღესაც ასეა** — მსოფლიო უმნიშვნელოვანესი ცვლილებების მოლოდინშია. ამ ფონზე კი განსაცვიფრებელია საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების დუმილი, რომელიც არც კი იმჩნევს, რომ დგება პოლიტიკური ცვლილებების პერიოდი და, თუ დროზე არ გადავდგით სწორი ნაბიჯები და არ გავაუმჯობესეთ რუსეთთან ურთიერთობა, ვერასოდეს მოვაგვარებთ იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა.

ნათქვამია, ბრძენი სხვის შეცდომებზე სწავლობს, ჭკვიანი — თავის შეცდომებზე, ხოლო სულელი — საერთოდ ვერაფერს სწავლობსო.

და **ისევე, როგორც ბოლო 25 წლის განმავლობაში, კვლავ სულელის როლში რომ არ აღმოვჩნდეთ, დროა, საქართველოს ხელისუფლებამ თავი დაანებოს ფუჭ ლაპარაკს ნატო-ევროკავშირში შესვლაზე და დაიწყოს მოლაპარაკებები რუსეთთან.**

მით უმეტეს, რომ საქართველოსთან დიალოგის გამართვაზე არაერთხელ გამოთქვეს მზადყოფნა რუსეთის პირველმა პირებმა, მათ შორის, პრეზიდენტმა პუტინმაც. და მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებაში არავინ ჩანს ისეთი, რომელიც უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებებს გამართავს რუსეთის ხელმძღვანელობასთან, საქართველოს ჰყავს ადამიანები, რომლებსაც კავშირებიც აქვთ და უნარიც შესწევთ, ეს მოლაპარაკებები წარმატებით წარმართონ.

დრო არ ითმენს, იწყება ცვლილებების პერიოდი და ეს ის პერიოდია, როცა უმოქმედობა დამღუპველია, როცა დუმილი ოქრო არ არის!

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**«ჩვენი ელიტის ნაწილს, უვიცობისა და ეროვნული სხეულისგან მოწყვეტის გამო, არ ესმის, რომ ქართველ ერს გამაერთიანებელი ეროვნული იდეისა და სამშობლოს მომავლის ხედვის გარეშე არსებობა და განვითარება არ შეუძლია»**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს ხელისუფლება წლების განმავლობაში რუსეთის ხელისუფლებასთან შეხვედრას რომ ვერ ახერხებს, დიდი შეცდომაა. მით უფრო, რომ პუტინმა არაერთგზის გამოთქვა მზადყოფნა შეხვედრაზე, თანაც ისიც აღნიშნა, რომ რუსეთისთვის ყველაფერი იქნება მისაღები, რასაც აფხაზი და ქართველი, ოსი და ქართველი ხალხი გადაწყვეტსო. ეს ისეთი გზავნილია, რომ არ გამოიყენო, რეგვენი უნდა იყო“.**



# ვალერი კვარაცხელია: საქართველოს დაშლის პროცესი, შესაძლოა, გაგრძელდეს

**8 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტად კონსერვატორული მსოფლმხედველობის დონალდ ტრამპი აირჩიეს. ამ მოვლენამ მსოფლიოს ლიბერალური ნაწილი აღაშფოთა. „ამერიკამ დონალდ ტრამპი პრეზიდენტად აირჩია. ამის დაწერა თუ მოგვიწევდა, ვერასოდეს ვიფიქრებდით“, — წერდა ევროპული და ამერიკული პრესა. ტრამპის წინასაარჩევნო დაპირება მისაღები აღმოჩნდა სოციალისტური მსოფლმხედველობის ევროპელი ლიდერებისთვის. აშშ-ის პრეზიდენტად ტრამპის არჩევაში ყველა მათგანმა პოზიტივი დაინახა და შესაბამისი განცხადებაც გააკეთა. აქამდე ხმა არ ამოუღია საქართველოს ხელისუფლებას, თავისი მოსაზრება ჯერ არავის გამოუთქვამს, არავინ იცის, სად აღმოჩნდება საქართველო ცივილიზაციების დაუნდობელ ბრძოლაში. გვესაუბრება „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი, ანალიტიკოსი ვალერი კვარაცხელია.**

**— ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდა, ადამიანი, რომლის მოსვლამაც ზესახელმწიფოს ხელისუფლების სათავეში მსოფლიოს ლიბერალური ძალები აღაშფოთა. თუმცა, ზოგიერთი პოლიტოლოგი ამბობს, რომ ტრამპი ამერიკის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას ვერ შეძლებს, რადგან იქ გაწერილი აქვთ ყველაფერი და რომ ინსტიტუტები ამერიკაში ბევრ რამეს წყვეტენ. თქვენი აზრით, რა ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს ტრამპის არჩევას?**

— ტრამპის არჩევამ გაახარა ის ადამიანები, რომლებიც არ არიან არც ოლიგარქიული და არც კაპიტალისტური მსოფლმხედველობის, რადგან ტრამპი სჯობს საპირწონე ძალას, რომლის წარმომადგენლებიც სიწმინდეების მტრები არიან და სურთ, ადამიანური წესები დაანგრიონ, რაც დიდი უბედურებაა.

**ტრამპი პრეზიდენტი რომ არ გამხდარიყო და გამარჯვება მის მოწინააღმდეგეს დარჩენოდა, ომი გარდაუვალი იქნებოდა, რადგან ამერიკას პრობლემების მოსაგვარებლად მხოლოდ ეს ერთადერთი გზა ჰქონდა დარჩენილი.**

რაც შეეხება წინასაარჩევნო დაპირებებს, **ტრამპმა განაცხადა, რომ აღიარებს ყირიმს რუსეთის შემადგენლობაში, ითანამშრომლებს რუსეთთან სირიის საკითხებში და მოუხსნის დაწესებულ სანქციებს.** გამოდის, რომ ამერიკის ახალი პრეზიდენტი ძირეულად და პრინციპულად აპირებს პოლიტიკის შეცვლას. არ დაგვავიწყდეს, რომ ტრამპი ნატოსა და ევროკავშირის წინააღმდეგაც გამოვიდა. ეს უდავოდ რევოლუციური ნაბიჯია, რომელიც მსოფლიო პოლიტიკას შეცვლის.

მაგრამ შეძლებს ტრამპი ამ ყველაფრის გაკეთებას? საქმე ის არის, რომ ერთი ნაბიჯიც რომ გადაიდგას ამ მიმართულებით, დიდი ცვლილებები მოხდება და მსოფლიოს ორი დიდი უბედურებიდან იხსნის: **პირველი** — მსოფლიო ომის საფრთხე აღარ იქნება და **მეორე** — საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარღვეული მსოფლიო წესრიგის არარსებობის შედეგად შექმნილი ვაკუუმი შევსებას დაიწყებს.

ეს ახალი რეალიები ჩვენი მხრიდან გაანალიზებასა და სწორი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. **25 წლის წინათ საქართველომ გაეროს წევრობა და დამოუკიდებლობა მოიპოვა, შედეგად კი დაშლილი და განახევრებული საქართველო მივიღეთ, რასაც ნამდვილად არ ველოდით. გავანადგურეთ სამრეწველო და ეკონომიკური პოტენციალი, კულტურა, განათლება, ჯანდაცვა...** საქართველოს ცუნამიმ გადაუარა. 25 წლის განმავლობაში შიგადაშიგ ჩნდებოდა შანსები, რომლის გამოყენებაც აუცილებელი იყო. მაგალითად, ასეთი იყო 2000 წელი, როდესაც რუსეთში დასრულდა ელცინის მმართველობა და მოვიდა პუტინი. **რუსეთმა, რომელიც აშშ-ის ვასალი იყო, დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება, დაკარგული დიდების დაბრუნება. ეს ცვლილება მაშინვე ჩანდა, მაგრამ საქართველომ ვერ დაინახა, რადგან ხელისუფლება ისე მიჯაჭვული აღმოჩნდა პროდასავლურ მიმართულებაზე, რომ შესაბამისი ნაბიჯები ვერ გადადგა.**

ახლა ანალოგიური ცვლილება მოხდა ამერიკაში, ქვეყანაში, რომელსაც მსოფლიოზე აქვს გავლენა. ამიტომ ცვლილებები მალე იქნება შესამჩნევი. მეეჭვება, ჩვენი მთავრობის წევრებს გაცნობიერებული ჰქონდეთ, რა ხდება მსოფლიოში. ამ ხნის განმავლობაში რაიმე ჭკვიანური განცხადება გააკეთა რომელიმემ?

**— ცივილიზაციათა ომია. დიდი ქვეყნის ლიდერებმა ვითარება გააცნობიერეს და ბევრი მათგანი ამერიკაში განვითარებული მოვლენებით გახარებულია. სად შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო, რომლის ხელისუფლებაც ჯერ დუმს?**

— ამ შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერ გაგცემთ. ვითარება მხოლოდ ამერიკასა და რუსეთს შორის კი არ იცვლება, თურქეთსა და რუსეთს შორისაც შეიცვალა და ჩვენ ამ ორ ქვეყანას შორის ვართ მოქცეული. ორივე ქვეყანას უზარმაზარი გავლენის მოხდენა შეუძლია ჩვენზე. რუსეთს — აფხაზეთსა და ოსეთში, ხოლო თურქეთს — აჭარაში. მსოფლიოში ამ მასშტაბის ცვლილებებს თუ ანგარიშს არ გავუწევთ, გასათამაშებელ ბანქოდ ვიქცევით. მეშინია, ენამ არ მიყივლოს, მაგრამ საქართველოს დაშლის პროცესი, შესაძლოა, გაგრძელდეს. 2000 წელს რუსეთის ხელისუფლებაში პუტინის მოსვლა და ახლა ამერიკაში ტრამპის მოსვლა შეგვეძლო, გამოგვეყენებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გაგება ჩვენს მთავრობებს არ შეუძლიათ.

## «არავინ გვყავს ხელისუფლებაში ისეთი, ვინც პუტინს შეხვდება და მასთან დიალოგის გამართვას შეძლებს. საქართველოში არიან ასეთი ადამიანები, მაგრამ არა ხელისუფლებაში»

**— ამერიკის ახალარჩეული პრეზიდენტი პირველ ვიზიტს რუსეთის პრეზიდენტთან გეგმავს. ზოგიერთი ქართველი პოლიტოლოგი ამბობს, სასურველია, საქართველომ ტრამპს დაასწროს და ვლადიმერ პუტინს შეხვდესო. რუსეთის პრეზიდენტთან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლის შეხვედრა სასიკეთო შედეგს გამოიღებს?**

— ის, რომ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა აუცილებელია, დიდი ხანია, ვამბობ. **საქართველოს ხელისუფლება წლების განმავლობაში რუსეთის ხელისუფლებასთან შეხვედრას რომ ვერ ახერხებს, დიდი შეცდომაა.** მით უფრო, რომ **პუტინმა არაერთგზის გამოთქვა მზადყოფნა შეხვედრაზე, თანაც ისიც აღნიშნა, რომ რუსეთისთვის ყველაფერი იქნება მისაღები, რასაც აფხაზი და ქართველი, ოსი და ქართველი ხალხი გადაწყვეტსო. ეს ისეთი გზავნილია, რომ არ გამოიყენო, რეგვენი უნდა იყო.** ჩვენმა ხელისუფლებამ ეს მოახერხა. დღეს, რადგან ტრამპის გაპრეზიდენტებამ ვითარება შეიძლება შეცვალოს, რუსეთთან ჩვენი შეხვედრა აუცილებელია, მაგრამ ვინ გვყავს ხელისუფლებაში ისეთი, ვინც პუტინს შეხვდება და მასთან დიალოგის გამართვას შეძლებს. საქართველოში არიან ასეთი ადამიანები, მაგრამ არა ხელისუფლებაში.

მინდა ხელისუფლებას მოვუწოდო, ისარგებლოს არსებული ვითარებით, ამაში პოზიტივი დაინახოს და, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგას.

**— ტრამპის მოწინააღმდეგეები კონფრონტაციას არ ერიდებიან. პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ „ფერადი რევოლუციები“ ამერიკას ბუმერანგივით უკან დაუბრუნდა...**

— იქ მართული, ორგანიზებული ძალები მოქმედებენ. ტრამპში მტერს ხედავენ. ამერიკის ისტორიას ახსოვს პრეზიდენტებზე თავდასხმა, არჩევნების გაყალბება და ა.შ. გაიხსენეთ **ელ გორისა** და **ბუშის** დაპირისპირება. ელ გორს მოგებული არჩევნები დაათმობინეს. ასე რომ, ამერიკისთვის უცხო არაფერია და ყველაფერი მოსალოდნელია.

სასურველია, ტრამპი დარჩეს და ყველა იდეა განახორციელოს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# 3 ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში სამმა «პრორუსულად» განწყობილმა კანდიდატმა გაიმარჯვა

**8 ნოემბერს აშშ-ის პრეზიდენტი გახდა რესპუბლიკელი დონალდ ტრამპი. 13 ნოემბერს კი საპრეზიდენტო არჩევნები ერთდროულად ორ ქვეყანაში ჩატარდა — მოლდოვასა და ბულგარეთში. ორივეგან გაიმარჯვა პრორუსმა კანდიდატმა: მოლდოვის საპრეზიდენტო არჩევნებში სოციალისტური პარტიის ლიდერმა იგორ დოდონმა, ხოლო ბულგარეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება 53 წლის გადამდგარმა გენერალმა რუმენ რადევმა მოიპოვა.**



იგორ დოდონი



რუმენ რადევი

მოლდოვაში საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ პრორუსი კანდიდატი „სოციალისტური პარტიიდან“ **იგორ დოდონი** და მემარჯვენე პროევროპული პარტიიდან **მაია სანდუ**. მოლდოვაში ხალხმა პრეზიდენტი პირდაპირი წესით ბოლოს 1996 წელს აირჩია. იგორ დოდონმა წინასაარჩევნოდ განცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი** მოსწონს და სურს, პუტინის მსგავსი პოლიტიკა განახორციელოს. „ვფიქრობ, ეს კომპლიმენტია ჩემთვის“, — განაცხადა დოდონმა რადიო „თავისუფლების“ ადგილობრივ გამოცემასთან ინტერვიუში. პოლიტიკოსმა დასძინა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა თავისი ქვეყნისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა, მათ შორის გააძლიერა სახელმწიფოებრიობა და პატრიოტიზმი. „ბუნებრივია, ასევე მინდა, რომ მოლდოვაში სიტუაცია შეიცვალოს, რათა ხალხს მისი მომავლის სჯეროდეს, როგორც რუსებს რუსეთის მომავლის სჯერათ“, — განაცხადა იგორ დოდონმა, რომელიც პირველ ვიზიტს მოსკოვში გეგმავს.

ბულგარეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციური, სოციალისტური პარტიის მხარდაჭერილმა კანდიდატმა **რუმენ რადევმა** გაიმარჯვა. ბულგარეთის პრემიერმინისტრმა **ბოიკო ბორისოვმა** რადევის გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ გადადგება, რადგან საპრეზიდენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ მისმა პარტიამ ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერა დაკარგა. რუმენ რადევი ბულგარეთის საჰაერო ძალების ყოფილი გენერალია. წინასაარჩევნო კამპანიისას რუსეთისთვის სანქციების გაუქმების ინიციატივით გამოდიოდა. მან არაერთხელ აღნიშნა, რომ მხარს უჭერს რუსეთთან დაახლოებას და ბულგარეთის წევრობა ევროკავშირსა და ნატოში არ ნიშნავს იმას, რომ ბულგარეთი რუსეთის მტერი უნდა იყოს. ბულგარეთი საპარლამენტო მმართველობის ქვეყანაა. მის მთავრობას პრემიერმინისტრი ხელმძღვანელობს.

აშშ-ის რიგით 45-ე პრეზიდენტი რესპუბლიკელი **დონალდ ტრამპი** წინასაარჩევნო კამპანიებსა და დებატებში აშკარა სიმპათიით საუბრობდა ვლადიმერ პუტინზე. ტრამპი ოპტიმისტურადაა განწყობილი ორ ქვეყანას შორის დაძაბული ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის. „ახალარჩეული პრეზიდენტი რუსეთთან ურთიერთობებს გადატვირთავს“, — განაცხადა ნიუ იორკის ყოფილმა მერმა **ჯულიანიმ**, რომელიც ტრამპის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის ერთ-ერთ კანდიდატად სახელდება.

**„ნაცების პარტია პარლამენტში გაცილებით მარტივი მიზეზით მოხვდა: ამ მოძრაობას მხარი დაუჭირეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში კარგად მოიწყეს პირადი ცხოვრება და „ქართულმა ოცნებამ“ მათზე შური არ იძია, ადამიანურად მოექცა და არ მოაწყო სამსახურებიდან მათი გაყრის „ბართლომეს ღამე“, როგორც ეს თავის დროზე სააკაშვილისტებმა გააკეთეს. ხმების 27,03 პროცენტი, რომელიც მათ მოიპოვეს, სრულად ემთხვევა სახელმწიფო სამსახურში დარჩენილი „ნაცმოძრაობის“ აქტივისტების რაოდენობას“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ანზორ მაისურაძე:**

# ერთი სექტანტი ვერ გაფაჩუნდებოდა ჩემ დროს, მე რომ არ მცოდნოდა. ყველა სექტაში გვყავდა ჩვენი ხალხი

**„მუშათა რევოლუცია“, „საშუალო ფენის ამბოხი“, „ტრამკოლაფსი“, „ამერიკელი ელცინი“, „ნეოფაშისტი თეთრ სახლში“ და სხვა ამგვარ ემოციურ შეფასებას აძლევენ ამერიკელი ანალიტიკოსები და ჰილარი კლინტონის გულდამწვარი მომხრეები დონალდ ტრამპის გამარჯვებას აშშ-ის ისტორიაში არნახულად მწვავე „ბრძოლაში წესების გარეშე“. ევროპის ქვეყნების ლიდერები გაოგნდნენ. საგარეო საქმეთა მინისტრები ბრიუსელში შეიკრიბნენ „საშინელების სერობაზე აშშ-ში არჩევნების შედეგის განსახილველად... დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების თმააწეწილი ხელმძღვანელის გარეშე: ფაქტი მომხდარია და მისი განხილვა უაზრობააო, — ბრძანა ბატონმა ბორის ჯონსონმა.**

**სხვების ფეხისხმას აყოლილი ქართველი ნაცების ბანაკში გლოვაა, მაგრამ ამათ ვინ რად აგდებს?! აქეთ „ლიდერი“ გამოეცალათ, იქით — პატრონები... მოკლედ, დიდი შეშფოთებაა „დემოკრატიულ მსოფლიოში“.**

**ამ ფონზე ამერიკული ტრადიცია არ იცვლება და მოქმედი პრეზიდენტი თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში ხვდება არჩეულ პრეზიდენტს. დაგეგმილი 15 წუთის ნაცვლად საათ-ნახევარს გრძელდება მათი საუბარი დახურულ კარს მიღმა.**

**პრესის წინაშე ორივე დიპლომატიურად კორექტურია. მეტიც, არ იშურებენ ქათინაურებს ერთმანეთის მიმართ. ობამას პრესმდივანი კი აცხადებს, რომ ბარაკ ჰუსეინს უწინდებურად მიაჩნია დონალდ ტრამპი ქვეყნის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის შეუფერებელ კაცად.**

**პრესაში კი ასეთი შედარება გაჩნდა: ტრამპი თეთრ სახლში შევიდა, როგორც პატრონი („ხოზიაინ!“). საინტერესოა, როგორ აღიქვამს უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე „ამ დიდ აურზაურს სალხინეთში“. ვკითხოთ:**

**— ბატონო ანზორ, დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო გამოსვლებში რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხი განსაკუთრებით გამოკვეთილად წარმოჩნდა.**

— დიახ, ასე იყო.

**— ეს უთუოდ იმასაც ნიშნავს, რომ ამ ორი ქვეყნის ერთობლივი ლაშქრობა ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ზოგჯერ ურთიერთდაპირისპირებას უფრო ჰგავდა, შეთანხმებული, ერთობლივი და შედეგიანი გახდება.**

— უნდა ვივარაუდოთ, რომ ასე იქნება.

**— მაშასადამე, „ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებული „ბოევიკები“ „ცხელი წერტილებიდან“ — სირიიდან და ერაყიდან — სხვადასხვა ქვეყანაში გადავლენ. შეიძლება, საქართველოშიც შემოვიდნენ. დაცული ვართ ამ საშიშროებისგან?**

— პასუხს ცოტა შორიდან დავიწყებ. ახლა ძნელია იმის თქმა, რას გააკეთებს ახალარჩეული პრეზიდენტი, როცა ინაუგურაციის შემდეგ ოვალურ კაბინეტში დაჯდება და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, გამოძიების ფედერალური ბიურო, ასევე, პენტაგონი, სახელმწიფო დეპარტამენტი, ეკონომიკური მიმართულების სტრუქტურები გააცნობენ საიდუმლო ინფორმაციას, რა ვითარებაა მსოფლიოში, რა ხდება შეერთებულ შტატებში. ამ საიდუმლო ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ მან შეიძლება შეცვალოს გარკვეული მიდგომები, რომლებსაც წინასაარჩევნო პერიოდში დეკლარირებდა.

**— კი, მაგრამ, ცნობილია, რომ ამ ინფორმაციას ბარაკ ობამასთან ერთად ტრამპს უკვე აწვდიან მას შემდეგ, რაც არჩევნებში გაიმარჯვა.**

— დიახ, აწვდიან, დიახ — ბარაკ ობამასთან ერთად, მაგრამ ტრამპს გადაწყვეტილების მიღების უფლება არ აქვს. ამას ინაუგურაციის შემდეგ შეძლებს. ჯერჯერობით საქმის კურსში შეჰყავთ.

თქვენ შეკითხვას — დაცული ვართ თუ არა ისლამური რადიკალიზმის შემოტევისგან? — ასე ვუპასუხებ: უფრო კი, ვიდრე არა.

ისლამს მსოფლიოში, სულ ცოტა, ორი მილიარდი ადამიანი აღიარებს. არ ჩამოვთვლი იმ ქვეყნებს, რომლებშიც მაჰმადიანობა დომინირებს. საკმარისია, რომელიმე მუსლიმი მსოფლიოში სადმე დაიჩაგროს, რომ სხვა ქვეყნებში მცხოვრები მუსლიმები მზად არიან, მის დასაცავად დაირაზმონ.

**— მაგრამ ისეთი ისლამური სახელმწიფოები, როგორებიცაა თურქეთი და ირანი თვითონ ბომბავენ „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებს...**

— ისინი ებრძვიან ისლამურ რადიკალიზმს, ტერორიზმს და, უწინარეს ყოვლისა, თავიანთ ქვეყნებს იცავენ კაცობრიობის წინააღმდეგ ამხედრებული ამ უბედურებისგან. მაგრამ, მოგეხსენებათ, ცოტა როდია ისეთი მაჰმადიანური ქვეყნები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით, აშკარად თუ ფარულად, ფინანსურად თუ იარაღით მხარს უჭერენ რადიკალებს ან ინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს.

„ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლი კოალიციების ოპერაციები, რომლებსაც აშშ და რუსეთი უდგანან სათავეში, ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ გაცილებით ეფექტიანი იქნება. დამარცხებული ჯიჰადისტები, სწორედ ამ ქვეყნებს შეაფარებენ თავს.

**ცნობილია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს იბრძვიან ევროპული ქვეყნების, ცენტრალური აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, რუსეთის ცალკეული ეროვნული ოლქების მოქალაქეები. დიდია ალბათობა, რომ ისინი თავიანთ ქვეყნებში გაიკრიფებიან. ძირითადად, ალბათ, ასე მოხდება. მათი „ფსკერზე დაწოლა“ მხოლოდ დროებითი იქნება: „დიდი სახალიფოს“ იდეა მათ არ მოასვენებს.**

საქართველოს არც ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან არ აქვს გამკაცრებული სასაზღვრო რეჟიმი. ყველას, ვისაც მოესურვება, შეუძლია თავისუფლად შემოსვლა.

**— ასეთი „ანტრე, ბატონოთი!“ მივიღეთ ბათუმის და, საზოგადოდ, შავი ზღვის სანაპიროს „ინტერნაციონალიზაცია“ და თბილისში — დავით აღმაშენებლის პროსპექტი თურქული აქცენტით.**

— საქართველო ამგვარი ექსპანსიისგან და მოსალოდნელი საფრთხისგან დაცული რომ იყოს, უნდა ჰქონდეს კონტრდაზვერვის კარგად აწყობილი სამსახური, მთავრობამ უნდა იცოდეს, რა ხდება ქვეყნის შიგნით, მის საზღვრებთან. ეს რომ იცოდე, უნდა გყავდეს პროფესიონალები, უნდა ფუნქციობდეს მათი მომზადების სისტემა, რაც, ფაქტობრივად, არ არის.

**— ორპირი ქარი დაშლიგინებს საქართველოს საზღვრებზე?!**

— შეგიძლიათ ასეც თქვათ, თუმცა დაზუსტება სჭირდება. საქართველო ჩაკეტილი ქვეყანა არ არის. ამას ამართლებენ იმით, რომ არაფერი გვაქვს დასამალი და გასაიდუმლოებული, რითაც შეიძლება დაინტერესდეს ჩვენი არაკეთილმოსურნე. ჩვენთან არ მუშაობს გასაიდუმლოებული ქარხნები, არ გვაქვს ბირთვული იარაღის საწყობები, არ ვაშენებთ წყალქვეშა ატომურ ნავებს, არ ვქმნით მსოფლიოში არნახულ იარაღს და ა.შ.

**თუ დასაცავი არაფერი გაქვს, ზედმეტი ხდება შესაბამისი დამცავი სტრუქტურების არსებობა. საიდუმლოების დაცვა იმისთვისაა საჭირო, რომ არ გამჟღავნდეს შენი სამხედრო სიძლიერე. პოლიტიკური საიდუმლოების დაცვა კი უფრო მარტივად შეიძლება: ენას კბილი უნდა დააჭირო** *(ბატონ ანზორს მრავალმნიშვნელოვნად ეღიმება).*

აშშ-ის საელჩოებში მოქმედი სადაზვერვო უწყებები დიპლომატიურ საფარქვეშ არიან წარმოდგენილნი. ყველა აწვდის ინფორმაციას ვაშინგტონს — ცსს-ს, გფბ-ს, პენტაგონს, სახდეპს. მათ მიერ მომზადებული ანალიტიკური მასალა თავს იყრის აშშ-ის სახელმწიფო უშიშროების საბჭოში, რომელიც თავის სხდომაზე განიხილავს ყველა პრობლემას.

**ამერიკელებმა ჩვენზე კარგად იციან, რა ხდება საქართველოში: მიმდინარე პროცესებში ჩვენზე უკეთ ერკვევიან და პიროვნებებსაც შესაფერისად აფასებენ, მასმედიის საქმიანობაშიც შესანიშნავად არიან ჩახედულნი. ქვეყანაში არსებული განწყობილებაც იციან, თანაც, არა მხოლოდ საზოგადოდ, არამედ ხელისუფლების წევრების პერსონალური დამოკიდებულების მხრივაც.**

**— გმადლობთ! შევცვალოთ თემა. ეს-ესაა ჩვენი საზოგადოება შეაშფოთა რიტუალურმა მკვლელობამ, რომელსაც ქალიშვილმა საკუთარი დედა მსხვერპლად შესწირა. ხომ არ ხედავთ ამ და სხვა, ნორმიდან ამოვარდნილ ფაქტებში საზოგადოების დეგრადირების ნიშანს?**

— ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო უშიშროების სამსახური არ მუშაობს თავის დონეზე. არ მუშაობენ ის უწყებები, რომლებსაც ევალებათ ამგვარი ანომალიების დროულად შეტყობა, გარკვევა და აღმოფხვრა. არ მუშაობენ სექტანტებთან. ერთი სექტანტი ვერ გაფაჩუნდებოდა ჩემ დროს, მე რომ არ მცოდნოდა. ყველა სექტაში გვყავდა ჩვენი ხალხი.

**— ჰოდა, მომრავლდნენ ეს გაუგებარი სექტები და ნეოლიბერალები. გაძლიერდა ბრძოლა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. ვინ უნდა დაიცვას ჩვენი სარწმუნოება?**

— უპირველეს ყოვლისა, ჩვენ — საზოგადოებამ; პროფესიულ დონეზე კი — უშიშროების სამსახურმა. მე, ანზორ მაისურაძეს, მევალებოდა თავის დროზე ეს საქმე (გარდა სხვა საქმეებისა). ეკლესია და მართლმადიდებლობა მე მქონდა ჩაბარებული. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მეხუთე განყოფილებაში, რომელსაც ვხელმძღვანელობდი, იდეოლოგიურ საკითხებთან ერთად შემოდიოდა მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, სპორტის სფეროები, რელიგია; სექტებიც, რა თქმა უნდა.

**15 სექტა იყო საქართველოში: ორმოცდაათიანელები, მეშვიდე დღის ადვენტისტები და ა.შ. თხუთმეტივე ხელის გულზე გვყავდა. ყველა სექტის უფროსი ჩვენი კაცი იყო. უჩვენოდ ვერ დააცემინებდნენ. აბა, ბიჭო, ისე გავუშვებდით, რომ „ეგულავათ“!**

**— ეროვნული ტრადიციების, ქართული იდენტობის დაცვის თემით გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი. ეს პრობლემა გარკვეული ძალების ზეგავლენით ხელოვნურად მწვავდება, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი მყარად დგას ჩვენი თვითშეგნების პოზიციაზე. გასულ არჩევნებში მონაწილე რამდენიმე პარტია ეროვნულობის უპირობო დაცვის პრინციპით ჩაერთო მარათონში და... დამარცხდა. ხუთპროცენტიან ზღვარსაც ვერ მიუახლოვდა. რით შეგიძლიათ ახსნათ ასეთი ალოგიკური შედეგი? დავკარგეთ ეროვნულობის განცდა?**

— ჩვენ კი არ დავკარგეთ, არამედ ამ პარტიებმა თავიანთი უსახური მოქმედებით დაკარგეს ავტორიტეტი.

**— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ადამიანის უფლებების დაცვის ქადაგებით მოახერხა პარლამენტში შესვლა?**

— ცხადია, რომ არა, რადგან ადამიანის უფლებებს, გნებავთ, პიროვნების თავისუფლებას, აქვს საზღვარი. პიროვნების თავისუფლება თავაშვებულობას არ ნიშნავს. პიროვნების თავისუფლება, კარგია, მაგრამ იგი უარყოფით ფუნქციაში გადაიზრდება, როგორც კი ყველაფრის უფლებად მოიაზრებენ და ადამიანურ მოქალაქეობრივ მოვალეობას, მორალურ პრინციპებს დაუპირისპირებენ. ცრულიბერალურმა პროპაგანდამ ადამიანის უფლებათა სწორედ ასეთი გაგება მოახვია თავს ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს.

მაგრამ, არა მგონია, რომ არჩევნების შედეგებზე ასეთმა იდეოლოგიურმა პლატფორმამ მოახდინა გავლენა. მაჟორიტარების მეორე ტურმა სწორედ ეს დაამტკიცა: ამომრჩეველმა ნაციონალები ხელისუფლებას არ გააკარა.

**ნაცების პარტია პარლამენტში გაცილებით მარტივი მიზეზით მოხვდა: ამ მოძრაობას მხარი დაუჭირეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში კარგად მოიწყეს პირადი ცხოვრება და „ქართულმა ოცნებამ“ მათზე შური არ იძია, ადამიანურად მოექცა და არ მოაწყო სამსახურებიდან მათი გაყრის „ბართლომეს ღამე“, როგორც ეს თავის დროზე სააკაშვილისტებმა გააკეთეს.** ხმების 27,03 პროცენტი, რომელიც მათ მოიპოვეს, სრულად ემთხვევა სახელმწიფო სამსახურში დარჩენილი „ნაცმოძრაობის“ აქტივისტების რაოდენობას.

**— კეთილი და პატიოსანი. მაშინ ამიხსენით, რატომ მოხდა ისე, რომ ახალ პარლამენტში, თუნდაც „ქართული ოცნების“ კვოტით, არც ერთი ქართველი მწერალი არ არის არჩეული? ვერ გაამართლა მწერლობამ?**

— მწერალი, პოეტი ეროვნული სულის მქონეა. ძალიან ცუდია, რომ არც ერთი მწერალი არ გვყავს პარლამენტში, მაგრამ არ გვყავს იმიტომ კი არა, რომ არ აგვირჩევია, არამედ იმიტომ, რომ ან არ გვყავს ასარჩევი, ან არ სურთ ამ ულის დადგმა, ან ცოდვაა მათი მოცდენა პარლამენტის სალაყბოსთვის, ან ხანდაზმულობის გამო. თვალსაჩინო შემოქმედებმა 80-ს გადააბიჯეს (ღმერთმა კვლავაც ამრავალჟამიეროს!), **დეისაძეს ან „საბას“ პრემიის ზოგიერთ ოდიოზურ ლაურეატს ხომ არ აირჩევ?!** იმათ არც ქართველობის, არც პატრიოტიზმის არაფერი სცხიათ. ჭკუაგადატრიალებულები! მეტიც — გარყვნილი ფანტაზიით გამორჩეულები.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დაიწყებოდა ტოტალური დევნა კონსერვატიულად მოაზროვნე ადამიანებისა, მათ გამოაცხადებდნენ შოვინისტებად და კაცთმოძულეებად. ვისთვისაც სოდომური ცოდვა და, საზოგადოდ, გარყვნილება მიუღებელია, ყველანაირად შეავიწროებდნენ და მკაცრად გააკონტროლებდნენ. რაც მთავარია, ეს ყველაფერი გაკეთდებოდა დემოკრატიის სახელით და ბევრს ამაში ეჭვიც არ შეეპარებოდა“.



მამა გიორგი (რაზმაძე):

# ქართველ ხალხს შეუძლია ისევე დაასრულოს «ლიბერალების» პარპაში ხელისუფლებაში, როგორც ეს ამერიკელებმა გააკეთეს

## არ უნდა მივცეთ ხმა არც ერთ პარტიას თუ ცალკეულ პიროვნებას, რომლებიც ქართულ ეროვნულ ფასეულობებთან შეუსაბამო პოლიტიკას გაატარებენ

„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).

**— მამაო, ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებშო რესპუბლიკელი დონალდ ტრამპის გამარჯვება „ლიბერალებისთვის“ ნამდვილი შოკი აღმოჩნდა. ვაი-ვიში აქვთ ატეხილი, დავიღუპეთო. მათ რომ ჰკითხოთ, კაცობრიობა ბნელი შუა საუკუნეების მიჯნაზეა. როგორ ფიქრობთ, რა ცვლილებებია დასავლეთში იდეოლოგიური თვალსაზრისით მოსალოდნელი და თუ შეეხება ეს ყველაფერი საქართველოს — დამთავრდება თუ არა აქაც „ლიბერალური“ ფაშიზმი და ტერორი?**

— უწინარესად, ტერმინები დავაზუსტოთ, ლიბერალიზმი სხვა რამეს ნიშნავს და ამათ არანაირი კავშირი არ აქვთ ამ სიტყვასთან. ესენი, ლიბერალები კი არა, „ლიბერასტები“ არიან და ამას მხოლოდ ერთი სახელმწიფო ვერ დაამთავრებს. ამერიკაში ეს იდეოლოგია შეაგდეს იმ ცისფერმა კომისრებმა, რომლებმაც თავის დროზე **ბარაკ ობამა** მოიყვანეს, თუმცა, თავის მხრივ, არც ბარაკ ობამაა ამ სიბინძურის შემოქმედი, ის ჩვეულებრივი შემსრულებელია, რომელიც რეალურ პოლიტიკად აქცევდა ყველა მითითებას.

რაც შეეხება ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების თემას, ბოლო წლებში იქ ერთი საინტერესო ტენდენცია შეინიშნებოდა, — ვისაც ჰოლივუდის მსახიობები უჭერდნენ მხარს, ყოველთვის ის იმარჯვებდა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და ამ არჩევნებზეც იგივე მეთოდები გამოიყენეს, მაგრამ ვერ უშველათ. ვერ უშველათ იმიტომ, რომ ყველა ზღვარს გადააბიჯეს და თვითონვე გააშიშვლეს თავიანთი ალვირახსნილობა, სრულ მარაზმამდე მივიდნენ.

**— ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში ტრამპმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ამერიკას სამი მილიონი არალეგალი დატოვებს. მისივე თქმით, მექსიკის საზღვარზე კედელი აშენდება, რომლის მეშვეობითაც ქვეყნაში არალეგალი მიგრანტების შემოსვლა, ფაქტობრივად, გამოირიცხება... აქამდე საქართველო ფეხდაფეხ მისდევდა ამერიკულ დემოკრატიას და ყველაფერს მათგან ვსწავლობდით. როგორ ფიქრობთ, ამჯერად როგორ იქნება: ვის პოლიტიკას გაატარებს მეოცნებე ხელისუფლება, რომლის პოლიტიკური გარანტორიც ტრამპისგან კარდინალურად განსხვავებული ობამას ადმინისტრაცია იყო?**

— უნდა გვახსოვდეს, რა დროში ვცხოვრობთ. მილიონობით ე.წ. მიგრანტი შეესია ევროპას. ეს რომ ძალიან დიდ საფრთხეს შეიცავს, ცხადია და, ვისაც თავისი ქვეყანა უყვარს, ბუნებრივია, გამოსავალზე ფიქრობს. ამიტომ აქვს ტრამპს ასეთი მკაცრი პოლიტიკა არალეგალების მიმართ და, ჩემი აზრით, ეს ლოგიკურია.

რაც შეეხება დიდი კედლის აშენებას მექსიკასთან, წლებია, საუბრობენ, რომ ამ ქვეყნიდან ნარკოტიკები შედის ამერიკაში და იქიდან — უკვე დანარჩენ მსოფლიოში. ამის შესახებ ძალიან კარგად იცოდნენ **ობამამაც, ბუშმაც** და მათმა წინამორბედებმაც. სხვათა შორის, ნაციონალების პერიოდში ნარკოტრასა გადიოდა საქართველოზეც და ამ „ბიზნესს“ აკონტროლებდა **ვანო მერაბიშვილის** ცოლი. ამაში ჩართული იყო სპეცსამსახურები და მილიონებს ატრიალებდნენ...

**— როგორ ფიქრობთ, რა მოხდებოდა, არჩევნები ჰილარი კლინტონს რომ მოეგო, რა სახეს მიიღებდა მომავალში „ნეოლიბერალური“ იდეოლოგია?**

— ეს ყველაფერი გადავიდოდა „ლიბერალური“ ფაშიზმისა და ავტორიტარიზმის კიდევ უფრო მკაცრ ფორმებში, **დაიწყებოდა ტოტალური დევნა კონსერვატიულად მოაზროვნე ადამიანებისა, მათ გამოაცხადებდნენ შოვინისტებად და კაცთმოძულეებად. ვისთვისაც სოდომური ცოდვა და, საზოგადოდ, გარყვნილება მიუღებელია, ყველანაირად შეავიწროებდნენ და მკაცრად გააკონტროლებდნენ. რაც მთავარია, ეს ყველაფერი გაკეთდებოდა დემოკრატიის სახელით და ბევრს ამაში ეჭვიც არ შეეპარებოდა.** არ მინდა, ისე გამომივიდეს, თითქოს ტრამპის გამარჯვებით გადავრჩით და აწი ყველაფერი კარგად იქნება. მის მიმართ რაღაც მიამიტური დამოკიდებულება არ უნდა გვქონდეს და გულუბრყვილოდ არ უნდა დავიჯეროთ ყველაფერი. აქ, უბრალოდ, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ **„ლიბერალური“ ფაშიზმის ბუნაგში კაცმა არჩევნები მოიგო მკვეთრად „ანტილიბერალური“ საარჩევნო კამპანიით.** ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ეს არის უტყუარი ნიშანი იმისა, რომ არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ მსოფლიოში „ნეოლიბერალური“ ჰეგემონია დასამარდა.

**— თქვით, რომ ტრამპის ადმინისტრაციის მიმართ ზედმეტი მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, რას გულისხმობთ? შესაძლებელია, რომ მან საკუთარ საარჩევნო პროგრამას გადაუხვიოს?**

— ამ საარჩევნო პროგრამას ხმა მისცა მილიონობით ადამიანმა და გადახვევა-გადმოხვევა ასე იოლად არ გამოვა, მაგრამ აქ არის მეორე მომენტიც, მისცემენ მას ამ პროგრამის განხორციელების საშუალებას? ამერიკას ჰყავდა პრეზიდენტები, რომლებმაც სცადეს, რეალურად შეეცვალათ ეს სახელმწიფო და როგორ დაამთავრეს, ვიცით. კენედი ამის ნათელი მაგალითია და არამხოლოდ კენედი...

**— გინდათ, თქვათ, რომ მისი ფიზიკური განადგურების საფრთხე შეიძლება არსებობდეს?**

— რასაკვირველია. ჯერ რიგით მოქალაქეებს რას უშვრებიან, ოდნავ მაინც ანტილიბერალურად თუა განწყობილი, და ხელისუფლების სათავეში თუ მოვიდა ასეთი კაცი, დაინდობენ?! საერთოდ, თანამედროვე დასავლური „დემოკრატია“ აგრესიული იდეოლოგიაა და ვერ იტანს განსხვავებულ თვალსაზრისს. ეს იდეოლოგია გეუბნება: ან ჩემკენ ხარ, ან არ უნდა არსებობდე. ამიტომ გახდა იგი მიუღებელი სწორედ იმ ქვეყნის მოსახლეობისთვის, რომელშიც გაჩნდა და საიდანაც მოედო დანარჩენ მსოფლიოს...

**— საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილშიც მკვეთრად „ანტილიბერალური“ განწყობაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამომრჩეველი ყუთთან რომ მიდის, ან „ოცნებას“ აძლევს ხმას, ან „ნაცმოძრაობას“. ერთიცა და მეორეც სწორედ დასავლეთის „ნეოლიბერალური“ ძალების მიერ მართული სატელიტებია. რა არის ამის მიზეზი?**

— დავიწყოთ იმით, რომ ქართველ ამომრჩეველს რეალურად არჩევანის საშუალება არ აქვს. **პოლიტიკური ასპარეზი მთლიანად მედასავლეთე „ლიბერალ-დემოკრატებს“ აქვთ დაპყრობილი. მეორეც, საზოგადოებაში სრული ნიჰილიზმია, ხალხმა იცის, რომ ქვეყნის ბედი არა აქ, არამედ ოკეანის გაღმა წყდება და აღარ მიდის არჩევნებზე...**

**— არიან განსხვავებული იდეოლოგიის მქონე სუბიექტებიც, მაგალითად, ბურჯანაძის პარტია, ასევე — თოფაძისა და მეჭიაურის პარტიებიც.**

— განსხვავებულს რას ეძახით, — ლაპარაკს და განცხადებებს, დასავლეთის მონები არ ვართო? საქმით საპირისპიროს რომ ამტკიცებენ?! **ბურჯანაძე რომ ახსენეთ, ვის გუნდში იყო, სააკაშვილთან არ იყო?! ხალხს ძალიან კარგად ახსოვს მისი პოზიცია 7 ნოემბრის მოვლენებზე და არ მინდა, ახლა უხეში შეფასება გამომივიდეს... ან იგივე თოფაძე და მეჭიაური ავიღოთ, ისინი არ იყვნენ იმ პარლამენტში, ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ გრიალ-გრიალით დაამტკიცა?! არანაირ განსხვავებულ ძალებს ისინი არ წარმოადგენენ, უბრალოდ, ასეთი იმიჯის შექმნას ცდილობენ. გასაგებია, რისთვისაც — იმისთვის, რომ ხალხის მხარდაჭერა მიიღონ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს იაფფასიანი ტყუილია.** საერთოდ, პოლიტიკოსი საქმით ჩანს, საქმე ქმნის მის სახეს და არა ლაპარაკი. ლაპარაკით შეიძლება ერთი-ორი წელი მოატყუო ამომრჩეველი, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ყველა დაინახავს, ვინ ხარ და რისი გამკეთებელი ხარ რეალურად.

**— ამერიკაში ტრამპის გამარჯვებას, როგორც ჩანს, ევროპაში ერთგვარი ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება და უახლოეს მომავალში იქაც მკვეთრად „ანტილიბერალური“ მთავრობები მოვლენ. საქართველოში თუ ხედავთ ძალას, რომელიც ამ გეოპოლიტიკურ კონიუქტურას მოერგება და ადეკვატურ პოლიტიკას გაატარებს?**

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით ქართულ პოლიტიკურ სპექტრში რეალური ოპოზიციური ძალა მომზადებული არ არის. ამას, ალბათ, დრო სჭირდება, **თუმცა ვერ წარმომიდგენია, მანამდე როგორ გაგრძელდება თანამშრომლობა დასავლეთის მკვეთრად „ანტილიბერალურ“ ისტებლიშმენტსა და დასავლურ „დემოკრატიაზე“ გულდათუთქულ „მეოცნებე“ ხელისუფლებას შორის.**

რაც შეეხება ევროპას, იქ უკვე სერიოზული პოლიტიკური კრიზისია და, **თუ უახლოეს მომავალში რამე არ შეიცვალა, ვატიკანში, კათოლიკური ეკლესიის ნაცვლად, შეიძლება მეჩეთი იდგეს; რომის პაპი კი მუსლიმანურ ფორმაში გამოწყობილი ალაჰზე ლოცულობდეს.**

**— ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადებისთანავე სააკაშვილმა „ფეისბუქში“ ტრამპთან გადაღებული ფოტოები გამოფინა და დაწერა, მის გამარჯვებას თავიდანვე ვპროგნოზირებდიო. ცხადია, ეს უკვე არის ერთგვარი მცდელობა, რომ მან და მისმა პარტიამ შეინარჩუნოს „თეთრი სახლის“ მხარდაჭერა, თუმცა „ნაცმოძრაობასთან“ ერთად ამას, ალბათ, სხვა „ნეოლიბერალური“ სუბიექტებიც შეეცდებიან. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მათ ეს ვერ მოახერხონ და გარედან ვერ მიიღონ როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსური მხარდაჭერა?**

— საერთოდ „ლიბერასტები“ ყოველთვის ვიღაცას ეტმასნებიან, დამოუკიდებლად არ შეუძლიათ არსებობა იმიტომ, რომ ეს იდეოლოგია სიცოცხლის უუნაროა.

რა უნდა გაკეთდეს, ამის მაგალითი ისევ ამერიკის არჩევნებია; **არ უნდა მივცეთ ხმა არც ერთ პარტიას თუ ცალკეულ პიროვნებას, რომლებიც ქართულ ეროვნულ ფასეულობებთან შეუსაბამო პოლიტიკას გაატარებენ. აქამდე ჩვენ ბრმა არჩევნებით მოვედით, ვირჩევდით და არ ვიცოდით, რეალურად რას მივიღებდით.** ასე შემოგვეპარეს ცისფერმა კომისრებმა „ლიბერასტები“ ყველა მაღალ თანამდებობაზე აღმასრულებელ, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებაში. ეს არ უნდა განმეორდეს და ამაზე პასუხისმგებელი ვართ თითოეული ჩვენგანი. ქართველ ხალხს შეუძლია, ისევე დაასრულოს „ლიბერალების“ პარპაში ხელისუფლებაში, როგორც ეს ამერიკელებმა გააკეთეს. ერთი რამ კი უნდა ვიცოდეთ: ჩვენ მაგივრად ამას სხვა ვერ მოახერხებს, ვერავინ და ვერანაირი გარე ძალა თავისუფლებას ლანგრით ვერ მოგვართმევს.

«ბურჯანაძე რომ ახსენეთ, ვის გუნდში იყო? სააკაშვილთან არ იყო?! ხალხს ძალიან კარგად ახსოვს მისი პოზიცია 7 ნოემბრის მოვლენებზე და არ მინდა, ახლა უხეში შეფასება გამომივიდეს... ან იგივე თოფაძე და მეჭიაური ავიღოთ, ისინი არ იყვნენ იმ პარლამენტში, ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ გრიალ-გრიალთ დაამტკიცა?! არანაირ განსხვავებულ ძალებს ისინი არ წარმოადგენენ, უბრალოდ, ასეთი იმიჯის შექმნას ცდილობენ. გასაგებია, რისთვისაც — იმისთვის, რომ ხალხის მხარდაჭერა მიიღონ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს იაფფასიანი ტყუილია»

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**დღეს პოპულარული ტრამპი და სტაბილური პენსი ერთმანეთს ავსებენ და აძლიერებენ, მაგრამ დრო გვიჩვენებს, თუ შეინარჩუნებს ტრამპი დაპირებულ მიმართულებას საგარეო პოლიტიკაში, და მზად თუ იქნება ამერიკელი კონსერვატული საზოგადოება, გადახედოს თავის ჩამორჩენილ წარმოდგენას მსოფლიოში ამერიკის „განსაკუთრებულობის“ თაობაზე, იმ „განსაკუთრებულობისა“, რომელიც საბაბს აძლევს ამერიკას, აწარმოოს ექსპანსიონისტური, ნეოკოლონიური და, უბრალოდ, მავნე საგარეო პოლიტიკა.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრეზიდენტის აჩრდილი

**დღეს ყველა ლაპარაკობს აშშ-ში დონალდ ტრამპის გამარჯვებაზე, თურმე ყველამ „იცოდა“, რომ ტრამპი გაიმარჯვებდა... რაც კი ამ თემაზე დაიწერა ქართულ პრესაში, ყველაზე ღირებულად ბატონი ჰამლეტ ჭიპაშვილის მოსაზრებები მიმაჩნია. ეს მოსაზრებები, როგორც ყოველთვის, უტყუარ ფაქტებს ემყარება და ღრმა ანალიზით გამოირჩევა. შესაბამისად, ამ თემაზე მკითხველის ყურადღებას აღარ გავამახვილებ. წინამდებარე წერილი ეძღვნება არა დონალდ ტრამპს, არამედ არჩეულ ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსს.**



შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტი, ასე ვიტყოდი, პრეზიდენტის ერთგვარი აჩრდილია იმ გაგებით, რომ ის ყოველთვის დგას პირველი პირის — პრეზიდენტის ჩრდილში. ვიცეპრეზიდენტს კონსტიტუციით არ აქვს ფართო უფლებამოსილება აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მისი საქმიანობის მთავარი სფერო სენატის თავმჯდომარეობაა სენატის წევრობისა და სენატში სიტყვის წარმოთქმის უფლების გარეშე. სამაგიეროდ, ვიცეპრეზიდენტს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება, თუკი რომელიმე საკითხზე სენატორების აზრი თანაბარ ნაწილად გაიყოფა. სხვა მხრივ, ვიცეპრეზიდენტს ცერემონიული უფლებამოსილება ენიჭება, თუმცა, ამასთანავე, ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრია, მონაწილეობს მთავრობის სხდომებში და, სახელმწიფოში მეორე პირის სტატუსთან ერთად, მიიჩნევა პრეზიდენტის უახლოეს მრჩევლად (1961 წლიდან ვიცეპრეზიდენტს ოფისი, პრეზიდენტთან ერთად, ვაშინგტონში, თეთრ სახლში აქვს).

მაგრამ ვიცეპრეზიდენტის, როგორც პრეზიდენტის „აჩრდილის“, მეტაფორა შინაარსობრივად იცვლება, თუ დავაკვირდებით ამერიკის პოლიტიკურ პრაქტიკას. ვიცეპრეზიდენტის ფიგურა იძენს დემონურ ელფერს, როდესაც ვაცნობიერებთ შემდეგ სტატისტიკას: შეერთებული შტატების 44 პრეზიდენტიდან ოთხი — **უილიამ ჰარისონი, ზაქარია ტეილორი, უორენ ჰარდინგი, ფრანკლინ დელანო რუზველტი** — ამ თანამდებობაზე ყოფნისას ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, კიდევ ოთხი — **აბრაამ ლინკოლნი, ჯეიმს გარფილდი, უილიამ მაკკინლი, ჯონ ფიტცჯერალდ კენედი** — სიცოცხლეს მკვლელებმა გამოასალმეს; ერთმა პრეზიდენტმა — **რიჩარდ ნიქსონმა** იმპიჩმენტის საფრთხის გამო დატოვა თანამდებობა. ყოველი გარდაცვლილი, მოკლული თუ გადამდგარი პრეზიდენტის ადგილი, კონსტიტუციის მიხედვით, ვიცეპრეზიდენტებმა დაიკავეს. გარდა ამისა, ვიცეპრეზიდენტთაგან ხუთი პრეზიდენტად აირჩიეს — **ჯონ ადამსი, თომას ჯეფერსონი, მარტინ ვან ბურენი, რიჩარდ ნიქსონი და ჯორჯ ბუში-უფროსი.** განსაკუთრებით დემონურ მისტიკას წააგავს ფაქტი, რომ 1865 წელს მოკლული აბრაამ ლინკოლნისა და ამ ფაქტიდან თითქმის ასი წლის თავზე, 1963 წელს, მოკლული ჯონ ფიცჯერალდ კენედის მომდევნო პრეზიდენტების (ანუ ყოფილი ვიცეპრეზიდენტების) გვარი ჯონსონი იყო — **ენდრიუ ჯონსონი** — 1865 წელს და, შესაბამისად, **ლინდონ ჯონსონი** — 1963-ში.

ისეთი ზეავტორიტეტული პრეზიდენტი, როგორიც ფრანკლინ დელანო რუზველტი გახლდათ, თავს უფლებას აძლევდა, ვიცეპრეზიდენტი ერთგვარად უგულებელეყო. მაგალითად, რუზველტმა თავის ვიცეს — **ჰარი ტრუმენს**, არ გაანდო ატომურ იარაღზე მუშაობის დაწყების ფაქტი. ტრუმენი რუზველტს თავისი პარტიის „ეროვნული ყრილობის“ მიერ ჰყავდა თავს მოხვეული. საუბარია აშშ-ის ერთ-ერთ ავტორიტეტულ პრეზიდენტზე — რუზველტზე. სწორედ მის გვერდით იყო ისეთი ვიცეპრეზიდენტი, რომელიც არ სურდა, ჰყოლოდა. თუნდაც ამ ფაქტით უნდა დავასკვნათ, რომ ვიცეპრეზიდენტის თანამდებობა არის აშშ-ის პოლიტიკური სისტემის პროდუქტი პრეზიდენტის დასაბალანსებლად. ასეა თუ ისე, რუზველტი სიკვდილის შემდეგ სწორედ ტრუმენმა შეცვალა. შეიცვალა აშშ-ის პოლიტიკაც საბჭოთა კავშირის მიმართ...

რუზველტისა და ტრუმენის დუეტის შემდეგ ვიცეპრეზიდენტის პოლიტიკურმა წონამ და გავლენამ შეერთებულ შტატებში კიდევ უფრო მოიმატა. დღეს, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დასასრულს, შეგვიძლია, დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ამჟამინდელი ვიცეპრეზიდენტი **ჯო ბაიდენი** დიდ გავლენას ახდენდა ობამას საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. თუნდაც უკრაინა ავიღოთ: აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ამერიკული პოლიტიკის უმთავრეს ფიგურად მოგვევლინა უკრაინის საქმეებში, იყო უკრაინის საკითხების კურატორი, შვილი დაასაქმა უკრაინის ენერგეტიკულ სექტორში და პირადი სარგებელიც ნახა ამ ქვეყანაში 2014 წელს მომხდარი სახელმწიფო გადატრიალებისა და შემდგომ განვითარებული მოვლენების შედეგად. ბაიდენი გამოირჩევა რუსეთისადმი აგრესიული მიდგომით და სწორედ მისი გავლენის შედეგია აშშ-რუსეთის ურთიერთობის გართულება. დემოკრატიული პარტიის წევრი ბაიდენი აქტიური გამტარებელია წინა, რესპუბლიკური ადმინისტრაციის აგრესიული საგარეო-პოლიტიკური კურსისა და ამ კურსის გაგრძელების გარანტი აღმოჩნდა ობამას ადმინისტრაციაში — შეიცვალა მხოლოდ მეთოდი. **ობამას პრეზიდენტობისას აშშ-ის შეიარაღებული ძალები, განსხვავებით ბუში-უმცროსის პერიოდისგან, იშვიათად მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში ერაყსა და ავღანეთში, სამაგიეროდ, აშშ აქტიურად ახალისებს სხვადასხვა ექსტრემისტულ შეიარაღებულ დაჯგუფებას ამ ქვეყნებში, თვით „ისლამური სახელმწიფოს“ ჩათვლით, ოღონდ კი დაამხონ აშშ-ის ელიტისთვის მიუღებელი რეჟიმები და მუდმივი ქაოსით მართონ მსოფლიოს გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი რეგიონები.**

**ჩვენ, სიტყვით მართლმადიდებელი ქართველები, სხვისი განკითხვა და განქიქება აგრერიგად რომ შეგვყვარებია, ამ საკითხში და ზოგ სხვა საკითხშიც მაგალითს უნდა ვიღებდეთ არამართლმადიდებელი პენსისგან. ინდიანას შტატში, მართალია, ძალაში უცვლელი სახით ვერ შევიდა, მაგრამ მაინც იქნა მიღებული პენსის მიერ ინიცირებული კანონი «რელიგიის თავისუფლების» შესახებ, რომელიც, ჩვენი ტვინნაღრძობი «უფლებადამცველებისგან» განსხვავებით, ადამიანის რელიგიურ თავისუფლებასა და ღირსებას რეალურად იცავს**

ობამა არ ეწინააღმდეგებოდა ბაიდენის მოსაზრებებს და მეტწილად იზიარებდა მათ — ეს ასეა შედეგების მიხედვით, მაგრამ საკითხავია, ჰარმონიული თუ იქნება დონალდ ტრამპისა და **მაიკ პენსის** თანამშრომლობა მათი არჩევის შემდეგ. ჯერ კიდევ გაგანია წინასაარჩევნო კამპანიისას პენსმა გამოხატა ტრამპისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია სირიის საკითხზე, რომელიც დიდ ადგილს იკავებს ამერიკის საგარეო პოლიტიკაში, ამიტომ ეს არ შეიძლება შემთხვევითობად განვიხილოთ. მეტიც, **პენსის მოსაზრებები ეწინააღმდეგება ტრამპის მიერ გამოცხადებულ გეგმებს რუსეთთან ურთიერთობაზე.**

ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატმა პენსმა თავის ვიზავისთან, „დემოკრატ“ კანდიდატ **ტიმ კეინთან**, სატელევიზიო დებატებში განაცხადა, რომ იგი შესაძლებლად მიიჩნევს სირიის პრეზიდენტ **ბაშარ ასადის** ჯარების პოზიციების დაბომბვას შეერთებული შტატების მიერ. პენსის ეს განცხადება რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც ტრამპი საარჩევნო კამპანიის პერიოდში ამბობდა სირიის კონფლიქტზე. ტრამპს კლინტონთან ქალაქ სენტ-ლუისში გამართულ სატელევიზიო დებატების ფარგლებში მოუწია კითხვაზე პასუხის გაცემა — ეთანხმებოდა თუ არა პენსს ამ საკითხში. ტრამპმა არ დამალა, რომ იგი პენსს არ ეთანხმება და მისი პოზიცია ურყევია — სირიაში ბაშარ ასადი, რუსეთი და ირანი ებრძვიან ამერიკის მტერს — „ისლამურ სახელმწიფოს“. შემდგომ პენსმა ეს გაუგებრობა ტელეწამყვან **მართა რადაცს** გადააბრალა, თითქოს ჟურნალისტმა მისი სიტყვების გაზვიადებული ინტერპრეტაცია მოახდინა, მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, „სიტყვა ბეღურა არ არის, გაფრინდება და ვერ დაიჭერ“. აქ, სულ მცირე, აშკარაა შეუთანხმებლობა აწ უკვე არჩეულ პრეზიდენტსა და ვიცეპრეზიდენტს შორის უმნიშვნელოვანეს საგარეო-პოლიტიკურ საკითხზე, უარეს შემთხვევაში კი — ურთიერთწინააღმდეგობა.

პენსი არის ულტრაკონსერვატიული რესპუბლიკური ძალების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ევანგელიკალი ქრისტიანი, რომლის რადიკალური თვალსაზრისი მორალური ფასეულობების საკითხებზე ცნობილია. ეს მხარე მაიკ პენსის პიროვნებისა ტრადიციების დაცვის მომხრე ქართული საზოგადოებისათვის მისაღები და მისასალმებელია. მეტიც, ინდიანას შტატის გუბერნატორმა, პროფესიით იურისტმა პენსმა მის მიერ მართულ შტატში აბორტების უკიდურეს შეზღუდვას მიაღწია. **ჩვენ, სიტყვით მართლმადიდებელი ქართველები, სხვისი განკითხვა და განქიქება აგრერიგად რომ შეგვყვარებია, ამ საკითხში და ზოგ სხვა საკითხშიც მაგალითს უნდა ვიღებდეთ არამართლმადიდებელი პენსისგან. ინდიანას შტატში, მართალია, ძალაში უცვლელი სახით ვერ შევიდა, მაგრამ მაინც იქნა მიღებული პენსის მიერ ინიცირებული კანონი „რელიგიის თავისუფლების“ შესახებ, რომელიც, ჩვენი ტვინნაღრძობი „უფლებადამცველებისგან“ განსხვავებით, ადამიანის რელიგიურ თავისუფლებასა და ღირსებას რეალურად იცავს.** პენსის მოსაზრებით, რელიგიურ ადამიანებს უფლება უნდა ჰქონოდათ, არ მოერიდონ იმ პირთა დისკრიმინაციას, რომლებიც მათ რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფენ. კერძოდ, კანონპროექტი პრაქტიკაში დაუშვებდა, რომ, მაგალითად, თუ ქრისტიან მცხობელს ჰომოსექსუალური წყვილი „საქორწილო“ ტორტს შეუკვეთდა, მცხობელს, სურვილის შემთხვევაში, უარის თქმის ლეგალური უფლება ექნებოდა ასეთი ტორტის გამოცხობაზე. დიდი ხმაურის შემდეგ კანონი შეარბილეს, თუმცა პირადად პენსს პოზიცია არ შეუცვლია.

დიახ, ყოველივე ამის გამო, „ქრისტიანი, კონსერვატორი და რესპუბლიკელი — სწორედ ასეთი თანმიმდევრობით“, როგორც მაიკ პენსი ამბობს საკუთარ თავზე, სიმპათიას იმსახურებს. მაგრამ არ უნდა გვეგონოს, რომ კონსერვატორი და რელიგიური პოლიტიკური მოღვაწე აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში აუცილებლად დადებითი შედეგების მომტანია. ჩვენ **კარგად გვახსოვს ასევე მორწმუნე ბუშის ადმინისტრაცია, რომელმაც სისხლისმღვრელი ომები გააჩაღა მსოფლიოში, საქართველოში კი მხარს უჭერდა გათახსირებულ რეჟიმს, თანაც ყოველთვის აქეზებდა ამ რეჟიმს რუსეთის წინააღმდეგ, ჩვენთვის სავალალო შედეგებით.** ევანგელიკალ ამერიკელებს ვრცელი საინფორმაციო სტატია მივუძღვენი, ჩემს მიერვე გამოცემული წიგნში, დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევ, ინტერნეტში გაეცნოს ამ სტატიას — **„ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე რელიგიური წარმოდგენების გავლენა“** (ჟურნალი „სამი საუნჯე“, №2, 2012 წ.). „ევანგელიკალების“ რელიგიური წარმოდგენები საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის მსოფლიო წესრიგსა და მშვიდობას, ამიტომ პენსის ვიცეპრეზიდენტობა შეიძლება კარგიც აღმოჩნდეს და ცუდიც ამერიკისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის. პენსი გავლენიანი ფიგურაა, მართალია, ტრამპის ქარიზმასა და ენერგიას ვერ დაჩრდილავს, მაგრამ პენსს აქვს დიდი კავშირები და პოლიტიკური გამოცდილება, მას ზურგს უმაგრებს ამერიკელი ულტრაკონსერვატორების, ევანგელიკალების ბირთვი და ეს მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანია. ტრამპი დღეს პოპულარულია, მაგრამ ეს ცვალებადი პოპულარობაა — ის არ დგას მყარი ფასეულობების პოზიციებზე, განსხვავებით პენსისგან. მაგალითად, პენსისა და მისი მხარდამჭერებისთვის წარმოუდგენელია, რომ მას ლგბტ-აქტივისტებმა თავიანთი „დროშა“ შეაჩეჩონ ხელში, როგორც ეს ტრამპს გაუკეთეს ერთ-ერთი წინასაარჩევნო გამოსვლისას, და მან ეს დროშა ააფრიალოს. პენსს ნაკლები პოპულარობა, მაგრამ მეტი სტაბილობა აქვს. დღეს პოპულარული ტრამპი და სტაბილური პენსი ერთმანეთს ავსებენ და აძლიერებენ, მაგრამ დრო გვიჩვენებს, თუ შეინარჩუნებს ტრამპი დაპირებულ მიმართულებას საგარეო პოლიტიკაში და მზად თუ იქნება ამერიკელი კონსერვატული საზოგადოება, გადახედოს თავის ჩამორჩენილ წარმოდგენას მსოფლიოში ამერიკის „განსაკუთრებულობის“ თაობაზე, იმ „განსაკუთრებულობისა“, რომელიც საბაბს აძლევს ამერიკას, აწარმოოს ექსპანსიონისტური, ნეოკოლონიური და, უბრალოდ, მავნე საგარეო პოლიტიკა. იმედი ვიქონიოთ, რომ ტრამპი იქნება სისტემის შემცვლელი, თავისი ამომრჩევლის ერთგული პრეზიდენტი, ხოლო პენსი, სისტემის მიერ მოვლენილი „აჩრდილი“ კი არა, პრეზიდენტის მყარი დასაყრდენი იქნება ეპოქალურ საქმეში.

**გულბაათ რცხილაძე**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტრამპი ამერიკა-ევროკავშირის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის წინააღმდეგია, რაც ევროკავშირთან კარდინალურად განსხვავებული პოლიტიკის წარმოებაზე მეტყველებს. ეს კი თავისთავად შეაფერხებს ბრიუსელის ექსპანსიას აღმოსავლეთით, ეჭვქვეშ დააყენებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებულ ასოცირების ხელშეკრულებას, საერთოდ, ევროკავშირის არსებობას დღევანდელ პარამეტრებში.**



# საქართველო კარგავს ფუნქციას, რომელიც აშშ-მა არგუნა

**2016 წლის 8 ნოემბერი უდავოდ შევა მსოფლიო ისტორიაში, როგორც მანამდე არსებული მსოფლიო პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის დასაწყისი. აშშ-ის 45-ე პრეზიდენტის, მილიარდერი დონალდ ტრამპის საარჩევნო ტრიუმფმა ცივი შხაპივით იმოქმედა არა მხოლოდ აშშ-ის პოლიტიკოსებისა და მოსახლეობის ნაწილზე, არამედ მსოფლიოს ქვეყნების პოლიტიკოსებსა და საზოგადოებრიობაზე — ისინი წამითაც არ უშვებდნენ ტრამპის გამარჯვებას, ვინაიდან მიიჩნევდნენ, რომ გამოცდილი პოლიტიკოსის, ჰილარი კლინტონის, ფონზე უსუსურად გამოიყურებოდა.**

წელიწად-ნახევრის განმავლობაში ტრამპმა დაუმტკიცა ამერიკელ საზოგადოებას, რომ ხელწამოსაკრავი ფიგურა არ არის, რომ მისი თვალსაზრისი აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართ ახალი სიტყვაა, თანაც გულწრფელი, ქამელეონობას მოკლებული. სწორედ თავისი გულწრფელობითა და თანამიმდევრული წინასაარჩევნო კამპანიით გადალახა ტრამპმა რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის მსურველი წარმომადგენლების ბარიერი, ხოლო შემდეგ, აშშ-ისთვის უდავოდ უპრეცედენტო ბრძოლაში, დაამარცხა „დემოკრატი" **ჰილარი კლინტონი.**

ტრამპის განცხადებას პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლაში ჩართვაზე დაცინვით შეხვდა აშშ-ის ისტებლიშმენტი — მისი აზრით, ტრამპის სურვილიც კი არასერიოზული იყო, არათუ მისი მოღვაწეობა თეთრ სახლში.

ანტიტრამპული კამპანია განსაკუთრებით გახურდა საარჩევნო მარათონის ფინიშის სწორზე, თანაც ეთიკის ნორმების დაცვის გარეშე. სწორედ ამან ათქმევინა ბევრს, როგორც აშშ-ში, ისე მსოფლიოში: **„არჩევნები გამოირჩეოდა სიბინძურით, ცილისწამებით, ლანძღვაგინებით, ყოველივე ნეგატიურით, რაც კაცობრიობამ, მისდა სავალალოდ, შეიმუშავა მსგავსი დაპირისპირებისას".**

ანტიტრამპულ კამპანიას სათავეში ჩაუდგნენ მოქმედი პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** და მისი მეუღლე **მიშელი**, რაც აშშ-ის ისტორიისთვის უჩვეულო იყო. რა ეპითეტები არ გამოიყენეს პოლიტიკოსებმა, მათ შორის, პრეზიდენტმა ობამამ, ტრამპის გასაშავებლად: „უვიცი", „ექსცენტრიკული", „გარყვნილი", „არასერიოზული", „პრეზიდენტობისთვის სრულიად შეუფერებელი", „პუტინის აგენტი" და სხვ. რუსეთის თემა კი თან სდევდა რესპუბლიკელთა კანდიდატს იმ დღიდან, როდესაც შეაქო პრეზიდენტი პუტინი და რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების სურვილი გამოთქვა. ტრამპს ლანძღავდნენ როგორც შინ, ისე გარეთ — ქოქოლას აყრიდნენ აშშ-ის მოკავშირე ქვეყნების ხელისუფლების წარმომადგენლები, ისევე, როგორც მათი ამერიკელი კოლეგები.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ჰილარი კლინტონის გამარჯვებას წინ ალარაფერი ედგა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად გაიმარჯვა ტრამპმა — გალანძღულმა, შეურაცხყოფილმა პრეზიდენტობის კანდიდატმა; გაიმარჯვა დამაჯერებლად, ამერიკელი ამომრჩევლის მნიშვნელოვანი რაოდენობის წყალობით, ამომრჩევლისა, რომელიც იშვიათად მონაწილეობდა არჩევნებში, ვინაიდან დაკარგული ჰქონდა აშშ-ის ისტებლიშმენტის იმედი. მან ტრამპში იცნო პიროვნება, რომელიც მის გულისნადებს ეხმიანებოდა.

**ვინ დაუჭირა მხარი ტრამპს?** — აშშ-ის თეთრკანიანი მოსახლეობის საშუალო ფენამ, რომელმაც აშშ-ის ცუდი საშინაო პოლიტიკის წყალობით საშუალო ფენიდან ქვევით ჩაინაცვლა, რადგან მდგომარეობა გაუუარესდა.

**ტრამპს მხარი დაუჭირა კონსერვატიულმა ამერიკამ, რომელსაც მობეზრდა გლობალიზაციაზე ლაპარაკი, ქვეყნის ჰეგემონიზმი, ომები, უმუშევრობა, მოჭარბებული ლიბერალიზმი, ერთნაირსქესიანთა ქორწინება, ლგბტ-ს ჟირითი, რწმენისა და ეკლესიის შეურაცხყოფა, ტერორიზმის საფრთხე და სხვა ნეგატივი, რომელსაც წლების განმავლობაში აშშ-ის პოლიტიკა და ადმინისტრაცია პოზიტივად ხატავდა. ამ ამომრჩეველმა ტრამპი იგულა იმ ლიდერად, რომელსაც ძალა შესწევს, იბრძოლოს ამერიკისთვის, მის საკეთილდღეოდ და ზემონახსენები მანკიერებების ასალაგმავად.**

რას ნიშნავს ყოველივე ზემოჩამოთვლილის წინააღმდეგ ბრძოლა?

— მარტივად რომ ვთქვათ, **მსოფლიო პოლიტიკური სისტემის შეცვლას, კარდინალურ გარდაქმნას, რევოლუციას.** ამიტომაც იყვნენ დაღვრემილი გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების ლიდერები ტრამპისთვის გამარჯვების მილოცვისას. მათთვის ტრამპის გამარჯვება ისეთი ცხოვრების დასაწყისია, მიუღებელი რომ ჰქვია. ასეთ შემთხვევაში პოლიტიკას ტოვებენ, თუმცა თავის ქვეყანაში იმიჯშელახულ **ოლანდს, მერკელსა** და სხვებს ისედაც დიდი პოლიტიკური დღე არ აქვთ დარჩენილი და მომავალ არჩევნებს გარდაუვალი მარცხით შეხვდებიან.

მსოფლიო პოლიტიკოსებიდან ყველაზე კარგ პოზიციაშია რუსეთის პრეზიდენტი **პუტინი.** და რატომ? — უწინარესად იმიტომ, რომ პუტინისა და ტრამპის პოლიტიკური თვალსაზრისი თანხვდება ერთმანეთს. ტრამპი ამბობს იმას, რაც პუტინმა წლების წინათ თქვა მიუნხენში. სწორედ მაშინ გადაიკიდა მან ამერიკაევროპა. იგივე გაიმეორა პუტინმა გასულ წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას.

შეგახსენებთ მის ნათქვამს: **„ხვდებით მაინც, რა ჩაიდინეთ?!"** — ეს დასავლეთის მიმართ იყო ნათქვამი; იმ დასავლეთის, რომელმაც ომი წამოიწყო ერაყში, ავღანეთში, ლიბიაში, სირიაში, უკრაინაში, რითაც გააჩინა ლტოლვილების დაუძლეველი პრობლემა, ტერორიზმი, შიში, უნდობლობა, ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი.

ტრამპი არის ის პოლიტიკოსი, რომელიც ადანაშაულებს აშშ-ის ადმინისტრაციას სირიისთვის, ერაყისთვის, ლიბიისთვის, ავღანეთისთვის, უკრაინისთვის, ტერორიზმისთვის, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებისთვის.

**ტრამპი ის პოლიტიკოსია, რომელიც თვლის, რომ ნატო ანაქრონიზმია. ორგანიზაცია, რომელიც საბჭოეთის საპირწონედ შეიქმნა და აღარ უნდა არსებობდეს, ვინაიდან აღარ არსებობს საბჭოთა კავშირი. თუ ნატო იარსებებს, მაშინ ამ ალიანსის ყველა წევრმა უნდა გადაიხადოს შესაბამისი საწევრო — თავისი ეროვნული პროდუქტის 2%. და, თუ ამას ნატოს წევრები არ გაითვალისწინებენ, აშშ გავა ნატოდან.**

ტრამპი ამბობს, რომ აშშ-მა თავი არ უნდა გაწიროს ნატოს წევრი ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის. მას მიაჩნია, რომ აღნიშნული ქვეყნების პროვოკაციულ პოლიტიკას შეიძლება მოჰყვეს აშშ-რუსეთის სამხედრო დაპირისპირება, რომელიც მიუღებელია ამერიკისთვის.

ტრამპი მომჭირნე ბიზნესმენია და, ალბათ, ასეთივე პოლიტიკოსიც, ვინაიდან თვლის, რომ აშშ-ის ბევრი სამხედრო ბაზა აქვს მსოფლიოში და მათ შესანახავად 127 მილიარდ დოლარს ხარჯავს. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი აშშ-ის ბაზებს იაპონიაში. თქვა, რომ იაპონიამ თვითონ უნდა დაიცვას თავისი თავი და არა აშშ-ის დახმარებით. ტრამპმა ილაპარაკა აშშ-ის ვალის შესახებაც — ეს არის **20 ტრილიონი დოლარი**, რომლის გასტუმრება იოლი არ იქნება და, თუ ამას მოახერხებს, მხოლოდ ხარჯების შემცირების გზით.

**თუ ტრამპი დაპირებების ნახევარს მაინც შეასრულებს, მსოფლიოს პოლიტიკას ცუნამის მსგავსი ტალღა გადაუვლის, რომელიც თავისთავად იმოქმედებს საქართველოზეც.**

**კარგი იქნება თუ არა ჩვენთვის ტრამპის პრეზიდენტობა?**

კითხვას ასე პირდაპირ იმიტომ ვსვამ, რომ ანალოგიური კითხვა გაუჩნდა ქართველ საზოგადოებას, რომლისთვისაც არ არსებობს საშუალო, მან მხოლოდ კარგი ან ცუდი იცის. არადა, პოლიტიკა ისეთი რამ არის, გადაჭრით რაიმეს თქმა გაჭირდება, მაგრამ მაინც შევეცდები (ცხადია, არა გადაჭრით) ჩემი აზრის გამოხატვას. განცხადებები, რომლებიც ტრამპმა წელიწად-ნახევრის განმავლობაში გააკეთა მომავალ პოლიტიკაზე, დიდად დამამშვიდებელი არ არის. ავიღოთ თუნდაც **ნატოში გაწევრება.** ტრამპს, რომელიც ნატოს მიმართ ნეგატიურ განწყობას არ მალავს, არც მისი გაფართოების სურვილი ექნება.

ტრამპი **წინააღმდეგია ამერიკა-ევროკავშირის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის**, რაც მეტყველებს ევროკავშირთან კარდინალურად განსხვავებული პოლიტიკის წარმოებაზე, ეს კი თავისთავად შეაფერხებს ბრიუსელის ექსპანსიას აღმოსავლეთით, **ეჭვქვეშ დააყენებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებულ „ასოცირების ხელშეკრულებას", საერთოდ, ევროკავშირის არსებობას დღევანდელ პარამეტრებში.**

ტრამპის განცხადება უკრაინის, ბალტიისპირეთის, მონტენეგროს მიმართ საქართველოზე უნდა გადმოვიტანოთ, ანუ უნდა მივხვდეთ, რომ **აშშ-ის ახალ ადმინისტრაციას ისეთი ურთიერთობა აღარ ექნება აღნიშნულ ქვეყნებთან და, მათ შორის, საქართველოსთან**, როგორიც ჰქონდა „დამოუკიდებლობის" დღიდან.

აშშ-ის ახალი პრეზიდენტი ამბობს: **„ყველამ მიხედოს თავის თავს. უკრაინაში ამერიკას არაფერი ესაქმება". თუ უკრაინაში არაფერი ესაქმება, საქართველოში ესაქმება?**

რაც მთავარია, ვაშინგტონი შეცვლის პოლიტიკას, ცხადია დადებითისკენ, რუსეთის მიმართ, რაც გამორიცხავს რუსეთის გალიზიანებას უკრაინით, საქართველოთი, ბალტიისპირა ქვეყნებით. **საქართველო კარგავს ფუნქციას, რომელიც აშშ-მა გვარგუნა, როდესაც მისი პოლიტიკა კრემლის მიმართ იყო ანტაგონისტური. თუ ეს პოლიტიკა შეიცვლება, და უდავოდ შეიცვლება, ვინაიდან ასე სურს ტრამპს, საქართველო უფუნქციოდ დარჩება.**

საქართველომ დამოუკიდებლად უნდა აწარმოოს თავისი პოლიტიკა, ცხოვრება, რაც ერთობ რთული (თუ შეუძლებელი არა) საქმე იქნება საკადრო ცვლილებების განხორციელების შემთხვევაშიც კი. 25 წელია, საქართველო მუქთახორულ ცხოვრებას მიეჩვია. ასე ასწავლა მას აშშ-მა. მისი იმედით ვცხოვრობდით დღემდე. მას შევციცინებდით თვალებში. მის სიტყვას ვასრულებდით უყოყმანოდ. **როგორც ჩანს, უკანალში ძრომის ეპოქა სრულდება,** რაც გვაიძულებს, სხვაგვარ მოქმედებას, გვიბიძგებს სხვაგვარი პოლიტიკისკენ. აქედან გამომდინარე, გვრჩება გზა, რომელიც რუსეთისკენ მიდის. ამერიკა-რუსეთის დაახლოების შემთხვევაში ყველა შეეცდება რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. ამ „ყველაში" ჩვენც ვართ, მაგრამ ვისი მეშვეობით მოხდება ურთიერთობის გაუმჯობესება?

მხედველობაში მყავს ე.წ. ქართველი პოლიტიკოსები. საქართველოში უამრავი პარტიაა, მაგრამ დიდია პოლიტიკოსთა დეფიციტი, რაც აშშ-ის დამსახურებაა. მას დამჯერი თინეიჯერები სურდა საქართველოს ხელისუფლებაში. ასეთებს კი პოლიტიკოსობას ვერ დასწამებ.

**საქართველოში უამრავი პარტიაა, მაგრამ დიდია პოლიტიკოსთა დეფიციტი, რაც აშშ-ის დამსახურებაა. მას დამჯერი თინეიჯერები სურდა საქართველოს ხელისუფლებაში. ასეთებს კი პოლიტიკოსობას ვერ დასწამებ. საქართველოს არ ჰყავს თუნდაც ერთი პოლიტიკოსი, რომელიც ჯეროვან დონეზე გამართავს მოლაპარაკებას რუსეთთან ან ახალ ამერიკასთან**

საქართველოს არ ჰყავს თუნდაც ერთი პოლიტიკოსი, რომელიც ჯეროვან დონეზე გამართავს მოლაპარაკებას რუსეთთან ან ახალ ამერიკასთან. თუ როგორი პოლიტიკოსები ჰყავდა და ჰყავს საქართველოს, კარგად აღწერა აწ გარდაცვლილმა **ეროსი კიწმარიშვილმა** „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულ თავის ვრცელ სტატიაში:

**„ბიჭბუჭების ხელისუფლება, უვიცთა, ამბიციურთა, მწამებელთა თავშეყრის ადგილი".**

**ის, რასაც ეროსი წერს, განა არ იცოდა აშშ-მა. იცოდა, მაგრამ ასეთი საქართველო უნდოდა — გადაგვარებული, ტრადიციებდაკარგული, საკუთარის მაგინებელი, რუსის მლანძღავი, უსაქმური. ერთი სიტყვით, სწორედ ისეთი, როგორსაც ალენ დალესი ისურვებდა.**

დალესის დოქტრინა დედის რძესავით შეარგეს საქართველოს ახალგაზრდებს და გადაგვარების იმ ზომამდე მიიყვანეს, რომლიდანაც შემობრუნება გაჭირდება. არადა, ახალი დროება რომ სხვას მოითხოვს — შრომას, გარჯას, თავის განძრევას?

არ მითხრათ, ჩვენში ბევრია ნიჭიერი, ჭკვიანი ადამიანიო. თუ მართლაც არიან, რატომ ვართ ასე ცუდად? რატომ ვერ ვარჩევთ მტერსა და მოყვარეს? რატომ ვცდილობთ სხვის ხარჯზე ცხოვრებას? რატომ გვგონია, რომ „ღმერთის წილხვედრი" ვართ და მუდამ სხვამ უნდა გვიპატრონოს?

**მავანი შემედავება, — ასეთები არ ვართო. კეთილი, მაგრამ, თუ ასეთები არ ვართ, რატომ ვცხოვრობთ ცუდად?**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

„გაიღვიძა“, ე.წ. ერთსართულიანმა ამერიკამ, გნებავთ, კოვბოების ამერიკამ. ადამიანებმა, რომლებიც ოკეანეებისგან შორს, შუაგულ შტატებში პატარა ქალაქის ტიპის სოფლებში თუ პირიქით — სოფლის ტიპის პატარა ქალაქებში ცხოვრობენ, საღამოობით ლუდხანებში „აბირჟავებენ“, სვამენ ლუდს, თამაშობენ ბილიარდს და საერთოდ არ აინტერესებდათ არჩევნები, „გამოიღვიძეს“ და დონალდ ტრამპს გაამარჯვებინეს.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროკავშირი, რომელსაც მისი რიგებიდან ბრიტანეთის სამეფოს გასვლა ჯერაც ვერ მოუნელებია, გლობალისტები და, საზოგადოდ, ნეოლიბერალები აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის მოულოდნელმა გამარჯვებამ ისეთ შოკში ჩააგდო, რომ ვეჭვობ, მათ ვეღარც მდოგვის საფენები უშველით და ვეღარც აბი გლუკოზა.**

# დონალდი და დომინოს პრინციპი



## მსოფლიო იცვლება და დონალდ ტრამპი პირველი რგოლია, რომელიც ამ ცვლილებებს, დომინოს პრინციპით, ჯაჭვურ რეაქციად გადააქცევს, ეს მშვენივრად ესმის ყველას, საქართველოს მთავრობის გარდა

ტრამპის გაპრეზიდენტება მოულოდნელი აღმოჩნდა მადამ ჰილარის მომხრეთა თუ მოწინააღმდეგეთათვის აშშ-შიც და მის გარეთაც (მათ შორის, საქართველოშიც). სკეპტიკოსთა შორის მეც გახლდით, რადგანაც აშშ-ის საარჩევნო სისტემა ისეა აწყობილი, უფრო სწორად, ისეთი აბრადაკაბრაა, რომ ძნელი გასარკვევია, სად აქვს თავი და სად — ბოლო. სწორედ ამ აბრადაკაბრას მეშვეობით წყვეტს აშშ-ის მმართველი ელიტა, ვინ იქნება პრეზიდენტი.

მოკლედ, დონალდ ტრამპი ისეთ სისტემას დაუპირისპირდა, რომელიც, ჩემი აზრით, არ დაუშვებდა მის გაპრეზიდენტებას.

მეგონა, გაგრძელდებოდა პოლიტიკური შოუ „აი, რა მაგარი დემოკრატები ვართ“, რომელიც 8 წლის წინათ აშშ-ის ისტორიაში პირველი ზანგი (უუფ, შემეშალა, აფრო-ამერიკელი უნდა მეთქვა, რადგან აფრიკელი ზანგების ძვლებზე აშენებულ ამერიკაში სიტყვა „ზანგის“ გამოყენება სიძულვილის ენით ლაპარაკად ითვლება) პრეზიდენტის (მისივე აღიარებით, ჰომოსექსუალთა მედროშის) არჩევით დაიწყო, წელს ასევე პირველი ქალი (ეს უკვე ლესბოსელთა მედროშე) პრეზიდნტის არჩევით გაგრძელდებოდა, 4-8 წელიწადში ტრანსგენდერი პრეზიდენტის არჩევით დასრულდებოდა და აშშ-ის (მის სტრატეგიულ მოკავშირეებთან ერთად, ე.ი. საქართველოს) თავზე ლგბტ-პედერასტების ბაირაღი აფრიალდებოდა, რაც იმის მაუწყებელი იქნებოდა, რომ ნეოლიბერალური დასავლეთის გაპედერასტება წარმატებით დასრულდა.

მაგრამ მოხდა სასწაული და დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა.

ახლა მავანი იკითხავს და სამართლიანადაც — წინასაარჩევნო რიტორიკა, დაპირებები სხვაა, რეალური პოლიტიკა კი სულ სხვა, და რა გარანტია გვაქვს, ტრამპი წინამორბედ კლინტონ-ბუშ-ობამასავით ან უფრო უარესად რომ არ მოიქცევა?

რა გარანტია უნდა გვქონდეს? — არანაირი. უბრალოდ, ბოლო დღეების მოვლენების, მათზე აშშ-ისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის რეაქციის ანალიზი მაძლევს იმედს, რომ, **თუ ტრამპს დასცალდა და დაპირებების ნახევარი მაინც შეასრულა, მსოფლიო ოდნავ უკეთესი გახდება.**

დიახ, თუ დასცალდა, რადგან ინაუგურაციამდე საკმაო დროა და უოლ სტრიტის განბილებული ელიტა უკვე დღეს ამუშავებს სხვადასხვა სცენარს, როგორ არ შეუშვან თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში დონალდ ტრამპი და მავანთა მიერ ორგანიზებულ-დაფინანსებული საპროტესტო აქციებიც ამ სცენარებიდან ერთ-ერთია. თუმცა, აშშ-ის ისტორიისთვის არც ოვალური კაბინეტის მკვიდრის მკვლელობაა უცხო.

პრეზიდენტი **ჯონ კენედიც** და მისი ძმა **რობერტ კენედიც**, რომელიც პრაქტიკულად აშშ-ის პრეზიდენტი იყო, თავის დროზე სისტემას დაუპირისპირდნენ და ამიტომაც განისვენებენ არლინგტონის სასაფლაოზე.

ასე რომ, დონალდ ტრამპს დიდი სიფრთხილე მართებს, რადგან გლობალისტი ნეოლიბერალები ყველაფრის მკადრებლები არიან.

ახლა ვნახოთ, ვინ არის რელიგიური მრწამსით აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტი:

იგი პრესვიტერიანელი ქრისტიანია, ანუ კალვინისტი.

**ცნობისათვის:** კალვინიზმი პროტესტანტული რელიგიური მოძღვრებაა, რომელიც შექმნა **ჟან კალვინმა.** მიმართული იყო როგორც კათოლიციზმის, ასევე სახელმწიფო რეფორმაციის წინააღმდეგ. კალვინიზმის თანახმად, რწმენის ერთადერთ წყაროსა და უმაღლეს ავტორიტეტს წარმოადგენს ბიბლია, საღვთო წერილი; მას უნდა შეესაბამებოდეს რელიგია, მორალი, პოლიტიკა, საეკლესიო ორგანიზაცია; ინგლისში პურიტანებს ეძახიან, ხოლო საფრანგეთში — ჰუგენოტებს.

მართალია, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის კალვინიზმიც ისევე მიუღებელია, როგორც ყველა სხვა რელიგია, რომლებიც ქრისტეს აღიარებს, მაგრამ სულ არარაობას ცალუღელა ხარი სჯობსო, — ამბობს ქართული ანდაზა. **ცოდვის მონობას, ღვთის გმობას, რასაც მისდევს ნახევარი დასავლეთი, პრესვიტერიანელობა არ სჯობს?**

ამაზე ამბობს დიდი **ვაჟა:** „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი, რომ ჩვენ ვცხონდებით, სხვას ყველას კუპრში მოელის ქშენანი“...

პრესვეტერიანელები ტრადიციული ღირებულებების დამცველნი არიან და, შესაბამისად, ლგბტ-პირების მომხრეები ვერ იქნებიან. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რატომ უჭერდა მხარს ამერიკულ-ევროპული „თავისუფალი მედია“ **ჰილარი კლინტონს** (რომელმაც, ჯერ კიდევ სახელმწიფო მდივნის პოსტზე მყოფმა, გამოაცხადა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად მსოფლიოში ლგბტ-სექტის უფლებების დაცვა, ხოლო პრეზიდენტმა ობამამ აშშ-ის ყველა შტატში დააკანონებინა ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება), ხოლო ლანძღავდა და დასცინოდა დონალდ ტრამპს.

57 გაზეთი (13-მილიონიანი ტირაჟით) და თითქმის ყველა ტელევიზია აშშ-სა თუ ევროპაში მხარს ჰილარი კლინტონს უჭერდა, ხოლო დონალდ ტრამპს — მხოლოდ 2 გაზეთი (315 ათასიანი ტირაჟით) და ერთი ტელევიზია „ფოქსნიუსი“.

ამას დავუმატოთ ჰოლივუდი **რობერტ დე ნიროს** თამადობით (მინუს **კლინტ ისტვუდი,** რომელიც ლამის შეჭამეს ტრამპის მხარდაჭერისთვის) და, დონალდის რელიგიური მრწამსი გვერდით რომ გადავდოთ, მხოლოდ ეს უთანასწორო არითმეტიკა — ყველა ერთის წინააღმდეგ — დააფიქრებდა ხალხს.

ჰოდა, **ამერიკელი ხალხიც დაფიქრდა და ხმა დონალდ ტრამპს მისცა,** ძირითადად, თეთრკანიანებმა, რომლებიც ეკლესიებში დადიან, ჰყავთ ოჯახები, ტრადიციულ ღირებულებებზე ზრდიან შვილებს.

ერთი სიტყვით, „გაიღვიძა“, ე.წ. ერთსართულიანმა ამერიკამ, გნებავთ, კოვბოების ამერიკამ; ადამიანებმა, რომლებიც ოკეანეებისგან შორს, შუაგულ შტატებში, პატარა ქალაქის ტიპის სოფლებში თუ პირიქით — სოფლის ტიპის პატარა ქალაქებში ცხოვრობენ, საღამოობით ლუდხანებში „აბირჟავებენ“, სვამენ ლუდს, თამაშობენ ბილიარდს და საერთოდ არ აინტერესებდათ არჩევნები, „გამოიღვიძეს“ და დონალდ ტრამპს გაამარჯვებინეს.

მადამ ჰილარის „მრევლი“? — განსხვავებით ერთსართულიანი, „უწიგნური“ ამერიკისგან, ყველა ჯურის უმცირესობა და „ცივილიზებული“, „განათლებული“ ხალხი ნიუ იორკში თუ ფლორიდა-კალიფორნიაში ცხოვრობს — ოკეანეების სანაპიროზე და იქ ნამდვილი სამოთხეებია შექმნილი ლგბტ-უმცირესობისთვის, რომელიც, დიდი ხანია, მართავს უმრავლესობას, უფრო მეტიც, ნორმალური ორიენტაციის ხალხთან შედარებით, პრივილეგიებითაც სარგებლობენ.

ცალკე თემაა ევროპა და მათი ლიდერები, რომლებიც, დარწმუნებულნი ჰილარის გამარჯვებაში, შეურაცხმყოფელ ეპითეტებს არ იშურებდნენ დონალდ ტრამპის მიმართ. **ფრანსუა ოლანდმა** — გული მერევა ტრამპის სახელის გაგონებაზეო, ხოლო ლონდონის პარლამენტი სერიოზულად განიხილავდა საკითხს დონალდ ტრამპისთვის ინგლისში შესვლის აკრძალვაზე. აღარაფერს ვიტყვი ევროპარლამენტის სპიკერ **მარტინ შულცის**, ბრიტანეთის პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრის, ნატოს გენმდივნისა და სხვა პოლიტიკოსების შეურაცხმყოფელ განცხადებებზე. 9 ნოემბერს კი გაიღვიძეს და აღმოაჩინეს, რომ დონალდ ტრამპი არათუ აშშ-ის პრეზიდენტია, არამედ მათ „ნაჩალნიკობასაც“ აღარ აპირებს, რადგან ნატოზე სხვა თვალსაზრისი აქვს. და სასაცილო იყო, მგლოვიარის სახით როგორ ულოცავდნენ დონალდ ტრამპს გამარჯვებას. მგლოვიარის, რადგან გადაფურთხებულის ალოკვა მოუწიათ. **ტრამპის გამარჯვება მერკელის, ოლანდისა და სხვა ევროპელი ნეოლიბერალი ლიდერების კარიერის დასასრულს ნიშნავს — მიწისძვრა, როგორც უწოდეს ტრამპის გამარჯვებას, აუცილებლად იქონიებს გავლენას გაისად ევროპაში გასამართ არჩევნებზე და დღევანდელ ევროპელ ლიბერალ ლიდერებს შეცვლიან მარინ ლე პენისა და ნაიჯელ ფარაჯის მსგავსი მემარჯვენე ნაციონალი ლიდერები.**

ამ უთანასწორო ბრძოლაში ტრამპის გამარჯვების მთავარი ფაქტორი, ანალიტიკოსების აზრით, იყო ის, რომ ტრამპი „გაუნათლებელ“ ამომრჩეველს მისთვის გასაგები ენით ესაუბრებოდა. კლინტონთან გამართულ დებატებში ტრამპს ერთხელაც არ გამოუყენებია სიტყვები „დემოკრატია“ და „ადამიანის უფლებები“, ის გაბედულად არქმევდა ყველაფერს თავის სახელს მაშინ, როდესაც ჰილარი მხოლოდ დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე საუბრით ცდილობდა „განათლებული“ ამომრჩევლის გულის მოგებას.

აი რა თქვა ტრამპმა ჩვენში ავადსახსენებელ **ჯონ მაკკეინზე:** „მაკკეინი ომის გმირი არ არის. ის გმირად ითვლება იმიტომ, რომ ტყვედ იყო. მე უპირატესობას ვანიჭებ ადამიანებს, რომლებიც ტყვედ არ ჩავარდნილან“...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ საქართველოს რა ხეირი?

ტრამპი და **პუტინი,** რომელთანაც, როგორც ჩანს, აშშ-ის პრეზიდენტი პირველ ვიზიტს აპირებს, ერთმანეთს იმით ჰგვანან, რომ მარტივი, გასაგები ენით საუბრობენ და ყველაფერს თავის სახელს არქმევენ. შეხვედრისას კი ორივენი საკუთარი ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე ისაუბრებენ.

აქვე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ევროპაში მიმდინარე პროცესებიც. ამერიკის შეერთებული შტატები ხომ ჩვენში დასავლეთად წოდებული ჯაჭვის პირველი რგოლია და მის მიერ ინიცირებული ნებისმიერი მოქმედება დომინოს პრინციპით გადაეცემა ჯაჭვის სხვა რგოლებს, ანუ ტრამპის გაპრეზიდენტება მკაფიო სიგნალია, რომ ევროპაშიც დაიწყება მსგავსი პროცესი — მერკელს, ოლანდსა და სხვა უსახურ, ვაშინგტონისადმი მონურად მორჩილ ლიდერებს, დიდი ალბათობით, შეცვლიან პრაგმატული, პრინციპული, საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებზე და არა აშშ დირექტივებზე აგებული პოლიტიკის გატარების მსურველი ლიდერები და ძალები. ეს პროცესი უკვე დაიწყო აღმოსავლეთ ევროპაში. ამას წინათ **ლიტვის** სეიმში დამაჯერებელი უმრავლესობით შევიდა „გლეხებისა და მწვანეთა კავშირი“, რომელსაც ადგილობრივი პრესა დაუფარავად უწოდებდა პრორუსულ ძალას, მოლდოვაში საპრეზიდენტო არჩევნებში სოციალისტების პრორუსმა კანდიდატმა **იგორ დოდონმა** გაიმარჯვა, ბულგარეთში პრეზიდენტი გახდა გენერალი **რუმენ რადევი**, რომელც ასევე პრორუს კანდიდატად ჰყავს მონათლული დასავლურ პრესას. დიდი ალბათობით, საფრანგეთსა და გერმანიაშიც არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვლენ ის ოპოზიციური ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან აღვირახსნილ ლიბერალებს, არ მოსწონთ ამერიკის დიქტატი და რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას ემხრობიან.

მოკლედ, **მსოფლიო იცვლება და დონალდ ტრამპი პირველი რგოლია, რომელიც ამ ცვლილებებს, დომინოს პრინციპით, ჯაჭვურ რეაქციად გადააქცევს, ეს მშვენივრად ესმის ყველას, საქართველოს მთავრობის გარდა.**

იქნებ ახლა მაინც გადახედოს ჩვენმა ხელისუფლებამ საგარეო კურსს და პრიორიტეტად ერთმორწმუნე რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება დაისახოს მიზნად, თორემ ნატო, ევროკავშირი და ვიზალიბერალიზაცია აქამდეც უტოპია იყო და, მით უმეტეს, უტოპიაა ახლა — ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ.

„ძალიან კარგი წერილი მომწერა პუტინმა“, — განაცხადა ტრამპმა და იქვე უახლოეს დღეებში პუტინთან სატელეფონო საუბარიც დააანონსა საჯაროდ.

ასე რომ, ეს კაცი ყველაფერს გამჭვირვალედ აკეთებდა და აკეთებს და, არა მგონია, ეს გაბედულება ოვალურ კაბინეტში შესვლის შემდეგ დაკარგოს. ვიმედოვნებ, არ დაკარგავს და ეს გაბედულება ახლო მომავალში კონკრეტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და ნაბიჯებში აისახება. დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა კი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან აშშ-რუსეთს შორის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის განმუხტვით მსოფლიოს ყველა ქვეყანა უნდა იყოს დაინტერესებული, მათ შორის, უგუნური საქართველოც...

**დავით მხეიძე**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჯეჯელავას მდიდარი ბიოგრაფია არ აქვს, მაგრამ მისი უკეთურობა კარგად ჩანს. მას დიდი წვლილი მიუძღვის დედაუნივერსიტეტის დანგრევაში. რაღაც კომისიაში იყო და შვიდი ყალბი დოკუმენტი რეალურად გაასაღა, ეს საქმე დღემდე ძიებაშია. ჯეჯელავა გამოირჩევა თავისი ფრაზეოლოგიითაც. თავის თავს მან „სერტიფიცირებული კაუჩი“ უწოდა და ამ „კაუჩმა“, ჯობია, „კაუჭს“ მოუჭიროს, თორემ ცუდ სუნს აყენებს“.



# ვინ არის ბათუმში ახალგახსნილი თურქული სკოლის დირექტორი

## იმამი, რომელიც თურქეთში ბავშვებს თავისუფალ სექსუალურ ურთიერთობებს ასწავლიდა, დღეს ბათუმში სკოლის დირექტორია

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციამ მიიღო თურქულ ენაზე დაწერილი წერილი, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეს, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს მივუტანეთ გადასათარგმნად.**

„იმამი, გვარად გერგერი, კაცი, რომელიც წლების განმავლობაში სკოლებში ბავშვებს თავისუფალ სექსუალურ ურთიერთობებს ასწავლიდა, დღეს საქართველოშია. კერძოდ, ბათუმში, ახალ ბულვართან ახალგახსნილი თურქული სკოლის დირექტორია. **ეს ადამიანი 30 ბავშვისგან ქმნის ჯგუფებს და თავისუფალ ურთიერთობებს არჩევს, ეს ძირითადად სექსუალური ხასიათისაა. გერგერს წლების განმავლობაში აფარებდა ხელს თურქული პრესა, მითითება ჰქონდათ, მასზე არ დაეწერათ,** მაგრამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პრობლემები მაინც შეექმნა, რადგან სოციალურ ქსელებში დაიწყეს წერა. შედეგად, მას ორ წელიწადში რამდენჯერმე მოუწია სამსახურის გამოცვლა, თუმცა ბოლოს, თურქეთის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, აჭარაში მიავლინეს, 2016 წლის 9 ივლისს საქართველოში წავიდა და ამჟამად ბათუმში მცხოვრებ მუსლიმ ბავშვებს ასწავლის. სამწუხაროა გერგერის საქართველოში გაშვება და ისევ ბავშვებთან მუშაობის შანსის მიცემა“, — წერს წერილის ბოლოს **მეჰმედ კაბაჯჩი.**

წერილში მითითებული სკოლა ბათუმში, ახალი ბულვარის ახლოს 2016 წლის სექტემბერში ოფიციალურად გახსნილა, ამ მოვლენაზე ქართული ინტერნეტგამოცემა წერდა: „ბათუმში, ახალი ბულვარის მიმდებარედ, თურქული სკოლა გაიხსნა. სკოლა თურქეთის მთავრობის მიერ არის დაფინანსებული. გახსნის ღონისძიებას თურქეთის განათლების სამინისტროს, ასევე საქართველოში თურქეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

არსებული ინფორმაციით, სკოლაში სწავლა ბათუმში მცხოვრები თურქი ოჯახების შვილებს შეეძლებათ. პედაგოგებიც თურქეთის მოქალაქეები იქნებიან

სწავლება თურქულ ენაზე მოხდება, სასწავლო პროგრამა კი თურქეთის განათლების სამინისტროს დაექვემდებარება.

როგორც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განაცხადეს, სკოლის გახსნაზე ინფორმირებული არ ყოფილან.

გახსნის ღონისძიების ამსახველი ფოტოები ბათუმში თურქეთის საკონსულოს „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გავრცელდება შემდეგი წარწერით: **„ოფიციალურ სასწავლებელში, ბათუმის თურქულ სკოლაში პირველი ზარი დაირეკა. ბედნიერებისა და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს ბათუმში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ერისთვის“.**

ამის წაკითხვის შემდეგ, ალბათ, აზრი აღარ ჰქონდა განათლების სამინისტროსთან დაკავშირებას, მაგრამ მაინც შევეცადეთ, მათგან რაიმე ინფორმაციის მიღებას, მაგალითად, ასეთის — იციან განათლების სამინისტროში, ვინ არის ახალგახსნილი სკოლის დირექტორი და რა წარსული აქვს?

ამ შეკითხვაზე პასუხი აჭარის განათლების სამინისტროში არ ჰქონდათ და საქართველოს განათლების სამინისტროზე მიგვითითეს, — პასუხს იქ გაგცემენო, ხოლო იქიდან, კვლავ აჭარის განათლების სამინისტროსკენ გაიშვირეს ხელი. ასე რომ, რა ხდება ბათუმში, ახალ ბულვართან გახსნილ სკოლაში, ოფიციალურ დონეზე ვერაფრით გავარკვიეთ.

ამ საკითხზე საზოგადო მოღვაწეებს ვესაუბრეთ.



**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:**

— ეს უზნეობაა, შემზარავი ინფორმაციაა, რომელსაც ახლა გავეცანით. განგაშია ასატეხი, განსაკუთრებით ახლა, როდესაც განათლების მინისტრი ქვეყნისთვის, მომავალი თაობისთვის დამღუპველ განცხადებებს აკეთებს. ეს კაცი ცდილობს, განათლება საბოლოოდ დაასამაროს.

**— ბატონო ელიზბარ, რატომ არის დაწყევლილივით განათლების მინისტრის სავარძელი საქართველოში?**

— რამდენიმე დღის წინათ სულ დედა ვაგინე განათლების ამჟამინდელ მინისტრს, თუმცა არც მანამდე ვინდობდი.

საქართველოში განათლების მოსპობა **ჯორჯ სოროსის** ჩამოსვლის შემდეგ დაიწყეს. ამის სულისჩამდგმელი კი **კახა ლომაია** იყო, რომელიც თავისი „განათლებით“ განცვიფრებას იწვევდა, მას მოჰყვა **გვარამია**, შემდეგ — **შაშკინი**, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებმაც განათლების სისტემაში შიში და ციხის რეჟიმი დაამკვიდრეს, შემდეგ იყო **ნოდია**, მერე — **მარგველაშვილი**, რომელიც მათი გზის კარგი გამგრძელებელი იყო. გაპრეზიდენტების შემდეგ მინისტრად ლამაზმანი **სანიკიძე** დატოვა, ქალი, რომელმაც საერთოდ არ იცოდა, რისთვის იყო საჭირო განათლება. ყველა ზემოჩამოთვლილს აჯობა **ჯეჯელავამ,** რომელსაც **შალვა ნათელაშვილმა** „ბავშვთაყლაპია“ შეარქვა.

ჯეჯელავას მდიდარი ბიოგრაფია არ აქვს, მაგრამ მისი უკეთურობა კარგად ჩანს. მას დიდი წვლილი მიუძღვის დედაუნივერსიტეტის დანგრევაში. რაღაც კომისიაში იყო და შვიდი ყალბი დოკუმენტი რეალურად გაასაღა, ეს საქმე დღემდე ძიებაშია.

ჯეჯელავა გამოირჩევა თავისი ფრაზეოლოგიითაც. თავის თავს მან „სერტიფიცირებული კაუჩი“ უწოდა („კაუჩი“ მწვრთნელს, მენეჯერს ნიშნავს — ე. ჯ.) და ამ „კაუჩმა“, ჯობია, „კაუჭს“ მოუჭიროს, თორემ ცუდ სუნს აყენებს. ჯეჯელავამ მეცნიერებათა აკადემიას ბოსტანი უწოდა. ერთი აღმოსავლელი პოეტი წერდა, ვირი ბოსტანში არ შეუშვა, რადგან გაიჯეჯილებს, ძღომას ვერ გაიგებს და იყროყინებსო. ჰოდა, ყროყინებს ჩვენი მინისტრი.

ქართული ზღაპარი უმდიდრესია, ყველა ქვეყანა თავისი ზღაპრებით ამაყობს, ჩვენ არავის ჩამოუვარდებით. ეს კი ჯეჯელავასთვის მიუღებელია. მას ამერიკასავით ფესვი არ აქვს, გასაპანღურებელია.

**— „ოცნების“ ხელისუფლება ყოველთვის ამბობს, რომ მათთვის განათლება პრიორიტეტულია...**

— გამიხარდა, როდესაც პრემიერმა **კვირიკაშვილმა** განათლების აყვავებაზე ისაუბრა, მაგრამ ვინ უნდა გააკეთოს ეს? ამ მინისტრმა, რომელიც ამბობს, მოხუცი პროფესორები საჭირო არ არიანო?

ჯეჯელავას დამსახურებაა, რომ დღეს ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს ხელმძღვანელობს ვინმე **შერვაშიძე**, უფრო ზუსტად, **სიმონგულოვი**, რომელიც სოროსის „საზოგადოების“ აქტიური წევრი იყო. ახლა მინისტრის ხელდასხმით რექტორი გახდა. **ვიღუპებით, განათლების სამარცხვინო მინისტრი მოსახსნელია!**

მინისტრის სავარძელი დაწყევლილი არ არის, შეგნებულად ანადგურებენ ქართველს. ჩვენმა მტრებმა კარგად იციან ახალი აღთქმა: „ნუ გეშინის მისი, ვისაც ხორციელი მოკვდინება შეუძლია, არამედ გეშინოს მისი, ვისაც სულიერი მოკვდინება შეუძლია“.

**— იტყვიან, ელიზბარ ჯაველიძე რა ბნელი კაციაო...**

— ბნელი ის არის, ვინც ამას იტყვის. ეროვნულები მარგინალებად აქციეს, სამშობლოს მოყვარულები — ჩამორჩენილებად და ბნელებად მონათლეს. მე მათი სკოლის, იდეოლოგიის ნაწილი ვერ გავხდები, მამათმავლობას ვერ მივიღებ. **უზნეობა ზეიმობს. ხალხმა უნდა ამოიღოს ხმა, სხვაგვარად ამის ამოშანთვას ვერ შევძლებთ. ხომ ვბაძავთ ამერიკას, სწორება ხომ მისკენ გვაქვს, მივბაძოთ ამ შემთხვევაშიც. იქ ხალხმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.**

საქართველოს ხელისუფლება ჭანჭიკია, გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია. ახლა საშინელი ტექსტი წავიკითხეთ, რომელიც თურქ პედაგოგს ეხებოდა. რამდენიმე ხნის წინათ თურქეთის ხელისუფლებამ საქართველოს ხელისუფლებას გამოუგზავნა წერილი, რომელშიც ეწერა, საქართველოში არსებული ყველა თურქული სკოლა ტერორისტ **ფეთჰულა გიულენის** შექმნილია და დახურეთო. ეწერა, რომ ამ სკოლებში ტერორისტებს ზრდიან. სკოლები აუცილებლად უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ ამერიკელებმა უარი განაცხადეს, რადგან გიულენს თავშესაფარი მისცეს და მფარველობენ. **თურქეთის ხელისუფალნი აჭარას გვედავებიან, ჩვენი პრემიერი კი, პროტესტის ნაცვლად, განცხადებას აკეთებს, თურქეთთან საუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებსო.** წიგნი წაიკითხონ, ისტორია შეისწავლონ.



**ბათუმში ახალგახსნილ თურქულ სკოლაზე ინფორმაციის მოსაპოვებლად აჭარის „მამულიშვილთა კავშირის“ თავმჯდომარეს, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრ ნიაზ ბოლქვაძეს დავუკავშირდით:**

**— ბატონო ნიაზ, თუ იცით რაიმე ახალ ბულვართან გახსნილი თურქული სკოლის შესახებ?**

— ეს ამბავი ვიცით. ახლა ვარკვევთ, ვისი ინიციატივით გაიხსნა ეს სკოლა. რამდენიმე დღეში აჭარის ინტელიგენციის შეკრება იგეგმება და სწორედ ამ საკითხზე ვიმსჯელებთ.

ბავშვები საქართველოს მოქალაქეები არიან, ამიტომ ქვეყანა ვალდებულია, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, მათ სწავლა-განათლებასა და აღზრდას მიხედოს.

ბოლო პერიოდში რატომღაც წესად იქცა, რომ ამა თუ იმ საკითხზე საპროტესტო აქცია მხოლოდ ორ დღეს უნდა გაგრძელდეს და შემდეგ ყველაფერი დავივიწყოთ. როდესაც ეს სკოლა გაიხსნა და შევიტყვეთ, რომ თურქეთიდან იყო დაფინანსებული, თანაც განათლების სამინისტრომ ამის შესახებ არაფერი იცოდა, მთელი ბათუმი ქუჩაში გამოვიდა, მაგრამ ერთი დღით... შესაძლოა, ეს ამბავი ვინმეს დაავიწყდა ან არ აწუხებს, მაგრამ ჩვენ არ გვავიწყდება.

როგორც ვიცი, **ახალ ბულვართან გახსნილი თურქული სკოლა ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას, არ შექმნია არანაირი პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ სექტემბერში სკოლის გახსნას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა.**

100 ათასზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ, მაგრამ მაინც დამტკიცდა. არადა, სწორედ ანტიდისკრიმინაციული კანონი იძლევა ნებას, ვისაც უნდა, იმან გახსნას სკოლაც და, რაც მოესურვება, ის. აუცილებელია, ბოლომდე იბრძოლო იდეისთვის. ვიბრძოლებთ აღნიშნული სკოლის გაუქმებაზეც. არ დავთმობთ აჭარას.



**გიორგი გოგოლაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

— ყოველგვარი უზნეობა უსწრაფერსად აღსაკვეთი და დასაგმობია. ყველაფერი ამოსაშანთია, რაც მომავალ თაობას არ წაადგება.

**— ბატონო გოგი, უნდა იყოს თუ არა საქმის კურსში განათლების სამინისტრო, როდესაც მის ქვეყანაში უცხო ქვეყნის დაფინანსებით იხსნება კერძო სკოლა?**

— განათლების სამინისტროს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კონტროლის ბერკეტები. სამწუხაროა, თუ სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას და არ იცის, რა ხდება ქვეყანაში.

საკანონმდებლო აქტები არსებობს, რომლებიც კერძო და საჯარო სკოლების მუშაობას არეგულირებს. **არ შეიძლება, ვიღაცამ გახსნას სკოლა, ფაშისტური იდეები იქადაგოს, ბავშვებს სექსის თავისუფლებაზე ესაუბროს, გახრწნას და ამაზე კონტროლი არ არსებობდეს.**

ჩემს ქვეყანაში, ჩემს ბავშვებთან ვინ მუშაობს, ვინ ამახინჯებს ჩემი შვილების სულს, ქვეყნისა და თითოეული ჩვენგანის საფიქრალი უნდა იყოს. **ფაქტი, რომელზეც საუბრობთ, შემზარავია. არ შეიძლება ქვეყანაში, განათლების სისტემაში ხდებოდეს რაღაც და სამინისტრო საქმის კურსში არ იყოს.** ეს თაობებს დაამახინჯებს, დავიღუპებით. არ ვიცი, კანონში რა წერია, მაგრამ ვიტყვი, რომ უკონტროლოდ და უპატრონოდ სკოლა არ უნდა იყოს.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**2016 წლის იანვარში ანგლიკანური ეკლესიის მსოფლიოს ყველა ქვეყნის არქიეპისკოპოსებმა და ეპისკოპოსებმა, რომლებიც დახურულ კარს მიღმა შეიკრიბნენ კენტერბერიის ტაძარში, დაგმეს ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება, როგორც „ანგლიკანური ეკლესიის ტრადიციებიდან პრინციპული გადახვევა“. მიუხედავად ამისა, კანადის ანგლიკანურმა ეკლესიამ არად ჩააგდო არქიეპისკოპოსებისა და ეპისკოპოსების გადაწყვეტილება და კანადის ეკლესიის ეპისკოპოსად პედერასტი აირჩია.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## კანადაში ეპისკოპოსად პედერასტი აირჩიეს

**კანადის ანგლიკანურმა ეკლესიამ, ისტორიაში პირველად, ეპისკოპოსის რანგში აიყვანა აშკარა ჰომოსექსუალი. 45 წლის კენონ რობერტსონი, რომელიც თავის ე.წ. პარტნიორ მოჰანთან ერთად 2 ბავშვს ზრდის, ტორონტოს ეპარქიის ეპისკოპოსად დასვეს, — იუწყება Christian Radio.**



The Rev. Canon Kevin Robertson

რობერტსონი დიაკონად აკურთხეს 1997 წელს, მას შემდეგ, რაც ტორონტოს უნივერსიტეტის სამების კოლეჯში მიიღო „ღვთისმეტყველის“ მაგისტრის ხარისხი. „ეპისკოპოსის“ არჩევისას ბევრი დაუფარავად აპროტესტებდა რობერტსონის დაწინაურებას და ამბობდა, რომ მისი ცხოვრების წესი არ შეესაბამებოდა ეკლესიის ტრადიციულ წყობას.

„მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ეკლესიისთვის ვიქნები ეპისკოპოსი, მათ შორის მათთვისაც, ვისი თვალსაზრისიც ამა თუ იმ საკითხზე საფუძველშივე არ შეესაბამება ჩემსას. მე მათი ეპისკოპოსიც ვარ“, — ხაზგასმით აღნიშნა რობერტსონმა.

ჩრდილოეთი ამერიკის ანგლიკანურმა ეკლესიამ ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება 2000 წელს აღიარა, სამი წლით ადრე, სანამ კანადის მთელ ტერიტორიაზე ოფიციალურად დაკანონდებოდა. 2003 წელს, ჩრდილოეთ ამერიკაში პირველად, აშშ-ის ეკლესიამ ეპისკოპოსად აკურთხა გეი — **ჯონ რობინსონი.**

მას შემდეგ ანგლიკანური ეკლესიის რამდენიმე ფილიალმა, კერძოდ, აფრიკასა და აზიაში, კავშირი გაწყვიტეს ეკლესიასთან, რომელმაც ეპისკოპოსად პედერასტი აკურთხა.

2016 წლის იანვარში ანგლიკანური ეკლესიის მსოფლიოს ყველა ქვეყნის არქიეპისკოპოსებმა და ეპისკოპოსებმა, რომლებიც დახურულ კარს მიღმა შეიკრიბნენ კენტერბერიის ტაძარში, დაგმეს ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება, როგორც „ანგლიკანური ეკლესიის ტრადიციებიდან პრინციპული გადახვევა“.

მიუხედავად ამისა, კანადის ანგლიკანურმა ეკლესიამ არად ჩააგდო არქიეპისკოპოსებისა და ეპისკოპოსების გადაწყვეტილება და კანადის ეკლესიის ეპისკოპოსად პედერასტი აირჩია.



## აშშ-ში მანიაკს ახალგაზრდა ქალი რამდენიმე თვე კონტეინერში ჰყავდა დამწყვდეული

**სამხრეთ კაროლინაში (აშშ) მამაკაცს ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში სატვირთო კონტეინერში ქალი ჰყავდა დამწყვდეული.**

ახალგაზრდა ქალი დაკარგულად ითვლებოდა აგვისტოდან, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ სამართალდამცველებმა იპოვეს, როდესაც ერთ-ერთ სოფელს ჩხრეკდნენ — პოლიციელებს ბრახუნი შემოესმათ კონტეინერიდან, რომელიც ბოქლომით იყო დაკეტილი.

მოძალადე მამაკაცის ტყვე აღმოჩნდა 30 წლის **კალა ბრაუნი**, რომელიც კონტეინერში ჯაჭვით იყო დაბმული. მან მოგვიანებით პოლიციელებს განუცხადა, რომ დამნაშავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, სავარაუდოდ, ოთხი ადამიანის გვამია დამარხული. მოძალადე **ტოდ კოლჰეპი** დაპატიმრებულია. ის 1987 წელს ნასამართლევია ადამიანის გატაცებისა და სექსუალური ძალადობის გამო. სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ კოლჰეპი სერიული მკვლელია.

## კიეველმა მოზარდმა სანაძლეოს გამო ქალი გააუპატიურა



**მოძალადემ მსხვერპლს ყელში დანა მიაბჯინა, შემდეგ სარდაფში ჩაათრია და გააუპატიურა.**

კიევში 17 წლის ყმაწვილი თავს დაესხა 27 წლის ქალს და ყელის გამოჭრით დაემუქრა, შემდეგ სარდაფში ჩაათრია და გააუპატიურა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს საქციელი ახალგაზრდამ სანაძლეოს გამო ჩაიდინა — მეგობარს დაენაძლევა, რომ შეეძლო ნებისმიერ გამვლელს დასხმოდა თავს.

# აშშ-ის შიშველი პირველი ლედი: დონალდ ტრამპის ცოლის საუკეთესო ფოტოები

**აშშ-ის ახალი პრეზიდენტის მეუღლე, მელანია ტრამპი, პროფესიონალი მოდელია და მას მრავალ ფოტოსესიაში მიუღია მონაწილეობა.**

46 წლის სლოვენიელი მოდელი, რომელიც, სანამ დონალდ ტრამპს გაჰყვებოდა ცოლად, **მელანია კნავსად** იყო ცნობილი, აშშ-ის ისტორიაში ყველაზე სექსუალური პირველი ლედია.

ნახევრადშიშველ ლამაზმან მელანიას მსოფლიოში განთქმული ფოტოგრაფები სურათებს ულებდნენ ისეთი გამოცემებისთვის, როგორებიცაა GQ; FHM-ი; Vogue-ი, Vanity-ი; Fair-ი; Elle; Glamour-ი და სხვ.









**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართულ პოლიტიკაში შემოსაღებია ლექციების სპეციალური კურსი, რომელიც ორი-სამი თვის განმავლობაში მაინც უნდა წაუკითხონ იმ ადამიანებს, რომლებსაც სახელისუფლო გუნდი ამა თუ იმ სფეროს მინისტრად ან რაიმე სხვა მაღალ თანამდებობაზე დანიშვნასა თუ წარდგენას უპირებს. დიახ, წარდგენის შემთხვევაშიც უნდა წაუკითხონ მათ ეს კურსი, რადგან, ქართული რეალობიდან გამომდინარე, გინდაც პრეზიდენტის, გინდაც დედაქალაქის მერის თუ სხვა არჩევით თანამდებობაზე აუცილებლად იმარჯვებს მმართველი გუნდის კანდიდატი და, ფაქტობრივად, „წარდგენა“ სინამდვილეში იგივე „დანიშვნაა“.**

# «გაფანტულ მეცნიერებათა» მინისტრი, ანუ რას «თლის» ალექსანდრე ჯეჯელავა?

**საქართველოს სხვადასხვა პერიოდის ხელისუფლების ზოგადი სენი — თანამდებობებზე ძმაკაც-დაქალების მოყვანა და ამის „გუნდური პრინციპით“ გამართლება, „ქართულმა ოცნებამ“ სრულიად ახალ სიმაღლეზე, შეიძლება ითქვას, პიკზე აიყვანა.**





**ასეთ ფსიქოლოგიურ ტიპებს, რომლებსაც აშკარად აკლიათ განათლება და ღრმა აზროვნება, როგორც წესი, წარმოუდგენელი თაღლითობით ფონს გასვლა ახასიათებთ — რაც უფრო მეტად წარმოუდგენელ უაზრობას იტყვიან, მით იოლია მათთვის, ის შეფუთოს, როგორც «ინოვაცია», «სიახლეებისადმი ლტოლვა», ხოლო მოწინააღმდეგეებს «ბნელები», «ჩამორჩენილები», «სიახლის მოშიშები» უწოდოს**

მინისტრი, რომელსაც ტერორისტული ორგანიზაცია „თალიბანი“ კონკრეტული პიროვნება ეგონა, უკვე ვნახეთ „ოცნების“ მეორე თაობის, ანუ ე.წ. **ღარიბაშვილის** მინისტრებს შორის. გიორგი „გაწონასწორებულმა“, ანუ **კვირიკაშვილმა** კიდევ უფრო უარესი დაგვმართა და კომბლე-მინისტრი დასვა ქართული განათლებისა და მეცნიერების სათავეში. ეს ორი მინისტრი გამოირჩა სრულიად ტუტუცური გამოთქმებით, თორემ ისე, უნიათობასა და უცოდინარობაში მათ არც სხვები ჩამოუვარდებიან. ამიტომ თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ **ქართულ პოლიტიკაში შემოსაღებია ლექციების სპეციალური კურსი, რომელიც ორი-სამი თვის განმავლობაში მაინც უნდა წაუკითხონ იმ ადამიანებს, რომლებსაც სახელისუფლო გუნდი ამა თუ იმ სფეროს მინისტრად ან რაიმე სხვა მაღალ თანამდებობაზე დანიშვნასა თუ წარდგენას უპირებს. დიახ, წარდგენის შემთხვევაშიც უნდა წაუკითხონ მათ ეს კურსი, რადგან, ქართული რეალობიდან გამომდინარე, გინდაც პრეზიდენტის, გინდაც დედაქალაქის მერის თუ სხვა არჩევით თანამდებობაზე აუცილებლად იმარჯვებს მმართველი გუნდის კანდიდატი და, ფაქტობრივად, „წარდგენა“ სინამდვილეში იგივე „დანიშვნაა“.**

თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ კი ეს ადამიანები ისეთი „ბრძნული“ აზრების ფრქვევას იწყებენ, მინისტრი და პრეზიდენტი კი არა, კაცობრიობის ბელადი და პატრიარქი გეგონებათ. გახსოვთ, ალბათ, საქართველოს ჯერ კიდევ მოქმედმა პრეზიდენტმა ისიც კი დაგვარიგა, როგორი სექსუალური ცხოვრება უნდა გვქონდეს, ხოლო თბილისის მერი გვიყვიროდა, — თქვენი საქმე არ არის, მერი რას გააკეთებს და როგორო(?!).

მოკლედ, აუცილებელია, თანამდებობაზე დანიშვნამდე კარგად და გულდასმით განვუმარტოთ ამ ადამიანებს, რა შედის მათ კომპეტენციაში და რა — არა; რაზე აქვთ ლაპარაკის უფლება და რაზე — არა; რა უნდა მოითხოვონ და რა — არა. თორემ, აგერ, განათლების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ** უკვე დაგვიწყო ჭკუის დარიგება, სკოლამდელი ასაკის შვილებს რომელი ზღაპარი უნდა წავუკითხოთ, რომელი მულტფილმი უნდა ვაყურებინოთ და, ალბათ, მალე იმის სწავლებასაც მოგვინდომებს, რა უნდა დავარქვათ ბავშვს ან ვის უნდა მოვანათვლინოთ.

„საზეპიროების სკანდალი“ ჯერ კიდევ არ იყო მინავლული, რომ ალექსანდრე ჯეჯელავამ სრულიად მოულოდნელი და ახალი, ე.წ. კომბლეს სკანდალი გამოაცხო. „კომბლეს სკანდალმა“, სხვათა შორის, გადაფარა ჯეჯელავას ადრინდელი მსგავსი გამონათქვამები იმის შესახებ, რომ თურმე სულაც არ არის საჭირო, ბავშვებმა დაისწავლონ სხვადასხვა გეოგრაფიული, ლიტერატურული თუ სხვა სახის გაკვეთლები, რადგან ინტერნეტში არსებობს „გუგლი“ და „ვიკიპედია“, ხოლო ქიმიის დასწავლისა და ქიმიური ცდების ჩატარების შესასწავლად მინისტრმა ყველაზე კომპეტენტურ წყაროდ „იუთუბი“ დაასახელა. ეს გასულ ზაფხულს იყო და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა გვარიანად გაჯორეს კიდეც მინისტრი ამის გამო; ისიც აუწყეს, რომ „ვიკიპედია“, „გუგლი“, „იუთუბი“ და კიდევ სხვა ინტერნეტსაიტები, შესაძლოა, სულაც არ იყოს ინფორმაციის კომპეტენტური წყარო, რადგან იქ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია განათავსოს ინფორმაცია და ვიდეომასალა ნებისმიერ მოვლენაზე, ფაქტზე, რომელთა შესაბამისობას რეალობასთან არავინ ამოწმებს. ხოლო ბავშვებს სკოლა და კვალიფიციური პედაგოგები სწორედ იმიტომ ესაჭიროებათ, რომ მათგან მიიღონ, ისწავლონ, რომელი ინფორმაციაა ჭეშმარიტი და რომელი — არა.

საზოგადოების მხრიდან სამიოდე თვისწინანდელი ასეთი ძლიერი იერიშის შემდეგ, ბევრს ეგონა, რომ ჯეჯელავა ჭკუას ისწავლიდა, ცოტა დადინჯდებოდა და სისულელეების ბუტბუტს მოეშვებოდა... მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მე ძალიან პესიმისტურად ვიყავი განწყობილი.

ჩემი პესიმიზმის მიზეზი იყო ბავშვობისდროინდელი მეგობრის საიუბილეო სუფრა. **ამ სუფრის თამადას ორიოდე წლის შემდეგ განათლების მინისტრად თუ დანიშნავდნენ, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რადგან სადღეგრძელოებში ისეთ სისულელეებს როტავდა, ქართული ფილმის — „უდიპლომო სასიძოს“ იმ პერსონაჟს გადაუჯოკრა, რომელიც ხბოების განვითარებაში მუსიკის როლს მეცნიერულად იკვლევდა.**

ისე, ამავე ფილმის კიდევ ერთი პერსონაჟის, „ჩუმი რეაქტიული ფსიქოზის“ აღმომჩენით გახარებული ფსიქიატრის საჭიროებასაც მალევე მივხვდი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ **ჯეჯელავას, ჩუმი კი არა, აშკარად ძალიან „ხმამაღალი“ და ზერეაქტიული ფსიქოზი აქვს და სწორედ ამიტომ, როდესაც საზოგადოება ამ სამიოდე თვის წინათ დაწყნარდა (ისე გავჯორეთ, მსგავს სისულელეს აღარასოდეს გაიმეორებსო), მისგან მორიგი სისულელის ამოხეთქვას მე მაინც მოუთმენელი გულისფანცქალით ველოდი.**

„ჩვენ სკოლებში უნდა გავაუქმოთ საზეპიროები, რადგან სჯობს, ბავშვს გავააზრებინოთ, რასაც ვასწავლით, ვიდრე ძალით დავაზეპირებინოთ“, — წამოროშა მორიგი „სიბრძნე“ ბატონმა მინისტრმა. ნამდვილად არ მესმის, აქ რა შუაშია სიტყვა „სჯობს“? რა, **საზეპირო და გააზრებული დასწავლა ერთმანეთს გამორიცხავს? არჩევანის წინაშე ვდგავართ, რომ ბავშვებს ან დავაზეპირებინოთ, ან გააზრებულად ვასწავლოთ? ერთიც რომ ვქნათ და მეორეც, ჯეჯელავას პირადი ღმერთები გაგვიწყრებიან თუ რა მოხდება?**

აი, ამიტომ ვთქვი ამ სტატიის დასაწყისში, სანამ ვინმეს მინისტრად დავნიშნავდეთ, ჯერ კარგად უნდა განვუმარტოთ მისი კომპეტენცია-მეთქი. **ჯეჯელავასთვის ვინმეს რომ განემარტა, მინისტრს არავინ ეკითხება დასწავლის მეთოდოლოგიებს და ამისთვის არსებობენ შესაბამისი სპეციალისტები, ხოლო, თუ მაინცდამაინც დააპირებ ამ თემაზე რაიმეს თქმას, ჯერ სპეციალისტებთან კონსულტაცია გაიარეო, ალბათ, აღარ იტყოდა ამ სისულელეს...**

თუმცა ახლა მეც ისე მომდის, წეღან რომ ის ხალხი ვახსენე, რომელსაც იმედი ჰქონდა, „იუთუბის“ გამო გაჯორვის შემდეგ მინისტრი მეტ სისულელეს აღარ იტყვისო... ალბათ, მაინც იტყოდა, რადგან **ასეთ ფსიქოლოგიურ ტიპებს, რომლებსაც აშკარად აკლიათ განათლება და ღრმა აზროვნება, როგორც წესი, წარმოუდგენელი თაღლითობით ფონს გასვლა ახასიათებთ.** ანუ, რაც უფრო მეტად წარმოუდგენელ უაზრობას იტყვიან, მით იოლია მათთვის, ის შეფუთოს, როგორც „ინოვაცია“, „სიახლეებისადმი ლტოლვა“, ხოლო მოწინააღმდეგეებს „ბნელები“, „ჩამორჩენილები“, „სიახლის მოშიშები“ უწოდონ. ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: პოსტსაბჭოთა სივრცეში ასეთ თაღლითებს კიდევ ერთი, განსაკუთრებული კოზირი უჭირავთ — მოწინააღმდეგეებისთვის „საბჭოთა მენტალიტეტიანის“, „კომუნისტური აზროვნების მქონეს“ და „ბნელ რუსულ წარსულში ჩარჩენილის“ იარლიყების მიწებება, თანაც, რა თქმა უნდა, მაშინ, როდესაც მთავარ თემასთან არაფერი აქვს საერთო არც საბჭოთა კავშირს და არც კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

სწორედ ეს გასდევდა კიდეც მთავარ ხაზად განათლების მინისტრის სამივე ამ სულელურ გამოხდომას, ანუ, **მას რომ ჰკითხოთ, „იუთუბით“ ქიმიური ცდების სწავლაც, საზეპიროებზე უარის თქმაც და ზღაპარ „კომბლეს“ სასწრაფო გადაკეთებაც სწორედ „საბჭოთა აზროვნების“ დამარცხებაა.**

საბჭოთა წარსულის მონატრებად ჩამითვლიან, ალბათ, იმასაც, ქართული იუმორის გამორჩეული პერსონის, **ნოდარ დუმბაძის**, იუმორისტული ნოველა „არ გავუშვათ გადაუკეთებელი არც ერთი ქართული ხალხური ზღაპარი“ რომ გავიხსენო, რომელშიც ნოდარ დუმბაძე სასტიკად დასცინის სწორედ ჯეჯელავასნაირებს, რომლებიც მაშინაც ითხოვდნენ „სასტიკი, ბოროტი და ძალადობისკენ მიდრეკილი“ ქართული ხალხური ზღაპრების გადაკეთებას.

დიახ, აი, იმ „ბნელ საბჭოთა“ პერიოდშიც არსებობდნენ „ჯეჯელავები“, უბრალოდ, განსხვავება ის იყო, რომ მაშინ ასეთ ხალხს დასცინოდნენ, მათ ბუტბუტს ყურადღებას არავინ აქცევდა და მხოლოდ ფელეტონების „გმირები“ შეიძლება ყოფილიყვნენ, თანაც სახელისა და გვარის ხსენების გარეშე.

ახლა კი, ამ „დემოკრატიულ და განვითარებულ“ საქართველოში ასეთ ტუტუცებს პირდაპირ მინისტრებად გვინიშნავენ, ხოლო მათი ნაბუტბუტრები იმწამს ხდება მედიასაშუალებების, განსაკუთრებით კი — ტელევიზიების, სერიოზული განსჯის საგანი.

**უკვე მოვესწარით იმას, რომ სატელევიზიო ეთერებში თოქ-შოუების წამყვანები თუ ჟურნალისტები სრულიად სერიოზულად სვამენ კითხვას: „ეთანხმებით თუ არა განათლების მინისტრის მოსაზრებას, რომ კომბლე ცუდი მენეჯერი, უპასუხისმგებლო მეცხვარე და მოძალადეა?“**

მერე ვინმე, „ექსპერტის“ ტიტულით შემკული, სერიოზული და დინჯი ჩახველების შემდეგ, ფრიად საჭირბოროტო გამომეტყველებით უპასუხებს: „იცით, ზოგადად, ალბათ, შესაძლებელია ამ პრიზმაში კომბლეს აღქმა, მაგრამ ზღაპრების ასეთი ტექნოკრატიული შეფასება არ მიმაჩნია მაინცდამაინც გამართლებულად...“

არადა, წესით, ასეთი „რეაქტიული“ მოსაზრებების მქონეთ ყურადღება არც უნდა მიაქციო და მათი მხოლოდ დაცინვა თუ იქნება გამართლებული. ჩემი სტუდენტობის დროს ასეთი „შუტკები“ მხოლოდ „კა-ვე-ენ“-ზე ჰქონდათ ხოლმე... ახლა კი ყოვლად წარმოუდგენელია ის, რასაც ქართული მედია აკეთებს — კომბლეს ავკარგიანობას სერიოზულად რომ განიხილავს. მით უფრო კომიკური და უტვინო მიდგომაა ფრაზა **„კომბლეს საქართველოში უამრავი დამცველი გამოუჩნდა“**. როგორც ჩანს, ბევრი უტვინო იმასაც კი ვერ ხვდება, რომ აქ არაფერ შუაშია კომბლეს დაცვა. შეამჩნევდით, ამ სტატიაში ერთი სიტყვაც კი არ დამიწერია იმის შესახებ, რატომ არ უნდა გადავაკეთოთ არც „კომბლე“ და არც ერთი სხვა ქართული ზღაპარი, ან რატომ არ იყო კომბლე ცუდი მეცხვარე, ან ის, საერთოდაც რომ არ იყო მეცხვარე და სხვა უამრავი „კომბლეს დასაცავი“ არგუმენტი... რადგან აქ მთავარი თემა არის ის, რომ **ჩვენს ქვეყანას უსაქმური განათლების მინისტრი ჰყავს და ის რეალურ და სერიოზულ პრობლემებზე კი არ მსჯელობს, არამედ ზღაპრების გმირებზე ბუტბუტებს რაღაცას, იქნება ეს კომბლე, წითელქუდა, კონკია თუ სხვა, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.**

ასეთ სულელურ მარაზმშია ჩარჩენილი ბიძინა ივანიშვილის მიერ „აღმოჩენილი“ კიდევ ერთი „ექსპერტი“ **არჩილ გამზარდია. „სტანდარტულ საბჭოურ თუ პოსტსაბჭოთა სისტემებს შეჩვეულმა საზოგადოებამ, რომლისთვისაც ყველა ზღაპარი თუ თქმულება ლამის საკუთარი თავმოყვარეობის საზომად განიხილებოდა, მინისტრის გალაშქრება კომბლეს წინააღმდეგ ლამის ეროვნული იდენტობის დანგრევის საშიშროებად მიიღო“,** — ასე გამოეხმაურა იგი კომბლე-მინისტრის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს.

სიტყვების — „საბჭოთას“ და „კომუნისტურის“ უაზრო რახუნის შესახებ ზევით უკვე ვთქვი.

ჟანდაბას, არც იმაზე გავამახვილებ ყურადღებას, რაოდენ სასაცილოა თვით ფრაზა — „კომბლეს წინააღმდეგ გალაშქრება“. გეგონება, გმირი მინისტრი ქვეყანაში შემოჭრილი ურდოების წინააღმდეგ ილაშქრებდეს.

მაგრამ **გამზარდიას მტკიცებით, თურმე ჩვენ, „ბნელ საბჭოთა მოაზროვნეებს“, შეგვშინებია, რომ ჯეჯელავა „ეროვნულ იდენტობას დაგვინგრევს“.**

**მაინტერესებს, ეს „გადაგვარებული საბჭოთა ჩამორჩენილები“ ასე რატომ ვწუხვართ, ნეტა, „ეროვნულ იდენტო-** ►

შევიტყვეთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა მოლაპარაკება აწარმოა ერთ-ერთ კლინიკასთან, რომელშიც პლასტიკური ქირურგიის ოპერაციები ტარდება. თანხა გადახდილია და უახლოეს დღეებში დანიშნულია საიდუმლო ოპერაცია. ინფორმატორის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი სქესს იცვლის, ასევე იცვლის პირად მონაცემებს და ჰოლანდიელი ტურისტის სახელით აპირებს საქართველოში შემოპარვას, დაახლოებით ისე, როგორც ყვარყვარე იპარებოდა აგრაფინას კაბაში გამოწყობილი.

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ბაზე"?! აკი, კომუნისტები და საბჭოელები სწორედ ყოველგვარი ეროვნულის მოსპობით იყვნენ დაკავებულნი და „გვარუსებდნენ"?! საიდან ჩვენში, „საბჭოთა გადმონაშთებში", ამდენი და ამხელა ეროვნული მარცვალი?!

საქმე ის არის, რომ **ეს „ახლებურად მოაზროვნე ანტისაბჭოთა კორიფე" გამზარდია იმასაც ვერ ხვდება, ფრაზით — „საბჭოთა ეპოქაში ყველა ეროვნული ლეგენდა და ზღაპარი პირად თავმოყვარეობასთან იყო შეზრდილი" — რა დონეზე აქებს და ადიდებს სწორედ იმ „საბჭოთა კომუნისტებს", რომელთა ლანძღვაც აქვს განზრახული...**

საზოგადოდ კი, **იქნებ ვინმემ შეაგნებინოთ ჯეჯელავა-გამზარდიებს, რომ არც „კომბლე", არც „წითელქუდა", არც „კონკია", არც „სპაიდერმენი" თუ „სუპერმენი" არანაირად არ არის დაკავშირებული განათლების სისტემასთან, ხოლო რას წავუკითხავთ და ვაყურებინებთ ჩვენს სკოლამდელი ასაკის შვილებს, ამ საკითხზე ჯეჯელავა-გამზარდიების „ბრძნული რჩევები" ნამდვილად არ გვჭირდება და ერის „მოძღვრის" ფუნქცია მათთვის ჯერ არავის მიუნიჭებია.**

ასე რომ, განათლების მინისტრმა განათლებას უნდა მიხედოს, თუკი ამის უნარი აქვს, და ყველაფერს არ მიედმოედოს, ჩვენი ბავშვობის ერთ-ერთი საყვარელი წიგნისა არ იყოს, „გაფანტულ მეცნიერებათა" მინისტრი კი არ უნდა იყოს, არამედ სავსებით კონკრეტული სფეროს სავსებით კონკრეტული პრობლემები მოაგვაროს(!).

არც ეროვნული იდენტობა არაფერ შუაშია და არავინ ედავება მინისტრს იმაზე, მაინცდამაინც „კომბლეზე" რატომ საუბრობო. განათლების მინისტრ კაცს, არც „სპაიდერმენზე" სალაყბოდ უნდა ეცალოს. აი, საქმეც ეს არის!

დასასრულ, მცირე „ფროიდისტული" გადახვევა რომ გავაკეთოთ, იქნებ ბატონ მინისტრს გარკვეული არაცნობიერი კომპლექსი აწუხებს? იქნებ როდესაც ის მულტფილმ „კომბლეს" უყურებს, ბატონის პერსონაჟს საკუთარ თავთან აიგივებს? „ამდენ ჭამას, ამდენს სმას, ვაჰ, როგორ გაუძელი, მეშინია, ბატონო, არ გაგისკდეს მუცელი!" — ვერ იქნება მთლად სასიამოვნო ჯეჯელავასთვის ამ სიმღერის მოსმენა, ხო? თანაც, მერე, კომბლე რომ შემოაჯდება ამ გაქსუებულ ბატონს და დასცხებს კომბალს გვერდებში, თან უყვირის — „მოგარჩინო, ბატონო?", იქნებ ეს სიტყვები ჯეჯელავს სულაც ასე ჩაესმის: „მოგარჩინო, მინისტრო?" და წარმოიდგინეთ ამ მომენტში მისი სულიერი და ფიზიკური ტკივილი...

მგონი, უკვე გასაგებია, რატომ ვერ იტანს ალექსანდრე ჯეჯელავა კომბლეს...

თუ არადა, იქნებ თქვენი მოსაზრებებიც მოგვაწოდოთ, ჩვენო მკითხველო. როგორ ფიქრობთ, რას „თლის" ჩვენი განათლების მინისტრი?..

# «უტრამპო მეტრამპეები» ანუ 2020 წლის პარლამენტის დაკომპლექტება დაწყებულია

**ტრამპი-კლინტონი და საქართველო-მოლდოვა გასული კვირის უმთავრესი დაპირისპირებები იყო. პირველიცა და მეორეც აჟიტირებული ქართველი „პატრიოტებისთვის" ცუდად დასრულდა. ოღონდ, თუ მეორე შემთხვევაში გასაგებია ეროვნული გუნდის ცუდი შედეგის გამო დაღონება, ოკეანისგაღმელთა დაპირისპირებაში ვინ მოიგებდა და ვის მიანდობდა ამერიკელი ხალხი თავის ბედს, ამას ასე ძალიან რატომ განიცდიდა ქართველთა ერთ ნაწილი, მართლა ძნელი ამოსაცნობია.**

მართალია, ქართველებს ამერიკის შეერთებული შტატების წინა საპრეზიდენტო არჩევნებისას საქართველოს ყოფილი მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლების ავტომანქანების სახელმწიფო ნომრებად მიკრული **„მაკკეინი"**-ც გვინახავს და შემდეგ ისიც, როგორი მონდომებით ეტენებოდნენ ფერად უკანალში იგივე ქართველი „მაკკეინისტები" გამარჯვებულ ობამას, მაგრამ ტრამპის გამარჯვებით დაღვრემილ ქართველთა მოთქმამ მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ნამდვილად ვერ გეტყვით, რას ელოდა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ცოლის, **ჰილარი კლინტონის,** გამარჯვების შედეგად საქართველოს ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც, მაგრამ ფაქტია, რომ ჰილარის გადაჭარბებული მხარდაჭერა და შემდეგ ტრამპის გამარჯვების გამო გლოვის გამოცხადება კომიკურ ელფერს ატარებდა.

იმედია, დონალდ **ტრამპის ყურამდე** არც **მანანა კობახიძის** კლინტონისადმი „ქალურ სოლიდარობას" მიუღწევია და არც **კობა ხაბაზის** ანტიტრამპულ გამონათქვამებს, თორემ გულღვარძლიანი მილიარდერის ბოროტ შურისძიებას ვერსად დავემალებით.

**სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ არაერთი ქართველი „მეკლინტონე" პოლიტიკოსი**




**სასწრაფოდ მოეგო გონს, რომ მსოფლიოს ზესახელმწიფოს მეთაურთან ჭინჭყლი ბავშვის ენით საუბარი არ შეიძლება და გუშინდელი „მეკლინტონეები" უცებ „მეტრამპეები" გახდნენ. მაგრამ, ვინაიდან ტრამპს მათი არსებობა ჯერ არც კი შეუმჩნევია, თავისუფლად შეგვიძლია ამ ადამიანებს „უტრამპო მეტრამპეებიც" ვუწოდოთ.**

ამ ამბებისა და განათლების მინისტრის „კომბლეობის" ფონზე თითქოს შეუმჩნევლად ჩაიარა საქართველოს ნაკრების მიერ გამართულმა საფეხბურთო მატჩმა, რომლითაც განახლებულმა და მწვრთნელ **ვაისის** მიერ გადახალისებულმა ქართველმა ფეხბურთელებმა ქართული ფეხბურთის ისტორიაში მორიგი სირცხვილი ჩაწერეს და, როგორც თავიანთი ჯგუფის, ასევე მთელი მსოფლიოს აუტსაიდერ მოლდოვის ნაკრებთან, შინ, თბილისში, მატჩი საყაიმო ანგარიშით დაასრულეს.

უნებურად გაგვახსენდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა ამასწინანდელი განცხადება: ჩვენ ქართულ ფეხბურთს აუცილებლად დავაკვირდებით და ყველაფერს გავაკეთებთ მის დასახმარებლადო(!).

მართლაც საინტერესოა, ვინ და რატომ აკვირდება ქართულ ფეხბურთს.

აჰ, მივხვდით... სავარაუდოდ, **ბიძინა ივანიშვილს, კახი კალაძეს, გიორგი კვირიკაშვილს, ირაკლი კობახიძესა** და „ქართული ოცნების" სხვა ლიდერებს განზრახული აქვთ, ამთავითვე იზრუნონ 2020 წლის საქართველოს პარლამენტის დაკომპლექტებაზე და, როგორც ჩანს, ამ მიზნით აკვირდებიან საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს, — ვინ რომელი საპარლამენტო თანამდებობისთვის არის შესაფერისი...

**ისე კი, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, კარგი იქნებოდა, საქართველოს ნაკრებში ქართული ეროვნული ვალუტა ლარი აგვეყვანა — ისე სწრაფად გარბიიიიიის...**

**ველოდი რახანია**

# მიშა ბიძინაზე შურს იძიებს — საიდუმლო გეგმა გაშიფრულია

**მიხეილ სააკაშვილს აღარც უკრაინაში დაედგომება და დიდი საფიქრალიც გასჩენია. შიშობს, რომ ცოტა ხნის წინათ საყვარელი პოროშენკო ქეჩოში წაავლებს ხელს და, მოქალაქეობის ჩამორთმევასთან ერთად, საქართველოში გამოუშვებს ჩემოდნებიან-დაქალ-ძმაკაცებიანად.**

ჩვენმა მჩქეფარე წყარომ ტრადიციულად სკანდალური ინფორმაცია მოიპოვა, თუ რას აპირებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, რათა საფრთხეებს თავი აარიდოს. როგორც წყარო გვირაკრაკებს, მიხეილ სააკაშვილმა უკვე დასახა სამოქმედო გეგმა, რომელშიც აქტიურად ეხმარება 90-იანი წლების „მოდერნ ტოკინგერი" **ირინე სარიშვილი** ორ დაქალთან ერთად. გეგმის უდიდესი ნაწილი, სწორედ ირინეს დაუწერია და სანაცვლოდ კაი „აიფონ 5" ჩაუგდია.

მოკლედ, **შევიტყვეთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა მოლაპარაკება აწარმოა ერთ-ერთ კლინიკასთან, რომელშიც პლასტიკური ქირურგიის ოპერაციები ტარდება. თანხა გადახდილია და უახლოეს დღეებში დანიშნულია საიდუმლო ოპერაცია. ინფორმატორის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი სქესს იცვლის, ასევე იცვლის პირად მონაცემებს და ჰოლანდიელი ტურისტის სახელით აპირებს საქართველოში შემოპარვას, დაახლოებით ისე, როგორც ყვარყვარე იპარებოდა აგრაფინას კაბაში გამოწყობილი.**

ცნობილია, რომ ის აქტიურ პოლიტიკაში აპირებს ახალი ცხოვრების დაწყებას და პარტია „ქალთა გულების" შექმნას, რომლის საორგანიზაციო საკითხებში მეგი და „ის" აქტიურად არიან ჩართულები. ოპერაციის საკითხებს ქალბატონი ირინე აგვარებს, რომელიც საიდუმლო დოკუმენტების მომზადებასა და ექსპრეზიდენტის საბოლოო ვიზუალზე კონსულტაციებს მართავს. წყარო გვეუბნება, რომ ის აპირებს, ჩამოაყალიბოს ქალთა უფლებების დამცველი პოლიტიკური ცენტრი, რომელიც უმცირესობების უფლებებს დაიცავს და ყველა პრობლემაზე აქტიურად და ხმამაღლა იყვირებს, რომელსაც მისი ჯიბის მედიასაშუალებები საინფორმაციო გამოშვებაში პირველ „ნიუსად" გაუშვებენ.

რაც შეეხება ჩამოსვლის დეტალებს, მიუხედავად იმისა, რომ ის ჰოლანდიელი ტურისტის სახელით აპირებს შემოპარვას, აეროპორტში მაინც დახვდებიან „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტები, რომლებიც იტყვიან, რომ საქართველოში პირველი უცხოელი ტრანსგენდერი ჩამოვიდა. სინამდვილეში ეს იქნება მიხეილ სააკაშვილის ახალი ვიზუალის ფარული „პიარი" და სწორედ აქედან დაიწყება ყველაფერი.

ჩვენმა სკანდალურმა კორესპონდენტმა მისი ახალი გვარ-სახელიც შეიტყო — **მაშა საკი.** ყოფილი მიხეილ სააკაშვილი (ამჯერად მაშა საკი) ბიძინა ივანიშვილზე შურისძიებას აპირებს. შურისძიების ფორმა კი ბიძინას „შებმა"— ლოგინში შეტყუება — შემდეგ კი ვიდეოზე გადაღება იქნება. გეგმის მიხედვით, მაშა საკი მოინდომებს ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას, თითქოს ის მოხიბლულია მისი მეცენატობით და სურს, გამოცდილება გაიზიაროს. ირინე სარიშვილს გამზადებული აქვს ვისკი, რომელშიც საძილე პრეპარატებია შერეული და ორი ჭიქის შემდეგ ადამიანი გონებას კარგავს. სცენარის თანახმად, მას შემდეგ, რაც ბიძინა მიიძინებს, მას შეიყვანენ სპეციალურ ოთახში, სადაც გააშიშვლებენ, ხოლო ახალგამომცხვარი მაშა საკი, ფოტოკამერებისთვის მასთან დაწვება და... კომპრომატიც მზად იქნება.

სწორედ ეს არის რევანშის ახალი ფორმა, რომელიც მიხეილ სააკაშვილს აქვს დაგეგმილი და რომელსაც, სიცოცხლის ფასიც რომ დაუჯდეს, აუცილებლად განახორციელებსო, — აცხადებს წყარო.

**გრიგოლ ინგაძე**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გამთენიისას, ბრძოლის დაწყების წინ, ქართველმა მეომრებმა იხილეს ზეცაში გამოსახული წმინდა გიორგი. დიახ, მემატიანის თქმით, ამ ბრძოლაში ქართველებს წმინდა გიორგი მიუძღოდათ. ამ სასწაულის ხილვით გულანთებულ ჯარს ჩვენმა დიდმა მეფემ დავით აღმაშენებელმა შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ეჰე, მეომარნო ქრისტესანო! თუ ქვეყნისა და რჯულის გადასარჩენად ვაჟკაცურად ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ. მაშ, ვილოცოთ სამშობლოსა და ქრისტესთვის და ფიცი დავდოთ, რომ აქ, ბრძოლის ველზე, უფრო დავიხოცებით, ვიდრე აქედან შერცხვენილნი გავიქცევით“.

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-41 (368-370)

**ჯვაროსანთა გადარჩენისა და თურქთა ძირითადი ძალების თავისკენ მოზიდვის მიზნით, 1120 წლიდან დავითი დიდ გამოწვევაზე წავიდა და წამოიწყო პერმანენტული ომი. ქართველთა მეფე მოსვენებას არ აძლევდა სელჩუკთა ურდოებს. თითქმის ყოველდღე უმართავდა ომს და სდევნიდა მათ არაქართული ტერიტორიებიდანაც. ამის დასტურია, თუნდაც სომხური მიწა-წყლის შემოერთება. დავითმა ერთი წლის განმავლობაში ათზე მეტი დიდი ბრძოლა მოუგო სელჩუკებს.**

## «კარგი სარდალია ის, ვინც კარგად იყენებს ბრძოლის ველზე შექმნილ ხელსაყრელ სიტუაციას, დიდი სარდალი კი თვითონ ქმნის ასეთ სიტუაციას»

თურქები ჩვენს ქვეყანას მაინც არ ანებებდნენ თავს. დავითს ტაქტიკაც ჰქონდა შემუშავებული მათ წინააღმდეგ — შეგნებულად გადადიოდა აფხაზეთში და, როგორც კი ქართველთა მეფე თვალს მოეფარებოდა, სელჩუკთა ურდოები მაშინვე სამხრეთ საქართველოსკენ მოიწევდნენ იმ იმედით, რომ იქნებ დავითმა მათთვის ვერ „მოიცალოს“ ან იქნებ დიდთოვლობის გამო ლიხის ქედი ვერ გადმოლახოსო და ასე შემდეგ. დავითი კი მოულოდნელად ესხმოდა მათ თავს და ანადგურებდა.

**1120 წლის ზამთარი** უხვნალექიანი გამოდგა საქართველოსთვის — ლიხის ქედზე თოვლის სიმაღლე თურმე 6 მეტრს აღწევდა. თურქებს იმედი მოეცათ, ეგონათ, დიდთოვლობის გამო დავითი ვერ შეძლებდა ლაშქრობას და თრიალეთში დაბანაკდნენ. ანაკოფიიდან (ფეოდალური ხანის ციხე-ქალაქი საქართველოში, ახლანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზე) დაძრულმა მეფემ ლაშქარს „გადაათხრევინა“ თოვლი, მოულოდნელად დაესხა თავს თურქებს და აოტნა ისინი. ქართველებთან ბრძოლაში ასეულათასობით სელჩუკი დაიღუპა. დავითის ხმალს გაქცეულები კი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ საქართველოში მათი ყოველი შემოსვლა დაუსჯელი არ დარჩებოდა, ამიტომ ქართველთა წარმატებებით ისედაც გაცოფებულ სულთანს საქართველოს მიწასთან გასწორება სთხოვეს. წარგზავნილნი ჯერ სულთან **მუჰამედს** (1118–1131) ეახლნენ, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდნენ და სხვა მაჰმადიან დიდებულებსაც მიმართეს დახმარებისთვის. სელჩუკებმაც დაივიწყეს ურთიერთმტრობა, ქიშპი და საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ: „სულთანმა მოუწოდა არაბეთის მეფეს — **დუბეიზ სადაყას ძეს** და მოსცა ძე თავისი მალიქი და ყოველი ძალი მისი, და აჩინა სპასალარად ელღაზი ძე არდუხისი... და უბრძანა... ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა, ძალითა და ყოველთა სომხეთისა ამირათა“.

სულთნის მოწოდება და საქმის აღსრულება ერთი იყო. სელჩუკებმა მრავალრიცხოვანი კოალიციის შექმნა შეძლეს. ალეპოდან ხორასნამდე, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, ყველას მოუყარეს თავი და უზარმაზარი ლაშქარი სახელგანთქმულ სარდალს, „კაცს მარჯვესა და მრავალღონეს“, სულთნის მიერ ბაღდადის გამგებლად დანიშნულს, ალეპოს დამპყრობს, მარდინისა და მაიაფარაკანის მფლობელს — **ნეჯმ ად-დინ ილღაზს** ჩააბარეს. მას გვერდით ედგა სიძე (ქალიშვილის — გოჰარ ხათუნის ქმარი), არაბეთის მეფე და ქალაქ ჰილას პატრონი დუბეის სადაყას ძე; განძის, ყაზვინის, ზენჯანის და გილანისა გამგებელი, სულთნის ძე **მელიქ თოღრული** და მისი ათაბაგი **ქენთოღდი**; თურქი ამირა, ბითლისისა და ერზინკას პატრონი, ქალაქ დვინის დამპყრობი **თუღან არსლანი,** კუზიანად წოდებული.

თურქთა დაახლოებით 400-ათასიანი ლაშქარი ქვემო ქართლში შემოიჭრა. დავითი არათუ ინფორმაციას ფლობდა ილღაზის ჯარის გადაადგილებაზე, თავისი მსტოვრების მეშვეობით გავლენას ახდენდა მტრის ბანაკზე. სხვა ახსნა არ მოეძებნება სელჩუკთა სარდლის ქმედებას — მან უზარმაზარი ურდო ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე აიყვანა, მანგლის-ნიჩბისის ხევ-ხუვებში ატარა და დიდგორის ველზე დააბანაკა. რა თქმა უნდა, დიდგორზე ილღაზი ვერ გაშლიდა ჯარს და ვერ გამოიყენებდა მთავარ „კოზირს“ — რიცხობრივ უპირატესობას. ამიტომ უპრიანი იქნებოდა, სელჩუკები რუსთავის გზით თბილისისკენ დაძრულიყვნენ და გაშლილ ველზე გაემართათ გენერალური ბრძოლა.

**უამრავმა სარდალმა და სტრატეგმა შეისწავლა დიდგორის პერიპეტიები და ვერც ერთმა მოუძებნა გამართლება იმას, რა ესაქმებოდა ილღაზს დიდგორზე. როგორც ჩანს, დავითის მსტოვრების გავლენა ისე დიდი იყო სელჩუკთა ჯარის „გენშტაბში“, რომ ისინი თავისის ფეხით მივიდნენ სასაკლაოზე. დავითი ბრძოლისთვის უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა. ბუნებრივი პირობები გამორიცხავდა მტრის გამოჩენას ქართველთა ზურგში და, რაც მთავარია, მცირერიცხოვან მობილურ არმიას მეტი ლავირებისა და მანევრირების საშუალება მიეცემოდა.**



უფრო მეტიც, სელჩუკთა ლაშქარი ვიწროებში „ჩაიჭედა“ და ბრძოლის საწარმოებლად სივრცე წაერთვა. ილღაზმა დიდგორამდე ოცამდე გამარჯვება მოიპოვა ბიზანტიელებსა და ჯვაროსნებზე. ის არ შედგამდა ფეხს დიდგორის ვიწროებში, რომ არა რაღაც კონკრეტული მიზანი, რამაც მიიყვანა ის სასაკლაომდე.

სწორედ ამაში ვლინდება დავით აღმაშენებლის სიდიადე, რომ მტერსაც კი იმას აკეთებინებდა, რაც თვითონ სურდა. **დიდგორის ომი იყო დიდ არმიაზე მცირე ძალებით გამარჯვების კლასიკური მაგალითი, სამხედრო ტაქტიკის ნამდვილი შედევრი, სადაც მხედართმთავარმა ჰარმონიაში მოიყვანა სამხედრო სპეციფიკა, რომლითაც შექმნა მოულოდნელობის ფაქტორი.** „კარგი სარდალია ის, ვინც კარგად იყენებს ბრძოლის ველზე შექმნილ ხელსაყრელ სიტუაციას. დიდი სარდალი კი თვითონ ქმნის ასეთ სიტუაციას“. დავითი თვითონ იყო დიდგორის ბრძოლის „სცენარისტიც“, „დამდგმელი რეჟისორიცა“ და მთავარი მოქმედი გმირიც, ამიტომაც მოხდა დიდგორზე 1121 წლის 12 აგვისტოს, ხუთშაბათს, ღვთიური სასწაული, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც „ძლევაი საკვირველი“.

„ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ **გამთენიისას, ბრძოლის დაწყების წინ, ქართველმა მეომრებმა იხილეს ზეცაში გამოსახული წმინდა გიორგი. დიახ, მემატიანის თქმით, ამ ბრძოლაში ქართველებს წმინდა გიორგი მიუძღოდათ. ამ სასწაულის ხილვით გულანთებულ ჯარს ჩვენმა დიდმა მეფემ დავით აღმაშენებელმა შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ეჰე, მეომარნო ქრისტესანო! თუ ქვეყნისა და რჯულის გადასარჩენად ვაჟკაცურად ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ. მაშ, ვილოცოთ სამშობლოსა და ქრისტესთვის და ფიცი დავდოთ, რომ აქ, ბრძოლის ველზე, უფრო დავიხოცებით, ვიდრე აქედან შერცხვენილნი გავიქცევით“.**

მეფის მიერ მოფიქრებული „სცენარის“ მიხედვით, ქართველებს გამოეყო „ორასი ყივჩაღი“ და მტრის ბანაკისკენ დაიძრა. აი, აქ იხსნება კვანძი და ნათელი ხდება, რატომ ჩქარობდა ილღაზი დიდგორის ველზე გასვლას. როგორც ჩანს, მტრის სარდალს მისდიოდა „უტყუარი“ ცნობები, თითქოს დავითის ბანაკში არ იყო ერთიანობა. ვინაიდან ყივჩაღები და თურქები საერთო ენაზე მოლაპარაკე ერთი მოდგმის ხალხი იყო, შესაძლოა, ილღაზს ისიც მოახსენეს, რომ ყივჩაღები მზად იყვნენ, „მოძმე თურქების“ მხარეს გადასულიყვნენ, ამიტომაც ჩქარობდა გამოცდილი სარდალი დავითის ჯართან შებმას და, სანამ ქართველები გონს მოეგებოდნენ, მათ განადგურებას. ამის გამო შეუშვეს თამამად თავიანთ რიგებში სელჩუკებმა ის 200 ყივჩაღი, რომლებიც ქართველთა მეფეს „გამოეპარნენ“. ილღაზი ელოდა მოღალატე ყივჩაღებს და ვინ იცის, იქნებ გულში გამარჯვებასაც ზეიმობდა, მაგრამ...

დღეს ისტორიკოსებს შორის სერიოზული დავა და კამათია იმის თაობაზე, ვინ იყო ის ორასი მოწინავე მეომარი. ზოგი მათ ყივჩაღებად მიიჩნევს და ეჭვიც არ ეპარება, რომ ორასივე მეომარი არაქართველი იყო. ზოგიერთი ევროპელი მემატიანე კი იმ ორას ჯვაროსნად მიიჩნევს, დავითს რომ ეხმარებოდნენ დიდგორის ბრძოლაში. **სამხედრო ხელოვნების დიდი სპეციალისტი, აკადემიკოსი, გენერალ-ლეიტენანტი ირაკლი ჯორჯაძე თვლის, რომ იმ ორას კაცში იყვნენ ქართველებიც, ყივჩაღებიცა და ჯვაროსნებიც. ინფორმაციათა შეჯერებით დგინდება, რომ დავითმა თავის ლაშქარში შეარჩია ორასი საუკეთესო მეომარი, გადააცვა მათ ყივჩაღთა ტანსაცმელი და გაუშვა მტრის ბანაკისკენ.**

მართალია, დავითი საქართველოში ჩამოსახლებულ ყივჩაღებზე დიდ იმედს ამყარებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ბოლომდე მა- ▶

## იცით თუ არა, რომ:

ქალაქი-სახელმწიფო **სინგაპურის** სახელწოდება ითარგმნება, როგორც „ლომების ქალაქი“. ლეგენდის თანახმად, ის ინდოეთიდან გადმოსულ ახალმოსახლეებს დაუარსებიათ ზუსტად იქ, სადაც გადააწყდნენ აზიისთვის იშვიათ ცხოველებს — ლომებს.



1571 წელს ლეპანტოს ბრძოლაში **მიგელ დე სერვანტეს საავედრამ** მარცხენა ხელი დაკარგა და თურქებს ტყვედ ჩაუვარდა.



მზე ჩვენგან 140 მილიონ კილომეტრზეა. სინათლე 8 წუთს ანდომებს ამ მანძილის გავლას. ბგერა უფრო ნელა მოძრაობს. მაგალითად, შესაძლებელი რომ იყოს და მზეზე ზარბაზანი გაისროლონ, მისი ხმა 14 წლის შემდეგ მოაღწევდა ჩვენს ყურამდე.



მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დიდგორის ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ საქართველომ და მისმა „მესიის მახვილად“ წოდებულმა მეფემ ქრისტიანული სამყაროს ჰეგემონობაზე განაცხადეს პრეტენზია (გრაალის თასში ქრისტეს სისხლი ესხა და ასეთი სიწმინდის მფლობელი მეფე თავისთავად სხვათაგან გამორჩეული ხდებოდა).

◀ ინც არ ენდობოდა. ამის ნათელი დასტურია ქართველთა ლაშქრის ეროვნული შემადგენლობა. **მიუხედავად იმისა, რომ დავითს 40 ათასამდე კბილებამდე შეიარაღებული ყივჩაღი ედგა გვერდით, დიდგორის ბრძოლაში მხოლოდ 15 ათასი გამოიყვანა. მათ გარდა იყო 40 ათასი ქართველი, 200 ჯვაროსანი რაინდი, 500-მდე დაქირავებული ალანი და ჩრდილოკავკასიელი. ბუნებრივია, ასეთ დიდ და საპასუხისმგებლო საქმეს, რომელზეც არა მხოლოდ ბრძოლის, არამედ ქვეყნის ბედიც იყო დამოკიდებული, მხოლოდ ყივჩაღებს არ მიანდობდა.**

ანალოგიური რამ ითქმის ჯვაროსნებზეც. მათ სელჩუკებთან იმდენი მარცხი იწვნიეს, რომ შიშის ფაქტორი არ მისცემდა დიდი ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებას. ჯვაროსნების დიდგორზე ყოფნას უფრო სიმბოლური დატვირთვა და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, თორემ ორასამდე ჯვაროსანი ნამდვილად არ იყო სელჩუკთა მომრევი ძალა. ქართველებზე უფრო მეტად ჯვაროსნებისთვის იყო მნიშვნელოვანი დიდგორის ომში მონაწილეობა, რადგან, ამდენი დამარცხებისგან გულგატეხილთ, უნდა ერწმუნათ, რომ ილღაზის დამარცხებაც იყო შესაძლებელი.

მაშ ასე, ქართველთა ლაშქარს გამოეყო 200 საუკეთესო მეომარი, რომლებმაც საოცრება დაატრიალეს მტრის ბანაკში და, სანამ ძირითადი ლაშქარი ჩაებმებოდა ბრძოლაში, ფაქტობრივად, უზრუნველყვეს ქართველთა გამარჯვება. მტერი ნამდვილად არ ელოდა, ერთი მუჭა ხალხი მათთან შებმას თუ გაბედავდა. ამან მტრის რიგებში დაბნეულობა და პანიკა გამოიწვია. მეფე დავითმა — მარჯვენა, ხოლო უფლისწულმა **დემეტრემ** მარცხენა ფლანგიდან შეუტიეს მტერს და მარწუხებში მოაქციეს. სელჩუკებმა ხმლის შეუბრუნებლად, გაქცევით უშველეს თავს. თუმცა ქართველებმა ბოლომდე მისდიეს მტერს და, მანამ არ ჩაუგიათ ხმალი ქარქაშში, სანამ უკანასკნელმა თურქმა არ დატოვა საქართველოს საზღვარი.

სელჩუკთა არმიის თითქმის 1/3 ბრძოლის ველზე დაიღუპა. ქართველებმა აურაცხელი ტყვე და ალაფი ჩაიგდეს ხელთ (მათ შორის ყველაზე ფასეული იყო ქალაქ ჰილას მბრძანებლის, არაბთა მეფის კუთვნილი ძვირფასი ქვებით მოჭედილი ოქროს „მანიაკი“, რომელიც აღმაშენებელმა გელათის მონასტერს შესწირა). მტრის მხოლოდ მცირე ნაწილმა გააღწია სამშვიდობოს. მათ შორის იყო მათი სარდალიც — ად დინ ილღაზიც.

დიდგორის გამარჯვებამ უდიდესი დადებითი შედეგები მოიტანა:

**1.** საბოლოოდ დაემხო მუსლიმანური კოალიცია. სელჩუკები ველარ ახერხებენ მსგავსი კოალიციის შეკოწიწებას. ცალკეული ამირისა და ათაბაგის საქართველოში შემოჭრა უკვე აღარ იყო მასშტაბური;

**2.** დიდგორის კატასტროფით საბოლოოდ შეერყა საფუძველი თურქ-სელჩუკთა ძლიერებას და ერთ დროს ძლევამოსილი და უზარმაზარი იმპერია ანარქიის ჭაობში ჩაეფლო, ანუ თურქები აღარ იყვნენ საშიშნი არა მხოლოდ ქართველებისთვის, არამედ ჯვაროსნებისა და ბიზანტიელებისთვისაც;

**3.** მსოფლიოში შეიცვალა ძალთა ბალანსი და ასპარეზზე გამოვიდა უძლიერესი სახელწიფო — საქართველო. დასავლეთ ევროპაში სწორედ დიდგორის ბრძოლის შემდეგ მოიხვეჭა პოპულარობა ლეგენდამ დაუმარცხებელი იოანე პრესვიტერის შესახებ. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ დავით მეფეს მიაწერენ წმინდა გრაალის თასის დაუფლებასა და მის საქართველოში ჩამოტანის ამბავს.



**ამ „ზღაპრული თქმულებების“ უკან იკითხება აშკარა რეალობაც — დიდგორის ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ საქართველომ და მისმა „მესიის მახვილად“ წოდებულმა მეფემ ქრისტიანული სამყაროს ჰეგემონობაზე განაცხადეს პრეტენზია (გრაალის თასში ქრისტეს სისხლი ესხა და ასეთი სიწმინდის მფლობელი მეფე თავისთავად სხვათაგან გამორჩეული ხდებოდა);**

**4.** ცნობილი არაბი მემატიანე **ალ-ფარიკი** წერდა: „დიდგორით დიდი გული აქვთ ქართველთ“. ნამდვილად ასეა, დიდგორი ჩვენი დიდი იმედიც არის და, შეიძლება ითქვას, რომ 12 აგვისტო საქართველოს „მეორედ დაბადების“ თარიღია, მაგრამ დიდგორზე, მარტო საქართველოს ბედი კი არა, ბიზანტიისა და ჯვაროსნების ბედიც გადაწყდა. თურქული კოალიციის დამარცხებით საკმაოდ დიდი ხნით შეწყდა თავდასხმები პალესტინაში არსებულ ციხესიმაგრეებზე. მუსლიმანურ სამყაროს უკვე აღარ შესწევდა ძალა, ერთდროულად ორ ფრონტზე ებრძოლა: საქართველოსა და ჯვაროსნების წინააღმდეგ;

**5.** დიდგორის ბრძოლამ შეუქცევადი გახადა საქართველოს გაერთიანების პროცესი. მართლაც, დავითმა რამდენიმე თვეში დაიბრუნა თბილისი და დმანისი. 1124 წელს დაიკავა შირვანი და შექმნა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული კავკასიური იმპერია;

**6.** დიდგორის ველზე მტერმა აურაცხელი სიმდიდრე დატოვა. ოქროს ნივთებს, ფულსა და თვალ-მარგალიტს თავი რომ დავანებოთ (რომელიც მაშინდელი სამეფო ხაზინას მრავალჯერ აღემატებოდა), ქართველებს ხელში ჩაუვარდათ დიდი რაოდენობის საბრძოლო იარაღი და ალკაზმულობა, ჯავშანი, ცხენი, ჯორ-აქლემი. დაახლოებით 200 ათასამდე სული პირუტყვი იგდეს ხელთ გამარჯვებულებმა, რაც, საერთო ჯამში, დიდ სიმდიდრეს წარმოადგენდა;

**7.** ქართველებმა უამრავი სელჩუკი დაატყვევეს. მათი დიდი ნაწილი, შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ, მაშინვე გამოიხსნეს (თუმცა თითო-ოროლა წლების განმავლობაში ისევ დილეგში იმყოფებოდა. დიდგორის ბრძოლიდან თითქმის 33 წლის შემდეგაც, 1154 წელს, საქართველოში სტუმრად ჩამოსულმა არაბმა მემატიანემ ალ-ფარიკმა საკუთარი თვალით იხილა ილღაზის დატყვევებული თანამებრძოლები). ამ გზითაც ქვეყანამ სოლიდური თანხა მოაგროვა;

**8.** ქვეყნის შიგნით შეიცვალა დავითის მიმართ დამოკიდებულება. თუ მანამდე კიდევ იყვნენ „მაბრალობელნი“ (ანუ მეფის ოპოზიცია), რომლებსაც ეჭვი ეპარებოდათ ხელმწიფის მიერ განხორციელებული რეფორმების მართებულობაში, დიდგორის ომის შემდეგ ყველამ შეიგნო, რომ ამ რეფორმებმა საქართველო ძლევამოსილ ქვეყნად აქცია.

**ამ ომმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა სამხედრო ხელოვნებაშიც. თუ მანამდე პროფესიული არმიის ყოლა დიდი კითხვის ქვეშ იდგა, ამის შემდეგ უკვე ნათელი შეიქნა, რომ ერთი პროფესიონალი მეომარი 5-6 არაპროფესიონალს ჯაბნიდა. ანტიკური ხანის ბერძნული პოლისების, ფინიკიისა და კართაგენის არმიების ძირითად ბირთვს დაქირავებული პროფესიონალი მეომრები შეადგენდნენ, მაგრამ შუა საუკუნეებში ყველაფერი თავდაყირა დადგა.** ფეოდალურმა სისტემამ გლეხი და ხელოსანი მეომრად აქცია. ამით, მართალია, ერთიათად გაიზარდა მებრძოლთა ოდენობა, მარამ ეს ის შემთხვევაა, როცა ოდენობამ ვერ გადაფარა ხარისხი.

დავითის სამხედრო რეფორმა პროფესიული არმიის ფორმირებას ითვალისწინებდა. ამ მიზნით ჩამოასახლეს საქართველოში ყივჩაღთა 40 ათასი ოჯახი (მათ ხომ, ომის წარმოების გარდა, სხვა ხელობა არ ჰქონდათ). ეს რეფორმა დიდგორის ბრძოლის დროს დასრულებული იყო და 56 ათას კაცში (რომელიც დავითის ბანაკში იდგა) უმრავლესობა პროფესიონალი მეომარი გახლდათ. თვით ასეთი დიდი განსაცდელის ჟამსაც კი მეფემ არ ისურვა „ქუდზე კაცის“ ლაშქარში ხმობა და იმ ადამიანების იმედად დარჩა, რომლებმაც ომის „ქიციც იცოდა და ქიცმაცურიც“.

კიდევ ერთი ნიუანსი იქცევს ჩვენს ყურადღებას: დავითმა უკან დასახევი გზა ჩაუხერგა თავის მეომრებს, რათა გაქცევაზე არავის ეფიქრა. ასეთ შემთხვევაში თვით ბუნებით ყველაზე ლაჩარიც კი გულადი ხდება. აქედანაც ჩანს, რომ აღმაშენებელი არა მხოლოდ დიდი სტრატეგი ან სახელწიფო მოღვაწე იყო, არამედ კარგი ფსიქოლოგიც.

ასევე ირკვევა, რომ დავითი მხოლოდ დიდგორის ბრძოლაში გამოყვანილი 56 ათასი კაცის იმედად არ იყო. მან „ყოველი შემთხვევისთვის“ შიდა ქართლში 40-ათასიანი არმია დატოვა (მათ შორის იყო 25 ათასი ყივჩაღიც), ანუ დიდმა მეფემ ისიც კი გათვალა, როგორ მოქცეულიყო დამარცხების შემთხვევაში. რეზერვში მყოფი ლაშქარი ამოქმედდებოდა და ის გაუმართავდა ახალ ბრძოლას სელჩუკებს. მსგავსი რამ უცხო იყო დავითის ეპოქისთვის და სარეზერვო ჯარის პრეცედენტის დაშვებით აღმაშენებელმა თავის ეპოქას ამჯერადაც გაუსწრო.

**(გაგრძელება იქნება)**

**ვანო სულორი**

**ქართველთა ლაშქარს გამოეყო 200 საუკეთესო მეომარი, რომლებმაც საოცრება დაატრიალეს მტრის ბანაკში და, სანამ ძირითადი ლაშქარი ჩაებმებოდა ბრძოლაში, ფაქტობრივად, უზრუნველყვეს ქართველთა გამარჯვება. მტერი ნამდვილად არ ელოდა, ერთი მუჭა ხალხი მათთან შებმას თუ გაბედავდა. ამან მტრის რიგებში დაბნეულობა და პანიკა გამოიწვია. მეფე დავითმა — მარჯვენა, ხოლო უფლისწულმა დემეტრემ მარცხენა ფლანგიდან შეუტიეს მტერს და მარწუხებში მოაქციეს. სელჩუკებმა ხმლის შეუბრუნებლად, გაქცევით უშველეს თავს. ქართველებმა ბოლომდე მისდიეს მტერს და, მანამ არ ჩაუგიათ ხმალი ქარქაშში, სანამ უკანასკნელმა თურქმა არ დატოვა საქართველოს საზღვარი**



## მარკუს ტულიუს ციცერონი

**რომაელი ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე ძვ.წ. 106–63 წ.წ.**

ხალხის კეთილდღეობა უმაღლესი კანონია.

* * *

**ჩვენ კანონის მონები უნდა ვიყოთ, თუ გვინდა, რომ თავისუფალი დავრჩეთ.**

* * *

სახლი, რომელშიც წიგნი არ არის, უსულო ორგანიზმს ჰგავს.

* * *

**არ შეიძლება გიყვარდეს ის, ვისიც გეშინია, და არც ის — ვისაც შენი ეშინია.**

* * *

როდესაც იარაღი ბობოქრობს, მაშინ კანონი დუმს.

* * *

**ორატორის დიდი მიღწევაა არა მხოლოდ ის, თქვას, რაც საჭიროა, არამედ არ თქვას ის, რაც არ არის საჭირო.**

* * *

შეცდომა ადამიანურია, პატიება კი — ღვთაებრივი.

* * *

**დიდი პიროვნება რომ სცნო, თვითონაც რაღაცას უნდა წარმოადგენდე.**

* * *

როცა აწმყოში სატრაბახო არაფერი აქვთ, წარსული საქმეებით ტრაბახობენ.

* * *

**დაეუფლე სიბრძნეს, არ არის საკმარისი, მთავარია, იცოდე მისი გამოყენება.**

* * *

ყველაფერი მცირედან იწყება.

* * *

**ყველაფერი, რაც გამაჩნია, თან დამაქვს — ჩემი ქონება ჩემი ცოდნაა.**

* * *

მატყუარას არც მაშინ დაეჯერება, როცა სიმართლეს ამბობს.

* * *

**სამართლიანობა სიბრძნის გარეშეც ნიშნავს რამეს, სიბრძნე კი სამართლიანობის გარეშე არაფერს ნიშნავს.**

* * *

შეცდომას ყველა უშვებს, მაგრამ, ვინც შეცდომას იცავს, სულელია.

* * *

**ქაღალდი ყველაფერს ითმენს (არ წითლდება).**

## იცით თუ არა, რომ:

მსოფლიოში პოპულარულ ფრანგულ სადესერტო ღვინო „მუსკატს“ საქართველოდან გატანილი ყურძნის ჯიშისგან ამზადებენ. ეს მოხდა ძალიან დიდი ხნის წინათ. საქართველოში დღესაც ხარობს ვაზის ჯიში, რომელსაც ისეთი თხელი კანი აქვს, რომ მწიფობისას სკდება და ბუზი ეხვევა. ჩვენმა წინაპრებმა ამიტომაც შეარქვეს „ბუზის ყურძენი“, ხოლო ევროპელებმა ამ ჯიშს მუსკატი უწოდეს (მუსკი ლათინურად ბუზია).




ბანქოს 52 ცალი ქაღალდი შეესაბამება წელიწადის კვირათა ოდენობას. ოთხი ფერი გამოხატავს წელიწადის ოთხ დროს და, რადგან წელიწადის თითოეული დრო შედგება 13 კვირისგან, ამიტომ თითოეული სახის 13 ბანქოა.



იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ექსპედიციისას ბერძენ არქიმანდრიტს, რომელიც ქართველ მეცნიერებს რუსთაველის ფრესკის მოძიებაში ხელს უშლიდა, **აკაკი შანიძემ** „არქიბანდიტი“ შეარქვა.



გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ზოგიერთს ეგონა, რომ რევოლუციის შემდგომ ცა მოიწმინდებოდა და მზე გამოანათებდა, მაგრამ, საუბედუროდ, ასე არ მოხდა. თუ სმოლნში და მის მიმდებარე მოედნებზე გამარჯვებას ზეიმობდნენ, რუსეთის განაპირა მხარეებში კვლავ ილესებოდა ხმლები და იტენებოდა ზარბაზნები. ქვეყანა მალე გაეხვია სამოქალაქო ომის ქარცეცხლში. კატასტროფა უსწრაფესად მოიწევდა ქვეყნის შუაგულისკენ. სამოქალაქო ომმა გაუსაძლისი შიმშილი გამოიწვია ქვეყანაში. მდგომარეობა ყველაზე მეტად სამხრეთში გართულდა — კაზაკებმა და თეთრგვარდიელებმა გადაწყვიტეს, ცენტრალური რუსეთისთვის სამხრეთიდან გადაეჭრათ პურით მომარაგების ძირითადი არტერია. რევოლუციის მონაპოვარი აშკარა საფრთხის წინაშე დადგა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41 (370)

# სტალინი — რევოლუციის, რუსეთისა და მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი

**რევოლუციის მომზადებისა და მისი ტრიუმფით დასრულების მთავარი შემოქმედი, როგორც აღვნიშნეთ, სტალინი იყო. უცხოეთის იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტების მიერ მოსყიდული ანტირევოლუციური ბანდა ინაწილებდა ულუფებს იმ უზარმაზარი ნანადირევისა, რომელსაც რუსეთის იმპერია ერქვა ოდესღაც.**



სტალინი, ლენინი და ტროცკი

ყოველთვის თავდაჭერილი, დინჯი და თავმოყვარე სტალინი არ ჩართულა ამ მეტად მტკივნეულ აქციებში. არც არავის გახსენებია, ისე გაინაწილეს ძირითადი დარგები და მხარეები. ებრაული კლანი დირექტივას დირექტივაზე იღებდა უცხოეთიდან, თუ რომელ პრინციპებს უნდა დაფუძნებოდა რუსეთის მართვის სტრატეგია.

**სამინისტროების, კომიტეტებისა და მხარეების განაწილება დასრულდა, მაგრამ სტალინს არაფერი შეხვედრია — არათუ კომიტეტი და დარგი, ოთახი და სკამიც კი. ბოლოს ნამუს და სინდისდაკარგულმა ბრბოთა კრებულმა გასართობი მოუძებნა სტალინს და შეუკოწიწა სახელდახელოდ გამოგონილი ეროვნებების საკითხთა კომისარიატი, რომელსაც კრემლში ერთი ოთახი, ერთი სკამი და ერთი პირადი მდივანი გამოუყვეს ერთი საბეჭდი მანქანით.**

სტალინს ეჭვიც არ გასჩენია, რომ უპატივცემულოდ მოექცნენ და არ დააფასეს — ღირსეულად მიიღო შემოთავაზება და საქმიანობასაც შეუდგა. მას, გარდა კომისარიატის ხელმძღვანელობისა, სხვა სამსახურიც ჰქონდა — მუდმივი და შეუცვლელი. ის იყო სტალინი.

1917 წელი მალე მიილია, დადგა 1918. **ზოგიერთს ეგონა, რომ რევოლუციის შემდგომ ცა მოიწმინდებოდა და მზე გამოანათებდა, მაგრამ, საუბედუროდ, ასე არ მოხდა. თუ სმოლნში და მის მიმდებარე მოედნებზე გამარჯვებას ზეიმობდნენ, რუსეთის განაპირა მხარეებში კვლავ ილესებოდა ხმლები და იტენებოდა ზარბაზნები. ქვეყანა მალე გაეხვია სამოქალაქო ომის ქარცეცხლში. კატასტროფა უსწრაფესად მოიწევდა ქვეყნის შუაგულისკენ. სამოქალაქო ომმა გაუსაძლისი შიმშილი გამოიწვია ქვეყანაში. მდგომარეობა ყველაზე მეტად სამხრეთში გართულდა — კაზაკებმა და თეთრგვარდიელებმა გადაწყვიტეს, ცენტრალური რუსეთისთვის სამხრეთიდან გადაეჭრათ პურით მომარაგების ძირითადი არტერია. რევოლუციის მონაპოვარი აშკარა საფრთხის წინაშე დადგა.**

ტროცკიმ და მისმა ბანდამ ფარული თათბირისა და ლენინთან გამართული კონსულტაციების შემდეგ გადაწყვიტეს, არა ომის მოსაგებად, არამედ სამხრეთიდან პეტროგრადისა და მოსკოვის სურსათ-სანოვაგით მომარაგების მიზნით, სამხრეთის მიმართულებით მიევლინებინათ სტალინი.

**შეთქმულთა ჯგუფი იმედოვნებდა: თუ სტალინი პურ-პროდუქტებით ვერ შეძლებდა პეტროგრადისა და მოსკოვის უზრუნველყოფას, სამაგიეროდ, მისი ხასიათიდან გამომდინარე, კონფრონტაციას დაიწყებდა ფრონტის სარდლებთან და შედეგად სიცოცხლესაც დაასრულებდა.**

ამით ტროცკისტ-შეთქმულთა ოცნება, სტალინი ჩამოეშორებინათ როგორც რევოლუციის მონაპოვრისთვის, ისე ხელისუფლებისთვის, ბუნებრივად განხორციელდებოდა. შეთქმულებმა ლენინი გადაიბირეს და სტალინს უბრძანეს სამხრეთში გამგზავრება. შეუქმნეს კიდეც შემდეგი სახის რწმუნებულება:

**„სახალხო კომისართა საბჭოს სახალხო კომისარი სტალინი ინიშნება სურსათ-მომარაგების საერთო ხელმძღვანელად, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს სამდინარო და საზღვაო ფლოტი, ფოსტა-ტელეგრაფი, სასურსათო ორგანოებში მოქმედი ყველა კომისარი და ემისარი, რომლებიც დაქვემდებარებულნი არიან ამ საქმეში, და შეასრულონ სტალინის განკარგულება“.**

**სახალხო საბჭოს თავმჯდომარე: ი. ლენინი**

**1918 წ. 31 მაისი. №324“ (აღ. 1, საქმე № 1002).**

ორი დაჯავშნილი მანქანითა და თავისი ახლო მეგობრებით სტალინი რუსეთის სამხრეთისკენ გაეშურა. თუ გამცილებლებს ეგონათ, რომ სტალინს უკანასკნელად უქნევდნენ ხელს, თვითონ სტალინი ამაზე ერთხელაც არ დაფიქრებულა. ის სამხრეთში მიდიოდა იმისთვის, რომ სურსათ-სანოვაგით მოემარაგებინა მოსკოვისა და პეტროგრადის მოსახლეობა, რათა შიმშილისგან არ დახოცილიყვნენ ამ ორ მეგაპოლისში მცხოვრები ადამიანები.

ცარიცინში (შემდეგ — სტალინგრადი, ამჟამად — ვოლგოგრადი) სტალინს დახვდა წარმოუდგენელი ქაოსი და უდისციპლინობა არა მხოლოდ მომარაგების საკითხებში, არამედ ადგილობრივ პარტიულ და სამხედრო უწყებებშიც. ყოველივე ეს სტალინს ხელს უშლიდა თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებაში. წინააღმდეგობა, ძირითადად, მომდინარეობდა თეთრგვარდიელთა ანტირევოლუციური განწყობილებიდან, რომელსაც დაუფარავად ავლენდნენ არა მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, არამედ ქუჩის აქციებშიც, ამას ერთვოდა გერმანელ ოკუპანტთა აქტიური მოქმედება უკრაინაში.

კონტრრევოლუციური ბანდები, რომლებმაც დაიკავეს ცარიცინის პურით მდიდარი განაპირა რაიონები, აფერხებდნენ არა მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთის მომარაგებას, არამედ აუტანელ პირობებში ამყოფებდნენ ცარიცინსაც.

**მემარცხენე ესერების აქტიური გამოსვლების შედეგად მძიმე მდგომარეობაში იყო მოსკოვი. აღმოსავლეთში აქტიურობდა მურავიოვი, ურალში იზრდებოდა და მტკიცდებოდა კონტრრევოლუცია. დიდი ბრიტანეთი ემზადებოდა ბაქოს ნავთის სარეწების ხელში ჩასაგდებად. ცეცხლის რკალში მოექცა სრულიად რუსეთი, ცოტაც და აგიზგიზებულ ცეცხლში რევოლუციის მონაპოვარი რუსეთთან ერთად შთაინთქმებოდა.**

რევოლუცია განიცდიდა უსასტიკეს და ულმობელ გამოცდას.

უწყვეტ ნაკადად მოფრინავდა და მიფრინავდა დეპეშები პეტერბურგსა და ცარიცინს შორის. ბოლშევიკებს წერილის გასაგზავნი ორი მისამართი ჰქონდათ — პეტროგრადი და ცარიცინი. დეპეშები იგზავნებოდა როგორც ლენინის, ისე სტალინის სახელზე ქვეყნის მთელი ტერიტორიიდან. ლენინი განსაკუთრებით დაინტერესებულია ცარიცინით, რადგან იქ ორი პრობლემა უნდა გადაწყდეს — **დამარცხდეს კონტრრევოლუცია და ხელისუფლებას ჩამოშორდეს სტალინი.**

სტალინი ცეცხლის ალშია გახვეული და თითქოს შეშინებული უნდა იყოს, მაგრამ მან დიდი ხნის წინათ დაკარგა შიშის განცდა. სტალინი დარწმუნდა, რომ ამ ცეცხლის რკალიდან გამოსვლა შეუძლებელი იყო სამხედრო ძალის გამოუყენებლად, რისთვისაც სჭირდება არა იმის ნებართვა, რომ ხორბალი გაუგზავნოს ცენტრს, არამედ რწმუნებულება ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად. მას სჭირდება სამხედრო რწმუნებულება, რათა დაიცვას პარტია და სამშობლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტალინმა, ყოველგვარი ფამილარობის გარეშე, პირდაპირი სატელეფონო ხაზით მიმართა ლენინს:

**„ექვსში ჩამოვედი ცარიცინს. ცარიცინში, ასტრახანში, სარატოვში გამეფებულია აღვირახსნილობა და სპეკულაცია. ცარიცინში შემოვაღებინე საბარათო სისტემა და მტკიცე ფასები. მიუხედავად ადგილობრივი კოლეგიების პროტესტისა, იძულებული ვარ, დავაყენო სპეციალური კომისრები, რომლებიც უკვე ამყარებენ წესრიგს“.**

სტალინი შეუდგა ლენინის მიერ შექმნილი სოციალისტური განვითარების მოდელის რეკონსტრუქციას. ამის პირველი პრეცენდენტი თავისუფალ ფასებს, სპეკულაციასა და ნეპს (ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას) შეეხებოდა.

სტალინმა ფრონტიდან კვლავ შეიტანა შესწორება ლენინისა და ტროცკის მიერ შემუშავებულ რევოლუციისთვის ღალატის მოწყობის პროგრამაში და ბრძანების ტონით მიუთითა ცენტრს:

**„გადაეცით შმიდტს, აღარ გამოგზავნოს თალლითები, კობზევმა განკარგულება გასცეს, რომ კოლეგიებმა ვორონეჟში დაბრკოლებები არ შეუქმნან ჩემს რწმუნებულებს“.**

სტალინის შეგონებას კრემლში თითქმის არ მიაპყრეს ყურადღება და, შესაბამისად, პასუხი არ გასცეს, ამიტომ სტალინმა უფრო მრისხანე და ყურადსაღები მითითებები მისცა ლენინს:

**„ვინაიდან განაპირა მხარეების კავშირი ცენტრთან სუსტია, საჭიროა, ადგილზე გვყავდეს დიდი რწმუნებით აღჭურვილი პირი სასწრაფო ზომების დროულად მისაღებად და, თუ ამ მიზნით დანიშნავთ ვინმეს (ვინც უნდა იყოს), მაცნობეთ პირდაპირი ხაზით და მანდატიც ამგვარად გადმოეცით“.**

ლენინს ეს რწმუნებულება, წესით, სტალინისთვის უნდა მიეცა, მაგრამ შეთქმულნი ასე არ ფიქრობდნენ. მათთვის სჯობდა, დაკარგულიყო ცარიცინი და სამხრეთიც, თუ მათთან ერთად დაიკარგებოდა სტალინიც. თუმცა სტალინმა კარგად იცოდა, რომ ეს რწმუნებულება მას (ლენინს) მიცემული ჰქონდა ტროცკისთვის და, რომ ფრონტს განაგებდა ტროცკი და არა სტალინი, რომ ფრონტის წარმატებებსა თუ წარუმატებლობაზე პასუხს აგებდა ტროცკი და არა სტალინი.

სტალინმა მტკიცედ გადაწყვიტა, კრემლის ეს დუმილი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრის აშკარა ღალატის ტოლფასი იყო, ყველასთვის ეცნობებინა. მან გადაწყვიტა, გამოემზეურებინა, როგორ უღალატა ტროცკის ბანდამ რევოლუციას. ეს უნდა სცოდნოდა არა მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიას, არამედ სრულიად ქვეყანას და სწორედ ცარიცინიდან გაუხსნა ცეცხლი სტალინმა ცენტრს.

**1918 წლის 10 ივლისს სტალინი კვლავ ხაზს უსვამს ცენტრის მოღალატეობრივ პოზიციას და ლენინს მიმართავს:**

„რამდენიმე სიტყვა.

თუ ტროცკიმ წინდაუხედავად და განურჩევლად მისცა მანდატები ტრიფონოვს (დონის ოლქი), ავტონომოვს (ყუბანის ოლქი), კოპეს (სტავროპოლი), საფრანგეთის მისიის წევრებს (რომლებმაც დაპატიმრება დაიმსახურეს) და სხვებს, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ერთი თვის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაფე- ▶

**«ზოგი ეჭვქვეშ აყენებს ცარიცინში დაწყებულ რეპრესიებს. მე, ყოველივე ამის მნახველს, შემიძლია განვაცხადო, რომ ცარიცინში იმხანად, როდესაც სტალინის აქტიური მოქმედებით მოსალოდნელი იყო კონტრრევოლუციის სრული ლიკვიდაცია, მოსკოვმა გადაწყვიტა, დახმარებოდა კონტრრევოლუციონერებს და დიდძალი ფული გამოუგზავნა აჯანყებულებს ფარულად»**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეთქმულთა ჯგუფი იმედოვნებდა: თუ სტალინი პურ-პროდუქტებით ვერ შეძლებდა პეტროგრადისა მოსკოვის უზრუნველყოფას, სამაგიეროდ, მისი ხასიათიდან გამომდინარე, კონფრონტაციას დაიწყებდა ფრონტის სარდლებთან და შედეგად სიცოცხლესაც დაასრულებდა. ამით ტროცკისტ-შეთქმულთა ოცნება, სტალინი ჩამოეშორებინათ როგორც რევოლუციის მონაპოვრისთვის, ისე ხელისუფლებისთვის, ბუნებრივად განხორციელდებოდა. შეთქმულებმა ლენინი გადაიბირეს და სტალინს უბრძანეს სამხრეთში გამგზავრება.**

◀ რი დაირღვევა და ამ მხარეს საბოლოოდ დავკარგავთ...

**საქმის სასარგებლოდ ჩემთვის აუცილებელია რწმუნებანი. უკვე მოგწერეთ ამის შესახებ, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ძალიან კარგი. რაკი ასეა, მე თვითონ ფორმალობის დაუცველად ჩამოვაგდებ არმიების იმ სარდლებსა და კომისრებს, რომლებიც საქმეს დაღუპავენ, ასე მკარნახობს საქმის ინტერესი და, რასაკვირველია, ტროცკის ქაღალდის ნაგლეჯის უქონლობა ვერ შემაჩერებს".**

არ ვიცი, ვინ როგორ იფიქრებს, მაგრამ ჩემთვის სტალინის წერილის ეს რამდენიმესიტყვიანი მონაკვეთი ნებისმიერი ომის მოგების ტოლფასია. ეს ჰიმნია სტალინის პიროვნულ ღირსებებზე. პიროვნებაზე, რომელიც ადამიანის ენით ლაპარაკობს და ღმერთივით მოქმედებს.

ცარიცინში სტალინი მოგვევლინა უდიდეს სამხედრო სპეციალისტად, რომელსაც არ ჰქონდა არავითარი სამხედრო ცოდნა და გამოცდილება, მაგრამ მისი ზეციური ნიჭი ქმნიდა ნოყიერ ნიადაგს იმისა, რომ ყველგან და ყოველთვის პირველი ყოფილიყო.

საინტერესოა საარქივო მასალა, რომელიც თარიღდება 1919 წლის 3 თებერვლით და რომელშიც მოცემულია თეთრგვარდიელთა ჟურნალ „დონის ტალღაში" სტალინზე გამოქვეყნებული წერილი.

აი როგორ აფასებენ თეთრგვარდიელები თავიანთ ვერაგ მოწინააღმდეგე სტალინს:

**„მთავარი დავალება სტალინისა იყო ის, რომ მოემარაგებინა სურსათ-სანოვაგით ჩრდილოეთის გუბერნიები და ამ დავალების შესასრულებლად მიღებული ჰქონდა კიდეც შესაბამისი რწმუნებულება. ამის საწინააღმდეგოდ ჩვენ ქვეყანას მოვწყვიტეთ ცარიცინი და ბლოკადაში მოვაქციეთ. სტალინს რუსეთთან დასაკავშირებლად მხოლოდ და მხოლოდ ერთი გზა დარჩა — მდინარე ვოლგა. სამხრეთში მოხალისეთა გააქტიურებამ კიდევ უფრო გაართულა სტალინის მდგომარეობა. მისი მიმოწერა ცენტრთან იმის დასტურს იძლევა, რომ სტალინს სამხრეთის მიმართულებით სრული ფიასკო უნდა განეცადა.**

**მაგრამ შეუძლებელია, წარმოიდგინო კაცი, როგორიც იყო სტალინი. მისი ყველა ქმედება ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება. თითქოს ჩვეულებრივი ქმედებებით იწყებს საქმის კეთებას, მაგრამ მიზანს აღწევს. სიმართლე უნდა ითქვას, რომ წარსულში ცნობილი ნებისმიერი დიქტატორიც კი ვერ შეძლებდა იმას, რაც სტალინმა შეძლო შექმნილი სიტუაციიდან გამოსასვლელად.**

**მამა და ორი შვილი სერბეთის პოლკის მეშვეობით ცდილობდნენ, გაეშალათ კონტრრევოლუციური საქმიანობა, მაგრამ სტალინის ფხიზელ თვალსა და მის მიერ შექმნილ საგანგებო კომისიას მცირე დრო დასჭირდა, მიეგნო იმ ბუდისთვის, რომელშიც ტროცკის შხამიანი გველის წიწილები იჩეკებოდნენ. ალექსეევებისა და მათი ჯგუფის საქმიანობა გამოაშკარავდა. იმისათვის, რომ სამაგალითო ყოფილიყო რევოლუციის მტრების მიმართ ულმობლობა, სტალინმა მთელ ქალაქს გააცნო ინფორმაცია მათი მოქმედების შესახებ, ხოლო, როდესაც კონტრრევოლუციონერები დააპატიმრეს, დამნაშავეთა დასჯის ბრძანების პროექტს ერთსიტყვიანი რეზოლუცია დაადო: „დაიხვრიტონ!". ალექსეევი, მისი ორი ვაჟი და მათზე მიტმასნილი თეთრგვარდიელი თუ კაზაკი მეამბოხეები სასამართლოს გარეშე საველე პირობებში დახვრიტეს**



სტალინი და ვოროშილოვი ცარიცინის ფრონტზე

იმ შემთხვევაში, თუ ფრონტის საქმეებს ცოტა ხნით მოსწყდებოდა, შემოუვლიდა ქალაქის ყველა უბანსა და უწყებას — სამოქალაქოსა და სამხედროს, აკვირდებოდა ფრონტის მდგომარეობას და საერთო პოლიტიკურ მოვლენებს ჩრდილოეთ კავკასიაში".

წერილის ავტორი, თეთრგვარდიელი **ნოსოვი**, გადადის რა სტალინის პირად დახასიათებაზე, წერს:

**„ცარიცინში მდგომარეობა გამკაცრდა. ქალაქში საგანგებო მდგომარეობა დამყარდა. არ გავიდოდა დღე, რომ სხვადასხვა ადგილას არ ეპოვათ კონტრრევოლუციონერთა და თეთრგვარდიელთა ბანდები. ქალაქის ციხეები გადატვირთული** — 

ნოსოვი არასწორად შენიშნავს, რომ სტალინს ცენტრიდან ჰქონდა მიღებული განკარგულება, ეხელმძღვანელა როგორც სურსათ-სანოვაგის მომარაგების, ასევე ფრონტისთვის. ეს სწორი არ არის, რადგან სამხედრო საქმეს თავისი წესები აქვს და სპეცდირექტივის გარეშე სტალინი სამხედრო მოქმედებებს ვერ განახორციელებდა. ცენტრის განკარგულებით სტალინისთვის სამხედრო უფლებამოსილების გადაცემა, როგორც ნოსოვი თავის სტატიაში წერს, სტალინის მიერ ლენინისთვის გაგზავნილი წერილითაც ბათილდება: **„მე თქვენ მოგწერეთ რწმუნებულების შესახებ, თქვენ კი პასუხი არ გამეცით..."**

მიუხედავად იმისა, რომ ნოსოვი თეთრგვარდიელია და სტალინის უშუალო მტერი, სიმართლეს ისიც ვერ გაურბის და თავის სტატიაში მიანიშნებს: **„ზოგიერთი ეჭვქვეშ აყენებს ცარიცინში დაწყებულ რეპრესიებს. მე, ყოველივე ამის მნახველს, შემიძლია განვაცხადო, რომ ცარიცინში იმხანად, როდესაც სტალინის აქტიური მოქმედებით მოსალოდნელი იყო კონტრრევოლუციის სრული ლიკვიდაცია, მოსკოვმა გადაწყვიტა, დახმარებოდა კონტრრევოლუციონერებს და დიდძალი ფული გამოუგზავნა აჯანყებულებს ფარულად".**

„დიდად სამწუხაროა, — გოდებს ნოსოვი, — რომ ალექსეევისა და მისი ორი ვაჟის მიერ აჯანყებულებისთვის ჩამოტანილი დიდძალი ფული საქმეს ვერ მოხმარდა. მამა და შვილები ვერ ჩასწვდნენ ცარიცინში მიმდინარე მოვლენების არსს და სრულიად არ იცნობდნენ სტალინის იმ გენიალურ გეგმას, რომელიც კონტრრევოლუციისა და რევოლუციის მტრების საწინააღმდეგოდ იყო დაგეგმილი".

მამა და ორი შვილი სერბეთის პოლკის მეშვეობით ცდილობდნენ, გაეშალათ კონტრრევოლუციური საქმიანობა, მაგრამ სტალინის ფხიზელ თვალს და მის მიერ შექმნილ საგანგებო კომისიას მცირე დრო დასჭირდა, მიეგნო იმ ბუდისთვის, რომლიდანაც ტროცკის შხამიანი გველის წიწილები იჩეკებოდნენ. ალექსეევებისა და მათი ჯგუფის საქმიანობა გამოაშკარავდა. იმისათვის, რომ სამაგალითო ყოფილიყო რევოლუციის მტრების მიმართ ულმობლობა, სტალინმა მთელ ქალაქს გააცნო ინფორმაცია მათი მოქმედების შესახებ, ხოლო როდესაც კონტრრევოლუციონერები დააპატიმრეს, დამნაშავეთა დასჯის ბრძანების პროექტს ერთსიტყვიანი რეზოლუცია დაადო: „დაიხვრიტონ!". ალექსეევი, მისი ორი ვაჟი და მათზე მიტმასნილი თეთრგვარდიელი თუ კაზაკი მეამბოხეები სასამართლოს გარეშე საველე პირობებში დახვრიტეს.

არ შემიძლია, დავმალო სტალინის ეს სისასტიკე, რადგან ეს ამბავი საარქივო მასალებში, (აღწერა 1. საქმე №722) **კლიმენტი ვოროშილოვის** ჩანაწერებშია აღნიშნული.

იქიდან გამომდინარე, რომ სამხრეთის ფრონტზე სულ სხვა ჩანაფიქრი ჰქონდა ცენტრს, სტალინმა გადაწყვიტა, შეეცვალა ომის სტრატეგია და ტაქტიკა. სამხრეთიდან ტროცკის დამქაშები დეპეშას დეპეშაზე გზავნიდნენ ცენტრში, რომ იღუპება ტროცკის მიერ დიდი რუდუნებით შექმნილი წითელი არმია, რომ საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება არმიის გადასარჩენად.

ლენინთან შეთანხმებით, ტროცკიმ სამხრეთის მიმართულებით გაგზავნა უმკაცრესი ბრძანება, რომ შეწყვიტონ კომისარიატებისა და ფრონტების დემობილიზაცია და რომ სამხედრო უწყებას ჰყავს პატრონი და ეს არის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ტროცკი. სამხედრო კომისარი ტროცკი ითხოვს, სასწრაფოდ დაუბრუნდეს ყველაფერი თავის ადგილს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება უმკაცრესი ზომები.

დეპეშა სტალინს მიუტანეს. ცოტა ხნის შემდეგ სხვა საქმიან ქაღალდებთან ერთად გაეცნო ტროცკის ტელეგრამასაც, რომელმაც სტალინში მხოლოდ ღიმილი გამოიწვია. მან ტელეგრამას მრავალმნიშვნელოვნად წააწერა: **„ნუ მიაქცევთ ყურადღებას. ი. სტალინი".**

ცარიცინში სასწაული მოხდა. ბურჟუაზიის ნარჩენებსა და თეთრგვარდიელებს, რომლებიც უშიშრად დააბოტებდნენ ქალაქის ქუჩებში და დღედღეზე ელოდებოდნენ წითლების დამხობას, იმედი გაუცრუვდათ. მოკლე ხანში ქალაქი ცარიცინი რკინის სალტეში მოექცა. ყველა ქუჩასა და მოედანს წითლები აკონტროლებდნენ. სასურსათო მაღაზიები თანდათან ივსებოდა პროდუქტებითა და სამრეწველო საქონლით, ქუჩებში შეწყდა ლოთობა და შფოთი. ასე მოკლე დროში წარმოუდგენელი იყო ქალაქის იერ-სახისა და ცხოვრების წესის შეცვლა. ეს მხოლოდ სტალინს შეეძლო.

**ცარიცინში სასწაული მოხდა. ბურჟუაზიის ნარჩენებსა და თეთრგვარდიელებს, რომლებიც უშიშრად დააბოტებდნენ ქალაქის ქუჩებში და დღე-დღეზე ელოდებოდნენ წითლების დამხობას, იმედი გაუცრუვდათ: მოკლე ხანში ქალაქი ცარიცინი რკინის სალტეში მოექცა. ყველა ქუჩასა და მოედანს წითლები აკონტროლებდნენ. სასურსათო მაღაზიები თანდათან ივსებოდა პროდუქტებითა და სამრეწველო საქონლით, ქუჩებში შეწყდა ლოთობა და შფოთი. ასე მოკლე დროში წარმოუდგენელი იყო ქალაქის იერ-სახისა და ცხოვრების წესის შეცვლა. ეს მხოლოდ სტალინს შეეძლო**




## ყურადღება!

„ბიბლუსისა" და „ლიბრას" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი", „რუსთაველი", „თავისუფლების მოედანი" შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი", რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დრამატული შეიძლება აღმოჩნდეს ტრამპის ზეგავლენა უშიშროების გლობალურ სისტემაზე. არჩეულ პრეზიდენტს ეჭვი ეპარება, რომ აუცილებელი იყოს უშიშროების სფეროში ნატოს წევრი ქვეყნების მიმართ ამერიკის მიერ ნაკისრი მოვალეობების შესრულება, ასევე, იაპონიისა და სამხრეთ კორეის მიმართ, თუ ეს ქვეყნები უფრო მეტ ფულს არ დახარჯავენ თავის დასაცავად...**



# აშშ-ის არმიის გენერალი: შეწყვიტეთ თავდასხმა პუტინზე, რუსეთი მტრად არ უნდა მოვიკიდოთ

**დონალდ ტრამპის ერთ-ერთმა ტოპმრჩეველმა, გადამდგარმა გენერალმა მაიკლ ფლინმა NBC News-ის ეთერში განაცხადა, რომ არ ეთანხმება ამერიკული პრესის მიერ რუსეთის მოვლენის გაშუქების არსებულ პრინციპს.**

მან ამერიკის მედიას მოუწოდა, შეწყვიტოს ტრამპის საარჩევნო შტაბისა და კრემლის ჰიპოთეზური კავშირის კრიტიკა, ასევე, პუტინის მისამართით უსაფუძვლო შენიშვნები. „შეწყვიტეთ ამგვარი რამ, — თქვა მან, — ჩვენ რუსეთს მტრად ვერ მოვეკიდებით, რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც ღრმადაა ჩართული ახლო აღმოსავლეთის საქმეებში. ამჟამად ჩვენი 5000 ჯარისკაცი ამ რეგიონში იმყოფება. რუსეთიც ასეთივე მონაწილეა. ჩვენ უნდა ვიპოვოთ საშუალება მათთან თანამშრომლობის და არ ვაქციოთ იგი ჩვენს მტრად“.

# ტრამპი ცალსქესიანთა ქორწინების შესახებ

**CBS-ის პროგრამის „60 წუთისთვის“ მიცემულ ინტერვიუში შეკითხვას, როგორ აფასებს იგი ცალსქესიანთა ქორწინებას, აშშ-ის არჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უპასუხა, რომ მის პირად მოსაზრებას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან საკითხი კანონის თვალსაზრისით უკვე გადაწყვეტილია. „შესაბამისი სასამართლო სარჩელები უმაღლესმა სასამართლომ უკვე განიხილა და გადაწყვეტილებაც მიღებულია. მე მათ ვეთანხმები“.**

15 ივნისს ტრამპმა მხარი დაუჭირა არატრადიციული სექსუალური მიმართულებების ადამიანებს ორლანდოში განხორციელებული ტერაქტის შემდეგ, როცა ავღანური წარმოშობის ამერიკელი ომარ მატინი თავს დაესხა გეიკლუბს ფლორიდაში და 49 ადამიანი დახოცა. კომენტატორებმა აღნიშნევს, რომ მაშინ რესპუბლიკელების კანდიდატმა პირველად იხმარა ტერმინი „ლგბტ თემი“, რაც კარგ ნიშნად მიიჩნიეს ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერებისთვის.

11 დღის შემდეგ აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ცალსქესიანთა ქორცინების რეგისტრაციის ლეგალიზაციის შესახებ.

# ტრამპის საოჯახო იმპერია: სამი ვაჟი, ორი ქალიშვილი და რვა შვილიშვილი




**სამიც — ცოლი. ერთმანეთის მიყოლებით. მათგან ბოლო — ულამაზესი მელანია საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა მეუღლის აშშ-ის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ.**

ტრამპის კონკურენტი **ჰილარი კლინტონი** ერთ ქმარს (რომელსაც ერთგულს ვერ უწოდებ) და ერთ ქალიშვილს დასჯერდა.

დონალდ ტრამპის პირველი ცოლი ივანა წარმოშობით ჩეხოსლოვაკიიდანაა. მოდელიც არის, მსახიობიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, მწერალიც. ცოლ-ქმარი ერთად 15 წელიწადს ცხოვრობდა. ივანა ყოველთვის მხარში ედგა ქმარს, პრაქტიკულად ტრამპის იმპერიის სახე იყო და პირადად ხელმძღვანელობდა მისი (ტრამპის იმპერიის) ობიექტების გაფორმებას. გაყრის შემდეგ ივანა თანაცხოვრების წლებზე ლაპარაკს ერიდებოდა. ზოგიერთი მონაცემით, ამისთვის ყოფილმა თანამეცხედრემ დიდძალი ფული გადაუხადა.

უფროსი ვაჟი — **დონალდ ტრამპი-უმცროსი** მამის მთავარი დასაყრდენია. იგი კომპანიის აღმასრულებელი ვიცეპრეზიდენტია. წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად ეხმარებოდა რესპუბლიკელების კანდიდატს.

დონალდ-უმცროსიც მრავალშვილიანი მამაა — ცოლმა ვანესამ ხუთი შვილი გაუჩინა.

**ივანკა ტრამპი** არჩეული პრეზიდენტის უფროსი ქალიშვილია. ისიც აქტიურად მუშაობდა მამის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობაში. ისიც წარმატებული ბიზნესმენია, დაწერა წიგნი, როგორ უნდა მივაღწიოთ წარმატებას. რამდენიმე ჟურნალში გამოქვეყნდა მისი, როგორც ფოტომოდელის, სურათები. ცნობილია, რომ **ჯერედ კუშნერთან**, ორთოდოქს ებრაელთან, დაქორწინებამდე იუდეველი გახდა. სამი შვილის დედაა. მისი უმცროსი ვაჟი თეოდორი ამ ქვეყანას 2016 წლის 27 მარტს მოევლინა, საარჩევნო მარათონის დაწყების ციებცხელების პერიოდში.

ივანასა და დონალდის მესამე ვაჟია **ერიკ ტრამპი.** იგი ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს და იშვიათად ჩნდება ტელეკამერების წინ, თუმცა მისი ქორწილი ამერიკულმა მედიამ დეტალურად გააშუქა. ერიკი დაქორწინდა ამერიკის ერთ-ერთი ტელეარხის პროდიუსერ **ლარა იუნასკზე.** გრანდიოზული დღესასწაული, რომელზეც 400-ზე მეტი სტუმარი იყო მიწვეული ფლორიდაში, პალ-ბიჩში გაიმართა.

ერიკიც მამის იმპერიაში მუშაობს, მეგობრობს თავის უფროს ძმასთან. ზოგიერთი მონაცემით, ორივენი ვეფხვებზე და სხვა დიდ ცხოველებზე ნადირობით არიან გატაცებული, რის გამოც ბუნების დამცველები ძმებს ხშირად აკრიტიკებდნენ.

დონალდ ტრამპის მეორე ქორწინება 6 წლამდე გაგრძელდა. მისი ცოლი **მარლა მეიპლი** ამბობდა, რომ ქმარმა აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო და შინ იშვიათად მიდიოდა. მსახიობმა და წამყვანმა ადვილად მოახერხა ტრამპის ოჯახისთვის ჩამოცილება, მაგრამ შენარჩუნება იოლი არ აღმოჩნდა.

მათი საერთო ქალიშვილი, **ტიფანი,** ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია. მის გვერდს „ინსტაგრამში“ 350 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. ეშხიან ქალიშვილს უყვარს მოგზაურობა და ამ გატაცებას მამა უფინანსებს. ამჟამად 23 წლისაა და ცდილობს, თავი დაიმკვიდროს, როგორც მოდელმა და მომღერალმა.

ამჟამინდელ ცოლთან, მელანიასთან, ტრამპი, უკვე 11 წელიწადია, ცხოვრობს. 2006 წელს მან მომავალ პრეზიდენტს ვაჟი გაუჩინა, რომელსაც **ბერონი** დაარქვეს.

ბიჭი მხოლოდ 10 წლისაა, მაგრამ უკვე ფრიად პოპულარულია: 9 ნოემბერს იგი საინფორმაციო პროგრამაში ახსენეს, რადგან მამამისის გამოსვლისას კინაღამ ჩამოეძინა. ინტერნეტში გამოქვეყნებულ ჩანაწერში ჩანს, რომ ამთქნარებს, თვალებს იჭყლეტს და, ფაქტობრივად, ფეხზე ძლივს დგას.

# გერმანულ მედიას აფიქრებს ვაშინგტონის მიერ მიგდებული გერმანიის ბედი



**აშშ-ის მხარდაჭერის გარეშე დატოვებულ გერმანიას გაუჭირდება ევროპის ლიდერის როლის შესრულება.**

გერმანული გაზეთები ჩაფიქრდნენ, რა ბედი ელის ქვეყნის ხელმძღვანელობას, თუ არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მოიქცევა ისე, როგორც აცხადებდა წინასაარჩევნო პერიოდში და აღარ ჩაერევა აშშ-ისგან დაშორებული ქვეყნების საქმეებში.

„რუსეთს, დიდი ხანია, სურს, დიდი სახელმწიფოები პრობლემებს ერთმანეთში თვითონვე აგვარებდნენ. მცირე და სუსტი სახელმწიფოები უნდა ემზადონ მკაცრ დროებაში ცხოვრებისთვის, ხოლო უკრაინის კონფლიქტის მოგვარებისთვის ბრძოლაში ევროკავშირი და, უწინარესად, ანგელა მერკელი ახლო მომავალში მნიშვნელოვანი მოკავშირის გარეშე შეიძლება დარჩნენ“, — წერს **„ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“.**

გაზეთი იმასაც აღნიშნავს, რომ რუსეთი აუცილებლად დაუმეგობრდება პრეზიდენტ ტრამპს. მილიარდერისგან, რომლის ნაბიჯების გათვლა შეუძლებელია, ამასაც შეიძლება ველოდოთ. და ამ შემთხვევაში კიევის პრობლემების მოგვარების სიმძიმე სრულად ანგელა მერკელს დააწვება.

აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გერმანულ მედიაში გაკრთა ბუნდესტაგის არჩევნებში რუსეთის ჩარევის თემა. ეს იდეა აშკარად ნასესხები იყო ჰილარი კლინტონისგან, მაგრამ ამერიკული აყალმაყალის მიღმა გერმანიაში მისი ექსპორტი ცოტა ვინმემ თუ შენიშნა.

„გერმანიის ფედერალურ კანცლერ **ანგელა მერკელს** ეშინია, რომ მოსკოვმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ბუნდესტაგში არჩევნებზე რუსი ჰაკერების კიბერშეტევის დახმარებით. გერმანიაში დღეს უკვე ჩანს კიბერშეტევები რუსული კვალით, განაცხადა მერკელმა ნორვეგიის პრემიერმინისტრ ერნა სულბერგთან შეხვედრის შემდეგ 8 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე“, — იუწყება **„დოიჩე ველე“.**

ნორვეგიის პრემიერმინისტრმა გაკვირვებით მოისმინა ეს განცხადება და თქვა, რომ თავის ქვეყანაში მსგავსი არაფერი შეუნიშნავს, და რომ მსგავსი საკითხები მოსკოვთან დიალოგის დროს არასოდეს წამოჭრილა, მაგრამ ამ სიტყვებმა გერმანელებს ოპტიმიზმი არ შემატა.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებამ დღის წესრიგში შეიძლება დააყენოს ამ სამხედრო ბლოკის არსებობის საკითხი. „არ ვამტკიცებ, რომ ნატო შეიძლება დაიშალოს, მაგრამ ალიანსის პოლიტიკას სერიოზულად რომ გადახედავენ, ეს ზუსტია“, — ამბობს ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი.**

**«ფაინენშელ თაიმსი»:**

# დონალდ ტრამპი შეარყევს ომის შემდგომ ლიბერალურ წესრიგს

**ამერიკის მოკავშირეებისთვის დონალდ ტრამპის არჩევა ნამდვილ „მეორედ მოსვლად“ იქცა. რაც უნდა ილაპარაკონ ისეთი ქვეყნების ხელმძღვანელებმა, როგორებიცაა კანადა, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესტონეთი, ლიტვა და ლატვია, მათ ნამდვილ კოშმარად მოევლინა ამიერიდან ტრამპის „თავისუფალი სამყაროს გალიდერება“, — წერს ამ გაზეთის მიმომხილველი.**



ტრამპის ეშინიათ იმიტომ, რომ ფრიად თავისებური ხასიათის კაცია და თავისებურად ესმის პოლიტიკა. ადამიანები, რომლებიც აშშ-ს წამყვან დემოკრატიად აღიქვამდნენ, გაოცდნენ, რომ ამ ქვეყანამ პრეზიდენტად აირჩია ადამიანი, რომელიც მაინცდამაინც არ აფასებს ისეთ ძირითად დემოკრატიულ ნორმებს, როგორებიცაა პოლიტიკური ოპოზიციის ლეგიტიმურობა, უმცირესობათა უფლებები და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ამერიკამ თავის ლიდერად აირჩია კვაზიდილერი. **აშშ-ის ბევრ მოკავშირეს ეშინია იმისაც, რომ ტრამპის ხელში აღმოჩნდება მსოფლიოს უდიდესი ბირთვული არსენალი.**

ტრამპის პოლიტიკური კურსი დარღვევით ემუქრება იმ მსოფლიო ლიბერალურ წესრიგს, რომელსაც აშშ მხარს უჭერს და განამტკიცებს 1945 წლიდან დღემდე. კერძოდ, იგი საეჭვოდ მიიჩნევს ორ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომლებიც საფუძვლად უდევს აშშ-ის ურთიერთობას დანარჩენ მსოფლიოსთან: პირველია ღია საერთაშორისო სავაჭრო სისტემა; მეორე კი მიმხრობა აშშ-ის ხელმძღვანელობით მოქმედი ალიანსებისადმი, რომლებიც ქმნის გლობალური უშიშროების საძირკველს.

ტრამპი ომის შემდგომ პერიოდში არჩეული ამერიკის პირველი პრეზიდენტია, რომელიც დაუფარავად მხარს უჭერს პროტექციონიზმს. იგი ამომრჩევლებს დაჰპირდა, რომ შეცვლის ამერიკის „საშინელი“ ხელშეკრულებების პირობებს, ისეთებისას, როგორიცაა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოამერიკული ხელშეკრულება და გამოიყვანს შეერთებულ შტატებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობიდან. მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ 45 პროცენტით გაზრდის საბაჟო გადასახადს ჩინურ საქონელზე. თუ ტრამპი შეძლებს თავისი მუქარის განხორციელებას, ამით ბიძგს მისცემს გლობალურ სავაჭრო ომს და, გამორიცხული არ არის, მსოფლიო რეცესიის მორევში ჩაითრიოს, რომელიც 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის მსგავსი იქნება. თავის დროზე ეს დეპრესია აშშ-ის პროტექციონისტული პოლიტიკის გამო მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

არანაკლებ **დრამატული შეიძლება აღმოჩნდეს ტრამპის ზეგავლენა უშიშროების გლობალურ სისტემაზე. არჩეულ პრეზიდენტს ეჭვი ეპარება, რომ აუცილებელი იყოს უშიშროების სფეროში ნატოს წევრი ქვეყნების მიმართ ამერიკის მიერ ნაკისრი მოვალეობების შესრულება, ასევე, იაპონიისა და სამხრეთ კორეის მიმართ, თუ ეს ქვეყნები უფრო მეტ ფულს არ დახარჯავენ თავის დასაცავად.**

**ამ ქვეყანამ პრეზიდენტად აირჩია ადამიანი, რომელიც მაინცდამაინც არ აფასებს ისეთ ძირითად დემოკრატიულ ნორმებს, როგორებიცაა პოლიტიკური ოპოზიციის ლეგიტიმურობა, უმცირესობათა უფლებები და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა**

მოკავშირეთა მისწრაფება, რომ ამერიკის ხარჯზე უზრუნველყონ თავიანთი უსაფრთხოება, მიუღებელია ორივე პარტიისთვის, მაგრამ მიდგომაში არის ერთი ახალი ელემენტი: ტრამპს ეეჭვება, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა დაიცვას თავისი მოკავშირეები მათზე საომარი თავდასხმის შემთხვევაში.

ასეთი არაერთგვაროვნება, რომელიც შეთავსებულია რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის პიროვნებისადმი აღფრთოვანებულ დამოკიდებულებასთან, აძლიერებს შიშს, რომ აშშ წინ არ აღუდგება რუსეთს უკრაინის ან აღმოსავლეთ ევროპის მიმართ აგრესიის განახლების შემთხვევაში. აზიელი მოკავშირეები — იაპონია და სამხრეთი კორეა შიშობენ, რომ ტრამპის პოლიტიკას — **„ამერიკა უწინარეს ყოვლისა“** — შეიძლება მოჰყვეს აღმოსავლეთ აზიის ჩინეთის გავლენის სფეროდ აღიარება.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, განაგრძობს მიმოხილვის ავტორი, მოკავშირეებმა ასე ხელაღებით არ უნდა შეაქციონ ზურგი აშშ-ს. მით უფრო ასე არ უნდა მოიქცნენ ამერიკის მეზობლები — მექსიკა და კანადა. ამერიკის ლიდერობა ისე ძლიერაა ფესვგადგმული დასავლურ ინსტიტუტებში, რომ მისი ალტერნატივა არ არსებობს.

შეერთებული შტატები ცენტრალურ როლს თამაშობს ნატოში და მის წილად მოდის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო ხარჯების 75 პროცენტი. აშშ-ში განთავსებულია უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციები, ისეთები, როგორებიცაა გაერო, მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. დოლარი მსოფლიოში უძლიერესი სარეზერვო ვალუტაა. აშშ-ის ეკონომიკა უძლიერესია მსოფლიოში, თუ მას რეალური სავალუტო კურსით შევაფასებთ.

ამ მიზეზთა გამო მოკავშირეები გაიჭირვებენ და შეეცდებიან, მოერგონ ტრამპის მოთხოვნებს. როგორც ერთმა, მაღალი რანგის ბრიტანელმა დიპლომატმა თქვა: „ჩვენ მოვრიგდებით ამერიკის პრეზიდენტთან, იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ გვაქვს“.

თუ მსოფლიოში ლიბერალური წესრიგის მომხრენი შიშისგან კანკალებენ, მათი ოპონენტები ტაშს უკრავენ. ნაციონალისტები და ულტრამემარჯვენეები მოხარულნი არიან, რომ გლობალიზმის მოწინააღმდეგე დაფუძნდა თეთრ სახლში. საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერი მარი ლე პენი გაიძლიერებს საფრანგეთის პრეზიდენტის მაისის არჩევნებში გამარჯვების შანსს, რასაც შეიძლება ევროკავშირის დაშლა მოჰყვეს, ევროკავშირისა, რომელიც „ბრექსიტის“ შოკიდან ჯერაც არ გამოსულა.

მაგრამ არის ერთი სახელმწიფო, რომელიც ტრამპის გამარჯვებით გაბედნიერდება. ეს არის პუტინის რუსეთი. ტრამპმა და პუტინმა უკვე შექმნეს ურთიერთით აღფრთოვანების საზოგადოების მსგავსი რამ. ამერიკის სადაზვერვო სამსახურების მონაცემებით, რუსეთი ტრამპისა და რესპუბლიკელების მხარდაჭერის პათოსით იქამდეც კი მივიდა, რომ გატეხა დემოკრატიული პარტიისა და კლინტონის შტაბის ხელმძღვანელის — **ჯონ პოდესტას** ელექტრონული ფოსტა, შემდეგ კი წინასაარჩევნო კამპანიის უმნიშვნელოვანეს მომენტებში აქ მოძიებული მაკომპრომენტირებელი ცნობები „ვიკილიქსის“ საიტის მეშვეობით ინტერნეტსივრცეში შეაგდო. თუ რუსეთის ამ ინტერვენციამ რაიმე გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე, პუტინს შეუძლია წარმოთქვას თავისი სპეცსამსახურების ყველაზე წარმატებული ოპერაციის სადღეგრძელო.

# ნატოს ყოფილ გენერალურ მდივანს ალიანსის დაშლის ეშინია



**ანდერს ფონ რასმუსენს მიაჩნია, რომ აშშ უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მსოფლიო კონფლიქტების მოგვარებაში. უწინარეს ყოვლისა, მან დაასახელა სირია, ერაყი, ლიბია და უკრაინის აღმოსავლეთი, განაცხადა, რომ „ზესახელმწიფოების დასვენების დრო არ დამდგარა“.**

„მიმოიხედეთ ირგვლივ და დაინახავთ, რომ მსოფლიო ცეცხლის ალშია გახვეული“, — თქვა მან. იგი მიიჩნევს, რომ აშშ-ის ახალი პრეზიდენტი უნდა ჩაერიოს ყველა საერთაშორისო კონფლიქტში. ამასთანავე, პოლიტიკოსმა არც ერთხელ არ ახსენა გაერო. იგი დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო სამართალი და წესრიგი უნდა აღადგინოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

უფრო ადრე რასმუსენი ამტკიცებდა, რომ „ყველა მსოფლიო ზესახელმწიფოს შორის მხოლოდ ამერიკას ძალუძს, თავი გაართვას ამ როლს, რადგან მხოლოდ მას აქვს ნდობის ისეთი ხარისხი, რომელიც ხელს შეუწყობს არსებულ გამოწვევებზე ხანგრძლივი დროით პასუხის გაცემის კონტურების განსაზღვრას“.

მისი თქმით, რუსეთი ზედმეტად აქტიურად ცდილობს, აღადგინოს ყოფილი იმპერია, ჩინეთი „რეგიონული მოთამაშეა“, ევროპა კი „სუსტია, დანაწევრებული და არ ჰყავს ლიდერი“.

„მსოფლიო ქაოსისკენ მიექანება და მხოლოდ აშშ-ს აქვს საკმარისი „მორალური დიდება“ ამ პროცესის შესაჩერებლად, — დაასკვნა ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა.

27 მაისს **პეტრე პოროშენკომ** ხელი მოაწერა ბრძანებულებას ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის უკრაინის პრეზიდენტის უშტატო მრჩევლად დანიშვნის შესახებ. რასმუსენის განცხადებით, იგი არ მოთათბირებია კოლეგებს ამ თანამდებობაზე მისი დანიშვნის თემაზე.

პოლიტოლოგი **ალექსანდრე ფერენჯიევი** განმარტავს, რომ რასმუსენის ზემოთ ციტირებული განცხადებები იმ პრობლემების მაჩვენებელია, რომლებიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში არსებობს. მათ შორის უმთავრესია, რომ **დონალდ ტრამპის** გაპრეზიდენტებამ დღის წესრიგში შეიძლება დააყენოს ამ სამხედრო ბლოკის არსებობის საკითხი. „არ ვამტკიცებ, რომ ნატო შეიძლება დაიშალოს, მაგრამ ალიანსის პოლიტიკას სერიოზულად რომ გადახედავენ, ეს ზუსტია“, — ამბობს ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი.

ფერენჯიევი კი ამტკიცებს, რომ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში შეერთებულმა შტატებმა შეიძლება შეწყვიტოს ცხვირის ჩაყოფა იქ, სადაც საჭირო არ არის და უარი თქვას გლობალური ლიდერის როლზე. „იგრძნობა, რომ აშშ-ის პოლიტიკაში გაჩნდა ახალი წითელი ხაზი... ტრამპი პრაგმატული ადამიანია. არა მგონია, განაგრძოს ამერიკის ისედაც უზარმაზარი ვალის უსაზღვროდ ზრდის პოლიტიკა. იგი შეეცდება, ამერიკის ეკონომიკა წარმართოს უფრო დაბალანსებული გზით... ეს ნიშნავს, რომ ნატო სახსრების ეკონომიურად ხარჯვის მკაცრ ჩარჩოებში ჩადგება. ამერიკელები შეწყვეტენ თავიანთი ფულით ალიანსის ბიუჯეტის მთელი დეფიციტის დაფარვას“, — ასკვნის ფერენჯიევი.

**გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდი ბრიტანეთის საიდუმლო სამსახური „მი-6“, ნატოსა და ცსს-ის შემდეგ მესამე ორგანიზაცია იყო, რომელსაც საიდუმლო ოპერაციებში ცენტრალური ადგილი ეკავა. 1990 წელს მან უარი თქვა „გლადიოს“ საქმის კომენტირებაზე საიდუმლოებისადმი მისი ლეგენდადქცეული მისწრაფების გამო: თვით „მი-6“-ის არსებობაც კი ოფიციალურად მხოლოდ 1994 წელს აღიარეს, სპეცსამსახურების შესახებ კანონის მიღების შემდეგ, რომლითაც დადასტურდა „მი-6“-ის მიერ დაზვერვის მონაცემების შეკრება საზღვარგარეთ განხორციელებული ოპერაციების შესახებ.**




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-41 (366-370)

**დანიელ განსერი**

# ნატოს საიდუმლო არმიები

# ოპერაცია «გლადიო» და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში

ნატოს საიდუმლო ოპერაციების განხორციელების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარეობა ერთ-ერთი წევრი ქვეყნის ხელში გადადიოდა. 1990 წელს ბელგიას ერგო. ამ კომიტეტის წევრთა სხდომას, რომელიც 1990 წლის 22-23 ოქტომბერს გაიმართა, თავმჯდომარეობდა ბელგიის სამხედრო საიდუმლო დაზვერვის საერთო სამსახურის ხელმძღვანელი, გენერალ-მაიორი **რაიმონდ ვან კალსტერი.**

როგორც გენერალი **ინზერილი** განმარტავდა (იხ. ჩვენი გაზეთის წინა პუბლიკაცია), გაერთიანებულ კომიტეტში არ იყო მუდმივი და წინასწარ განსაზღვრული მმართველობა. კომიტეტის ხელმძღვანელი ორი წლით ინიშნებოდა, არჩევა კი ანბანის თანმიმდევრობით ხდებოდა. ამიტომ კომიტეტი არ იყო ორგანიზაცია, რომელშიც „დომინირებდნენ დიდი სახელმწიფოები“. „პირადი გამოცდილება მაქვს ორი წლის განმავლობაში კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობის, — იგონებდა გენერალი ინზერილი, — და უნდა ვთქვა, რომ ამ კომიტეტს დისკრიმინაციისკენ მიდრეკილება არ ჰქონია“.

ოპერაცია „გლადიოს“ და ნატოს საიდუმლო არმიების საქმიანობის გამოძიება ფოკუსირებული უნდა ყოფილიყო ამ კომიტეტის ჩანაწერების გაშიფვრაზე, მაგრამ ახლაც კი, მას შემდეგ, რაც სრულიად საიდუმლო ქსელების საქმიანობა მხილებულია, ოფიციალურ რეაქციად, ისევე, როგორც 1990-იან წლებში, იყო ფაქტის უარყოფა ან უარის თქმა პასუხზე.

2000 წლის ზაფხულში, როცა ავტორი დაუკავშირდა ნატოს არქივს და „გლადიოს“ შესახებ მასალების გაცნობა სთხოვა, სამხედრო ალიანსმა უპასუხა: „ჩვენ შევამოწმეთ ჩვენი არქივები და კომიტეტების მასალების უმცირეს კვალსაც ვერ მივაკვლიეთ, რომლებიც თქვენ მოითხოვეთ“. მაგრამ ავტორმა კვლავ დაჟინებით გაიმეორა თხოვნა და ნატოს არქივმაც ჩვეულ სტილში უპასუხა: „კვლავ უნდა გიპასუხოთ, რომ ორგანიზაცია „გლადიო“, რომელზეც მიუთითებთ, არასოდეს ყოფილა ნატოს სტრუქტურის ნაწილი“.

ამის შემდეგ ავტორმა დარეკა ნატოს უშიშროების სამსახურის სამმართველოში, მაგრამ მას არათუ არ მისცეს დირექტორთან დალაპარაკების საშუალება, მისი გვარიც კი არ გაუმხილეს — გასაიდუმლოებული არისო. ნატოს უშიშროების სამსახურის თანამშრომელმა **იზაბელ იაკობსმა** მიუკიბ-მოუკიბავად განუცხადა ავტორს, რომ საეჭვოა, მიიღოს პასუხი „გლადიოსთან“ დაკავშირებულ უხერხულ კითხვებზე და ურჩია, ჩაეწერა ეს კითხვები და თავისი ქვეყნის საელჩოს მეშვეობით მიეწოდებინა ალიანსისთვის.

ნატოსთან არსებული შვეიცარიის მისიის მეთვალყურეებმა „გლადიოს“ შესახებ კითხვები გააგზავნეს ნატოში, შვეიცარიის ელჩმა **ანტონ ტელმანმა** ავტორს ასე უპასუხა: „ნატოს საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის კომიტეტის არსებობა, რომელზეც თქვენ წერილში მიუთითებთ, ცნობილი არ არის არც ჩემთვის, არც ნებისმიერი ჩემი თანამშრომლისთვის“.

„რა აკავშირებს ნატოს საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის კომიტეტთან (CPC) და საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის გაერთიანებულ კომიტეტთან (ACC)? რა როლი ჰქონდა დაკისრებული ამ კომიტეტებს? რა კავშირი აქვთ ამ კომიტეტებს ნატოს უშიშროების კომიტეტთან?“ — ეს შეკითხვები (წერილობითი ფორმით) გაუგზავნა ავტორმა ადრესატებს და 2001 წლის 2 მაისს მიიღო პასუხი ნატოს პრესსამსახურის ხელმძღვანელ **ლი მაკკლენისგან.**

მაკკლენი წერდა: „არც გაერთიანებული კომიტეტი, არც საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის კომიტეტი ნახსენები არ არის ნატოს არც გასაიდუმლოებულ, არც ღია ჩანაწერებში, რომლებიც ნანახი მაქვს“. მან ასევე დაუმატა: „უფრო მეტიც, აქ მომუშავეთა შორის ვერავინ მოვძებნე, ვინც რამე იცოდა ამ კომიტეტის შესახებ. არ ვიცი, არსებობდა კი ოდესმე ეს კომიტეტი ან კომიტეტები, მაგრამ ამჟამად ასეთი კომიტეტები არ არსებობს“.

ავტორი დაჟინებით ეკითხება: „რატომ იყო, რომ ნატოს მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი **ჟან მარკოტა** 1990 წლის 5 ნოემბერს კატეგორიულად უარყოფდა ნებისმიერ კავშირს ნატოსა და „გლადიოს“ შორის; და, ამასთანავე, 7 ნოემბერს მეორე წარმომადგენელი იძულებული შეიქნა, ეღიარებინა, რომ მარკოტას ორი წლის წინანდელი განცხადება იყო სიცრუე?“

ამ შეკითხვას მაკკლეინმა უპასუხა: **„არ ვიცი, რამე კავშირი თუ არსებობს ნატოსა და „გლადიოს“ შორის. უფრო მეტიც, მე ვერ ვიპოვე ვერავითარი ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ ვინმე ჟან მარკოტა ოდესმე იყო ნატოს სპიკერი“.**

ამ საქმეს ასე დაესვა წერტილი.

ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს — მსოფლიოში ყველაზე გავლენიან სპეცსამსახურს, ისევე, როგორც მსოფლიოში უდიდეს სამხედრო ალიანსს, თანამშრომლობისთვის თავი არ გამოუდვია მაშინ, როცა საქმე შეეხო „გლადიოსა“ და საიდუმლო არმიების შესახებ უხერხულ შეკითხვებს. ეს სპეცსამსახური შეიქმნა 1947 წელს, ნატოს დაარსებამდე ორი წლით ადრე, და მთავარ ამოცანად განესაზღვრა „ცივი ომის“ დროს კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საიდუმლო ოპერაციების გამოყენებისა და აშშ-ის გავლენის გაძლიერების მეშვეობით.

ტერმინი „საიდუმლო ოპერაციები“ აშშ-ის პრეზიდენტმა **რიჩარდ ნიქსონმა** ერთხელ ასე ახსნა: „მხედველობაში მაქვს საქმიანობის ის სახეები, რომლებიც, მართალია, განსაზღვრულია საზღვარგარეთ ოფიციალური პროგრამებისა და პოლიტიკის განსახორციელებლად, მაგრამ დაგეგმილია და განხორციელებულია ისე, რომ გარეშე პირებისთვის აშშ-ის მთავრობის მონაწილეობა აშკარად არ ჩანს“.

ისტორიკოსებმა და პოლიტიკურმა ანალიტიკოსებმა დაწვრილებით აღწერეს, როგორ განახორციელა ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ, განსაკუთრებული დანიშნულების ამერიკულ ნაწილებთან ერთად, ჩუმი და გამოუცხადებელი ომი ლათინურ ამერიკაში, რომელმაც გავლენა მოახდინა ზოგიერთ ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ და სამხედრო მოვლენებზე, მათ შორის, გვატემალის პრეზიდენტის — **იაკობო არბენსის** დამხობაზე 1954 წელს, კუბის ლიდერის — **ფიდელ კასტრო რუსის** დამხობის მცდელობაზე 1961 წელს, **ჩე გევარას** მკვლელობაზე ბოლივიაში 1967 წელს, ჩილეს პრეზიდენტ **სალვადორე ალიენდეს** დამხობაზე და **აუგუსტო პინოჩეტის** დიქტატურის დამყარებაზე 1973 წელს, ნიკარაგუელი „კონტრასების“ ფინანსურ დახმარებაზე 1979 წლის სანდინისტური რევოლუციის მომდევნო პერიოდში.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო (ცსს) ოპერაციებს ამერიკის კონტინენტს მიღმაც აწარმოებდა. კერძოდ, რამდენიმე საიდუმლო ოპერაცია განახორციელა აზიასა და აფრიკაში, რომელთა შორისაა — 1953 წელს ირანში **მოსადიკის** მთავრობის დამხობა, სამხრეთ აფრიკის „თეთრი“ პოლიციის მხარდაჭერა, რომლის გამოც ციხეში გამოამწყვდიეს **ნელსონ მანდელა**, ოსამა ბენ ლადენის „ალ ქაიდას“ მხარდაჭერა ავღანეთში და პოლ-პოტის წითელი ქხმერებისთვის გაწეული დახმარება 1975 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც ამერიკელები დამარცხდნენ ვიეტნამში 1975 წელს.

აშშ-ის გამოძიების ფედარალური ბიუროს (გფბ) განსაზღვრით, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო არის ტერორისტული ორგანიზაცია. გფბ-ს დასკვნით, „ტერორიზმს ახასიათებს ძალის ან ძალადობის უკანონო გამოყენება პიროვნების ან ქონების წინააღმდეგ, შეაშინოს ან აიძულოს მთავრობა, მშვიდობიანი მოსახლეობა (ცსს-ის) საკუთარ პოლიტიკურ ან სოციალურ მისწრაფებათა შესასრულებლად“.

70-იანი წლების შუაგულში, როცა შეერთებული შტატების პარლამენტმა შეიგნო, რომ ცსს-მ და პენტაგონმა პრაქტიკულად უკონტროლოდ გაზარდეს თავიანთი ძალაუფლება და არაერთხელ ბოროტად გამოიყენეს იგი, აშშ-ის **სენატორმა ფრენკ ჩერჩმა ბრძნულად შენიშნა, რომ „ჩვენი სადაზვერვო სამსახურის გარემოში ბოროტმოქმედებათა ზრდას მოჰყვება ჩვენი საერთო ღირებულებების კრახი“. სენატორი ჩერჩი იმ დროს სათავეში ედგა აშშ-ის პარლამენტის სამიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომისიას, რომელიც საიდუმლო სამსახურების საკითხებს შეისწავლიდა.** ამ კომისიებმა 1970 წლის მეორე ნახევარში პარლამენტს წარუდგინეს თავიანთი მოხსენებები, რომლებიც დღემდე ითვლება ყველაზე უფრო ავტორიტეტულ დოკუმენტებად აშშ-ის მიერ განხორციელებული საიდუმლო ოპერაციების შესახებ. მაგრამ კონგრესის გამოძიების გავლენა მინიმალური იყო და საიდუმლო სამსახურები, თეთრი სახლის მხარდაჭერით, აგრძელებდნენ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრაქტიკას, რაც დაადასტურა 1984 წელს ირანელ „კონტრასებთან“ დაკავშირებულმა სკანდალმა. ამ ყველაფერმა უკარნახა კალიფორნიის უნივერსიტეტის ისტორიკოს **კატრინ ოლმსტედს,** დაესვა მთავარი შეკითხვა: „რატომ მოხდა, რომ გამოძიების დაწყების შემდეგ პრესისა და კონგრესის წარმომადგენლების უმრავლესობამ უკან დაიხია და ვერ დაუპირისპირდა საიდუმლო მთავრობას?“



„გლადიოს“ სამიზნეში

„გლადიოს“ სამხილთა წყალობით გაცხადდა, რომ ცსს და პენტაგონი „ცივი ომის“ პერიოდში მოქმედებდნენ დემოკრატიული კონტროლის მიღმა, ამ ომის დამთავრების შემდეგ კი ანგარიში არ ჩაუბარებიათ თავიანთ ქმედებათა შესახებ. ადმირალმა **სტენსფორდ ტერნერმა**, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი იყო 1977-დან 1981 წლამდე, 1990 წლის დეკემბერში იტალიის ტელევიზიაში რომ იყო მიწვეული, უარი თქვა, ეპასუხა „გლადიოსთან“ დაკავშირებულ შეკითხვებზე. როცა ჟურნალისტმა დაჟინებით მოსთხოვა სტუმარს პასუხის გაცემა თუნდაც იმ ადამიანების ხსოვნის პატივსაცემად, რომლებიც იტალიაში მასობრივ მკვლელობებს ემსხვერპლნენ, ცსს ყოფილმა დირექტორმა მოიგლიჯა მიკროფონი და იყვირა: „ხომ გითხარით, არავითარი შეკითხვები „გლადიოზე“!

ინტერვიუ ამით დამთავრდა.

ცსს-ს საშუალო რგოლის ოფიცერთა შემადგენლობა უფრო გულახდილად ლაპარაკობდა „ცივი ომის“ საიდუმლოებათა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უკანონო ოპერაციების შესახებ. მათ შორის იყო **თომას პოლგარი**, რომელიც ცსს-ში 30-წლიანი კარიერის შემდეგ 1981 წელს თადარიგში გავიდა და 1991 წელს ცსს-ის დირექტორად **რობერტ გეისის** დანიშვნის წინააღმდეგი იყო იმ მიზეზით, რომ ეს უკანასკნელი ცდილობდა ირანში „კონტრასებთან“ დაკავშირებული სკანდალის მიჩუმათებას. როცა მას შეეკითხნენ ევროპაში „გლადიოს“ საიდუმლო არმიების შესახებ, პოლგარმა ერთგვარად მიანიშნა ნატოს საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის კომიტეტზე და გაერთიანებულ კომიტეტზე იმით, რომ განაცხადა — საიდუმლო არმიებს კოორდინირებდა „ვიღაც (პიროვნება) ნატოსთან დაკავშირებული არასტანდარტული საომარი ოპერაციების დამგეგმავი ჯგუფებიდან“.

ეროვნული საიდუმლო არმიების მეთაურები „ორ თვეში ერთხელ იკრიბებოდნენ ევროპის რომელიმე ქვეყნის დედაქალაქში“ საიდუმლო შტაბბინებში. პოლგარი დაჟინებით ამბობდა, „რომ თითოეული ეროვნული სამსახური ამას განსხვავებული ინტენსიურობით აკეთებდა“, ამასთანავე, აღიარებდა, რომ „70-იან წლებში იტალიაში ზოგიერთმა იმაზე უფრო ღრმად შეტოპა, რის საშუალებასაც ნატოს ქარტია იძლეოდა“.

ჟურნალისტმა **არტურ როუზმა**, რომელიც ერთ დროს „ვაშინგტონ პოსტში“ მუშაობდა, თავის ესეში იტალიის „გლადიოს“ შესახებ — „გლადიოს გაკვეთილები“ — დაწერა: **„სანამ საზოგადოებას არაფერი ეცოდინება აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ამ ბნელი თავის შესახებ, დაწესებულებები, რომელთაც ამის გამო ეკისრება პასუხისმგებლობა, მხოლოდ მცირე უხერხულობას იგრძნობენ. „ცივი ომის“ დამთავრებამ ცოტა რამ თუ შეცვალა ვაშინგტონში. შეერთებული შტატები... კვლავ ელოდება ნამდვილ, ეროვნული მასშტაბის დებატებს უშიშროების სფეროში ჩვენი ეროვნული პოლიტიკის მიზნების, საშუალებებისა და დახარჯული სახსრების შესახებ“.** დამოუკიდებელი, არასახელმწიფო, ჯორჯ ვაშინგტონის ინსტიტუტის პროფესორე-

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1949 წლის შემდეგ საიდუმლო არმიებს აკონტროლებდა ნატოს სპეციალური დანიშნულების ნაწილების სტრუქტურა, რომლის შემადგენლობაში ბრიტანეთის სპეციალური ავიასადესანტო სამსახური სტრატეგიულ როლს თამაშობდა. „ბრიტანეთის როლი საიდუმლო ქვედანაყოფების ქსელის შექმნაში, რომლებიც დატოვებული იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საბჭოთა ოკუპაციის შემთხვევისთვის, ფუნდამენტური იყო“, — ეს ერთგვარი დაგვიანებით, 1991 წლის 4 აპრილს, განაცხადა ბრიტანულმა კორპორაციამ ბი-ბი-სიმ.**

◀ ბის შემადგენლობამ, რომელიც იკვლევს ცსს-ის საიდუმლო ოპერაციებისა და „ცივი ომის“ საიდუმლოებათა საკითხებს, 1991 წლის 15 აპრილს წერილით მიმართა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს და სთხოვა, შეესრულებინა კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ.

ამ კანონის თანახმად, სახელმწიფოს ყველა შტო ვალდებულია, საზოგადოებრიობას ჩააბაროს ანგარიში თავისი ქმედების კანონიერების შესახებ. **მალკოლმ ბირნმა**, ეროვნული უსაფრთხოების არქივის ხელმძღვანელის მოადგილემ, მოსთხოვა ცსს-ს „შეერთებული შტატების გადაწყვეტილებების ყველა ჩანაწერი, რომლებიც მიღებული იყო 1951-დან 1955 წლებში საიდუმლო არმიების ან ბლოკების დაფინანსების შესახებ დასავლეთ ევროპაში კომუნისტების შესაძლო შეჭრასთან დაკავშირებით, ან დასავლეთ ევროპაში ომების საწარმოებლად კომუნისტური პარტიის, მემარცხენე მოძრაობების ან პროსაბჭოთა რეჟიმების დომინირების შემთხვევაში“. ბირნმა ხაზგასმით მოითხოვა: „ზემოთ თქმულთან დაკავშირებით, გთხოვთ, ჩართოთ თქვენს „საძიებო“ სიაში ოპერაცია „გლადიოსთან“ დაკავშირებული ყველა საკითხი, განსაკუთრებით, საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში“. ბირნმა სამართლიანად მიუთითა, რომ „ძებნის შემდეგ მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ომისშემდგომ ეპოქაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის თავისებურებებში საზოგადოებრიობის გარკვევის საქმეში...“

მაგრამ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ უარი თქვა თანამშრომლობაზე. პასუხში, რომელიც 1991 წლის 18 ივნისით არის დათარიღებული, წერია: „ცსს-ს არ შეუძლია არც დაგიდასტუროთ, არც უარყოს დოკუმენტური დასაბუთების არსებობა თქვენს შეკითხვაზე“. როცა ბირნი შეეცადა, გაეპროტესტებინა ცსს-ის უარი ოპერაცია „გლადიოს“ თაობაზე, აპელაცია არ მიიღეს. ცსს-მ თანამშრომლობაზე თავისი უარი დაასაბუთა ორი გამონაკლისით, რომლებიც ინფორმაციის თავისუფლების კანონშია აღნიშნული და იცავს გარკვეულ დოკუმენტებს გასაჯაროებისგან. ეს არის „გასაიდუმლოება ეროვნული თავდაცვის ან საგარეო პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე“ და „დირექტორის კანონიერი ვალდებულება გასაჯაროებისგან დაიცვას დაზვერვის წყაროები და მეთოდები, ასევე, ორგანიზება, ფუნქციები, სახელები, ოფიციალური თანამდებობები, ხელფასი ან პერსონალის რაოდენობა, რომელიც დაქირავებულია სააგენტოს მიერ ეროვნული უშიშროების 1947 წლის აქტისა და 1949 წლის ცსს-ს აქტის თანახმად“.

წარუმატებელი იყო ევროპის სახელისუფლო ძალების წარმომადგენელთა მცდელობაც, მიეღოთ ინფორმაცია საიდუმლო მთავრობების არსებობის შესახებ. 1955 წლის მარტში იტალიის სენატის კომისიამ, რომელსაც სენატორი **ჯოვანი პელეგრინო** ედგა სათავეში, ოპერაცია „გლადიოსა“ და მასობრივი მკვლელობების საკითხის შესწავლის შემდეგ შეკითხვით მიმართა ცსს-ს. სთხოვა, სრულად გადაეცათ კომისიისთვის ინფორმაცია „წითელი ბრიგადებისა“ და **ალდო მოროს** მკვლელობის შესახებ. სენატორებს აინტერესებდათ, ოპერაცია „გლადიოს“ ამოცანიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებდა ამ სპეცსამსახურის მიერ ქვეყანაში არსებული ვითარების გაკონტროლებას, როგორ ჩანერგა მან თავისი აგენტურა „წითელი ბრიგადების“ რიგებში ამ ბრიგადების წევრების მიერ იტალიის ყოფილი პრემიერმინისტრისა და ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ალდო მოროს მკვლელობამდე, ანუ 1978 წლამდე. ცსს-მ კვლავ მოიხმო ინფორმაციის თავისუფლების კანონში არსებული გამონაკლისები და ამ გაცვეთილ არგუმენტზე დაყრდნობით გაემიჯნა ყველა ინფორმაციას ჩვეული განცხადებით: „ჩვენ არ შეგვიძლია არც დაგიდასტუროთ, არც უარვყოთ ცსს-ში იმ დოკუმენტების არსებრობა, რომლებსაც მოითხოვთ“.

იტალიის პრესამ ხაზი გაუსვა, რომ ეს იყო „არნახული იმედგაცრუება“ და განაცხადა: „ცსს-მ უარი თქვა, ეთანამშრომლა საპარლამენტო კომისიასთან, რომელიც იკვლევს ალდო მოროს უეცარი გაქრობის ფაქტს. მოროს საქმე აშშ-ის სახელმწიფო საიდუმლოება ყოფილა“...

მეორე თხოვნა „გლადიოს“ ოპერაციის გასარკვევად ავსტრიის სამთავრობო წრეებიდან გაიგზავნა მას შემდეგ, რაც ნეიტრალური ალპური სახელმწიფოს მთიანეთის ტყეებს და მდელოებში აღმოაჩინეს „გლადიოს“ იარაღის სამალავები. აშშ-ის ოფიციალურმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სრულიად დაფარავს სამალავის გათხრებისა და ცსს-ის ქსელის აღდგენის ხარჯებს.

სამალავების აღმოჩენის შესახებ ავსტრიაში ჩატარებული გამოძიების ანგარიში კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქვეყნის შსს-ს წარმომადგენელი **მაიკლ სიკი**, წარადგინა 1997 წლის 28 ნოემბერს. ავსტრიის ხელისუფლებამ მოითხოვა, რომ ამ საწყობების მფლობელთა დასადგენად „საჭირო იყო შესაბამისი ინფორმაციის მიღება, განსაკუთრებით, შეერთებული შტატებიდან“.

კომისიის წევრმა **ოლივერ რატკოლბმა** ვენის უნივერსიტეტიდან თხოვნით მიმართა ცსს-ს, დაეშვა იგი შესაბამისი დოკუმენტების შესასწავლად, მაგრამ 1997 წელს საზოგადოებრიობასთან კავშირის ჯგუფის წარმომადგენელმა უარი თქვა, დაეკმაყოფილებინა რატკოლბის თხოვნა. უარი ზემოთ უკვე რამდენჯერმე აღნიშნული კანონის გამონაკლის შემთხვევებს ეფუძნებოდა.

ამიტომ იყო, რომ ავტორმა იმავე შეკითხვით მიმართა ცსს-ს 2000 წლის 14 დეკემბერს. ორი კვირის შემდეგ ცსს-მ ავტორს ფრიად მიკიბულ-მოკიბულად უპასუხა: „ცსს-ს არ შეუძლია არც დაგიდასტუროთ, არც უარყოს თქვენი შეკითხვის დოკუმენტური დადასტურების არსებობა“. ამ წერილით ცსს-ს კოორდინატორმა **კეტრინ დაიერმა**, ფაქტობრივად, უარი თქვა „გლადიოს“ ოპერაციის შესახებ რაიმე ინფორმაციის გაცემაზე.

ავტორმა გააპროტესტა ცსს-ს უარი და მოითხოვა დაფარული ინფორმაციის გასაჯაროება, რადგან კანონის გამონაკლისი შემთხვევები, რომლებსაც იშველიებდა ცსს უარის დასასაბუთებლად, „გამოყენებული უნდა იყოს იმ ოპერაციებისადმი გონივრული მიდგომით, რომლებიც დღემდე გასაიდუმლოებულია“. თავისი გამოკვლევის მონაცემების გამოყენებით ავტორმა დაასაბუთა, რომ ამჯერად ასე არ მოხდა და დაასკვნა: „თუ თქვენ, ქალბატონო დაიერ, კანონის შესწორებებს მოცემულ კონტექსტში განიხილავთ, მიხვდებით, რომ ცსს-ს გაუაზრებლად უსპობთ სიტყვის უფლებას, დაიკავოს გარკვეული პოზიცია „გლადიოს“ საქმეში, რომელიც გაიხსნება იმის მიუხედავად, მონაწილეობდა თუ არა ცსს ამ პროცესში“.

2001 წლის თებერვალში ავტორმა მიიღო ცსს-ს პასუხი: „თქვენი მიმართვა მივიღეთ. ვეცდებით, რომ იგი განიხილონ საზოგადოებასთან ურთიერთობის ცსს-ის ჯგუფის შესაბამისმა წევრებმა. ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ გაცნობებთ“. ამასთანავე, ცსს-მ ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული ჯგუფი მუშაობს პრინციპით „ვინც პირველი შეეკითხა, პირველი ის იღებს პასუხს“ და რომ „დღეისთვის მუშავდება 315 შეკითხვა“. ამრიგად, ავტორის შეკითხვა თაროზე შემოდეს გაურკვეველი დროით. ამ წიგნის დაწერის დროისთვის გავიდა 4 წელიწადი და ცსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფს ავტორისთვის პასუხი არ ულირსებია.

დიდი ბრიტანეთის საიდუმლო სამსახური „მი-6“ ნატოსა და ცსს-ის შემდეგ მესამე ორგანიზაცია იყო, რომელსაც საიდუმლო ოპერაციებში ცენტრალური ადგილი ეკავა. 1990 წელს მან უარი თქვა „გლადიოს“ საქმის კომენტირებაზე საიდუმლოებისადმი მისი ლეგენდადქცეული მისწრაფების გამო: თვით „მი-6“-ის არსებობაც კი ოფიციალურად იქნა აღიარებული მხოლოდ 1994 წელს, სპეცსამსახურების შესახებ კანონის მიღების შემდეგ, რომლითაც დადასტურდა „მი-6“-ის მიერ დაზვერვის მონაცემების შეკრება საზღვარგარეთ განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

მაშინ, როცა ბრიტანული „მი-6“-ის ხელმძღვანელებმა უარი თქვეს კომენტარზე, კონსერვატორების პარტიის წევრმა, „ყოველკვარტალური აგენტურული ჟურნალის“ გამომცემელმა **რუპერტ ალასონმა** „გლადიოს“ გამო 1990 წელს აგორებული სკანდალის შესახებ „ასოშიაიტედ პრესს“ სატელეფონო ინტერვიუში დაუდასტურა, რომ „ჩვენ ღრმად ვიყავით ჩართული ამ ქსელებთან მუშაობაში და დღემდე ვართ ჩათრეული“. მან განმარტა, რომ „ბრიტანელები ეხმარებოდნენ ფინანსურად და ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტაში“. ისინი „მი-6“-ისა და ცსს-თან ერთად და რამდენიმე ამერიკული ქსელის მონაწილეობით უშუალოდ იყვნენ ჩართული: „სულისჩამდგმელები იყვნენ ბრიტანული და ამერიკული სპეცსამსახურების აგენტები“. მან თქვა, რომ **1949 წლის შემდეგ საიდუმლო არმიებს აკონტროლებდა ნატოს სპეციალური დანიშნულების ნაწილების სტრუქტურა, რომლის შემადგენლობაში ბრიტანეთის სპეციალური ავიასადესანტო სამსახური სტრატეგიულ როლს თამაშობდა.**

„ბრიტანეთის როლი საიდუმლო ქვედანაყოფების ქსელის შექმნაში, რომლებიც დატოვებული იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საბჭოთა ოკუპაციის შემთხვევისთვის, ფუნდამენტური იყო“, — ეს ერთგვარი დაგვიანებით, 1991 წლის 4 აპრილს, განაცხადა ბრიტანულმა კორპორაციამ ბი-ბი-სიმ თავის გამოცემაში Newslight. ამ გამოცემის მკითხველმა **ჯონ სიმპსონმა** გააკრიტიკა ის, რომ „მი-6“ და ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო საიდუმლოდ ინახავდნენ ინფორმაციას მანამდე, სანამ არ გასაჯაროვდა, რომ ევროპულ ქვეყნებს — ბელგიას, ჰოლანდიას, საფრანგეთს, ესპანეთს, საბერძნეთს, თურქეთს — ჰყავდა თავ-თავიანთი საიდუმლო არმიები. ნეიტრალურ შვედეთსა და შვეიცარიაშიც კი გაიმართა საჯარო დებატები ამ საკითხზე. ზოგიერთ შემთხვევაში მომზადდა კიდეც შეკითხვები, მაგრამ ბრიტანეთში მსგავსი არაფერი მომხდარა, არაფერი, თავდაცვის სამინისტროს კომენტარის გარდა: „საკითხები, რომლებიც ეროვნულ უსაფრთხოებას უკავშირდება, არ განიხილება“. სიმპსონმა გაიხსენა, რომ ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ შეძრწუნებულმა ინგლისელებმა შეიტყვეს შტაზის, სეკურიტატეს და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სპეცსამსახურების მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ: „კეთდებოდა კი ამის საპირწონედ რამე? რა თქმა უნდა, არა“, — ირონიულად შენიშნა მან. შემდეგ კი თითი გაიშვირა დასავლეთის უშიშროების სპეცსამსახურებისკენ: „ახლა მჟღავნდება დაუდასტურებელი ინფორმაცია ნატოს ყველაზე უფრო გასაიდუმლოებული სპეცსამსახურების დანაშაულების შესახებ. იტალიაში საპარლამენტო კომისია იძიებს საიდუმლო არმიის საქმიანობას, რომელიც შექმნა სახელმწიფომ საბჭოთა შემოჭრის საწინააღმდეგოდ. გამოძიებით გამჟღავნდა, რომ ევროპაში არსებობდა მსგავსი გასაიდუმლოებული ძალები, მაგრამ იტალიის არმიის ჯგუფი აშკარად ექვმიტანილია ტერორიზმში“.

კორპორაცია ბი-ბი-სიმ სახელმწიფოს ოფიციალური პირებისგან ვერ მიიღო ინფორმაცია, რა პოზიციაზე დგანან ისინი „გლადიოს“ საქმის მიმართ. მრავალი წლის შემდეგ ამ საქმეში „მი-6“-ის მონაწილეობის ოფიციალური დადასტურება მოვიდა საკმაოდ მოულოდნელი წყაროდან — მუზეუმიდან. 1995 წლის ივლისში ლონდონის იმპერიულმა სამხედრო მუზეუმმა გახსნა ახალი ექსპოზიცია „საიდუმლო ომები“. ერთ-ერთი, არცთუ თვალშისაცემი კომენტარით, „მი-6“-ის მზადებაში მესამე მსოფლიო ომისთვის სერიოზული ადგილი ეკავა საიდუმლო ქვედანაყოფების შექმნას მტრის ზურგში სამოქმედოდ, თუ საბჭოთა ჯარები ევროპის გულში შევიდოდნენ“.

**უფრო დაწვრილებით ამ სამუზეუმო ექსპოზიციაზე და, საერთოდ, დიდ ბრიტანეთში საიდუმლო ომის შესახებ გაზეთის მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ.**

**გაგრძელება იქნება**

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ოპერაციებს ამერიკის კონტინენტს მიღმაც აწარმოებდა. კერძოდ, რამდენიმე საიდუმლო ოპერაცია განახორციელა აზიასა და აფრიკაში, რომელთა შორისაა — 1953 წელს ირანში მოსადიკის მთავრობის დამხობა, სამხრეთ აფრიკის «თეთრი» პოლიციის მხარდაჭერა, რომლის გამოც ციხეში გამოამწყვდიეს ნელსონ მანდელა; ოსამა ბენ ლადენის „ალ ქაიდას“ მხარდაჭერა ავღანეთში და პოლ-პოტის წითელი ქიმერებისთვის გაწეული დახმარება 1975 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც ამერიკელები დამარცხდნენ ვიეტნამში 1975 წელს**




ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ევრონაცისტები „გლადიოს“ მემკვიდრეები არიან: „გლადიო-A“ ჩაანაცვლა „გლადიო-B“-მ



„გლადიოს“ მორიგი ტერაქტის შემდეგ ბოლონიაში

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალგორითმებს, რომლებიც საშუალებას მისცემს მანქანებს, შეისწავლოს ადამიანის მიერ შეყვანილი მონაცემები და აწარმოოს მათი კოორდინირება, ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა ავტონომიური ტრანსპორტის გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად. ამის სწორად გაკეთება უკიდურესად მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ეს, თავისი არსით, საზოგადოების მიერ ხელოვნური ინტელექტის სისტემის ფიზიკურად განხორციელების პირველი მცდელობა იქნება ქალაქის პარადიგმაში.**

# როგორ შეცვლის ხელოვნური ინტელექტი დედამიწის საშუალოსტატიკური მკვიდრის ცხოვრებას 2030 წლისთვის?

ყოველ ხუთ წელიწადში მეცნიერები აფასებენ ხელოვნური ინტელექტის მდგომარეობას და მის განვითარებას. შარშან, შემოდგომაზე, შედგენილ იქნა პირველი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ხელოვნური ინტელექტის სფეროს, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის ექსპერტები. მათ გადაწყვიტეს, პირველი ანგარიში მიეძღვნათ ხელოვნური ინტელექტის იმ ზემოქმედებისთვის, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი საშუალოსტატიკური ამერიკული ქალაქის რიგით მცხოვრებზე მოახდენს.
მათი აზრით, მომდევნო 15 წელიწადში ქალაქის რვა ძირითადი ასპექტი შემდეგნაირად შეიცვლება:

## ტრანსპორტი

2020 წლისთვის ფართოდ იქნება გავრცელებული უპილოტო ავტომობილები, და ასეთი იქნება არა მხოლოდ მსუბუქი, არამედ სატვირთოც, აგრეთვე, დრონები და პერსონალური რობოტები.

„ავტომობილი, როგორც მომსახურება“ UBER-ის სტილში (UBER — მობილური დამატება, რომლის საშუალებითაც მგზავრს შეუძლია მანქანის გამოძახება, უნაღდო ანგარიშსწორება), სავარაუდოდ, ჩაანაცვლებს ავტომანქანების მფლობელებს, რადგან შესაძლებელი იქნება, ან უარის თქმა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, ან მოთხოვნის შესაბამისად მთლიანად გადასვლა მსგავს მომსახურებაზე. ტრანსპორტით მგზავრობა იქნება დასვენების ან პროდუქტიული მუშაობის საშუალება; წაახალისებს ადამიანებს, იცხოვრონ სახლისგან მოშორებით და აღარ იფიქრონ პარკირებაზე. ამგვარად, თანამედროვე ქალაქის სახე კარდინალურად შეიცვლება.

მონაცემთა ნაკადი სწრაფი ტემპით მზარდი სენსორებიდან ადმინისტრატორებს ცალკეული ადამიანების გადაადგილების, მათი პრიორიტეტებისა და მიზნების მოდელირების საშუალებას მისცემს. ამან კი, შესაძლოა, არსებითი გავლენა იქონიოს ქალაქის ინფრასტრუქტურის დიზაინზე.

მაგრამ ადამიანები ამ სქემიდან არ ამოვარდებიან. ალგორითმებს, რომლებიც საშუალებას მისცემს მანქანებს, შეისწავლოს ადამიანის მიერ შეყვანილი მონაცემები და აწარმოოს მათი კოორდინირება, ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა ავტონომიური ტრანსპორტის გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად. ამის სწორად გაკეთება უკიდურესად მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ეს, თავისი არსით, საზოგადოების მიერ ხელოვნური ინტელექტის სისტემის ფიზიკურად განხორციელების პირველი მცდელობა იქნება ქალაქის პარადიგმაში.




## საშინაო რობოტები

რობოტები, რომლებიც დაკავებულნი არიან ამანათების დარიგებითა და ოფისების დალაგებით, შემდგომი 15 წლის განმავლობაში უფრო მოიხვეჭენ პოპულარობას. მწარმოებლებმა გააძლიერეს გასული საუკუნის სუპერკომპიუტერების გამოთვლითი სიმძლავრე, ასევე, მკვეთრად აამაღლეს რობოტების შრომის ნაყოფიერება.

მომავალში რობოტებს შეეძლებათ მონაცემთა ურთიერთშორის გაცვლა, ამის ხარჯზე კი უფრო სწრაფად შეითვისებენ ახალ ცოდნას. იაფი 3D-მრიცხველები, როგორიცაა „მიკროსოფტ კინექტი“, დააჩქარებს პერცეპტული (აღქმითი) ტექნოლოგიების განვითარებას. დღეს კვლევით ლაბორატორიებში მიმდინარეობს რობოტიზებული კიდურების ევოლუცია სამომხმარებლო მოწყობილობებში 2025 წლისთვის.

მაგრამ საიმედო ხელსაწყოს ფასი და სირთულე, ასევე ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების ჩართვის სირთულე რეალურ სამყაროში ნიშნავს, რომ ფართო დანიშნულების რობოტები ჯერ კიდევ კარგა ხანს არ გამოჩნდება და, სავარაუდოდ, რობოტებს გამოიყენებენ ვიწრო კომერციული ინტერესებისთვის..

## ჯანმრთელობა

მომდევნო 15 წელიწადში ხელოვნური ინტელექტის ზემოქმედება ჯანმრთელობაზე უფრო მეტად იქნება დამოკიდებული რეგულირებაზე, ვიდრე ტექნოლოგიაზე. ხელოვნური ინტელექტის ყველაზე ტრანსფორმირებული შესაძლებლობები მოითხოვს მონაცემების ხელმისაწვდომობას და ხელუხლებლობის პრინციპის დაცვას. მაგრამ FDA-ს (საკვებისა და წამლის ადმინისტრირების ორგანიზაცია) ჯერ არ შეუძლია, იპოვოს ბალანსი მონაცემთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და მათი ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვას შორის. ჯანმრთელობაზე მონაცემების შეგროვებისთვის ელექტრონიკაც ძალიან ნელა იმპლემენტირდება.

თუკი ეს წინააღმდეგობები გადაილახება, ხელოვნური ინტელექტი შეძლებს გრძელი და რთული პროცესის ავტომატიზებას — პაციენტთა ჩანაწერების ბაზაში შეყვანასა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლას. ასეთი ციფრული დამხმარე ექიმებს საშუალებას მისცემს, ყურადღება გადაიტანონ ადამიანურ ასპექტებზე პაციენტთა მომსახურების საქმეში, მისცენ გასაქანი ინტუიციასა და გამოცდილებას.

პაციენტთა მონაცემები და ჩანაწერები, მობილური დანართები და გენომის პერსონალური სეკვენირება (თანამიმდევრობა) შეძლებს, რეალობად აქციოს მოსახლეობის პერსონალური მედიცინა. თუმცა სრულად ავტომატიზებული რადიოლოგია დარჩება ნაკლებად რეალური. სამედიცინო ვიზუალიზაციის დიდ ბაზებთან ხელმისაწვდომობა შესაძლებლობას შექმნის, მანქანური სწავლების ალგორითმები შესწავლილ იქნას სკანერით, რითაც შემსუბუქდება ექიმთა დატვირთვა.



ჭკვიანი „მოსიარულეები“, საქანელა-სავარძლები და ეგზოჩონჩხები დაეხმარება ასაკოვან ადამიანებს, შეინარჩუნონ აქტიურობა. რობოტები შეძლებენ საავადმყოფოებში უბრალო დავალებების შესრულებას, თუნდაც პალატაში ნივთების მიტანას ან ნაკერის დადებას, მაგრამ გარკვეულ დრომდე ეს დავალებები იქნება ნახევრადავტომატიზებული და ადამიანების თანამონაწილეობით შესრულდება.

## განათლება

2030 წლისთვის ზღვარი ინდივიდუალურ და სასკოლო განათლებას შორის წაიშლება. მასობრივად გახსნილი ონლაინკურსები და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები ნებისმიერი მასშტაბით ინდივიდუალური სწავლების პირობებს შექმნის. კომპიუტერული სწავლება არ შეცვლის სასკოლო განათლებას, მაგრამ ონლაინინსტრუმენტები მოსწავლეებს დაეხმარება თავიანთი საკუთარი ტემპით ისწავლონ და გამოიყენონ მათთვის სასურველი მეთოდი.

**ონლაინსწავლებით უფრო ხელმისაწვდომი იქნება განათლება, საშუალებას მისცემს განვითარებადი ქვეყნების ადამიანებს, აიმაღლონ კვალიფიკაცია ან გადაკვალიფიცირდნენ და მიიღონ უმაღლესი ხარისხის განათლება.**

ვირტუალური რეალობის რთული სისტემები სტუდენტებს დაეხმარება, ჩაეფლონ ისტორიულ თუ გამოგონილ სამყაროში, რათა გამოიკვლიონ გარემო ან ისტორიული ობიექტები ისე, რომ რეალურად არ მოუხდეთ წასვლა მათი ადგილმდებარეობის ადგილას.



## ღარიბი საზოგადოება

2030 წლისთვის ხელოვნური ინტელექტი დაეხმარება ღარიბებს ცხოვრების გაუმჯობესებაში. პროგნოზული ანალიტიკა დაეხმარება სახელისუფლო აგენტებს, უკეთ გაანაწილონ ორგანული რესურსები, ივარაუდონ ეკოლოგიური საშიშროების ან ნორმებისა და წესების დარღვევა. ხელოვნური ინტელექტის დახმარებით მოხდება რესტორნებში დარჩენილი ზედმეტი საკვების სასურსათო ბანკებსა და თავშესაფრებში განაწილება, სანამ ისინი ვარგისია საჭმელად.

ამ სფეროში ინვესტიციები კატასტროფულად არასაკმარისია. ჯერაც არსებობს საშიშროება, რომ მანქანურმა სწავლებამ მიგვიყვანოს რასობრივ ან სქესობრივ დისკრიმინაციამდე. მაგრამ ხელოვნური ინტელექტის პროგრამების პასუხისმგებლობის საკითხის მოგვარება გაცილებით ადვილია, ვიდრე ადამიანების, ამიტომ უფრო რეალურია, რომ ისინი დისკრიმინაციას გვერდს აუვლიან.

## საზოგადოებრივი უსაფრთხოება

2030 წლისთვის ქალაქები გარკვეულწილად დამოკიდებული იქნება ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებზე დანაშაულთა გამოვლენისა და პროგნოზირების საქმეშიც. ვიდეოდაკვირვების ავტომატური დამუშავება და დრონების დახმარებით ჰაერიდან გადაღება საშუალებას მისცემს სამართალდამცველებს, სწრაფად აღმოაჩინონ ანომალიური ქმედება. ეს სამართალდამცავ ორგანოებს არა მხოლოდ სწრაფ რეაგირებაში დაეხმარება, არამედ პროგნოზირებაშიც — სად და როდის მოხდება დანაშაული. შიში იმისა, რომ სისტემა აურევს და სრულიად უდანაშაულო ადამიანებს პრობლემები შეექმნებათ, არსებობს, მაგრამ კარგად მოფიქრებული სისტემა დაუპირისპირდება ადამიანთა მექრთამეობასა და პოლიციელთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან განსხვავებით, ხელოვნური ინტელექტი შეიძლება ადამიანური და პირადი ფაქტორებისგან სრულიად დამოუკიდებელი იყოს და, აქედან გამომდინარე, უფრო სამართლიანიც.

## დასაქმება და სამუშაო ადგილები

ხელოვნური ინტელექტის ეფექტი განსაკუთრებით საგრძნობი იქნება სამუშაო ადგილებზე. 2030 წლისთვის ხელოვნური ინტელექტი დაუპირისპირდება კვალიფიციურ სპეციალისტებს — იურისტებს, ფინანსურ კონსულტანტებს, რადიოლოგებს. ხელოვნური ინტელექტი შეაღწევს სხვადასხვა ორგანიზაციაში და დაიკავებს სხვადასხვა სამუშაო ადგილს.

ახლო მომავალში ხელოვნური ინტელექტი უფრო მეტად ჩაანაცვლებს ამოცანებს და არა მუშებს. ამასთანავე, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ბაზრებს. თუმცა ის უდავოდ მიგვიყვანს შემოსავლებისა და სამუშაო ადგილების შემცირებასთან. გაზრდილი ავტომატიზება ასევე შეამცირებს საქონლისა და მომსახურების ღირებულებას, ეს კი თითოეულ ადამიანს უფრო გაამდიდრებს.

ეკონომიკაში ეს სტრუქტურული ძვრები მოითხოვს საპასუხო პოლიტიკურ ღონისძიებებსაც, რომლებიც ამ სიმდიდრეების განაწილების გარანტი იქნება.

მოკლე პერსპექტივაში რესურსები განათლებასა და გადამზადებაში გადანაწილდება; ხოლო შორეულ პერსპექტივაში სოციალური დაცვის ან რადიკალური მიდგომის გაცილებით ფართო სისტემები იქნება საჭირო, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა გარანტირებული ძირითადი შემოსავალი.

## გართობა

2030 წლისთვის გართობა გაცილებით ინტერაქტიური, პერსონალიზებული და მხიარული იქნება, ვიდრე დღეს არის. გარღვევა სენსორებისა და ტექნიკური საშუალებების სფეროში ვირტუალური რეალობის გავრცელებამდე, ტაქტილურ (შეხების განცდა) გართობამდე და რობოტ-კომპანიონებამდე მიგვიყვანს როგორც შინ, ისე ქუჩაში.

სოცქსელები პერსონალური გასართობი არხების შექმნის საშუალებას ახლაც იძლევა, მაგრამ ჯერჯერობით მონაცემების დახარისხება არ ხდება და ისინი მომხმარებელს მისი პრიორიტეტებისა და ჩვევების შესაბამისად არ მიეწოდება. მომავალში ეს საქმე უპრეცედენტო დონეზე ავა. მაგრამ არსებობს შიში, რომ ყოველივე ეს მედიაკონგლომერატებს ადამიანების კონტროლის საშუალებას მისცემს.



ვილჰელმ მაიბახისა და დაიმლერის პირმშო კონვეიერიდან 1901 წელს გადმოვიდა, რომელსაც დაიმლერის ქალიშვილის სახელი — მერსედესი დაარქვეს. სპორტული და კომერციული წარმატების შემდეგ DAIMLER MOTOREN GESELLSCHAFT-მა გადაწყვიტა, ყველა მომდევნო მოდელისთვის „მერსედესი“ ეწოდებინა. სურსათის უვნებლობის ცენტრის განცხადებით, დაჭრილი ბოსტნეული და სალათები უნდა მიირთვათ მომზადებიდან 12 საათის განმავლობაში, თუკი მას არაუმეტეს 4 გრადუს ტემპერატურაზე შეინახავთ. მეორე დღისთვის გამოყენება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ, თუ მას საყინულეში შეინახავთ.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ცნობილი ბრენდების პირველი ავტომობილები



**HYUNDAI PONY** (1975) — სამხრეთ კორეა ავტომობილების წარმოებით 60-იან წლებში დაინტერესდა, თავდაპირველად ლიცენზირებულ ინგლისურ ავტომობილებს ამზადებდნენ, შემდეგ გადაწყვიტეს, საკუთარი პროდუქცია დაემზადებინათ. უნდა აღინიშნოს, რომ კორეული პირმშო Hyundai Pony თავიდანვე ძალზე პოპულარული გახდა, სიიაფისა და საიმედოობის გამო.



**HONDA T360** (1963) — ამ ცნობილი ბრენდის პირველი ავტომობილი იყო პაწია სატვირთო 30 ცხენის ძალით, რომლის მაქსიმალური სიჩქარე შეადგენდა 62 კმ/სთ-ში.



**MAZDA R360** (1960) — იაპონური კომპანია 30-იან წლებში ტრიციკლებს ამზადებდა. პირველი მცირელიტრაჟიანი, ორადგილიანი ავტომობილი, რომელიც კოხტა სათამაშოს უფრო მოგვაგონებდა, 1960 წელს შეიქმნა.



**MERCEDES 35 H.P.** (1901) — **ვილჰელმ მაიბახისა** და **დაიმლერის** პირმშო კონვეიერიდან 1901 წელს გადმოვიდა, რომელსაც დაიმლერის ქალიშვილის სახელი — **მერსედესი** დაარქვეს. სპორტული და კომერციული წარმატების შემდეგ Daimler Motoren Gesellschaft-მა გადაწყვიტა, ყველა მომდევნო მოდელისთვის „მერსედესი“ ეწოდებინა.



**JEEP CJ-2** (1945) — ჯიპის დაბადების თარიღად 1941 წელი ითვლება, იმხანად მას Willys MA ეწოდებოდა, თუმცა სამხედრო ყველგანმავალს ოფიციალურად „ჯიპი“ მხოლოდ 1945 წლიდან ეწოდა — Willys CJ-2(Civilian Jeep.) და გამოსვლისთანავე მსოფლიოში უაღრესად პოპულარულ ავტომობილად იქცა.




1948 წელს ინჟინერ **მორის უილკს** გაუფუჭდა თავისი სამხედრო Willys CJ-2, რომელსაც იყენებდა ბაღის ნაკვეთებში სამუშაოდ, მაშინ დაებადა იდეა უილკს, თვითონვე აეწყო ავტომობილი. ასე დაიბადა Willys Jeep-ის ბაზაზე აგებული პირველი **LAND ROVER MK.1** (1948).



**NISSAN MODEL 70** (1937) — პირველი ავტომობილი, რომელიც ამ ბრენდის სახელით გამოვიდა, კომპანია Jidosha Sezo Co ltd-მ დაამზადა, რომელიც Datsun-ს ეკუთვნოდა. იგი ამერიკული სედანი Graham Paige Special Six-ის ასლი იყო. მოგვიანებით Jidosha Sezo Co ltd გადაიქცა Nissan Motor-ად. ისეთი ჩახლართული და არეულ-დარეული ისტორია არც ერთ საავტომობილო ფირმას არ აქვს, როგორც „ნისანს“.



**MITSUBISHI MODEL A** (1917) — შორეულ 1917 წელს გემთმშენებელმა ფირმამ Mitsubishi Kobe Dockyard Works-მა გადაწყვიტა, ისე, საცდელად, ავტომობილი დაემზადებინა, რომელიც FIAT Tipo 3-ის ასლი იყო. დამზადდა სულ 20 ავტომობილი, თუმცა მის ყიდვას არც არავინ აპირებდა. იმ დროს იაპონიაში იმპორტირებული ავტომობილები უფრო იაფი იყო.



**OPEL LUTZMANN** (1899) — XX საუკუნის მიწურულს ოპელების ოჯახმა, რომელიც ველოსიპედებს ამზადებდა, გადაწყვიტა ბიზნესის გაფართოება. ავტომობილის შექმნა დაავალეს Daimler-Benz-ის ინჟინერს — ფრიდრიხ ლუტცმანს. თუმცა ავტომობილს ფაქტიურად არავინ ყიდულობდა, ორ წელიწადში მხოლოდ 31 ავტომობილი გაყიდეს. ამის შემდეგ „ოპელმა“ კონტრაქტი შეუწყვიტა ლუტცმანს და თვითონ დაამზადა ავტომობილი, რომელიც უფრო წარმატებული გამოდგა.



**PEUGEOT TYPE 2** (1890) — აღსანიშნავია, რომ მანამდე Peugeot Type 1 იყო გამოსული, თუმცა ის ორთქლის ძრავაზე მუშაობდა. **ლეონ სარპოლემ** Type 2 უკვე შიდაწვის ძრავზე დაამზადა, რომელიც Daimler-ისგან იყო ლიცენზირებული.

# ბათუმის ქუჩებში ელექტროავტობუსები გამოჩნდება

**მომავალი წლიდან ბათუმში ელექტროავტობუსები იმოძრავებენ. ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორმა პაატა დუმბაძემ განუცხადა.**




საუბარია 10 ერთეულ ელექტროავტობუსზე, რომლებიც რუსთაველის ქუჩის გავლით, რკინიგზიდან აეროპორტის მიმართულებით, დაახლოებით 10-წუთიანი ინტერვალით იმოძრავებენ. ამ ეტაპზე ტექნიკურ დოკუმენტაციაზე მუშაობა მიმდინარეობს.

კომპანია ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან (EBRD) თანამშრომლობს, რომელმაც სესხი უნდა მისცეს. პროექტი გარე ინფრასტრუქტურის მოწყობასაც ითვალისწინებს, იქნება ეს ელექტროავტობუსის დამმუხტველი მოწყობილობის დამონტაჟება თუ სხვ.

რა მანძილის გაივლის ავტობუსი, რამდენ ადამიანზე იქნება გათვლილი და სხვა დეტალებზე ჯერ არ საუბრობენ; არც იმას აკონკრეტებენ, რა იქნება პროექტის ღირებულება ან რა დაჯდება ერთი ელექტროავტობუსის შეძენა. მსგავსი დეტალები მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდება.

გარდა ელექტროავტობუსებისა, პროექტის მიხედვით, ბათუმში „ევრო 5“-ის სტანდარტის დიზელზე მომუშავე ავტობუსებიც გამოჩნდება.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გახსოვდეთ, თუ მომზადებულ ბრინჯს ოთახის ტემპერატურაზე 1 საათს მაინც დააყოვნეთ, აღარ მიირთვათ.



# ქალი, რომელსაც ფეხის ტერფები უკუღმა აქვს

**36 წლის ვონგ ფანგი ჩინეთიდან, რომელსაც 14 წლის შვილი ჰყავს, უცნაური ანომალიით დაიბადა — მას ფეხის ტერფები უკუღმა აქვს, მიუხედავად ამისა, ისწავლა ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრება.**

„მე შემიძლია უფრო სწაფად ვიარო, ვიდრე ჩემი მეგობრები დადიან, მაქვს სტაბილური და მუდმივი სამსახური — რესტორანში მიმტანად ვმუშაობ, არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც შეიძლება, როგორც ხეიბარს, ისე მიყურონ“.

თავიდანვე ექიმები ფიქრობდნენ, რომ გოგონა ვერ შეძლებდა სიარულს, რასაც ოჯახის წევრები ძალიან განიცდიდნენ, მაგრამ ვონგმა ეს შეძლო და დღესაც ის დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე აკეთებს ყველაფერს.



# ბავშვი ნაწლავებით გარეთ დაიბადა

**ჰოლი ჰადსონი ბედნიერი იყო, როდესაც შეიტყო, რომ ცხრა თვეში ახალ სიცოცხლეს მოავლენდა ამქვეყნად, მაგრამ როდესაც 12 კვირის ორსულს ჩაუტარდა ულტრაბგერითი გამოკვლევა და ანალიზები, გაირკვა ნაყოფის განუვითარებლობა და გასტროშიზისი (კუჭის კედლის კუნთის თანდაყოლილი დეფექტი, როცა ქიპლარი არ იხურება და ნაწლავები გამოდის გარეთ).**

ექიმებმა განუმარტეს მომავალ მშობლებს, რომ მსგავსი შემთხვევების რაოდენობა წელიწადში 10%-ია სამეანო მედიცინაში და ბავშვები იტანჯებიან ტკივილებით, ინფექციებით, დაავადების გართულებებით, რომელთა ფონზეც იღუპებიან ჩვილები და გადარჩენის შანსი თითქმის არ არსებობს. ამიტომ ჰოლის მოუწოდეს ორსულობის შეწყვეტისკენ.

წყვილმა არ იჩქარა ამ გადაწყვეტილების მიღება და განაცხადა, რომ სურდა, გაეჩინათ ეს ბავშვი და შეეწყოთ მისთვის ხელი, რათა პატარას ებრძოლა დაავადების დაძლევისთვის.

გარკვეული მიზეზებისა და საფრთხის თავიდან აცილების მიზნით შვიდი თვის შემდეგ დიაგნოზის შესაბამისად გასტროშიზისით მოევლინა **ტედი ჰადსონი** ქვეყანას. ახალბედა დედ-მამა მზად იყო ყველაფრისთვის, ტედი ნაწლავებით გარეთ დაიბადა. ექიმებმა მაშინვე შემოახვიეს სპეციალური თხელი ფირი და ორი კვირა ინკუბაციის კაფსულაში ყავდათ. ორი კვირის შემდეგ კი მას პირველი წარმატებული ოპერაცია ჩაუტარდა. მხოლოდ ორთვიანი მკურნალობის შემდეგ წაიყვანეს ტედი სახლში.

„ჯერ კიდევ გაბრაზებული ვარ იმ ექიმებზე, რომლებსაც ორსულობის შეწყვეტა მირჩიეს. მსოფლიოს მინდა დავანახვო, რომ ჩემი ვაჟი სრულიად ჯანმრთელია — იცინის, თამაშობს, ურთიერთობს, იცის ენის მიტანა და არ ეკონტაქტება უცხოებს. ჩვენ სრულიად აღმოვფხვერით ეს დაავადება და ახლა სტაბილურად ვართ, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს“, — ამბობს ტედის დედა ჰოლი ჰადსონი.

ალბათ, სულით ძლიერი თუ იქნებით და რაღაცას გულით მოინდომებთ, წინ არაფერი აღუდგება სურვილებს და ღვთის მადლი აუცილებლად სასიკეთოდ შეცვლის ყველაფერს. ტედის მშობლები ამ ყველაფრის მაგალითია.

# პარკი, რომლის ტერიტორიაზე მკვლელობა არ ისჯება

**ამის დაჯერება რთულია, მაგრამ თურმე არსებობს ადგილები, სადაც ადამიანის მკვლელობისთვის არ სჯიან. ეს არის იელოუსტონის პარკი, რომელიც აშშ-ში მდებარეობს. ამ ზონაში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დანაშაულის ჩადენა, მაგრამ პასუხს არავინ მოსთხოვს.**




საქმე ის არის, რომ მსჯავრდებულს აქვს კანონიერი უფლება, მოითხოვოს, ნაფიცი მსაჯულები იმ შტატისა და ფედერალური ოლქის მცხოვრებლები იყვნენ, რომელშიც დანაშაული მოხდა. და რადგან პარკი მდებარეობს ვაიომინგის ოლქისა და ერთდროულად ორი შტატის — მონტანასა და აიდაჰოს კომპეტენციის ფარგლებში, **პოტენციურ დამნაშავეს აქვს უფლება, ორივე შტატისგან მოითხოვოს ნაფიცი მსაჯულები, მაგრამ პარკის იმ ნაწილში, რომელიც მდებარეობს აიდაჰოს შტატსა და ვაიომინგის ოლქში, არავინ ცხოვრობს. ამიტომ სასამართლო ვერ გაიმართება და დამნაშავეც დაუსჯელი რჩება.** ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ხელისუფლება არაფერს აკეთებს ამ სიტუაციის მოსაგვარებლად. პირველი სტატია ამის თაობაზე დაიბეჭდა 2005 წელს, რომელის მიჩიგანის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორმა **ბრაიან კალტმა** გამოაქვეყნა. ის ცდილობდა, როგორმე შეეცვალა სიტუაცია და მიმართა კონგრესს, ცვლილებები შეეტანა კანონში, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ კანონის შეცვლა კონგრესმენთა ძალებს აღემატებოდა.

მოგვიანებით პრობლემას სხვებიც შეეხნენ, მაგრამ პასუხი ხელისუფალთაგან არც მათ პუბლიკაციებს მოჰყოლია. აი რას წერს ჯეიმსი თავის რომანში „თავისუფალი ცეცხლი“:

„ყველაზე მეტად ის კი არ მაღელვებს, რომ კონგრესი უმოქმედობას იჩენს, არამედ ის, რომ მათ შესანიშნავი შესაძლებლობა ჰქონდათ პრობლემის გადასაჭრელად და არ გამოიყენეს. ვფიქრობ, ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. ამ სისხლში ხელები კი სახელმწიფოს ექნება გასვრილი“.

საერთოდ, ამ ისტორიაში უცნაურია ორი მომენტი: ხელისუფლების უმოქმედობა და სხვადასხვა ავტორის აქტიური პროპაგანდა გაფრთხილების მიზნით. რადგან ცხადია: ამ საკითხზე ამდენი ინფორმაცია რომ არ იყოს, იმის ალბათობა, რომ აღნიშნულ სიტუაციას ვინმე გამოიყენებს, გაცილებით ნაკლები იქნებოდა“.

# ეს პროდუქტები მეორე დღეს არავითარ შემთხვევაში არ მიირთვათ!

**ბევრს არ უყვარს სამზარეულოში ტრიალი და ამიტომ ერთ დღეს იმდენ კერძს მოამზადებს ხოლმე, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში დააპუროს ოჯახი. მსგავსი შემთხვევებია ასევე დღესასწაულების შემდეგ, როცა რამდენიმე დღეს მივირთმევთ მორჩენილ სადილებს. ყველა სადილი, რომლებიც წინა დღეს მომზადდა, საშიში არაა, თუმცა განსაკუთრებით სამ პროდუქტს გამოარჩევენ, რომელთა მეორე დღეს მირთმევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.**



**პირველია ბრინჯი.**

სურსათის სტანდარტების სააგენტოს თქმით, უმი ბრინჯი საშიში ბაქტერიების სპორების მქონეა და მათი უმრავლესობა ადუღების შედეგად იხოცება. მეორე დღის ბრინჯშიც ასევეა მავნე მიკრობები და სწორედ ისინი ხდება ღებინებისა და მუცლის ტკივილის მიზეზი მისი მირთმევის შემთხვევაში. სპორების უმეტესობა 100 გრადუს ტემპერატურაზეც არ იხოცება.



ასევე არასოდეს მიირთვათ ბრინჯის ფაფა მეორე დღეს. თუ ველარ ჭამთ, შეინახეთ საყინულეში და გამოყენების წინ გაათბეთ.

გახსოვდეთ, თუ მომზადებულ ბრინჯს ოთახის ტემპერატურაზე 1 საათს მაინც დააყოვნეთ, აღარ მიირთვათ.

**მეორე — ბოსტნეული.**

სურსათის უვნებლობის ცენტრის განცხადებით, **დაჭრილი ბოსტნეული და სალათები უნდა მიირთვათ მომზადებიდან 12 საათის განმავლობაში**, თუკი მას არაუმეტეს 4 გრადუს ტემპერატურაზე შეინახავთ. მეორე დღისთვის გამოყენება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ, თუ მას საყინულეში შეინახავთ.

ბოსტნეული, განსაკუთრებით კი ისპანახი, ჭარხალი და ნიახური, დიდი რაოდენობით შეიცავს ნიტრატებს. ისინი უვნებელია, მაგრამ ოთახის ტემპერატურაზე დიდხანს დაყოვნებისას ხდება ბაქტერიების კატალიზური ზრდა და წარმოიქმნება ნიტრატები, რომელთა მირთმევა იწვევს თავის ტკივილს, დაღლილობას, ქოშინს, კრუნჩხვებსა და სხვა დაავადებებს.






**მესამე — მცენარეული ზეთი.**

ზეთი, რომელიც ერთხელ უკვე გამოიყენეთ, გადაღვრა დაგენანათ და მეორედ გამოიყენებთ, თანაც მსგავსი შემთხვევა ხშირად მოხდება, დაგაყენებთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ინსულტისა და კიბოს საშიშროების წინაშე.

ახალმა კვლევებმა აჩვენა, რომ მცენარეები (სიმინდი, მზესუმზირა, სოიო, ზეითუნი), რომლებისგანაც ზეთი მზადდება, წარმოქმნიან ტოქსიკურ ნაერთებს — ცხიმოვან მჟავებს **4 ჰიდროქსინ ტრანს** და **2 ნონენალს.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2007 წლის ოქტომბერში საავტორო სიმღერების ნეშვილის საერთაშორისო ასოციაციამ სვიფტი დაასახელა საუკეთესო შემსრულებლად, წლის ავტორად და გახდა ყველაზე ახალგაზრდა მომღერალი, რომელმაც ამ პრემიის აღება მოახერხა. ხოლო 2008 წელს ტეილორმა აიღო გრემის პრემია ნომინაციაში „ახალი საუკეთესო შემსრულებელი“.**

# «ფორბსმა» 2016 წლის ყველაზე შემოსავლიანი მომღერლების სარეიტინგო სია გამოაქვეყნა

**ავტორიტეტულმა ამერიკულმა გამოცემამ თავისი ტრადიციული სარეიტინგო სია გამოაქვეყნა.**

**სიას სათავეში მოექცა ამერიკელი პოპ-ქანთრი მომღერალი, კომპოზიტორი და მსახიობი ტეილორ სვიფტი. წელს მისმა შემოსავალმა 170 000 მილიონი დოლარი შეადგინა.**

მომღერალს ძირითადი შემოსავალი მსოფლიო ტურნე „1989“-მ მოუტანა, რომელიც 2015 წლის მაისში დაიწყო. დანარჩენი თანხა სარეკლამო რგოლებიდან შემოუვიდა.

ტეილორ სვიფტი 1989 წელს პენსილვანიის შტატ ქალაქ ვიემისინგში დაიბადა. მამამისი საბირჟო ბროკერად მუშაობდა, ხოლო დედა დიასახლისი იყო. მე-4 კლასში ტეილორმა პოეზიის კონკურსზე გაიმარჯვა, რომელსაც „მონსტრი ჩემს კარადაში“ ერქვა, ხოლო 12 წლისამ სიმღერების წერა და კარაოკე-ფესტივალებზე გამოსვლა დაიწყო, რომლებიც მის მშობლიურ ქალაქში იმართებოდა. 12 წლის ტეილორი პროფესიულ დონეზე უკრავდა გიტარაზე, ასევე, იყო ადგილობრივი ახალგაზრდული თეატრის დასის წევრი და კარგა ხანს ფიქრობდა, რომელ მიმართულებას გაჰყოლოდა – თეატრს თუ მუსიკას. საბოლოოდ ტეილორმა მომღერლობა გადაწყვიტა და ამაში დიდი წვლილი მიუძღოდა მის ბებიას, ყოფილ საოპერო მომღერალს, რომელიც თავის დროზე ამერიკის, პუერტო-რიკოს, სინგაპურისა და ვიეტნამის ოპერებში გამოდიოდა. ტეილორის ბებია, ცნობილ ოპერა „სევილიელ დალაქში“ და მიუზიკლ „ვესტსაიდის ისტორიაში“ წამყვან პარტიებს ასრულებდა. მისი სასცენო შავ-თეთრი ფოტოების ცქერით გატაცებულმა ტეილორმა საბოლოოდ ქანთრის ჟანრში მუსიკოსობა გადაწყვიტა. პირველი დამოუკიდებელი კონცერტების გამართვა ტეილორმა მშობლიური ქალაქის უდიდეს სავაჭრო ცენტრში დაიწყო, სადაც სპეციალურად მის მოსასმენად ახლომდებარე ქალაქებიდან ჩამოდიოდნენ. პირველი წარმატება ახალგაზრდა მომღერალმა Bloomsburg Fair-ის ფესტივალზე მოიპოვა და მისით ხმის ჩამწერი რამდენიმე სტუდია დაინტერესდა.

13 წლის ტეილორი ნეშვილში (ტენესის შტატის დედაქალაქი) ჩავიდა, სადაც გადაგზავნილი ჰქონდა თავისი ჩანაწერები, მაგრამ იმხანად ხმის ჩამწერი სტუდიები არ დაინტერესებულან ახალგაზრდა ტალანტის მონაცემებით. სვიფტი, რომელიც ბავშვობაში დეტექტივის პროფესიაზე ოცნებობდა, პენსილვანიაში დაბრუნდა, სადაც მას მოულოდნელად მოწვევა მოუვიდა ჩოგბურთში „დიდი სლემის“ ტურნირის — ამერიკის ღია ჩემპიონატის ორგანიზატორებისგან, რომლებმაც ნიჭიერი მუსიკოსი ტურნირის გახსნის დღეს ჰიმნის სამღერად მიიწვიეს. სვიფტის გამოსვლით მაყურებლები აღფრთოვანდნენ და მის კარიერაში ახალი ეტაპი დაიწყო. ტეილორი თითქმის ყოველკვირა ჩადიოდა ნეშვილში და თავისი შემოქმედების პიარით მუსიკალური პროდიუსერებისგან შემოთავაზებებს ელოდებოდა. როდესაც ტეილორი 14 წლის გახდა, მისი ოჯახი ნეშვილში გადასახლდა. სწორედ ამ პერიოდში მასთან გააფორმა ხელშეკრულება RCA Records-მა, მაგრამ ერთწლიანი თანამშრომლობის შემდეგ ტეილორმა გაწყვიტა კონტრაქტი, რადგან სტუდიის ხელმძღვანელები უშლიდნენ მას საკუთარი სიმღერების ჩაწერას. „ბლუბერდ კაფეში“ ხანმოკლე მუშაობის შემდეგ, სადაც ძირითადად თვითნასწავლი მომღერლები გამოდიოდნენ, ტეილორს Big Machine Records დაუკავშირდა და კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა, რაზეც მუსიკოსი დასთანხმდა.

2006 წელს ტეილორმა გამოუშვა თავისი სადებიუტო სინგლი Tim McGraw, რომელმაც მე-6 ადგილი დაიკავა “ბილბორდის” ცხელ ასეულში, 2006 წლის 26 ოქტომბერს კი გამოუშვა პირველი სტუდიური ალბომი Taylor Swift, რომელიც მე-5 ადგილზე განთავსდა ბილბორდ 200-ში, პირველ კვირაში გაიყიდა 39,000 ალბომის ასლი. ალბომში შესული სიმღერების უმეტესობის ტექსტები და მელოდია ტეილორს ეკუთვნოდა და ქანთრის სტილში ჩაწერილ ალბომებს შორის ის დიდხანს ინარჩუნებდა მოწინავე პოზიციებს შესაბამის ჰიტ-აღლუმებში. 2010 წლისთვის ტეილორ სვიფტის ამ ალბომის გაყიდვების მაჩვენებელმა 5,3 მილიონი ცალი ასლი შეადგინა.

**2007 წლის ოქტომბერში საავტორო სიმღერების ნეშვილის საერთაშორისო ასოციაციამ სვიფტი დაასახელა საუკეთესო შემსრულებლად, წლის ავტორად და გახდა ყველაზე ახალგაზრდა მომღერალი, რომელმაც ამ პრემიის აღება მოახერხა. ხოლო 2008 წელს ტეილორმა აიღო გრემის პრემია ნომინაციაში „ახალი საუკეთესო შემსრულებელი“.** მისი შემდგომი ალბომი Fearless გამოჩნდა ამერიკაში 2008 წლის 11 ნოემბერს, რომელიც წინაზე გაცილებით წარმატებული აღმოჩნდა. პირველ კვირაში გაიყიდა მისი 592 000 ეგზემპლარი. ამ ალბომმა 2010 წელს გრემის დაჯილდოებაზე გაიმარჯვა, როგორც წლის და საუკეთესო ქანთრი ალბომმა. ჟურნალმა **„ბილბორდმა“ სვიფტი 2009 წლის საუკეთესო მომღერლად დაასახელა.**

ტეილორმა 2010 წლის 25 ოქტომბერს კიდევ ერთი სტუდიური ალბომი გამოუშვა სახელწოდებით Speak Now, პირველ კვირაში გაიყიდა 1,047,000 ასლი და ბილბორდში პირველი ადგილი დაიკავა.

2011 წელს ამერიკულმა ჟურნალმა „როლინგ სტოუნმა“ გამოაქვეყნა „პოპის დედოფალთა სია“, ტეილორმა ამ სიაში მე-2 ადგილი დაიკავა.

* * *



ტეილორ სვიფტი



ადელი



მადონა

**მეორე** პოზიციაზეა ბრიტანელი მომღერალი და ავტორ-შემსრულებელი **ადელი,** რომელიც პირველადგილოსანს მკვეთრად ჩამორჩება. **მისი შემოსავალი 2016 წელს 80,5 მილიონი დოლარი იყო.** შემოსავლის დიდი ნაწილი ალბომმა „25“-მა და კონცერტებმა მოუტანა.

ინგლისელი მომღერალი **ადელ ლორი ბლუ ედკინსი** 1988 წელს დაიბადა, ცნობილია სასცენო სახელით ადელი. **2009 წელს ადელმა მიიღო ორი გრემი საუკეთესო ახალი შემსრულებლისა და საუკეთესო ვოკალისტი ქალის კატეგორიებში.**

აშშ-ში ადელის კარიერას ხელი შეუწყო შოუს Saturday Night Live (2008) ერთ-ერთმა ეპიზოდმა, რომელსაც იმ დროისათვის მაყურებელთა რეკორდული რაოდენობა ჰყავდა. მეორე ალბომი „21“ გამოვიდა 2011 წლის 24 იანვარს ბრიტანეთში, ხოლო აშშ-ში — იმავე წლის 22 თებერვალს. როგორც კომერციულად, ასევე კრიტიკულად დისკი წარმატებული იყო და გამოცემიდან მხოლოდ პირველი კვირის მანძილზე ბრიტანეთში 208.000 ასლის ოდენობით გაიყიდა. იგი მოხვდა ბრიტანული ალბომების ჩარტის №1 ადგილზე და ეს პოზიცია 16 კვირის მანძილზე ეკავა. **ბრიტანეთში „21“-ს მიენიჭა პლატინის სტატუსი (2.4 მილიონი გაყიდული დისკისათვის). „ბილბორდის“ 200 საუკეთესო ალბომის ჩარტში (აშშ) დისკი ასევე №1 პოზიციაზე მოხვდა, გაიყიდა რა გამოცემიდან პირველი კვირის განმავლობაში 352 000 ასლი.**

BRIT Awards-ის 2011 წლის ცერემონიაზე სიმღერის Someone Like You შესრულებამ აღნიშნული სინგლი მოახვედრა ბრიტანული №1 სინგლების სიაში. პარალელურად ალბომი კვლავ პირველ ადგილს ინარჩუნებდა. ჩარტების ოფიციალური კომპანიის განცხადებით, **ადელი არის პირველი ცოცხალი პიროვნება, რომელმაც სინგლების ოფიციალურ ჩარტში მიიღო ორი ჩანაწერი, მოხვდა საუკეთესო ხუთეულში და ალბომების ჩარტშიც იგივე წარმატება გაიმეორა. მსგავსი შემთხვევა მანამდე მხოლოდ „ბითლზის“ ისტორიაში მოხდა 1964 წელს.**

**2011 წლის მაისში მომღერლის შემოსავალი შეადგენდა 6 მილიონ გირვანქა სტერლინგს.** 30 წლამდე ბრიტანელი და ირლანდიელი შემსრულებლების სიაში იგი მოხვდა ლილი ალენისა და დაფის გვერდით, №9 ადგილზე.

* * *

**მესამეზეა მადონა,** ამერიკელი პოპ-მომღერლის **შემოსავალი 76,5 მილიონი დოლარი იყო.** ძირითადი შემოსავალი Rebel Heart-ის მსოფლიო ტურნედან შემოუვიდა. სხვათა შორის, 2013 წელს მადონა ამ სარეიტინგო სიას სათავეში ედგა.

ამერიკელი დენს-პოპ მომღერალი და კომპოზიტორი, მოცეკვავე, მუსიკალური და კინოპროდიუსერი და მსახიობი მადონა ლუიზა ჩიკონე 1958 წელს დაიბადა ბეი სითიში (მიჩიგანი, აშშ). იგი მესამე ბავშვი იყო „კრაისლერის“ ინჟინრის — იტალო-ამერიკელი სილვიო „ტონი“ ჩიკონეს და კვებეკელი მადონა ლუიზა ფორტინის რვაშვილიან ოჯახში.

მადონამ მკაცრი მამის დაყოლიება მოახერხა და ბალეტის გაკვეთილებზე სიარულის ნებართვა მიიღო. ბალეტის მასწავლებელს — კრისტოფერ ფლინს მადონა გეი-დისკოთეკებზე გამოყავდა. პარალელურად, იგი როჩესტერის ადამსის სახელობის სკოლაში სწავლობდა, სადაც სანიმუშო ფრიადოსანი და მხარდამჭერი რაზმის წევრი იყო.

პირველივე კურსიდან მადონამ მიჩიგანის უნივერსიტეტი მიატოვა და 1978 წელს ნიუ იორკში მოცეკვავის კარიერის გასაგრძელებლად გაემგზავრა. მოგვიანებით მადონამ ამ ფაქტს ასეთი კომენტარი გაუკეთა:

„როცა ნიუ იორკში აღმოვჩნდი, პირველად ვიმგზავრე თვითმფრინავით, პირველად გავაჩერე ტაქსი, ყველაფერი პირველად ხდებოდა. და აქ ჩამოსულს ჯიბეში მხოლოდ 35 დოლარი მქონდა, ეს ჩემი ყველაზე გაბედული საქციელი იყო“.

მადონა ცნობილია ინოვაციური მუსიკალური ვიდეოებითა და საგულდაგულოდ დადგმული წარმოდგენებით, ასევე, საკუთარ შემოქმედებაში სკანდალური ხასიათის პოლიტიკური, სექსუალური და რელიგიური თემატიკის გამოყენებით. ჩვეულებრივ, მას „პოპის დედოფალს“ უწოდებენ.

**მსოფლიო მასშტაბით გაყიდული 175 მილიონი ალბომისა და 75 მილიონი სინგლის წყალობით, „გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნმა“ მადონა „ყველა დროის ყველაზე წარმატებულ სოლო მომღერალ ქალად“ დაასახელა,** ხოლო 2007 წელს, იმავე „გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნმა“ და მუსიკალურმა ჟურნალმა „ბილბორდმა“ მადონა „ყველა დროის ყველაზე შემოსავლიან სოლო მომღერალ ქალად“ აღიარა. ბიზნეს-ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით, ამერიკელი მომღერლის ქონებამ 325 მილიონ აშშ დოლლარს გადააჭარბა. მეტიც, **მადონას კიდევ ერთ რეკორდს მიაწერენ — „მომღერალი ქალის მიერ ჩატარებული ყველაზე შემოსავლიანი საკონცერტო ტურნე“ — მისმა მსოფლიო ტურნემ Confessions Tour-მა ორგანიზატორებს 260.1 მილიონი აშშ დოლარი მოუტანა.**

* * *

მსახიობის, კომპოზიტორისა და დიზაინერის — **რიანას** სრული სახელია **რობინ რიანა ფენტი.** ის დაიბადა 1988 წლის 20 თებერვალს, ბარბადოსში. მომღერალი გაიზარდა ბრიჯტაუნში, ქუჩაში ტანსაცმელს ყიდდა მამასთან ერთად. რობინს მძიმე ბავშვობა ჰქონდა, მისი მშობლები განქორწინდნენ მაშინ, როცა გოგონა 14 წლის იყო, ჰყავდა ლოთი და ნარკომანი მამა. სიმღერა დაიწყო შვიდი წლისამ, იყო სკოლის მუსიკალურ გუნდში თავის ორ კლასელთან ერთად. ნაცვლად სწავლისა, რიანას გადაწყვეტილი ჰქონდა, გაჰყოლოდა მუსიკას.

მისი კარიერა დაიწყო პროდიუსერ **ევან როჯერსთან** შეხვედრისას 2003 წელს, მან ჩაწერა დემოფირები მისი ხელმძღვანელობით, რომელიც შემდგომ გაიგზავნა რამდენიმე ჩამწერ სტუდიაში, შემდგომში კი კონტრაქტი გააფორმა Def Jam Recordings-თან.

რიანას სადებიუტო ალბომი იყო Music of the Sun (2005), რომელმაც, „ბილბორდის“ მონაცემებით, ტოპათეულის მესამე ადგილი დაიკავა. **რიანამ გაყიდა 41 ალბომი და 150 მილიონი სიმღერა საზღვარგარეთ.** მისი ბევრი სიმღერა ყველა დროის ყველაზე მაღალგაყიდვადია, მაგალითად: Umbrella, Take a Bow, Disturbia, ‘Only Girl (In the World), S&M, We Found Love, Diamonds და Stay. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის — რვა გრემი, რვა American Music Awards, 23 — Billboard Music Awards და ორი — BRIT Awards. American Music Awards 2013 წელს მან მიიღო პირველი Icon Award.

**პირველ ათეულში მოხვდნენ ასევე შემდეგი შემსრულებლები:**

**ბიონსე (54 მლნ.), კეტი პერი (41 მლნ.), ჯენიფერ ლოპესი (39,5 მლნ.), ბრიტნი სპირსი (30.5 მლნ.), სელინ დიონი (27 მლნ.).**

ისტორიული მემკვიდრეობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქალის გასინჯვა“ წარმოებდა რელიგიურ დღესასწაულებზე, ლხინში, ქორწილსა და ჭირში. როგორც უკვე აღვნიშნეთ ქალის მოწონების შემთხვევაში „აგზავნიდნენ“ „შუაკაცს“, „მაჭანკალს“. შეთანხმების შემდეგ „ვაჟიანი“ მიდიოდნენ ქალის ოჯახის გასაცნობად, ამის შემდეგ „ქალიანი“ მიდიოდნენ ვაჟის სახლის გასასინჯად“, რათა გაეგოთ და ენახათ თავიანთი თვალით, როგორი შეძლების პატრონს აძლევენ ქალს.**



# საქორწილო წეს-ჩვეულებანი ვერის ხეობაში

**საინტერესო მასალები შეიკრიბა ვერის ხეობაში ქორწინებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესახებ. მასალების მიხედვით ირკვევა, რომ როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე აქაც, წყვილთა შორის შეუღლება უმეტესად გარიგებით ხდებოდა, რომელშიაც მთავარ როლს „შუაკაცი“ და „მაჭანკალი“ ასრულებდა. შუაკაცის მოვალეობას ამ ხეობაში ხშირად ნათლია ასრულებდა.**

მთხრობელთა გადმოცემით: „როდესაც ბიჭის მშობლებს ვისიმე ქალი მოეწონებოდათ, მივიდოდნენ იმ ქალის ნათლიასთან და ეტყოდნენ, — „ესა და ეს ქალი შენი ნათლული ყოფილა და სარძლოთ გვინდაო“. სთხოვდნენ ნათლიას, შუაკაცობა გაეწია და მისულიყო ქალთანა. ვაჟისათვის საცოლეს ძველათ მშობლები არჩევდნენ. ქალის ნათლია „ასწონიდ-დასწონიდა მდგომარეობას და, თუ თავის ნათლულის „საფერი იყო ვაჟი, დატრიალდებოდა“. ქალის მშობლები ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო ნათლიას ენდობოდნენ, რადგან, მათი რწმენით, ნათლია თავის ნათლულზე ცუდს არ მოიწადინებდა.

ვერის ხეობაში შეკრებილ მასალებიდან ირკვევა, რომ მოგვარეებსა და ნათესავებს შორის ქორწინება აკრძალული იყო, ამ მხრივ საინტერესოა თქმულება წიკლაურებისა და ბექაურების შესახებ.

ბექა და წიქა ძმები ყოფილან (ზოგიერთი მთხრობელის გადმოცემით, ერთი გვარისანი იყვნენო) და, რადგან გვარი ძლიერ გამრავლებულა და ქალის თხოვნა სხვა მხრიდან გაძნელებული ყოფილა, ძმებს, ქალის თხოვნის მიზნით, შემდეგი საშუალება უღონიათ, ძმები გაყრილან, აულიათ ძაღლი, დაუკლავთ, გაუტყავებიათ, დაუჭრიათ ნაჭერ-ნაჭერ და ბექასა და წიქას შუა დაუყრიათ. რის შემდეგ დათქმულა, რომ მათი ოჯახებიდან გამოსული ქალები ერთმანეთს ერგებოდათ ცოლად. **ბექასაგან გამოვიდნენ ბექაურების გვარი და წიქასაგან წიკლაურების გვარი გამრავლდა**.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ხეობაში ჩამოსახლებული მთიელებიდან არიან ისეთი გვარებიც, რომელთა შორის ქორწინება აკრძალულია. მაგალითად, **ჩოხელები** და **ბურდულები**: „ერთიერთმანეთის ქალი არ ეკუთვნით, ერთმანეთისათვის დაწყევლილები არიან“, მაგრამ, როგორც შეკრებილი მასალებიდან ირკვევა, სხვა გვარი ამ ორ გვარს ქალს ვერ დაუჭერს — „არ შეიძლება“, „იმათ მოგზავნილ კაცს უარით ვერ გაისტუმრებენ“. მთხრობელთა გადმოცემით, „ჩოხელებმა რომ კაცი მიუგზავნონ ქალის სათხოვნად, მაგალითად, ხარხელაურებს, აფციაურებს, წიკლაურებს, ობგაიძეებს და იმათ უარი უთხრან ქალის მიცემაზე, მაშინ ის ქალი ვერ გაიხარებს, მოკვდება. „მე ჩემს ქმარს ვერა ვცნობდი, ჩემ სამამამთილოს და ჰყავდა ჩემ სოფელში და იქ მოვიდა ჩემ სანახავად. ჩემი მამამთილი რომ მოვიდა, მე დავიმალე. ჩემმა დედის ძმამ მოტყუებით ლობიოს სათესად წამიყვანა. იქ დუქანი იყო, ჩემმა ბიძამ შიგ შემიყვანა და არშიები მიყიდა. თურმე ჩემი მამამთილი იქა ყოფილა. ცოტახნის შემდეგ ჩვენ სოფელში ქორწილი იყო და ჩემი მამამთილი ყოფილა იქ. კიდე გამოუგზავნია ბიძაჩემი ჩემ სანახავად. მე ამ დროს მთობა ვიცოდით და იქ ვიყავი წასული. დედაჩემი მორიგებოდა, ჩემი პაპაც და ბებიაც დათანხმებია, რადგანაც ჩოხელებს ქალს ვერ დაუჭერთო. იმიტომ, რომ, თუ უარს ვეტყოდით, ქალი მოკვდებაო. **ჩოხელების გვარის შესახებ ასეთი თქმულებაა: ჩოხში ქურდებს საქონელი დაუტაცნიათ და როცა ხევში ჩამოსულან ქურდები დაბრმავებულან, ჩოხის ხატი ძლიერია და იმას დაუბრმავებია და იმ ხატის ყმებს ქალის მიცემაზე უარის თქმა არ შეიძლება**“ *(სოფ. კვესეთი, ანა ჩოხელი 75 წ.)* მთხრობელების გადმოცემით, თუ გაიგეს ქალიანთა, რომ ჩოხელების ეს და ეს ოჯახი აპირებენ ჩვენი ქალის თხოვნას და კაცს ამზადებენო, მაშინ ქალის ოჯახი, თუ ეს ქორწინება მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ, კაცს გაგზავნიან ჩოხელებთან და სთხოვენ — „კაცს ნუ გამოგვიგზავნით“-ო, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქალს ვერ მოგცემთო. ჩოხელები ნაწყენები თუ არ დარჩნენ, შეიძლება კაცი აღარ გაუგზავნონ.

**ვაჟისათვის საცოლეს ძველათ მშობლები არჩევდნენ. ქალის ნათლია «ასწონიდ-დასწონიდა მდგომარეობას და, თუ თავის ნათლულის «საფერი იყო ვაჟი, დატრიალდებოდა». ქალის მშობლები ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო ნათლიას ენდობოდნენ, რადგან, მათი რწმენით, ნათლია თავის ნათლულზე ცუდს არ მოიწადინებდა**

**„ქალის გასინჯვა“ წარმოებდა რელიგიურ დღესასწაულებზე, ლხინში, ქორწილსა და ჭირში.** როგორც უკვე აღვნიშნეთ ქალის მოწონების შემთხვევაში „აგზავნიდნენ“ „შუაკაცს“, „მაჭანკალს“. შეთანხმების შემდეგ „ვაჟიანი“ მიდიოდნენ ქალის ოჯახის გასაცნობად, ამის შემდეგ „ქალიანი“ მიდიოდნენ ვაჟის სახლის გასასინჯად“, რათა გაეგოთ და ენახათ თავიანთი თვალით, როგორი შეძლების პატრონს აძლევენ ქალს. ქალის მშობლები ათვალიერებდნენ და ეცნობოდნენ ვაჟის სახლკარს, საქონელს, მამულს, კატასა და ძაღლსაც კი ყურადღებით ეკიდებოდნენ — „როგორი შენახული ყავთო“. ქალის ახლობლები სასიძოსაც ეცნობოდნენ „შორიახლოს“, „თვალყურსადევნებდნენ, როგორი მშრომელი და „გამრჯე“ იყო, განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდნენ, ღვინის სმაში „უხასიათო ხომ არ არისო“. თუ ვაჟით კმაყოფილნი დარჩებოდნენ ქალის მშობლები, თანხმობას ეტყოდნენ შუამავალს ბელგის მოტანაზე.

ბელგა განისაზღვრებოდა ფულით, ბეჭდით ან თავშლით. ბელგის მოტანის შემდეგ ვაჟის ოჯახს მოქონდა პატარა „ნიშანი“ (პატარძლისათვის სხვადასხვა საჩუქარი და სასმელი). მთხრობელის გადმოცემით, „პატარა ნიშნობაზე ფული მაჩუქეს, მომიტანეს ძვირფასი საკაბე, ბუზიკა, ტუფლები ყელიანი წინგასაკრავიანი, არაყიც მოიტანეს ტიკით, მაშინ ჩვენი საკლავი მთაში იყო და ქათმები დაკლეს, ხინკალი გააკეთეს... პატარა ნიშნობაზე მოილაპარაკეს, თუ როდის მოეწყოთ დიდი ნიშნობა, რამდენი ცხენი მოეყვანათ და რამდენ ხალხს დაპატიჟებდნენ *(სოფ. კვესეთი, ანა ჩოხელი 75 წლ.)*.

ვერისხეობის სოფელში „დიდ ნიშნობას“ „სახლის სანახავი“ ეწოდებოდა. „დიდი ნიშნობის“ დროს სასიძოს ოჯახს მოყავდა იმდენი კაცი, რამდენიც უნდოდა, რაც უფრო ბევრი იყვნენ, მით უფრო სახელი იყო პატარძლისათვის. რასაც ქალს მიართმევდნენ, იმას „პატარძლის ჩუქებას უწოდებდნენ“. დიდ ნიშნობაში ვაჟის ოჯახს მოჰქონდა იმდენი სანოვაგე, რაც თავის მოყვანილ ხალხს ეყოფოდა, დიდი ნიშნობის დროს საჩუქრები პატარძლისთვის მარტო ქმრის ნათესავებს მოჰქონდათ. ამავე დროს ზოგი ფულს დებდა. ამ ფულით ქალის მშობლები მზითვების ნაწილს ამზადებდნენ, პირველ რიგში — ლოგინსა და თეთრეულს. „დიდნიშნობის“, ანუ „სახლის სანახვის“ შესახებ მთხრობლები შემდეგს გადმოგვცემენ: „სახლის სანახავზე ბევრი ხალხი მორეკეს და ბევრი საკაბეებიც მომიტანეს. სულ 20 საკაბე მომიგროვდა. დიდი გარმონი და 3 თუმანი ფული. დიდი ნიშნობა და სახლის სანახავი ერთი და იგივეა, „ნიშნობა 3 დღე გაგრძელდა“. მე გათხოვება არ მინდოდა და სახლის საძურავზე დავიმალე, სირცხვილიც იყო, სახლში რომ დავხვედრილიყავი. სამი ცხვარი მოიყვანეს და ჩვენც დავკალით, დაკვლის დროს დაუკრავდნენ და ითამაშებდნენ, სანთლებს დაანთებდნენ და დეკანოზი დაილოცებოდა. ბიძაჩემმა კარგი ლოცვა იცოდა. მე რომ კრიშაში ვიყავი, ბიძაშვილმა გამცა და მიპოვეს, როცა მიპოვეს ჩემ დედამთილთან დამსვეს. ჩემი ქმარი ჯარში იჯდა, სადაც ნათლია იყო. კაცები მაგიდებთან ისხდნენ, ქალები — ლურჯ ქსოვილზე, დაბლა ირმები რო ეხატა. შაბათ საღამოს მოვიდნენ და ორშაბათამდე დარჩნენ. მარიამობისთვეს ჩემი მამამთილი მოვიდა და ჩემი ქმარი მოიყვანა, ამას ფეხის ბრუნება ეწოდებოდა. მაშინაც მოიტანეს სასმელ-საჭმელი, ხილი, ქადა, პური, ნაზუქი. მოილაპარაკეს, თუ როდის უნდა წამიყვანონ. დედაჩემმა უთხრა, — გაზაფხულამდე ვერ გაგატანთო. მამამთილმა უთხრა, — ხატში მივდივართ ჩოხში და ახალი პატარძალი უნდა წავიყვანოთო, რათა ხატში გავრიოთო. მორიგდნენ, რომ მზითევი ბიძა ჩემს და მამამთილს უნდა ეყიდნათ. ეს მზითვები იმ ფულით იყიდეს, სახლის სანახავში რომ მოიტანეს. მზითვებში იყიდეს კამოდი, ბაღდადი, ფარდაგი, ხალიჩა, საბნის გადასაფარებელი, ნალები, თავსაკრავი, ორ-ორი ხელი გამატანეს ყველაფერი“ *(სოფ. კვესეთი, ანა ჩოხელი, 75 წ.)*.

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ირკვევა, **ნიშნობის შემდეგ ვაჟის მშობლები და ვაჟი მოდიან ქალის ოჯახში და მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, თუ ქორწილი როდის დანიშნულიყო. ქორწილი საერთოდ, უმეტეს შემთხვევაში, ღვინოობის თვეში ხდებოდა. ქორწილამდე, ვაჟისა და მისი მშობლების მოსვლას ქალის ოჯახში, ფეხის ბრუნება ეწოდებოდა.**

ქორწილის დღის მოახლოებისას ნეფე გზავნიდა მეზობელ-ნათესავებში მოპატიჟეს, მოპატიჟეს გზავნიდნენ სხვა სოფლებშიც, სადაც ახლობელი ნათესავები ეგულებოდათ. ქორწილი ეწყობოდა კვირა დღეს. მოპატიჟეთ გზავნიდნენ ყოჩაღ და გამოცდილ კაცს. მოპატიჟე ხურჯინით დადიოდა და თან ჯამებს აგროვებდა. ჯამებს ჯერ იმიტომ აგროვებდნენ, რომ გაეგოთ, რამდენი კაცი დაპატიჟა მოპატიჟემ, მეორეც იმიტომ, რომ ჭურჭელი არ დაკლებოდათ და თავისი ჭურჭლით მოსულიყვნენ.

სასიძოს ოჯახი, ქალიაანთა წინასწარ გზავნის „საქორწილოს“, საკლავს, ღვინოს, არაყს, ყველს, პურს, ნაზუქს და სხვა საჭმელებს. საქორწილოს გაგზავნის შემდეგ, ნეფე თავის მაყრებით წავიდოდნენ. „მაყრიონი“ მიდიოდა ცხენებით, შეიარაღებული, რომელიც 20-30 კაცით განისაზღვრებოდა. ქალის ოჯახიც, თავის მხრივ, ემზადება, პატიჟობს თავის ახლო ნათესავებს და ამზადებენ პატარძალს „სადედოფლოდ“.

აი რას გადმოგვცემს მთხრობელი: „მე შემიკერეს ტოტებიანი ფართუკი, წითელი გრძელი კაბა, წინშესაკრავიანი, ყელიანი ტუფლები. მაყრები მოვიდნენ თოფებით 20-მდე კაცით. მღეროდნენ ფშაურს. თავზე ბაღდადი დამახურეს. მომრთო ბიძის ცოლმა (ძალუამ). მაყრები შაბათ საღამოს მოვიდნენ, მე კი მორთული კვირას გამომაჩინეს. ბიძაშვილთან ვიყავი დამალული, მომიყვანეს ჯარში, რო შევედი, ბიძამ დამლოცა: ...ჩემს დის შვილს დღეს დედოფლობა ეკუთვნისო. გვადღეგრძელეს ჩვენც და მეფიანიც, დედაც ადღეგრძელეს, მამაჩემი შეიწყალეს. რომ შევედი, მეფის გვერდით დავჯექი. მეორე გვერდით ნათლია იყო. მოიტანეს მოხარშული ხორცი, ჯამებით კერძები. თამადას ბეჭი მიართვეს, ნათლიას — ქათმები. იცოდნენ „ძღვენები“. რასაც მოიტანდნენ, ჩვენ წინ აწყობდნენ, რასაც ნათლია და ძმა იბარებდა. მოლოცვის დროს იძახდნენ ხალხი მომტანზე „გააბედნიეროს-იდღეგრძელონო“. საჩუქრების მოტანის დროს დედა იმახსოვრებდა, ვინ რა აჩუქა. კვირას წამოვედით, მზე სანამ დაბრძანდებოდა. წამომყვა ბიძა (მამის ძმა), ჯვარი ჩვენ სოფელში დავიწერეთ. ჯვრის წერის დროს სხვადასხვა ჯვრის დამწერნი არ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მარჯვნივ უნდა გასცლოდნენ. ეკლესიას ორი გზა ჰქონდა. მე რო ჯვარს ვიწერდი, სხვებიც იწერდნენ ჯვარს. როცა ეკლესიას მივადექით, ბიძაჩემმა თქო მეორე ნეფიონზე, — ეგენი მარცხნივა დგანან და ეს როგორ იქნებაო, სიკვდილი იცის და მეფე-დედოფალი ერთმანეთს არ შეაბერდებიანო. იმათ მერე მარჯვნივ აგვიარეს მხარი ისე გავიდნენ ეკლესიის ეზოდან. ჯვარის წერის დროს არც ზარის ჩამორეკვა არ შეიძლებოდა. ნეფე-დედოფალს შუა ამ დროს არავის არ უნდა გაევლო, ამის გამო მაყრები მეფიონის უკან დადგებოდა და არავის გაატარებდა, ამავე დროს მეფიონს უკან ქალის მხრიდან ვინმე დადგებოდა და ჯოხს თლიდა, რათა ავი თვალით არ შეხედონ მეფიონსო. **თუ მღვდლის შეკითხვაზე: „გსურს“, მეფე ან პატარძალი იტყოდა „არ მსურსო“, მღვდელი ჯვარს არ დაწერდა. ჯვარს არც ოც წლამდე წერდნენ.**

მღვდელი „ილარიონს“ გადააფარებდა ნეფე-პატარძალს, რომლებიც მოკიდებდნენ ხელს და მღვდელი სამჯერ შემოატარებდა. ბეჭედსაც სამჯერ გაუკეთებდა. „ბეჭედი მინიჭებულია, ამინ“ (ეძლეოდა ქაღალდიც ჯვრისწერისა). ეკლესიის ეზოში ვიცეკვეთ, შემდეგ სახლში წავედით. ვიცოდით ვაშლით ფულის მოლოცვა“ *(ს. კვესეთი, ანა ჩოხელი 75 წლ.)*.

**პატარძალი ნეფის სახლში ცხენით ან ურმით მიყავდათ მაყრებს, როცა სოფელს მიუახლოვდებოდნენ, მახარობელს გაგზავნიდნენ სიძის ოჯახში, მახარობელი ქალის ნათესავი უნდა ყოფილიყო.** მახარობელი ოჯახში მისვლისთანავე დაიძახებდა: „მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარებელი, მიჭამია ბალი, შემიხვიეთ მკლავი“. **მახარობელს ჯამით ღვინოს მიართმევდნენ, ის გამოცლიდა და შემდეგ გასტეხდა. შემდეგ მკლავს ბაღდადით აუხვევდნენ და წინდებითაც დაასაჩუქრებდნენ.** სოფელი მაყრებს თოფის სროლით და კიჟინით ხვდებოდა. **ნეფე-დედოფალს სახლის კარში დედმამიანი ქალი დაუხვდებოდა თაფლის ჯამით ხელში, რომელსაც თავზე წითელი ბაღდადი ჰქონდა გადაფარებული, იგი ნეფე-დედოფალს ტკბილად დაბერებას უსურვებდა...**

**«დიდ ნიშნობაში» ვაჟის ოჯახს მოჰქონდა იმდენი სანოვაგე, რაც თავის მოყვანილ ხალხს ეყოფოდა, დიდი ნიშნობის დროს საჩუქრები პატარძლისთვის მარტო ქმრის ნათესავებს მოჰქონდათ.
ამავე დროს ზოგი ფულს დებდა. ამ ფულით ქალის მშობლები მზითვების ნაწილს ამზადებდნენ, პირველ რიგში — ლოგინსა და თეთრეულს**

**ჯუანშერ სონღულაშვილი,**
„ისტორიული მემკვიდრეობა“ №10

**მიმდინარე წლის 25 მაისს რუსეთმა კოსმოდრომ პლესეცკიდან წარმატებით გაუშვა კოსმოსური თანამგზავრების საწინააღმდეგო რაკეტა, რისთვისაც გამოიყენა რაკეტსაწინააღმდეგო და კოსმოსური თანამგზავრის საწინააღმდეგო სისტემა „ნუდოლი“ („მოსკვა A-235“). სამხედრო ექსპერტების აზრით, ამერიკული სისტემა THAAD-ის რაკეტებისგან განსხვავებით, რუსულ რაკეტებს შეუძლია გაცილებით შორს (5,5 ათას კმ) და მაღლა მოძრავი მიზნების დაზიანება, მათ შორის, დედამიწის ახლო ორბიტიდან ჰიპერბგერითი სიჩქარით წამოსული შემტევი ობიექტების.**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კოსმოსური თანამგზავრების მკვლელები

**რუსეთი და ჩინეთი აქტიურად მუშაობენ კოსმოსური თანამგზავრების საწინააღმდეგო ორბიტული, საჰაერო და სახმელეთო სისტემების შექმნაზე. 2013 წელს ჩინეთმა გაუშვა რაკეტა, რომელმაც მიაღწია დედამიწის ახლო ორბიტას და წარმოაჩინა საშუალებები, რომლებითაც შეუძლია დაარტყას გეოსტაციონარულ ორბიტაზე მოძრავ თანამგზავრებს, მათ შორის, აშშ-ის საკომუნიკაციო და სანავიგაციო თანამგზავრებს.**





თანამგზავრების საწინააღმდეგო ჩინური სისტემა

რადიოელექტრონული ბრძოლისა და მიკროტალღური იარაღის ტექნოლოგიები ხსნის არაკინეტიკური და თანამგზავრების საწინააღმდეგო ახალი იარაღის შექმნის პერსპექტივას, ასეთ იარაღს შეუძლია თანამგზავრს შეუქმნას დაბრკოლებები ან გადატვირთოს მისი ელექტრონული სისტემა და ამით მწყობრიდან გამოიყვანოს ისე, რომ ფიზიკურად არ გაანადგუროს.

2008 წელს აშშ-მა წარმოადგინა თანამგზავრების საწინააღმდეგო სისტემა, რომელსაც შეუძლია ფიზიკურად გაანადგუროს კოსმოსური თანამგზავრი — აშშ-ის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა კრეისერ Lake Erie-დან გაუშვეს რაკეტა SM-3, რათა ხელი შეეშალათ მწყობრიდან გამოსული კოსმოსური თანამგზავრის ატმოსფეროში სახიფათო შემოჭრისთვის. ამ ოპერაციამ წარმოაჩინა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და თანამგზავრების საწინააღმდეგო სისტემების შეთანხმებულად მოქმედების შესაძლებლობები, აგრეთვე, კოსმოსური შემტევი იარაღისა და კოსმოსის გაკონტროლებისკენ მიმავალი გზები იმის გათვალისწინებით, რომ თანამგზავრების საწინააღმდეგო სისტემით აღჭურვილი რაკეტის სასტარტო მოედანზევე დაზიანება გაცილებით უკეთესი ვარიანტია, ვიდრე მასთან ბრძოლა თავდაცვის ორბიტული საშუალებებით.

ამჟამად **აშშ-ს** აქვს თანამგზავრების საწინააღმდეგო და კოსმოსური აპარატების მწყობრიდან გამოსაყვანი იარაღის ფართო არსენალი. ყველაზე დიდი პოტენციალის მქონეა სახმელეთო ბაზირების **GBMD** (Ground Based Midcourse Defence —რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა ფრენის მარშულ უბანზე), რომელსაც შეუძლია (პოტენციურად), თავისი რაკეტებით დააზიანოს რამდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებული ორბიტაზე მოძრავი მიზანი.

მძიმე რაკეტსაწინააღმდეგო სისტემას შეუძლია ორბიტული სიჩქარე განავითარებინოს აპარატს, რომელიც დააზიანებს მიზანს ორბიტის ნებისმიერ წერტილში.

მნიშვნელოვანი რაკეტსაწინააღმდეგო პოტენციალი აქვს საზღვაო ბაზირების სისტემა „იჯისს“ (Aegis — Aegis Balistic Missile Defence System), რომელსაც ხომალდიდან შეუძლია გაუშვას რაკეტსაწინააღმდეგო რაკეტა SM-3 და დააზიანოს 250 კმ სიმაღლეზე მოძრავი თანამგზავრი.

2007 წელს **ჩინეთმა** წარმატებით გამოსცადა თანამგზავრების საწინააღმდეგო იარაღი — კოსმოდრომ სიჩანიდან გაშვებულმა რაკეტამ დააზიანა 865 კმ-ის სიმაღლეზე მოძრავი კოსმოსური მეტეოთანამგზავრი FY-1C-ი.

რუსეთის შეიარაღებული ძალები აღიჭურვა ახალი თაობის საზენიტო-სარაკეტო სისტემით, რომლის ამოცანა ბალისტიკური და აეროდინამიკური მიზნების, ჰიპერბგერითი ფრთოსანი რაკეტების, თვითმფრინავებისა და უპილოტო საფრენი აპარატების განადგურებაა 3500 კმ-ზე. ეს არის **C-500 „პრომეთეი“**, რომელსაც ანტენის აქტიური ფაზირებული ცხაურა საშუალებას აძლევს, აღმოაჩინოს და დააზიანოს 1000 კმ-ით დაშორებული და 5 მეტრიდან 50 კმ-მდე მოძრავი მიზანი. ამასთანავე, C-500 „პრომეთეის“ საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანას 10 წუთზე მეტი არ სჭირდება, კომპლექსის გადამტან საშუალებას — ქთზ-69096-ს კი შეუძლია საათში 60 კმ სიჩქარე განავითაროს.



თანამგზავრების საწინააღმდეგო ამერიკული რაკეტა ASM135 ASAT



A-235 „ნუდოლი“

რამდენიმე თვის წინათ კი რუსეთის შეიარაღებულ ძალებში გამოჩნდა რაკეტსაწინააღმდეგო კოსმოსური თანამგზავრების საწინააღმდეგო შორეული მოქმედების კომპლექსი **„ნუდოლი“.**

ამერიკული გამოცემა Washingtom Fre Beacon-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რომელიც პენტაგონის წარმომადგენლებისგან მოიპოვა, **მიმდინარე წლის 25 მაისს რუსეთმა კოსმოდრომ პლესეცკიდან წარმატებით გაუშვა კოსმოსური თანამგზავრების საწინააღმდეგო რაკეტა, რისთვისაც გამოიყენა რაკეტსაწინააღმდეგო და კოსმოსური თანამგზავრის საწინააღმდეო სისტემა „ნუდოლი“ („მოსკვა A-235“). სამხედრო ექსპერტების აზრით, ამერიკული სისტემა THAAD-ის რაკეტებისგან განსხვავებით, რუსულ რაკეტებს შეუძლია გაცილებით შორს (5,5 ათას კმ) და მაღლა მოძრავი მიზნების დაზიანება, მათ შორის, დედამიწის ახლო ორბიტიდან ჰიპერბგერითი სიჩქარით წამოსული შემტევი ობიექტების.**





## «კორნეტი» «აბრამსის» წინააღმდეგ

**ინტერნეტში გავრცელდა ვიდეოკადრები, რომლებზეც ასახულია, როგორ ანადგურებს რაკეტა „კორნეტი“ ტანკ M-1 „აბრამსს“.** ერაყის არმიის ამერიკული ტანკი M-1 „აბრამსი“, რომელიც თავისი მონაცემებით მსოფლიოში გამორჩეული დაჯავშნილი საბრძოლო მანქანაა, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა რამდენიმე დღის წინათ ააფეთქეს რუსული წარმოების ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა „კორნეტით“. ტანკის ეკიპაჟის 4-ვე წევრი დაიღუპა.

## სირიაში ე.წ. ვაკუუმური ბომბები გამოიყენეს

**სირიის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავებმა ბომბდამშენ Су-24-დან 500-კილოგრამიანი ე.წ. ვაკუუმური (მოცულობითი აფეთქების) ბომბები ჩამოყარეს ტერორისტების პოზიციებზე.**

მოცულობითი აფეთქების ბომბა ОФЗАБ-500 ყველაზე მძლავრ საბრძოლო მასალად ითვლება საფრონტო ავიაციის არსენალში. ეს საავიაციო ბომბა უნივერსალურია — შეუძლია გაანადგუროს ცოცხალი ძალა და დაჯავშნილი ტექნიკა, როგორც მიწის ზედაპირზე, აგრეთვე, თავშესაფარში. მისი აფეთქების შედეგად დარტყმითი ტალღისა და ნამსხვრევების გარდა, წარმოიქმნება მაღალი ტემპერატურა, რომელიც შთანთქავს ჟანგბადს მოქმედების რადიუსში.

ამ საბრძოლო მასალის გამოყენება Су-24МК-ს შეუძლია 300 მეტრიდან 11 კმ-მდე სიმაღლიდან საათში 1200 კმ სიჩქარით ფრენისას. ბომბის მოქმედების რადიუსი 290 მეტრია, ტემპერატურა ეპიცენტრში კი 900 გრადუსს აღწევს.





## F35 ჰაერში აალდა

**საზღვაო ქვეითთა ამერიკულმა კორპუსმა ავიაბაზა ბოფორტიდან (ჩრდ. კაროლინა) აფრენილი გამანადგურებელ F35B-ს ინციდენტის გამოძიება დაიწყო.**

საწვრთნელი ფრენისას თვითმფრინავ აალდა, — წერს Military.com. ცეცხლი გაჩნდა საიარაღო ნაკვეთურში. მაგრამ არავინ დაშავებულა და თვითმფრინავიც მშვიდობით დაეშვა მიწაზე.

ეს არ არის F35-ის თვითაალების პირველი შემთხვევა. 2014 წლის ივნისში თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა ფლორიდის ავიაბაზიდან აფრენისას.

2016 წლის სექტემბერში კი სხვა თვითმფრინავი ძრავის ამუშავებისთანავე აალდა.

ამა წლის ოქტომბერში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ F35 ტიპის 57 გამანადგურებელს უპოვეს სხვადასხვა სახის დეფექტი — ძრავის, შეიარაღების, რადიოსალოკაციო სადგურების, პილოტის სავარძლის, პროგრამული უზრუნველყოფისა და ა.შ.

არადა, ერთი ასეთი თვითმფრინავის ღირებულება 100 მლნ დოლარს აღწევს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ფერმერის სკოლა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასათესად ნიადაგი შემდეგნაირად უნდა მომზადდეს: მზრალად მოხნული ნიადაგი სასუქების შეტანის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში კვლავ უნდა გადაიხნას ან ჩატარდეს კულტივაცია და დაიფარცხოს. თესვა, უმჯობესია, ჩატარდეს გალივებული თესლით, რისთვისაც იგი ორი დღით ადრე უნდა დავასველოთ და ამის შემდეგ ოდნავ უნდა შევაშროთ ისე, რომ თესლები ერთმანეთს არ ეკვროდეს. თესვა უნდა ჩატარდეს ადგილობრივი პირობების შესაბამისად, ჩითილით დარგვისთვის განკუთვნილ ვადამდე 15-20 დღით ადრე. თუ ნიადაგი მშრალია, საჭირო იქნება თესვამდე 2-3 დღით ადრე თესვისწინა მორწყვის ჩატარება.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

# პომიდვრის მოყვანა უშუალოდ გრუნტში თესვით (პომიდვრის უჩითილო კულტურა)

**ჩითილის მეთოდი პომიდვრის მოყვანის ძირითადი მეთოდია, მაგრამ მას რიგ უპირატესობასთან ერთად აქვს ნაკლიც. კერძოდ ის, რომ ჩითილის დარგვა საკმაოდ შრომატევადი პროცესია. გარდა ამისა, დაბალია შრომის ნაყოფიერება. საუკეთესო სარგავი მანქანის (6-რიგიანი ჩითილის სარგავი მანქანა) გამოყენების შემთხვევაშიც კი მისი წარმადობა ერთ სამუშაო დღეში 6 ჰა-ს არ აღემატება. ამასთანავე, მანქანას ემსახურება, სულ ცოტა, 15 კაცი. ცხადია, დიდ ფართობზე თესვა გაცილებით იოლია და შრომის ნაყოფიერებაც — მაღალი, შესაბამისად დაბალია ფულადი დანახარჯებიც. აქედან გამომდინარე, დაბალი იქნება მიღებული პროდუქციის თვითღირებულება.**

ზოგიერთი მონაცემით, პომიდვრის უჩითილოდ მოყვანისას თვითღირებულება 1,2-2-ჯერ მცირდება.

გარდა ამისა, როგორც ექსპერიმენტულად არის დადგენილი, პომიდვრის უშუალოდ გრუნტში მოყვანისას მცენარე უფრო გამძლეა დაავადებებისა და გარემოს არახელსაყრელი პირობების მიმართ.

პომიდვრის უშუალოდ **გრუნტში თესვით** წარმოების დადებითი მხარეები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

* **მოსავალი მიიღება არა ნაკლები, ვიდრე ჩითილით მოყვანისას;**
* **ნაყოფი შეიცავს მეტ მშრალ ნივთიერებებს;**
* **ფართობის ერთეულზე საჭიროებს ნაკლებ შრომით და ფულად დანახარჯებს;**
* **მცირდება სტოლბურით დაავადება, რაც მეტად მნიშვნელოვანია;**
* **უჩითილო კულტურა უფრო გვალვაგამძლე და სიცივის ამტანია. ზრდისა და განვითარების ტემპი იცვლება, კერძოდ, აღმოცენებიდან ყვავილობამდე და მსხმოიარობამდე პერიოდი 15-20 დღით მცირდება;**
* **ჩითილით მოყვანასთან შედარებით, გრუნტში ნათესი პომიდორი უფრო გვიან მწიფდება, მაგრამ მასობრივი სიმწიფე უფრო ადრე დგება;**
* **უჩითილო კულტურის მოსავლიანობა ავსებს და აგრძელებს პროდუქციის შემოსვლას, რაც ხელს უწყობს საკონსერვო ქარხნის ნედლეულით მომარაგების რიტმს (შემოდგომაზე);**
* **უჩითილო კულტურა პომიდვრის ნედლეულს მნიშვნელოვნად აიაფებს.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდს აქვს სუსტი მხარეებიც. კერძოდ ის, რომ განვითარების პირველ პერიოდში, როდესაც მცენარე უფრო მგრძნობიარეა გარემოს არახელსაყრელი პირობებისადმი, მოვლა გაძნელებულია ნათესი ფართობის სიდიდის გამო. განსაკუთრებით ძნელდება ბრძოლა სარეველების წინააღმდეგ. საჩითილეებში მცენარეებს უკავია დაახლოებით 200-ჯერ ნაკლები ფართობი, ვიდრე მუდმივ ადგილზე დარგვისას, ცხადია, რომ მცირე ფართობზე მოვლა ნაკლებ შრომით და მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვს.

აღსანიშნავია ისიც, რომ **ეს მეთოდი ძირითადად გამოყენებული უნდა იქნას მანქანით ასაღები ჯიშებისთვის**, ე.ი., ძირითადად, მოსავლის ერთჯერადი აღებისას. ამ შემთხვევაში ფართობის ერთეულზე ამ კულტურის ტრადიციული სიხშირე (40 000 ძირი ჰა-ზე) გამოიწვევს მოსავლიანობის კლებას, რადგან ერთჯერადი აღებისას მცენარეს მისი პოტენციური შესაძლებლობის სრული გამოვლენის საშუალება არ ეძლევა.

**მანქანით დარგვისას მცენარეთა დგომის სიხშირე შეზღუდულია**. მწკრივში მცენარეთა შორის მანძილის შემცირება 30 სმ-ზე ნაკლებ პრაქტიკულად შეუძლებელია.

* გრუნტში თესვით მოყვანის წესი გავრცელებულია წყალტუბოს რაიონში, აღმოსავლეთ საქართველოში კი — ქვემო ქართლში. ასეთი წესით და ადრეული ჯიშების შერჩევით პომიდვრის მოყვანა საქართველოს ბარის პირობებში (ზღვის დონიდან 1000 მეტრამდე) ყველგან შეიძლება.

* გრუნტში თესვით მოყვანისას, მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა: თესვის ჩატარება კარგად დამუშავებულ და მომზადებულ ნიადაგზე, აღმონაცენის დროული გამეჩხერება, საჭიროების მიხედვით მორწყვა, დამატებითი გამოკვება მინერალური სასუქებით, ნიადაგის გაფხვიერება და სარეველებთან ბრძოლა (ფიზიკური და ქიმიური მეთოდებით).

* დასათესად ნიადაგი შემდეგნაირად უნდა მომზადდეს: მზრალად მოხნული ნიადაგი სასუქების შეტანის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, კვლავ უნდა გადაიხნას ან ჩატარდეს კულტივაცია და დაიფარცხოს. თესვა, უმჯობესია, ჩატარდეს გალივებული თესლით, რისთვისაც იგი ორი დღით ადრე უნდა დავასველოთ და ამის შემდეგ ოდნავ უნდა შევაშროთი ისე, რომ თესლები ერთმანეთს არ ეკვროდეს. თესვა უნდა ჩატარდეს ადგილობრივი პირობების შესაბამისად, ჩითილით დარგვისათვის განკუთვნილ ვადამდე 15-20 დღით ადრე. თუ ნიადაგი მშრალია, საჭირო იქნება თესვამდე 2-3 დღით ადრე თესვისწინა მორწყვის ჩატარება.

* პომიდვრის გრუნტში თესვა შეიძლება მწკრივად და ბუდობრივად. მწკრივად თესვა, სასურველია, ჩატარდეს სათესი მანქანით. მწკრივებს შორის მანძილი ამ შემთხვევაში 70 სმ უნდა იყოს. თესლის საჭირო რაოდენობა ერთი ჰექტარისათვის 2 კგ-მდეა.

ნათესის მოვლა უფრო გაადვილდება, თუ მცენარეებს კვადრატულ-ბუდობრივად დავთესავთ 70X70 სმ-ზე. წინასწარ ამოღებულ ორმოებში იყრება გადამწვარი ნაკელი, თითოეულში — 0,5-1 კგ, რომელიც მიწაში კარგად უნდა აირიოს და დასველდეს, შემდეგ 5-7 ცალი თესლი ჩაითესოს არა უღრმეს 0,5 სმ-ზე და ზემოდან დაეყაროს 2-3 სმ სისქის მშრალი მიწა. ღივების ამოსვლის შემდეგ ბუდნები უნდა მოირწყას და გამეჩხერების შემდეგ ყოველ ბუდნაში უნდა დარჩეს 1-2 კარგად განვითარებული მცენარე. დანარჩენი მოვლითი ღონისძიებები ჩითილის მეთოდით მოყვანის ანალოგიურია.



**შორეული ბაზრისთვის პომიდორი, როგორც წესი, მწიფობის ადრეულ ფაზაში იკრიფება. მაგალითად, როდესაც დანიშნულების ადგილზე მისატანად 10 დღეზე მეტია საჭირო, ნაყოფი იკრიფება სიმწიფის პირველ ფაზაში, ხოლო როდესაც გზაში საჭიროა 3-4 დღე — მეორე ფაზაში. ადგილობრივ მოსახმარებლად პამიდორი იკრიფება სიმწიფის მესამე და მეოთხე ფაზებში**

## მოსავლის აღება

**წითელნაყოფიანი პომიდვრის ნაყოფის სიმწიფე ხასიათდება სიმწიფის ოთხი ფაზით:**

* **მომწვანო-რძისებური, როდესაც ნაყოფის მწვანე შეფერვა გამკრთალდება და მოყვითალო ფერს იღებს;**
* **ჟღალი, როდესაც ყვითელ ფერს შეეპარება ვარდისფერი;**
* **ვარდისფერი, როდესაც ნაყოფი ვარდისფერ შეფერვას მიიღებს;**
* **სრული სიმწიფე, როდესაც ნაყოფი სავსებით გაწითლდება.**

პომიდვრის ნაყოფის მოკრეფა ტარდება დანიშნულების მიხედვით.

**შორეული ბაზრისათვის პომიდორი, როგორც წესი, მწიფობის ადრეულ ფაზაში იკრიფება. მაგალითად, როდესაც დანიშნულების ადგილზე მისატანად 10 დღეზე მეტია საჭირო, ნაყოფი იკრიფება სიმწიფის პირველ ფაზაში, ხოლო როდესაც გზაში საჭიროა 3-4 დღე — მეორე ფაზაში.** ადგილობრივ მოსახმარებლად პომიდორი იკრიფება სიმწიფის მესამე და მეოთხე ფაზებში.

პომიდვრის ინდუსტრიული ტექნოლოგიით წარმოება ითვალისწინებს მოსავლის აღების მექანიზაციას სპეციალური კომბაინებით. მოსავლის აღების წინ სარწყავ არხებს ასწორებენ. ხელით იღებენ კომბაინის საბრუნ ზოლში მოქცეულ მოსავალს (თავში და ბოლოში). მოსავლის აღება წარმოებს ერთ ჯერზე, როდესაც მცენარეზე მწიფე ნაყოფების რაოდენობა 75-80%-ს მიაღწევს. მოსავლის აღების შემდეგ ახდენენ მის დახარისხებას. პროდუქცია გადასამუშავებელი მიმართულებისაა და ძირითადად ბარდება საკონსერვო ქარხნებს.

პომიდვრის ხელით კრეფა საქართველოს ბარის პირობებში ივნისიდან იწყება და ნოემბრამდე გრძელდება. ნაყოფი იკრიფება 4-5 დღეში ერთხელ. დასუფთავებისა და დახარისხების შემდეგ დაკრეფილ ნაყოფს ათავსებენ ყუთებში და გზავნიან სარეალიზაციოდ.

**ვაჟა ჯაფარიძე,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**ნათესის მოვლა უფრო გაადვილდება, თუ მცენარეებს კვადრატულ-ბუდობრივად დავთესავთ 70X70 სმ-ზე. წინასწარ ამოღებულ ორმოებში იყრება გადამწვარი ნაკელი, თითოეულში 0,5-1 კგ, რომელიც მიწაში კარგად უნდა აირიოს და დასველდეს, შემდეგ 5-7 ცალი თესლი ჩაითესოს არა უღრმეს 0,5 სმ-ზე და ზემოდან დაეყაროს 2-3 სმ სისქის მშრალი მიწა. ღივების ამოსვლის შემდეგ ბუდნები უნდა მოირწყას და გამეჩხერების შემდეგ ყოველ ბუდნაში უნდა დარჩეს 1-2 კარგად განვითარებული მცენარე. დანარჩენი მოვლითი ღონისძიებები ჩითილის მეთოდით მოყვანის ანალოგიურია**



**ცვლილებების პერიოდია. ბევრი ადამიანი შეიძლება დაფიქრდეს სამსახურის ან, საერთოდ, პროფესიის შეცვლაზე. წარმატებას მიაღწევენ კუროსა და მორიელის ნიშნით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**15 - 22 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

რეკომენდებული არ არის ახალი საქმეების დაწყება. სჯობს, მიმდინარე საქმეები დაასრულოთ. თუ ბოლომდე გაერკვევით თქვენ გარშემო შექმნილ ვითარებაში, შეძლებთ დასახული მიზნების მიღწევას.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ პრეტენზიებითა და კრიტიკული გამონათქვამებით ვითარებას არ გაამწვავებთ.

შესაძლოა, შეგექმნათ ძვლოვანი სისტემის პრობლემა. მიიღეთ კალციუმითა და D ვიტამინით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 20 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 22 ნოემბერი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

წარმატება გელით პროფესიულ სფეროში, განსაკუთრებით — 18-20 ნოემბრის პერიოდში. კოლეგებსა და ახლობლებთან შეინარჩუნეთ კეთილგანწყობილი ურთიერთობა და საპასუხო მხარდაჭერას მიიღებთ.

შეეცადეთ, თავი აარიდოთ საყვარელ ადამიანთან კამათს, ამან შეიძლება კონფლიქტამდე მიგიყვანოთ. თვალსაზრისი დაიცავით მხოლოდ მაშინ, როდესაც დარწმუნდებით, რომ მართალი ხართ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ფიზიკურად მეტად დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 20 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 17 ნოემბერი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

ნუ დაიკისრებთ პასუხისმგებლობას ისეთ დავალებაზე, რომლის შესრულებაშიც დარწმუნებული არ ხართ — ეს თქვენთვის შეიძლება ცუდად დასრულდეს. ხელმძღვანელი ტყუპები მოთმინებით უნდა მოეკიდონ ხელქვეითთა შეცდომებს, რათა შემდეგ მათი შემცვლელები სანთლით საძებარი არ გაუხდეთ.

დაქორწინებულ ტყუპებს სასიამოვნო სიურპრიზს მოუმზადებენ მეუღლეები და ამით ძალიან გაახარებენ.

გააკონტროლეთ თქვენი მადა — ჭარბმა წონამ შეიძლება სისხლის მიმოქცევის დარღვევა გამოიწვიოს.

**დადებითი დღე: 19 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 17 ნოემბერი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

ნუ გალიზიანდებით, თუ უახლოესი 10 დღის განმავლობაში ბევრი რამ ისე არ წარიმართება, როგორც დაგეგმილი გქონდათ. ახლა სჯობს, ცხოვრების დინებას მიჰყვეთ და ის საქმეები აკეთოთ, რომლებიც დაწყებული გქონდათ.

მარტოხელა კირჩხიბების პირად ცხოვრებაში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, დაქორწინებულებმა კი მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ.

დიდია შარდ-სასქესო სისტემის ორგანოების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 16 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 ნოემბერი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

ირწმუნეთ თქვენი შესაძლებლობების, გაბედულად იმოქმედეთ და დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევთ, ოღონდ თქვენი მოქმედებები გულმოდგინედ დაგეგმეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში მოსალოდნელია უთანხმოება, თუ საქმის გარჩევას არ მოისურვებთ, კრიზისი თავისით მოგვარდება.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ მეტ დროს გაატარებთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 20 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 18 ნოემბერი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

საქმე თავზე საყრელად გექნებათ და მოგემატებათ პრობლემები როგორც სამსახურში, ისე პირად ცხოვრებაშიც. მოთმინებით ალიჭურვეთ, ყველა პრობლემა გააანალიზეთ და მათ მოგვარებას ნელ-ნელა, მეთოდურად შეეცადეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები და შეეცადეთ, მისი მოთხოვნებიც გაითვალისწინოთ.

როცა განწყობილება გაგიფუჭდებათ, შეეცადეთ, გახვიდეთ ბუნების წიაღში და ისეირნოთ.

**დადებითი დღე: 16 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 ნოემბერი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

სამსახურში და ურთიერთობებშიც წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების მცდელობისას ყური დაუგდეთ შინაგან ხმას — ამ პერიოდში ლოგიკური აზროვნება თქვენი ძლიერი მხარე არ იქნება.

მოუცლელობის გამო შეიძლება საკმარისი დრო აღარ დაგრჩეთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის, რაც მას ძალიან გაანაწყენებს. შეეცადეთ, დრო სწორად გაანაწილოთ სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის.

მაღალია ტრავმირების ალბათობა — გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისას.

**დადებითი დღე: 21 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 17 ნოემბერი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

მოემზადეთ მოულოდნელი ცვლილებებისთვის სამსახურში. ეს ცვლილებები თქვენთვის სასიკეთო იქნება, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ასე არ მოგეჩვენებათ.

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში გარეშე პირის ჩარევამ შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს.

მეტი იმოძრავეთ. ივარჯიშეთ სუფთა ჰაერზე ან დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით.

**დადებითი დღე: 20 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 18 ნოემბერი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

ნუ აჩქარდებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას — იმოქმედეთ ეტაპობრივად და გეგმაზომიერად. თქვენი გულმოდგინება და მუხლჩაუხრელი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩება ხელმძღვანელობას და არ არის გამორიცხული, პრემიით დაგაჯილდოვონ ან დაგაწინაურონ.

მარტოხელა მშვილდოსნებს ელით რომანტიკული თავგადასავალი საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან. ურთიერთობის გაღრმავებას ხელს შეუწყობს საერთო ინტერესები და თვალსაზრისი ბევრ ცხოვრებისეულ საკითხზე. დიდია გაციების ან ვირუსული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 18 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 21 ნოემბერი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

საკმაოდ რთული პერიოდია. უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებით და მათი მოგვარება ძალიან გაგიჭირდებათ. ამასთანავე, ბევრი ახლობელი თუ კოლეგა გთხოვთ დახმარებას — შეეცადეთ, შესაძლებლობის მიხედვით დააკმაყოფილოთ მათი თხოვნა.

საყვარელ ადამიანთან მოსალოდნელია მცირე უთანხმოება, მაგრამ, თუ კომპრომისულ გადაწყვეტილებას მიიღებთ, ყველაფერი მყისვე მოგვარდება.

ამ პერიოდში მოწყვლადია გულ-სისხლძარღვთა სისტემა. მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 17 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 22 ნოემბერი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

დასახული მიზნის მიღწევას მხოლოდ გულმოდგინე მუშაობით შეძლებთ. სამსახურში მოსალოდნელია კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან, მიზეზი თქვენ მიერ უხარისხოდ შესრულებული დავალება იქნება.

მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი ფინანსური დანახარჯები.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი შეიკავეთ კრიტიკული შენიშვნებისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ.

დიდია ტრავმირების ალბათობა. თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და ფრთხილად მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 18 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 20 ნოემბერი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

შესაძლოა, შეხვდეთ დიდი ხნის უნახავ ადამიანს, რომელთანაც სასიამოვნო მოგონებები გაკავშირებდათ. ინფორმაციის გაცვლა და ძველი ამბების გახსენება კარგ განწყობაზე დაგაყენებთ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ და თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობას. დაქორწინებული თევზების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან უღრუბლო იქნება. კარგი იქნება, თუ მეტ ყურადღებას დაუთმობთ ოჯახის უფროს წევრებს.

თევზებმა, რომლებსაც კბილების პრობლემა აქვთ, გართულების თავიდან ასაცილებლად, სტომატოლოგს უნდა მიმართონ.

**დადებითი დღე: 20 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 18 ნოემბერი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



# სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მთვარის კალენდრის მიხედვით

**ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ მთვარის კალენდარს მიწის დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. მცენარეების დარგვისა და მოსავლის აღების, ხვნა-თესვის დაწყებისა და სახლის აშენების დროსაც კი მთვარის კალენდრის მიხედვით განსაზღვრავდნენ. გთავაზობთ 16-22 ნოემბრის მთვარის კალენდარს, რომლის მიხედვითაც შეიტყობთ, რომელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება სჯობს ამ პერიოდში.**

**16 ნოემბერი** — კარგი დღეა ისეთი მცენარეების დასარგავად ან დასათესად, როგორიც არის კარტოფილი, სტაფილო, ხახვი, თალგამი, ჭარხალი და არაქისი.

**17 ნოემბერი** — რეკომენდებულია ოთახის მცენარეებისთვის მიწის გაფხვიერება და მასში ორგანული სასუქების შეტანა. შეიძლება კომბოსტოს მწნილის დამზადება.

**18 ნოემბერი** — კარგი დღეა სამკურნალო ბალახებისა და მცენარეების ფოთლების შესაგროვებლად. რეკომენდებული არ არის მორწყვა.

**19 ნოემბერი** — რეკომენდებულია სათბურე მცენარეებისთვის მიწის გაფხვიერება, მცენარეების სანიტარული აკაფვა.

**20 ნოემბერი** — კარგი დღეა ერთწლიანი მცენარეების დასათესად, მიწის დასამუშავებლად მავნებელთა საწინააღმდეგო სპეციალური საშუალებებით.

**21 ნოემბერი** — რეკომენდებულია კენკროვანი მცენარეებისგან მურაბისა და ჩირის დამზადება, დაკონსერვება.

**22 ნოემბერი** — კარგი დღეა სამკურნალო მცენარეების ფესვების მოსაგროვებლად, კონსერვებისა და ჩირის დასამზადებლად. რეკომენდებული არ არის მცენარეების მორწყვა.



იენს სტოლტენბერგი:

# ძლიერი და უსაფრთხო ევროპა ნიშნავს ძლიერ და უსაფრთხო ამერიკას

**ნატოს გენერალურმა მდივანმა აშშ-ის ახალარჩეულ პრეზიდენტს ღია წერილით მიმართა და უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზე მიანიშნა. სტოლტენბერგი დონალდ ტრამპს ევროპისა და შეერთებული შტატების ძლიერი პარტნიორობის აუცილებლობაზე მიუთითებს.**

სტოლტენბერგი აცხადებს, რომ შემტევი რუსეთის, ტერორიზმის, ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტების ფონზე ამ ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის ეჭვქვეშ დაყენების დრო არ არის. ნატოს ხელმძღვანელმა დონალდ ტრამპს მიანიშნა, რომ 67-წლიანმა პარტნიორობამ დაამარცხა საბჭოთა კავშირი და ცივი ომი დაასრულა, ასევე, 11 სექტემბრის ტერაქტები შეახსენა და მიუთითა, რომ შეერთებულ შტატებზე თავდასხმა ნატომ ყველა წევრ ქვეყანაზე თავდასხმად შეაფასა და ავღანეთის ოპერაციაში ჩაერთო. სტოლტენბერგი წერს, რომ ალიანსის ლიდერები ყოველთვის აცნობიერებდნენ, რომ ძლიერი და უსაფრთხო ევროპა ნიშნავს ძლიერ და უსაფრთხო ამერიკას. მისი თქმით, დღეს მარტო დარჩენა არ არის გამოსავალი და გლობალურ უსაფრთხოებას ძლიერი ამერიკა და ერთიანი ევროპა სჭირდება.



# დონალდ ტრამპმა პრეზიდენტის ხელფასზე უარი განაცხადა

**ტელეარხ CBS-ის ეთერში ტრამპს ჰკითხეს, მიიღებს თუ არა ხელფასს პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას. აშშ-ის არჩეულმა პრეზიდენტმა კი განაცხადა, რომ უარს იტყვის ხელფასზე.**

**„ჩემი პასუხია — არა. ვფიქრობ, კანონის შესაბამისად უნდა მივიღო, სულ ცოტა, 1 აშშ დოლარი, ასე რომ, ჩემი ხელფასი შეადგენს 1 აშშ დოლარს“,** — განაცხადა **ტრამპმა.** აშშ-ის პრეზიდენტის ხელფასი 400 000 აშშ დოლარია წელიწადში. პრეზიდენტისთვის ხელმისაწვდომია, აგრეთვე, წელიწადში 50 000 დოლარი პირადი ხარჯებისთვის, მგზავრობის ფონდი 100 000 დოლარის ოდენობით და 19 000 დოლარი გასართობად.

# გერმანიის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა ვინაობა ცნობილია



**გერმანიის საპრეზიდენტო არჩევნები 2017 წლის 12 თებერვალს გაიმართება. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, შესაძლოა, ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავოს. ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი პრეზიდენტობის კანდიდატად ოფიციალურად დასახელდა. მანამდე კი ის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე განაგრძობს მუშაობას.**

გადაწყვეტილება მოლაპარაკების შემდეგ სამივე წამყვანი პარტიის ლიდერმა მიიღო, რისთვისაც კანდიდატმა მათ მადლობა გადაუხადა. პრეზიდენტს გერმანიაში სპეციალური ორგანო — ფედერალური კრება ირჩევს, რომელიც 1260 დელეგატისგან შედგება. მათი ნაწილი ბუნდესტაგის წევრები არიან, ნაწილი კი — ფედერალური მიწების პარლამენტის წარმომადგენლები.



# საფრანგეთის პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტს ითხოვენ

**საფრანგეთში მოქმედ პრეზიდენტს — ფრანსუა ოლანდს პრობლემები აქვს. პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ რეზოლუციის პროექტს პარლამენტის 79 დეპუტატმა მოაწერა ხელი.**

დოკუმენტი აღმასრულებელ ორგანოს პარლამენტის თავმჯდომარემ **კლოდ ბარტოლონემ** უკვე გადაუგზავნა. საფრანგეთის ლიდერს უფლებამოსილების გადამეტებასა და სახელმწიფო საიდუმლოს დაუცველობაში ადანაშაულებენ. ბოლო დროს ოლანდის რეიტინგი მკვეთრად დაეცა მოსახლეობაშიც. საფრანგეთის პრეზიდენტის მოღვაწეობით ელექტორატის მხოლოდ 4 პროცენტია კმაყოფილი.

# თურქეთის სკეფსისი ევროკავშირის მიმართ



**„თურქეთში, შესაძლოა, ევროკავშირთან მოლაპარაკების შეწყვეტის თაობაზე საყოველთაო რეფერენდუმი ჩატარდეს“, — განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა. მანამდე თურქეთის ლიდერმა ბრიუსელი ორმაგ სტანდარტებში არაერთხელ დაადანაშაულა. ანალოგიური განცხადება გააკეთა თურქეთის პრემიერმა ბინალი ილდირიმმაც.**

**„ჩვენი მოთმინება უკვე ამოიწურა. თურქ ხალხს რეფერენდუმის ჩატარებას წლის ბოლომდე ვთავაზობ. ბრიტანეთი ევროკავშირის წევრი იყო, მაგრამ ხალხმა რეფერენდუმზე ევროკავშირიდან გასვლას მისცა ხმა. ახლა ჩვენი ჯერია“,** — განაცხადა **ერდოღანმა.**

რამდენიმე ათეული წელია, ევროკავშირში გაწევრებაზე ანკარა ბრიუსელთან მოლაპარაკებას აწარმოებს. თურქეთი ევროპამ კუთხეში არ უნდა დააყენოს. **„ის, რომ თურქეთში განვითარებული მოვლენები გვაშფოთებს, უდავოა, მაგრამ მწვავე რეაგირება ამ მოვლენებზე და თურქეთის კუთხეში მიმწყვდევა არ შეიძლება, რადგან ეს ჩვენს საერთო ინტერესებს ავნებს“,** — აღნიშნა ბრიტანეთის საგარეო მინისტრმა **ბორის ჯონსონმა.**




## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894